ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

10

1982



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

304

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

10

ოქტომბერი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## სსრკ 60 წელი

3. **სერგეი დონბაი, ესენგულ იბრაევი, ალგიმანტას ბალტაკისი, ჯორჯე მენიუკი** — ლექსები. თარგმნეს: ვახტანგ ხარჩილავამ, გივი ალხაზიშვილმა, ბათუ დანელიამ, გია კაპანაძემ

## 100 — ნიკო ლორთქიფანიძე — 100

6. **პაოლო იაშვილი** — ნიკო ლორთქიფანიძეს. ლექსი
7. **დიდი მასწავლებელი**
11. **მაკა ჯოხაძე** — ...არქაული მხრებით, **ბათუ დანელია** — გაფრთხილება

## პოეზია და პროზა

16. **კოლაუ ნადირაძე** — არ მომიკლათ, ჩემი სიყვარული! ლექსი
17. **ჯემალ ქარჩხაძე** — ქარავანი. რომანი. გაგრძელება
57. **თემურ ჩხეტიანი** — ლექსები
60. **რენე კალანდია** — ლექსები
64. **ნაირა გელაშვილი** — მივემგზავრები მადრიდს
89. **ნანა გოგუაძე** — ლექსები
91. **რევაზ დანელია** — ლექსები
94. **ჯუმბერ ტიკარაძე** — სასწაულები. რომანი. დასასრული

## 50 — ტარიელ ჭანტურია — 50

124. **ჯანსუღ ჩარკვიანი** — ჩემო კარგო ტარია! **გივი გეგეჭკორი** — სამშობლოს ერთი მეციხოვნე. **ემზარ კვიტაიშვილი** — დიდხანს გაგრძელდეს... **გიორგი გაჩეჩილაძე** — პოეტი — დუელიანტი, **ზაურ კალანდია** — ფრთხილად — ტარიელ ჭანტურიაა!
133. **ტარიელ ჭანტურია** — ლექსები

## გამოსათხოვარი

138. **თედო ბექიშვილი** — ღირსეულად განვლილი სიცოცხლე, **მამუკა წიკლაური** — მწერლის სიცოცხლესა და სიკვდილს მისგან დაწერილი სიტყვა ვასაზღვრავს, **ბადრი ჭოხონელიძე** — აუნაზღაურებელი დანაკლისი, **ირაკლი აბაშიძე** — უნიჭიერესი მეცნიერი

## წერილები

143. **თეიმურაზ დოიაშვილი** — ნუგზარ შატაიძის მოთხრობები
148. **თამაზ ვასაძე** — „საგნები თოვლში"
152. **შტეფი ხოტივარი-იუნგერი** — „დიონისოს ღიმილის" სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები
160. ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი
თედო ბექიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე
ოტია პაჭკორია
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრკ 60 წელი

## სერგეი დონბაი

(რუსეთი)

●

ჩამოვსხდეთ, სანამ შემოდგომა მომდგარა კართან
ვარსკვლავი წყდება,
სიჩუმეა,
არ ჩქამობს ჩქამიც.
ჩიტებსაც ძინავთ, ფერად სიზმრებს ხედავენ ალბათ,
მალე დადგება სამშობლოში გაფრენის ჟამი.
ტყეებს სიჩუმე აკანკალებს ციებასავით,
ნუ გეშინია, მე ხომ აქა ვარ.
წყდება ტოტიდან სულ პირველი სუსხით დამზრალი
ფოთოლი უხმოდ და გულსაკლავად.
ჩვენ ამ ფოთოლთან რა საქმე გვაქვს,
ხვალ ადრიანად
წავა მეტყევე, უპატრონებს ამ შემოდგომას
მოოქროვილი ბილიკებით ტყისკენ მიმავალს
თავისი დარდი იმ მეტყევეს უთხრას ფოთოლმა.
ვერ დავიჯერებ რომ ამ ღამეს, ღამეს სასწაულს
იღბალი კვლავ არ გაგვიმეორებს.
დავრჩეთ ცოტახანს,
ხედავ, ისევ მოწყდა ვარსკვლავი,
დავრჩეთ ცოტახანს, ჩამოწყდება სანამ მეორეც..

თარგმნა **ვახტანგ ხარჩილავამ**

## ესენგულ იბრაევი

(ყირგიზეთი)

### მწყალობელო მიწავ!

დედამიწავ, შვილები ვართ შენი თუ
მარცვლებს ვგავართ შენს წიაღში შენივთულს,
მადლიანო, მადნიანო დედაო,
ცას მკერდს უშვერ მწვერვალებით შერითმულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, დედაო, სიკეთეს ხარ ჩვეული,
დახუნძლული ხილით და ბალჩეულით,
ჩვენ ერთნი ვართ, ტყუპები ვართ მარადი,
მე მიწა ვარ, შენ კაცი ხარ რჩეული.

რასაც მიძღვნი, დაგიბრუნებ მთლიანად,
ბალს მოგირწყავ, აგიყვავებ ნიადაგს,
მე ძვლებს ჩავშლი შენს წიაღში მარადო,
შენ კი მიწავ მოხვალ ადამიანად.

შეისმინე, დედავ, შვილის ღაღადი,
მე ცრემლი ვარ შენგან გამონახადი,
მოვკვდები და მხოლოდ ღმერთი გაიგებს
თუ რამდენჯერ გავთენდი და დავღამდი.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

## ალგიმანტას ბალტაკისი

(ლიტვა)

### საყრდენი

საყრდენი უნდათ მძლე უეჭველად
ფეხებს, რომ იდგნენ, ვით კლდე პიტალო,
დროშა კი ხელებს უნდა ეჭიროთ,
რომ ქარიშხლებში გამოიტანონ.

გონებას უნდა დიდი მხნეობა,
რომ ასწლეულებს ჩასწვდეს მარადის,
გულს — სიმართლე და ტრფობა მეოხად,
რათა იპოვოს გზა ჭეშმარიტი.

მაგრამ ერთი დღის რად ღირს სიმართლე?
ტყუილს ჩამოგავს იგი ძალიან!
ერთი დღის სიმხნეც მოინათლება
შიშით, ის შიშის ტყუპისცალია.

მიმძიმს ყოველდღე პასუხი ვაგო,
მიმძიმს საკუთარ თავთან დარჩენა...
და საყრდენს, რვალზე მყარსა და მაგარს,
გულით და გონით ვეძებ ამჯერად.

თარგმნა ბათუ დანელიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯორჯე მენიუკი

(მოლდავეთი)

●

არც სალამურს უკრავენ
და არც არფის ხმა ისმის,
დაკლაკნილი მდინარე,
როგორც ქვეწარმავალი,
მიდის, ჰვდება ხეები,
სალამო და აისი
და პიტალო კლდეები,
მოსახვევი მრავალი.

ლხინში აღარ უკრავენ
სამწუხაროდ ლეუტეს,*
ნეტა რად გაიმეტეს
სხვენში დასამალავად,
მითქრიალებს მდინარე,
სწორედ იმ კლდეს შეუტევს,
ძველი ციხე-სიმაგრე
ძლივს რომ იჭერს გალავანს.

ზამთრის ჩუმი სიკვდილი,
ალტაცება მალული,
არ გასვენებს აპრილის
დიადი ნოსტალგია,
დგახარ გაქვავებული,
ცრემლებით დაცვარული;
ჩრდილი რაა, ჩრდილიც კი
სადღაც დაგიკარგია.

ო, მუზებო, მუზებო,
თავგასულნო ქებითა,
ნუ გამწირავთ, სული ხომ
თქვენს დიდებას შენათის,
ისევ თქვენთვის ვიმღერებ,
თუ შევცოდე, შემინდეთ,
ცოდვას გამოვისყიდი
ლექსის ცისარტყელათი.

* ლეუტე — მოლდავური ხალხური ინსტრუმენტი.

თარგმნა გია პაპანაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 100 — ნიკო ლორთქიფანიძე — 100

პაოლო იაშვილი

## ნიკო ლორთქიფანიძეს

ხარ მოელვარე, ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც მწევარი
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

გაგიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი...

სოფლის წითელა, ყვავილი, ხველა,
გამოტირილი და სამძიმარი.
შენ იმერეთმა დაგანაღვველა,
როგორც პოეტი და პატიმარი.

ფუქსავატ ხალხში ხარ განდეგილი
და შთაგონების ხარ ფალავანი,
თუ პოეზია გულგაგლეჯილი
დღეს ძებნაშია ერთგულ სავანის.

ჩვენი დათმობა შენთვის წესია,
დამშვენებულო ძმური თვისებით,
თითქოს გაგელოს შენ ეკლესია
ცოდვილ სულების პარაკლისებით.

მაგრამ საყდარში არავის ელი
და რჩება ლოცვა გაუმართველი...
ხარ დიდებული ქუთაისელი
და შენ ბრძანდები დიდი ქართველი

1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი მასწავლებელი

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს მადლიერი ქართველი ხალხი. ბევრჯერ თქმულა და, ალბათ, საიუბილეო დღეებში კიდევ ერთხელ ითქმება, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერჯერობით არ არის საკადრისად შეფასებული და, ამდენად, დაფასებულიც. და ეს ითქმის არა იმის გამო, რომ „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორზე არაფერი დაწერილა რიგიანი. არსებობს საყურადღებო მონოგრაფიებიც და საინტერესო წერილებიც, მაგრამ დღემდე გაწეული შრომა არ არის საკმარისი. ჭეშმარიტად დიდი მწერლის ერთი ნიშანთაგანი ისიც არის, რომ იგი ერთბაშად არ შეიცნობა და არც ამოიწურება. ნიკო ლორთქიფანიძე ეკუთვნის ისეთ მწერალთა რიგს, ვის სიდიადესაც ყველა გრძნობს, ვის არაჩვეულებრივ ნიჭიერებაშიც ყველა დარწმუნებულია, მაგრამ ამ სიდიადისა და ნიჭიერების შესაფერისად არ არის აღიარებული. ასეთი მწერლები აუჩქარებლად, თანდათან იპყრობენ დიდ სივრცეს, თანდათან აიმართებიან ჩვენს წინაშე მთელი სიმაღლით.

ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული აზროვნების სტილის უხმაურო, ღრმა ქვეტექსტებით, ფრაზის შეკუმშულობით განსაზღვრულს — ქართული პროზის განვითარებაში იქნებ ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ სინამდვილეში არაჩვეულებრივი წვლილი შეაქვს. განსაკუთრებით ღირებულია იგი ჩვენთვის. დღეს — ღირებულია თავისი კანონებით, სტრუქტურით, აზროვნების ფორმებით. უფრო ღირებული იქნება ხვალ, რადგან იგი ნამდვილად არის მომავლის პროზა, ქართული პროზის ხვალინდელი დღეც არის. მოვლენასთან, საგნებთან, სიტყვასთან ნიკო ლორთქიფანიძისეული დამოკიდებულება არის ჭეშმარიტი მწერლობის ნიმუში. ამდენად განუსაზღვრელია მისი როლი ახალგაზრდა პროზაიკოსების ჩამოყალიბებაში.

კლასიკოსები ჩვენ გვასწავლიან მაშინაც კი, როდესაც ცოტას ვფიქრობთ მათზე, ისინი ზემოქმედებენ მაშინაც კი, როდესაც სრულიად განსხვავებულ გზასა და სტილს ვირჩევთ ან ვფლობთ. ყოველი მათგანი არის დიდი მასწავლებელი, წარმმართველი ძალა, ზურგის ქარი, სუნთქვას და მოძრაობას რომ გვიიოლებს.

დიდი მასწავლებელია ნიკო ლორთქიფანიძე. დიდი მასწავლებელი, თანამდგომი და მეგობარია იგი ახალგაზრდობისათვის.

სანიმუშოა თავისი დროისადმი „რაინდების“ ავტორის დამოკიდებულება. მისთვის დღევანდელობა არასდროს ყოფილა მეორეხარისხოვანი. მთელი არსებით განიცდიდა მეოცე საუკუნის დიდი მოვლენების არსს. მაგრამ არასდროს აჩქარებულა შეფასებისას, მათთან დამოკიდებულების განსაზღვრისას. ნაუცბათევი გამოხმაურება მუდამ წარმოშობდა ზედაპირულ აზროვნებას, უწონო აზრს. იგი, როგორც ეს ჭეშმარიტად დიდ მწერალს შეშვენოდა, თავის თავში გადახარშავდა დროის დინების წარმმართველ ფაქტებსა და მოვლენებს, რათა ბოლომდე შეეცნო მათი არსი არსთაგანი. ამ გზით მოვლენათა სიღრმესა და მასშტაბურობას უცთომელად აფასებდა და მასზე თქმული სიტყვაც არაჩვეულებრივ ღირებულებას იძენდა. მას შესწევდა ძალა ეპოქის საოცარი რიტმი და ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვიული ბუნება მოექცია დიდ სიმშვიდეში, მის შემოქმედებაში რომ დგას. ეს სიმშვიდე თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან მოსდევს მის სულს და ეუფლება მეოცე საუკუნის მძაფრ ცხოვრებასაც, ბილიკებიდან ლიანდაგებზე არნახული სისწრაფით გადასულს და აჟრიამულებულს. იგი არნახული ბუნებრიობით აკავშირებდა ერთმანეთთან წარსულსა და აწმყოს. იმ ბუნებრიობით, როგორითაც უკავშირდება ყველა დრო ერთმანეთს. როგორის თანდათანობითა და შეუმჩნევლობითაც გადადიან ისინი ერთმანეთში.

ნიკო ლორთქიფანიძე არად აგდებდა მოვლენების გარეგნულ, ხმაურიან ნიშნებს, იგი მუდამ ხედავდა ამ გარეგნულის იქით არსებულს, ღრმად დაფლულს, იმ ღერძს, რაზეც იყო დამოკიდებული დროის მოძრაობა და რისი წყალობითაც წარმოიშობა ის ხმაური. ამიტომ არ ირღვევა მის არც ერთ ნაწარმოებში ჩუმი სტილი, ამიტომ არ ხმაურობს ფრაზა, არ გვხვდება ბრჭყვიალა სიტყვები, ხმამაღალი მოწოდებები თუ შეგონებანი.

ამიტომ გვასწავლის იგი ძალიან ბევრს, ამ შემთხვევაში საკუთარი დროის ღრმად, დარბაისლურად შეცნობასა და მიღებას გვასწავლის. გვაწვდის ნიმუშს დროსთან მწერლური დამოკიდებულებისა.

როდესაც ნიკო ლორთქიფანიძის შედევრებს ეცნობით და სწავლობთ, გაოცებთ მისი ყოვლისმომცველობა, მრავალმხრივობა. ესეც დაფარული ნიშანია. ერთი შეხედვით გევიწროვებათ კიდეც ეს სამყარო. დანგრეული ბუდეების ქვეყანად გესახებათ იგი. მაგრამ საკმარისია მთლიანობაში გავიაზროთ ის სათქმელი და მოტივები, ის თემები და საგნები, რაც ამ შედევრებშია მოქცეული, რომ დიამეტრალურად იცვლება ჩვენი წარმოდგენები. „რაინდები“, „მრისხანე ბატონი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“, „სოფლის აშიკი“, „კერიასათვის“, „ჟამთა სიავე“, „შელოცვა რადიოთი“, „დანგრეული ბუდეები“, „ფეოდალები“, „ხელოვანთა ყავახანა“, „ტრაგედია უგმიროდ“, „ბუმბერაზი“, „საქართველო იყიდება“, „ბებრები“, „გლეხის მოსახლეობა იმერეთში“... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მთავარია თუნდაც აქ დასახელებული შედევრების სათქმელის და მათში მოქცეული ქვეყნის ბოლომდე შეცნობა. ამის შემდეგ აღმოვაჩენთ იმ დიდ სამყაროს, რასაც ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ჰქვია. ამის შემდეგ დავინახავთ მის მრავალმხრივობას, ისტორიისა და თანამედროვეობის უწყვეტ კავშირს, მის ყოვლისმომცველობას. დავინახავთ, როგორ უპყრია მწერალს მრავალი დროის სადავე, როგორ ასახლებს თავის ქვეყანაში უშორესი წინაპრების გვერდით ფეოდალური საქართველოს შვილებს. მეცხრამეტე საუკუნის დეგრადირებული კლასის უკანასკნელ მოჰიკანებს, სოციალური უსამართლობით გატანჯულ გლეხთა წოდებას... მეოცე საუკუნის შვილს — ქართველ კაცს. მისი შემოქმედებისათვის ისტორია პროცესია, უწყვეტი, დინამიური, სევდით და იმედით გაზავებული. ამ პროცესის განცდა მას განასხვავებს სხვა მწერლებისაგან, რადგან იგი მისი თვისებაა, მისი გმირების გეოგრაფიული თუ ისტორიული სარბიელია.

ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებები გვასწავლის წარსულთან დამოკიდებულებას. იგი კი არ ხატავს, თითქოს გადავყავართ წარსულში, რაღაც ჯადოსნური ძალით გვაახლოებს უშორეს დროში მცხოვრებ წინაპრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპრების თემა, იგივე წარსულთან დამოკიდებულება, მისთვის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი გახლდათ. მცირე მოცულობის ნაწარმოებში „ბუმბერაზი“ აიდგა თითქოს ფეხი თემამ. გოლიათური სხეულისა და ამაღლებული სულის შერწყმა, — ეს ფენომენი განაპირობებდა ნიკო ლორთქიფანიძისათვის ქართველი კაცის ფესვების სიმტკიცეს და სათავის გამჭვირვალობას. ფრანგულაშვილების სიმბოლური სახიდან მოდიოდა მწერლის რწმენით ქართველი კაცის ჯანსაღი სული და ჯანსაღი სხეული, მისი უბრალოებიდან იღებენ სათავეს ეროვნული ხასიათი, რაც რაინდულ ნიშნებს თან დაატარებდა თვით ქვეყნის უსაშველოდ დაცემისა და დაკნინების ხანაშიც. ნიკო ლორთქიფანიძეს, დახვეწილი, არისტოკრატიული სულის შემოქმედს, ორგანულად არ შეეძლო შერიგება პროვინციულ, გაფუყულ წარმოდგენებთან, რასთანაც იყო ხშირად და ახლაც არც თუ იშვიათად არის გაიგივებული ქართველობის არსი. ფხიზელი თვალით ჭვრეტდა და აფასებდა იგი მდგომარეობას, რაშიც ჩავარდა საქართველო, როგორც სახელმწიფო თავის დროზე, ხედავდა ცხადად იმასაც, როგორ ჩიხში მოექცა ეროვნული გრძნობები და საბოლოოდ ეროვნული ენერგიაც. „რაინდების“ კითხვისას ცხადად გრძნობთ ყოველივე ამას, ცხადად გრძნობთ მძიმე პოზიციაში მოხვედრილი ქართველი კაცის რაინდულ ბუნებას და ამაღლებული იუმორით განელებულ ჩუმ სევდას. ჟამთა სიავისაგან დახრულ ფოლადის ხერხემალს მძიმე, ტკივილიანი განწყობილება ამოაქვს საუკუნეების სიღრმიდან და გვაკითხებს. შთამბეჭდავია ყოველი სტრიქონი.

ნიკო ლორთქიფანიძის მახვილ თვალს არ გამორჩენია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაც ჩვენი ყოფისა. ფუნქცია დაკარგული ქვეყნის წიაღში, უმიზნობით გამკაცრებული ერთეულები გაჩნდნენ. „მრისხანე ბატონი“ ამ სიცარიელისაგან წარმოშობილი საშინელი სულის დემონსტრირებაა. ადამიანების ხასიათში დაძრული დესპოტიზმის ნაკადი უმიზეზო სასჯელებს იგონებს და აუხსნელი რისხვის სიცივისაგან იტანჯება.

ნიკო ლორთქიფანიძემ ხანგრძლივი დაკვირვება მოითხოვა ამ მოვლენაზე. მიგვახედა რა ისტორიის სიღრმეში დაძრული პროცესისაკენ, გვაგრძნობინა რა მისი საგანგაშო ბუნება, მან ჩვენს ფიქრს დაავალა სათანადო დასკვნების გამოტანა და, ვინ იცის, იქნებ ბრძოლაც.

ნიკო ლორთქიფანიძისათვის ერთმანეთისაგან განუყრელია სოციალური და პოლიტიკური მოვლენები, სოციალური და კულტურული პროცესები, სოციალური და ეროვნული პრობლემები. მან არაჩვეულებრივი წვდომის უნარით გაგვაოცა ყველა, როდესაც სოციალურად დაჩაგრული ადამიანების ტრაგიკული წუთისოფელი გაგვაცნო. „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „ტრაგედია უგმიროდ“ ისეთ ნიუანსებს დაგვანახვებს ადამიანის სულიერი ცხოვრებისას, რომელთა გარეშე ადამიანის არსებობის აზრის ამოცნობა ფუჭი მცდელობა იქნებოდა, მაგრამ რომელთა შემჩნევა და მზის სინათლეზე ამოტანა უდიდეს ოსტატობას ითხოვდა. გასაჭირი სოციალურად დაჩაგრული ადამიანისა ამ ნაწარმოებებში იკითხება იმგვარი ნიუანსების წყალობით, ფოკუსის ფუნქცია რომ აკისრია, და რომელშიც იხსნება დატანჯულ ადამიანთა მთელი არსი.

იგი სოციალური მოვლენების სიღრმეთა უკიდურეს წერტილებს ეხებოდა თავისი ჯადოსნური კვერთხით და ერთბაშად ფეთქდებოდა ხოლმე აქამდე გარინდული ტანჯვა-წამების ადამიანთა სამყაროები. ამგვარი განზოგადებისა და წვდომისაკენ მოუწოდებს იგი ქართულ პროზას, ამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვარ სიფაქიზეს ავალებს მოვლენებთან დამოკიდებულებაში ახალგაზრდებს.

მისთვის არც დეგრადირებული თავად-აზნაურთა კლასის ტრადიციული თემა იყო უცხო. იგი ბრწყინვალე გამგრძელებელია ამ თვალსაზრისით დავით კლდიაშვილის მიერ დაგდებული გზისა, მაგრამ კი არ იმეორებს მოტივებსა და სათქმელს, ახალი ტოტებით ამდიდრებს მას.

დიდი პატრიოტი ნიკო ლორთქიფანიძე შეუპოვარი, პირდაპირი, მაგრამ მუდამ გონივრული და ზუსტი ფორმებით აღჭურვილი მწერალია. მისი დიდი გაფრთხილება, „საქართველო იყიდება", მისი დიდი მოწოდება „მოუარეთ საქართველოს" აბსოლუტურად თავისუფალია პროვინციული პატრიოტობისა და პირუტყვული შიშისაგან.

იგი, მოვლენათა მდინარეში ჩამდგარი დიდი მამულიშვილი, ყოველი მიმართულებით ადევნებს თვალს სამშობლოს თავზე დაგროვილ ღრუბელთა მოძრაობას და სეისმოგრაფის მგრძნობელობით ამჩნევს მოსალოდნელ უბედურებებს. მზადყოფნისაკენ მიმართავს თავისი ხალხის სულს. არ ეძებს მიზეზებს გარეთ. მიზეზებს პოულობს ჩვენსავე არსებობაში და განკურნების გზებიც ქართველობაში ეგულება. ოღონდ ითხოვს უმკაცრეს სიფხიზლეს და ნამდვილ პატრიოტიზმს. მოჩვენებითი, ყალბი პატრიოტობით ფონს გასვლა გამორიცხულია. შეგნებული, გონივრული ქმედების მომთხოვნია.

დიდი მასწავლებელია ნიკო ლორთქიფანიძე როგორც სიტყვის დიდოსტატი. მისი ფრაზა, საერთოდ, მისი სტილი სიტყვის უაღრესი ეკონომიით, გამომსახველობითი სიზუსტით რომ გამოირჩევა, პირდაპირ გვავალებს მიბაძვას, ოღონდ ცხადია არა ბრმა მიბაძვას, არა განმეორებას — სიტყვასთან დამოკიდებულების სტილს გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით იგი დიდი შემწეა ქართველი პროზის შემდგომი განვითარების გზაზე, დიდი აღმზრდელი ახალგაზრდა მწერლისა. მოითხოვს კი, ცხადია, დიდ დაკვირვებას, ანალიზს, საფუძვლიან შესწავლას, რის შემდეგაც აღმოვაჩენთ საკუთარ შესაძლებლობებსაც და ქართული პროზის მომავალსაც.

დიდი ჰუმანისტი, ადამიანის კეთილშობილური ბუნების ქომაგი და მაღშერთებელი ნიკო ლორთქიფანიძე მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა ადამიანთა სულიერი ცხოვრების გაფაქიზების კეთილშობილურ საქმეს, ადამიანთა სამყაროს გაბედნიერებისა და სრულყოფის ამოცანას, მისი შედევრები, უნიკალური მწერლური ოსტატობით აღბეჭდილნი, ქმნიან ქართული ლიტერატურის დიდ წარსულს, ამოძრავებს აწმყოს და გვეგებება მომავლიდან, როგორც გუშინდელის, დღევანდელისა და ხვალინდელის სინთეზი. ჩვენ მუდამ მოწიწებით მივაპყრობთ მზერას იმ სიმაღლისაკენ, სადაც მისი წმინდა შუქი დგას, როგორც ჩვენი გზის მანათობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...არქაული მხრებით

პროზის ტრადიციული სიმშვიდე, სიმდორე, მემატიანისეული გულდამჯდარი მდინარება, ქართლის ჭალებიდან წამოსული სიმსუყე, ხშირად გაბმული ურმულივით ულრმესი სევდის ღიღინი, ზამთრისპირა გრძელი ღამის მელოდიური ვნება, რიჟრაჟის სუსხი, აუმღვრეველი მელანქოლია... და ასე განუწყვეტლივ დაუსრულებელი ასოციაციები მოგვეახლება ქართული პროზის თვალუწვდენელი სანახებიდან.

და უცებ დანაწევრდა, დაიქსაქსა ყველაფერი; თითქოს ტაატით მიმავალი ღრუბლების ფარა მოულოდნელად გაჩენილი ელვის ხნულებში გადაიჩეხა...

თითქოს ტრადიციული ოპერის ჰარმონიულ მელოდიაში წერტილებივით მოკლე რეჩიტატივი შემოიჭრა თავისი ცეცხლისფერი შორისდებულებით, ჭარბი, იმპულსური მგრძნობელობით, ნერვიული, ისტერიული ამოძახილებით. თხრობა დაიჭორფლა, დაისეტყვა უკონტექსტო ზმნებით. ზმნებით, რომლებიც თვითონვე ასრულებენ არა მხოლოდ წინადადებების, არამედ ერთმანეთთან მისასვლელი გზებისა და სულის უფსკრულებზე გადებული ხიდების ფუნქციასაც. ზმნებით, რომელთა არქაულ მხრებზე ისეთი უზარმაზარი ტვირთი გადადის, როგორიცაა ცხოვრება. სიუჟეტს, ფაბულას მოწყვეტილნი, ისინი თავადვე ქმნიან მთელს რომანს, ბიოგრაფიას, სამყაროს.

ნიკო ლორთქიფანიძის ზმნაზე, როგორც საინტერესო კაცზე, ისე შეიძლება ლაპარაკი.

იმპრესიონისტები ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, რიჰარდ ბერ-ჰოფმანი, არტურ შნიცლერი, პეტერ ალტენბერგი, რომელთაგანც, როგორც იტყვიან ხოლმე, დავალებულია ნიკო ლორთქიფანიძე, აუჯანყდნენ ცხოვრებისეულ დრამებს, უარი თქვეს ფაქტების, მოვლენების შემოქმედებით „კვლევაზე“ და განიზრახეს მხატვრული მზერით მომენტის, ჩქამის წარმავლობის დაჭერა.

და რა სკრუპულოზური, ზედმიწევნითი სიზუსტითაც უნდა ახერხებდნენ ამ ჩქამის გადმოცემას, რა თვალისმომჭრელი ელვარებითაც უნდა ბრწყინავდნენ მათი პროზაული ესკიზები, მინიატურები, ნოველები, რა იუველირული ოსტატობითაც უნდა ქმნიდნენ ოვალებს, მართკუთხედებს, წრეწირებს, მათი მგრძნობელობა მეტწილ ძვირფასი თვლების სიცივეს ასხივებს მხოლოდ. ამ წამიერ გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს ისე ესწრაფვიან, როგორც ფუფუნების საგნებს, ამიტომ სიღრმეში ვერ ჩადიან, მოვლენათა ზედაპირზე ტივტივებენ. ეს სიმსუბუქე ურჩევნიათ. რაიმეს ბოლომდე წვდომის არც სურვილი აქვთ და არც პრეტენზია. მათთვის მთავარია სიტყვით გართობა, სიტყვით თამაში, შადრევანივით ამოფრქვეული ფინალის კასკადი. მათ გრძნობებსა და განცდებს თითქოს სინქრონულად მისდევს ტექსტი. სიტყვა გრძნობის ფონია.

ნიკო ლორთქიფანიძესთან კი სულ სხვა რამ ხდება. დაწყვეტილი, ე. წ. „სულის დეპეშური სტილით“, კოდებით, მინიშნებებით, ლექსიკური მომჭირნეობით, სიძუნწით, ლაკონიურობით იგი მართლაც ჰგავს თავის ავსტრიელ ძმებს, მაგრამ თავისი ქართული, ღრმად ეროვნული სატკივრის გამო მას არ სცალია, არ შეუძლია ამ ეფექტებისათვის ზრუნვა და სიტყვით ჟონგლიორობა.

ეროვნული

ეს რომ ასეა, ამ ცეცხლიდან წამოსული ალმური გვაგრძნობინებს, რომლის სიმხურვალესაც ვერ უძლებს მკითხველი: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსული ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით... ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებაგახსნილი ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი; ქართლი, სვანეთი და სამეგრელო; გურია და ლეჩხუმი; რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს, ოხრადდარჩენილი, აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

ნიკო ლორთქიფანიძის სევდას სევდისთვის უჩვეულო სისწრაფე ახასიათებს:

და რაც ყველაზე ძნელი ასახსნელია — ეს სტილური სისწრაფე ყოველთვის ღრმა, მომწიფებული სატკივრიდან და სათქმელიდან მოდის...

უხმაუროდ, ჩუმად კვდებიან მისი პატარა ადამიანები, მაგრამ მათი ცხოვრება მაინც არაა პეპლის ერთდღიანი მსუბუქი სიცოცხლე... ერთი შეხედვით, წონასწორობაა დარღვეული, რადგან ამ პაწაწკინტელა მინიატურებში პერსონაჟები ყვავილებივით კი არ წყდებიან, არამედ პიროვნული ადამიანური ღირსებით კვდებიან. ეს ადამიანები სიკვდილისწინა წამებში აღმოაჩენენ, რომ არ შეიძლება სხეულზე დარდი, როცა გიმტყუნებს სული. მათი ადამიანური შესაძლებლობების ზღვარი და მასშტაბები კრიტიკულ მომენტში მიღებული გადაწყვეტილებით იზომება. ამიტომ ჩემთვის, შვილებს რომ ლუკმა შეუჭამა იმ კაცის თვითმკვლელობა აფექტის გამო კი არ ხდება, არამედ გაცნობიერებული, გააზრებული, უმკაცრესი მსჯავრია.

შიმშილი — ცხოვრებისეული ხაფანგი, ვერაგი გამოცდა...

ვერ გაუძლო მტკივნეულ ცდუნებას, მაგრამ როგორც კი ეს ფიზიკური მოთხოვნილება დაიამა, მაშინვე გაჩნდა ძლიერი დრამა, განათდა გონება: „ადგა, მივიდა ბავშვებთან...“

გადაბელილი ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამებზე. თავს იკავებდა: არ გავაღვიძოო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!“ თითქოს ერთგვარი ალიბია კაცად ყოფნის „რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა“! თითქოს მისი ინდივიდუალური, პიროვნული შესაძლებლობებიდან არ მოდის ეს ცოდვა, არამედ ბუნებრივი, პირველყოფილი ინსტინქტიდან. მაგრამ არაფერი არ იცვლება. სწორედ ამის გამოა დამნაშავე, რომ ამ პირველყოფილს, ბნელს, ირაციონალურს, ინსტინქტურს ვერ მოერია. ამიტომ იკლავს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ეხლა, დღეს ვფიქრობთ ასე და მრავალნაირად...

დღეს ვცდილობთ, ოდნავ, სულ ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ, გავიგოთ, თანავუგრძნოთ იმ ემოციებს, იმ აზრებს, წუხილს, რასაც ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებასთან შეხვედრა იწვევს. თორემ მაშინ, ბავშვობაში მე ამ მწერლის არც სახელი ვიცოდი და არც გვარი...

ვიჯექი ჩემთვის ასე შვიდი-რვა წლისა, ჩემს ერთიციცქნა ოთახში ძლივსდატეულ ტახტზე და რა ვიცი, რატომ — სივდებოდა, სივდებოდა გული... ვტიროდი.

შორეული ეთერის რადიოტალღებს მოჰყვებოდა ხავერდოვანი, მთრთოლვარე ხმის იოგები. ტალღები წრეებად მეხვეოდა ყელზე და ასე მეგონა, საცაა გავიგუდები-თქო...

სერგო ზაქარიაძე კითხულობდა ნიკო ლორთქიფანიძის პოემას — „ტრაგედია უგმიროდ“.

მაკა ჯოხაძე.

## გაფრთხილება...

ყოველი მწერალი ახლობელი ხდება შენთვის, თუ მას ერთხელ მაინც შეუთრთოლებია შენი გრძნობების სიმები, ერთხელ მაინც მოუბრუნებიხარ უკან — შენი განვლილი გზისკენ, ერთხელ მაინც გაუხსენებია შენი ან შენი მოყვასის ცხოვრება. მაგრამ სიახლოვეცაა და სიახლოვეც! — ახლოსმყოფობაშიც არის თურმე განსხვავება, — ზოგი გახსოვს მხოლოდ, ზოგს ხედავ, როგორც ბნელში მიმავალი კაცი სინათლეს, რომლის იმედითაც განაგრძობს გზას. ხოლო ზოგი ისეა ახლობელი, რომ სახეზე მისი სუნთქვის ალმური გეკიდება, მისი ტანჯვა და რუდუნება მოურჩენელი ტკივილივით მთელი ცხოვრება თან დაგაქვს. ზოგჯერ გგონია. მისი რომელიმე გმირის მოქნეული მუშტი შენ მოგხვდება და შიშით უკან გადააქნევ თავს. ჩემთვის ასე ახლოს მყოფი მწერალი არც ისე ბევრია, მაგრამ ორიც რომ იყოს, ერთ-ერთი ალბათ ნიკო ლორთქიფანიძე იქნება, და არა მარტო ჩემთვის, ღრმად მწამს, ასევე ახლობელია ის ყველა ქართველისათვის, ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს მისი „ტრაგედია უგმიროდ“, „საშობაო მინიატურები“, „თავსაფრიანი დედაკაცი“ და სხვა.

ვერ ვიტყვი, ყოველდღე-მეთქი, მაგრამ ერთი კია — ბევრჯერ! — თბილისის ქუჩებშიც და სხვაგანაც ბევრჯერ შემხვედრია ქართველი ქალი (შესაძლოა ქვრივიც ყოფილიყო), თავსაფრიდან ფეხსაცმლამდე ჩაშავებული, რომელსაც „თეთრი შუბლი, შავი მაყვალივით თვალები, მზეზე გაშავებული ლოყები“ ჰქონდა. და მაშინვე გამხსენებია ის — თავსაფრიანი დედაკაცი, გამხსენებია და საშინელი ფიქრებით შემკუმშვია გული: ეს ქალიც ისეთი ბედის ხომ არაა-მეთქი!.. და ვინ იცის, იქნებ მართლაც მსგავსი, ან უფრო უარესი ბედისაც იყო. იქნებ ისიც შვილის ან რძლის სიტყვებით განაწყენებული და გულდაწყვეტილი გამოსულიყო ოჯახიდან და არ იცოდა რა გზას დადგომოდა. რა უნდა მექნა? — მივსულიყავი და მეკითხა: დედი, რა გაგჭირვებია, რა გაწუხებს-მეთქი? როგორ არა. უნდა მივსულიყავი, გამჩენია კიდეც ამის სურვილი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მაშინვე მათხოვრად დაყუდებული თავსაფრიანი დედაკაცისა და ავარას დიალოგი მახსენდებოდა:

— „დედი, რას გვაწვალებ, თავს რათ იწამებ?

— რა ვქნა, შვილო, მე კი მინდა სიცოცხლე?

— ა, მტკვარი და მისი ჯანი...

— უიმე, ჩემის ხელით სული როგორ წავიწყმინდო?!“

მახსენდებოდა ეს და თავს ვიკავებდი. თავს ვიკავებდი, რადგან პასუხის მეშინოდა, რომელიც შეიძლება ჩემთვის ამაზრზენი ან გულის ამაჩუყებელი ყოფილიყო. ამიტომ მერჩივნა, შორიდან მეცქირა მისთვის, სანამ ავტობუსზე ან ტრამვაიზე ავიდოდა. სანამ თვალს არ მიეფარებოდა და ტკივილი გულში ჩამეკლა, ხოლო ფიქრი ჩემს დედაზე გადამეტანა, და მეფიქრა იმაზე, რომ დედას არ უნდა ვაწყენინო არასდროს!..

მე არასდროს არ მინდოდა, დამეჯერებინა ამბავი, რომელიც ამ მოთხრობაშია აღწერილი. იქნებ სულაც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია ეს ამბავი, მაგრამ მთავარი ეს როდია. მწერალი გვაფრთხილებს, რომ დედა, რომელსაც ჩვენი შვილი „თან სდევს მჭადის ნატეხით ხელში“, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენგან განაწყენებული და გულდაწყვეტილი გავიდეს სახლიდან და უკან არ დაბრუნდეს.

როგორ გინდა დაიჯერო. მამამ. შიმშილისაგან ღონემიხდილი ბავშვები ლაფაროში რომ გაყარა და თვითონ ამოივსო ცარიელი სტომაქი? („ტრაგედია უგმიროდ“). ნუთუ ესეც მოხდა ამქვეყნად? მწერალი კი გვაფრთხილებს, რომ არ უნდა მოხდეს.

„იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი...

აქ კი... დღეს...“

ასე იწყება „საშობაო მინიატურები“. რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: („სარეცელზე“. „საქართველო იყიდება“, „ბრმა თერძი“).

ცოლის ნუგეშზე: „არაფერია, კაცო, ნუ გმობ ღმერთს...“ ბრმა თერძი პასუხობს: „არა ვგმობ, პირიქით, თაყვანს ვსცემ მის კანონს... ღირსი ვარ, მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ თქვენ... თქვენ?! ხვალ ძაღლებიც კი ხორცით გაძღებიან: ზოგს გადაუგდებენ, ზოგიც მოიტაცებს... თქვენ კი? ნაცრიანი მჭადი მაინც ჰქონდესთ“.

არ გმობს თერძი ღმერთს, უბრალოდ გაკვირვებულია. რატომ არ გადმოხედა მან. არც მწერალი გმობს ღმერთს. მწერალი მხოლოდ გვაფრთხილებს: მესიას ნუ ველოდებით, მესიები თვითონ უნდა ვიყოთ საკუთარი თავისა და მამულისაო, რომ დედას პირმშო არ მოუკვდეს, რომ თერძი მშიერ ბავშვებთან ხელცარიელი არ ბრუნდებოდეს სახლში.

რა შეიძლება ისწავლოს მკითხველმა ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებიდან? უპირველესად სიმართლის თქმა. ერთგულება თავისი ქვეყნისა და ხალხისა. გაფრთხილება თავისი მოყვასისა, მშობლისა, შვილისა. მწერლობას კი ვერა, მწერლობას ვერავინ ვერ ისწავლის, მაგრამ თუ მწერლად ხარ დაბადებული. ვინც გინდა იყავი. პოეტი თუ პროზაიკოსი, დრამატურგი თუ კრიტიკოსი, — მისი მინიატურებიდან და მოთხრობებიდან აუცილებლად ისწავლი იმას, რომ სიტყვა ამაოდ არ უნდა ხარჯო. რომ სიტყვა ის სიმია, რომელსაც თუ ოდნავ ზედმეტად ჩამოჰკარი, გაწყდება და დადუმდება შენი ჩანგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ძუნწად ხმარობს მწერალი სიტყვას! შეიძლება იფიქრო კიდეც: ნუთუ ასე ღარიბია მისი სიტყვების სალაროო! უკაცრავად! — ძალიანაც მდიდარია. სიმდიდრეს კი მოვლა უნდა და არა განიავება.

„ცა. ნაჭერ-ნაჭერი ღრუბელი. თეთრი. ნაზი.

ზღვა, ტორტმანი.

სასაფლაო. რკინის მოაჯირი. ძეგლი. სკაში.

მყუდროება. სიგრილე.

ზის ქალი. მოწყენილი სახე. მუხლებზე წიგნი. კითხვა მიუტოვებია. ფიქრს გაუტაცნია. ბურუსშია თითქმის. („ხმა სამარიდან").“

აქ დახატულ სურათს ზოგიერთი კარგი მწერალიც კი ნახევარ გვერდს მოანდომებდა. ეს კი სულ რამდენიმე სიტყვითაა გადმოცემული. ასე უფრთხილდება მწერალი სიტყვების ხარჯვას, რაც ალბათ ყველაზე კარგი თვისებაა მწერლისა.

ხელისგულისოდენა მინიატურაში „გული“ როგორ შემაძრწუნებლად არის აღწერილი უცხოეთში მცხოვრები ქართველი კაცის სიკვდილი:

„ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო“.

ნიკო ლორთქიფანიძე პირველთაგანია, ვინც პოეტური პროზა შექმნა საქართველოში. უფრო მეტიც, — განა ლექსივით არ იკითხება (შეიძლება, დღეს ლექსადაც ჩათვალოს კაცმა), მისი „უცნაური სიყვარული“, „ხმა სამარიდან“, „გული“, „სევდა“ და სხვა?

ასი წელი! ეს დრო ცოტა როდია იმისათვის, რომ მწერლის სიდიადე სრულყოფილად გამოვლინდეს მის ქვეყანაში. ლიტერატურის ისტორიას ახსოვს ისეთი მწერლები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ მივიწყებულნი დარჩნენ. ნიკო ლორთქიფანიძე კი, რაც დრო გადის, მით უფრო საყვარელი და საჭირო ხდება თავისი ერისთვის.

...და მე მწამს, ჩემი შორეული შთამომავალი უფრო შეიყვარებს და განადიდებს... და თუ მას სიტყვასთან მოლაციცე კაცის ბედი არგუნა ღმერთმა, ამ შესანიშნავი მწერლის ორასი თუ სამასი წლის იუბილეს უფრო სრულყოფილ და ღირსეულ სამადლობო წერილს უძღვნის.

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. ამ სიტყვებით მთავრდება მოთხრობა „თავსაფრიანი დედაკაცი“ და ესეც ხომ გაფრთხილებაა, გაფრთხილება იმისა, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ უნდა იკარგებოდნენ.

ბათუ დანელია.

# პოეზია და პროზა

კოლაუ ნადირაძე

## არ მომიკლათ, ჩემი სიყვარულია!

ყარაჩოხელის სიმღერა

„ფანჯარაში მტრედია
ნეტავ ვისი ბედია?“
(ხალხური)

ფანჯარაში მტრედი
რომ ჩანს,
ნეტავ ვისი ბედია?
ანგელოზი
ხომ არ არის?
ვისი, ვისი
ხვედრია?
არ მომიკლათ,
კეთილებო —
ჩემი სიყვარულია!
თეთრი მტრედი,
უცაბედათ,
ედემს გამოფრენია!
ასე მითხრეს,
ყველამ იცის,
ხალხსაც ასე სმენია:
ზეცის კარი,
ერთი წამით,
თანაც უცნაურადა,
დარჩენიათ გაღებული,
დარჩენიათ ღიადა...
და ეს მტრედი,
აი მაშინ
თბილისს გადმოფრთხიალდა!
აი მაშინ,
ჩემი ბედიც
ჩემსკენ შემოქრიალდა
და სიცოცხლე
ტკბილ სიმღერად
სულში ამიხმიანდა!
სიზმარეთის
შორი გზებით
მეც მოსული
მგზავრი ვარ...

იმ ფანჯრის ქვეშ
სიზმრად ვდგავარ,
გულმართალი
დავდივარ,
პურიც, ღვინოც
შემრგებია,
ძმობის, სიტყვის
კაცი ვარ!
არვის სისხლი
არ მცხებია,
გულგახსნილი
მიტომ ვარ!!

ავკაცობა
და სიგლახე
განა სასურველია?
წუთისოფლად
სიყვარული
მხოლოდ სანატრელია!
მეგობრებო,
კეთილებო,
ამისრულეთ
ერთი რამ...
თქვენ ხომ იცით
ჩემი გული
რარიგ დაჩაგრულია!
ამისრულეთ ერთი თხოვნა,
ეგ არც ისე ძნელია: —
აი, იმ მტრედს
ნუ მომიკლავთ
ჩემი ხვედრი — ბედია,
ნუ მომიკლავთ,
ნუ მომიკლავთ, —
ჩემი სიყვარულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ქარავანი

რომანი

## თავი მეოთხე

მაღალ სახლში ყველა თავისთვის ცხოვრობს.

აბელს დიდხანს ახსოვდა ძველი სახლის აღმოსავლური საღამოები. ასე, აპრილის შუა რიცხვებიდან, დათბებოდა თუ არა, ნასადილევს მთელი სახლი, დიდიან-პატარიანად, ეზოში გამოეფინებოდა ხოლმე. ქალები ცალკე გუნდად დასხდებოდნენ, გატაცებით ჭორაობდნენ, ხმამაღლა კისკისებდნენ და ბარძაყებზე ხელებს იტყაპუნებდნენ. ბავშვები დაღამებამდე ფრენბურთს ან კალათბურთს თამაშობდნენ, მერე კი, სიბნელე რომ ჩამოწვებოდა, „ქალაქობანაზე“ ან „სიტყვობანაზე“ გადაერთობოდნენ. მაისურისამარა კაცები ნარდითა და ღვინით იქცევდნენ თავს. ასეთ დროს ვინმე უცხო რომ შემოსულიყო ეზოში და რამე ეკითხა, ყველა ერთად, ყაყანით გასცემდა პასუხს, რადგან „ყველა“ იქ მთლიანი, განუყოფელი პიროვნება იყო, რომელსაც, უბრალოდ, მრავალი სახე ჰქონდა. და აზრად არავის მოუვიდოდა, ერთი მეზობელი მეორისაგან გამოერჩია. იქ მთელი ეზო საერთო ოჯახად ცხოვრობდა და ყველანი ამ ოჯახის თანაბარუფლებიანი წევრები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ დილაობით, როცა აბელი სკოლაში მიდიოდა, ხოლო დედა — სამსახურში, კარს არ კეტავდნენ, უბრალოდ, გამოიხურავდნენ, კატა რომ არ შეპარულიყო. აქ კი, მაღალ სახლში, ყველა საკუთარ ბუდეში იყო შეყუჟული. ყოველ კარს ორ-ორი საკეტი ჰქონდა და, ერთი წუთით რომ გასულიყო პატრონი, ორივე საკეტს გულმოდგინედ კეტავდა. მეზობელი მეზობელთან უსაქმოდ არ დადიოდა. ხოლო თუ რამე დასჭირდებოდა და დაგიკაკუნებდა, თან რომ გადაჰყოლოდი, შინ არ შემოვიდოდა. ძალიან თუ ჩააცივდებოდი, უხერხულიაო, გეტყოდა, საშინაოდ ვარ ჩაცმულიო. ეს მრავლისმეტყველი მიზეზი იყო. მეზობელთან მისვლა ისე, როგორც ძველ სახლში ხდებოდა, შინაურულად, უბრალოდ და უსაქმოდ, იმ აღმოსავლური საღამოებივით წარსულს ჩაბარდა. აქ მეზობელთან მისვლა სტუმრობას ნიშნავდა. აბელს არაერთხელ შეუნიშნავს, რომ დედა, როცა რამე საქმეზე მეზობელთან მისვლას დააპირებდა, ფო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 9.

სტლებს გაიხდიდა და ფეხსაცმელს ჩაიცმევდა, წინსაფარი თუ ეკეთა, მოიხსნიდა, კაბასა და თმას გაისწორებდა, თითქოს სამეზობლოდ კი არა, დარბაზობაზე იყო წასასვლელი... ბავშვები, ასე თუ ისე, მაინც ახერხებდნენ ურთიერთობას, დიდები კი თავთავიანთ ნაჭუჭში ისხდნენ. ან განსაკუთრებული უბედურება უნდა მომხდარიყო, ან განსაკუთრებული ბედნიერება, რომ მეზობლები ერთად შეყრილიყვნენ.

მართალია, მერე და მერე, მას შემდეგ, რაც დიდხანს ზვერავენ და უთვალთვალებენ ერთმანეთს, ყოველი ოჯახი უახლოვდება ორ-სამ სხვა ოჯახს, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ხდება დიდი ხნის შემდეგ და, მეორეც, ასეთ სეპარატულ მეზობლობას, ასეთ დაჯგუფებებს არაფერი აქვთ საერთო იმ ძველ, აზიურ მეზობლობასთან, რადგან იგი კი არ აახლოვებს მეზობლებს, არამედ უფრო თიშავს და ცალკეულ ჯგუფებს ერთმანეთს უპირისპირებს.

აბელი და დედამისიც ძალაუნებურად საკუთარ ნაჭუჭში ისხდნენ და ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში თითქმის არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ მეზობლებთან. აბელი უკვე შეეჩვია ამ ამბავს და ეგონა მუდამ ასე იქნებოდა. ამიტომ დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა ერთ საღამოს ზარი დაირეკა და მეზობლის ქალი შემოვიდა პატარა ბავშვით ხელში. ეს ქალი აბელს ერთი ორჯერ კიბეზე შეხვედრია. მუდამ ერთი და იგივე შავი კაბა ეცვა და ხელში მუდამ ბავშვი ეჭირა, პატარა, ქერა, ბუთხუზა ბავშვი, რომელიც, როგორც კი მისი მხედველობის არეში მოექცეოდი, მაშინვე ცნობისმოყვარედ, სერიოზულად და უხმოდ მოგაჩერდებოდა.

აბელი დარწმუნებული იყო, სტუმარი მარილს ითხოვდა, ან სოდას, ან რაღაც ამდაგვარს და მაშინვე წავიდოდა. მაგრამ, როგორც გამოირკვა, არაფრის თხოვნას არ აპირებდა, ისე, უსაქმოდ მოსულიყო, დედასთან სამუსაიფოდ. მოგვიანებით, როცა ვიზიტი დამთავრდა, აბელმა დედისაგან შეიტყო, რომ ეს იყო ლოლა, მშვენიერი ქალი, ზრდილი, თავაზიანი, კარგი ოჯახიშვილი, რომელიც ზედა სართულზე, სწორედ მათი ბინის თავზე ცხოვრობდა დედ-მამასთან და ერთი წლის ქეთისთან ერთად. შავი კაბა თურმე იმიტომ ეცვა, რომ ქვრივი იყო. ქმარი, ნიჭიერი ქიმიკოსი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, წარმოსადეგი, ლამაზი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ვაჟკაცი (როგორც თავად ლოლა ახასიათებდა), საავიაციო კატასტროფაში დაღუპულა, ქეთის დაბადებამდე ოთხი თვით ადრე.

სანამ შემოვიდოდა, ლოლამ მორიდებული ღიმილით იკითხა, ხელს ხომ არ შეგიშლითო. დედამ სწრაფად გაუქარწყლა უხერხულობა, რას ბრძანებ, პირიქით, პირიქითო, და ოთახში შემოიპატიჟა. ლოლა აბელს მიესალმა, მერე ისევ დედას მიუბრუნდა, თქვენ ყოველთვის ისეთი თბილი შეხვედრა იცით, ქალბატონო ქეთევან, რომ ადამიანს უსაქმოდ სტუმრობას გაგბედვინებთო. მერე გაიცინა და დაუმატა, ასეა, კეთილშობილებით ბოროტად ვსარგებლობთ და, ვინც ყველაზე მეტად უნდა დავინდოთ, ყველაზე მეტად იმას ვაწუხებთო. რას ამბობ, ჩემო კარგოო, დედამ მიუგო, ეს შეწუხება კი არა სიამოვნებაა, მე და აბელი დანატრებული ვართ მეზობლობას. საიდანაც გადმოვედით, იქ ექვსი მოსახლე ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით, იმის შემდეგ აქ გამოყრუებულებივითა ვართო. აქ დედამ საუბრის თემა შეცვალა, ეს რა კარგი შვილიაო, ქეთის მოუჩლიქა ენა, მისი პაწაწინა ხელები თავის ხელისგულებზე დაიწყო და ათამაშა.

ქეთი მართლა საოცარი რამ გამოდგა. იჯდა დედის კალთაში ბუთხუზა, სასაცილოდ გაფუყული და თავისთვის ერთობოდა. მიაჩერდებოდა რაღაცას, უყურებდა დაკვირვებით, სერიოზულად. ისეთი სახე ჰქონდა თითქოს ფიქრებშია წასულიო. მერე უეცრად ერთს ხმამაღლა დასჭყივლებდა და, თუ მის ჭყივილს დიდები ყურადღებას მიაქცევდნენ, გულიანად ახითხითდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთიმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აბელზე და ლოლამაც. ლოლა თხელი, მოხდენილი ქალი იყო, შავი, ნუშის ფორმის თვალები ჰქონდა და რაღაცნაირი სათნო სახე. ამ სათნოებას თითქოს კიდევ უფრო უსვამდა ხაზს ის, რომ კალთაში ქეთი ეჯდა. ეს სურათი — მოღიმარე ლოლა, რომელსაც კალთაში თეთრი, ფუმფულა ქეთი უზის — მერეც არაერთხელ გახსენებია აბელს და ყოველ გახსენებაზე თბილი და ნათელი გრძნობა უჩნდებოდა (ახლა ამაზე სევდიანად და ცოტა ირონიულად გვეღიმება).

ლოლამ იმ საღამოს ორჯერ ახსენა ქმარი. ერთხელ მაშინ, როცა დედამ მურაბა გამოიტანა. ლოლამ ჩაიზე უარი თქვა და დედა მარტო მურაბით გაუმასპინძლდა, მურაბიანი ვაზა მაგიდის შუაში ჩადგა და პატარა ლამბაქები ჩამოარიგა. ერთი ლოლას დაუდგა, ერთი — აბელს, ერთიც თავისთვის დაიდგა. მურაბის დანახვაზე ქეთიმ ტაში შემოჰკრა, ყიჟინა დასცა და მოუთმენლად აფართხალდა.

ლოლა მოფერებით გაუჯავრდა:

— აი, შე ღორმუცელა, შე ხარბო!

დედას გაეცინა.

— რა ცოცხალი და ხალისიანი ბავშვია! — ამ სიტყვებით კოვზი მურაბის წვენში ამოავლო და გაალოკინა.

ქეთი სიამოვნებით აკრუტუნდა. ლოლამ კი სევდიანად გაიღიმა და დედის ნათქვამზე შენიშნა:

— ჯერ არ იცის, რომ ობოლია.

— მაგას ნუ იტყვი, — უთხრა დედამ. — სანამ ბავშვს დედა ჰყავს, ობოლი არ ეთქმის.

ლოლამ ამოიოხრა.

— ეეჰ, ქალბატონო ქეთევან! მე ისეთი ქმარი დავკარგე, ცოცხალი რომ ვარ, ისიც საკვირველია.

მეორედ წასვლისას ახსენა. მაშინაც სევდიანად გაიღიმა და თქვა:

— სახლიდან რომ გამოვალ და მერე უკან ვბრუნდები, ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გოგიმ უნდა გამიღოს კარი.

დედამ ალერსით მოუთათუნა მხარზე ხელი.

— დარდს ნუ აჰყვები. ახალგაზრდა ქალი ხარ და ცხოვრება წინა გაქვს.

საერთოდ კი მრავალ რამეზე ილაპარაკეს. როგორც გამოირკვა, ლოლა მხაზველი ყოფილა და, ქეთი რომ ცოტა წამოიზრდებოდა, სამსახურში გასვლას აპირებდა. დედამთილი არ ჰყოლია (ლოლამ თქვა, არ დამხვედრიაო, და აბელმა აქედან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ადრე გარდაცვლილა), მამამთილი დიდი ხნის წინ გაყრია ცოლს და მას შემდეგ ოჯახთან არავითარი კავშირი აღარ ჰქონია.

საუბარი აბელსაც შეეხო.

ლოლამ იკითხა:

— აბელი რომელ კლასშია?

აბელს არ სიამოვნებდა, მის ამბავს რომ მისივე თანდასწრებით სხვას ეკითხებოდნენ, თითქოს თვითონ ლაპარაკი არ იცოდა.

— მერვეშია, — მიუგო დედამ.

— უკვე დიდი ბიჭია, — გაიღიმა ლოლამ და ახლა თავად აბელს მიმართა: — როგორ სწავლობ?

— ისე რა... — აბელმა მხრები აიჩეჩა.

— ცუდლუტია — თარგმნა დედამ აბელის ნათქვამი. — მათემატიკური საგნები უყვარს და რიგიანადაც სწავლობს. დანარჩენებს ისე ეპყრობა, ვითომ მაგას არ ეხებოდეს.

— მთავარია, რაც უყვარს, ის ისწავლოს კარგად, — თქვა ლოლამ.

აბელმა კარგად იცოდა, რომ ეს, უბრალოდ, სტუმრის თავაზიანი ფრაზა იყო.

ამ დროს დედამ ლოლას ჩუმად, ხელით ანიშნა, ქეთის შეხედეო.

ქეთი ფიქრიანი სახით, ოდნავ მოჭუტული თვალებით მისჩერებოდა აბელს.

აბელმა კარგა ხანია შენიშნა, რომ ქეთი მისმა პიროვნებამ დააინტერესა. რამდენჯერმე ადრეც მოხედა და დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს უყურა. თავიდან აბელმა ერთი-ორჯერ გაუღიმა, თვალიც ჩაუკრა, მაგრამ ქეთიმ რომ ამას ყურადღება არ მიაქცია, უკვე აღარ იცოდა, რა ექნა, და იძულებული გახდა თავი ისე დაეჭირა, ვითომ მის დაჟინებულ და ცნობისმოყვარე მზერას ვერ ამჩნევდა. ახლა, რაკი გოგონას დაინტერესება დედამ და ლოლამაც შენიშნეს, ისევ გაუღიმა და ისევ ჩაუკრა თვალი.

დედამ ხელი ხელში მოჰკიდა ქეთის, მეორე ხელი აბელისკენ გამოიშვირა და უთხრა:

—ეს აბელია, — მერე შეცვლილი ხმით, ვითომ ქეთის მაგივრად, დაუძახა: — აბელ!

აბელი მიხვდა, რომ რაღაც ინიციატივის გამოჩენა იყო საჭირო. წამოდგა, ახლო მივიდა, ხელები გაუწოდა და უთხრა:

— მოდი ჩემთან.

ქეთიმ დასჭყივლა და მთელი სხეულით გადმოიწია აბელისაკენ.

— კაცებზე გიჟდება, — გაიცინა ლოლამ. — არ ვიცი რა მეშველება.

დედამაც გაიცინა.

— გოგოებს კაცები უყვართ.

აბელმა ქეთი აიყვანა და გაუღიმა. ქეთი დააკვირდა, უყურა, უყურა და უცებ ორივე პაწაწინა ხელით აქეთ-იქით ლოყებში ჩააფრინდა. აბელს გაეცინა, ლოლა შეწუხდა.

— ნუ, დედა, — უთხრა შვილს. — ეტკინა აბელს. ცოდოა აბელი.

— არ მეტკინა, — თქვა აბელმა.

ქეთიმ აბელს ლოყებში ხელები გაუშვა. დედაა მიხედა, ისევ აბელს მოუბრუნდა, კიდევ მიხედა დედას და მოულოდნელად ლოყებზე, იმ ადგილას, სადაც წელან ჩაფრენილი იყო, ნაზად მოუსვა ხელები.

— ღმერთო, რა ჭკვიანი ბავშვია! — თქვა დედამ.

აბელმა ტუჩები და ნიკაპი მკერდზე მიუსვ-მოუსვა. ქეთი ახითხითდა. აბელმა გოგონა ტახტზე დასვა, ავითონაც იქვე დაუჯდა და ორივენი მშვენივრად გაერთნენ. აბელს უკვე აღარ ესმოდა, რაზე საუბრობდნენ დედა და ლოლა. ქეთი თვალებს უჭუტავდა, როგორც ჩანს, თავს აწონებდა და უფლებას არ აძლევდა თუნდაც წამით სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება. აბელმა ეს შენიშნა და დროდადრო თავს მოიკატუნებდა, ვითომ ქეთი დაავიწყდა. გოგონა მყისვე დასჭყივლებდა და აბელიც მაშინვე მისკენ მიტრიალდებოდა. ბოლოს ქეთიმ დედა მოითხოვა. აჭიჭყინდა და, როცა აბელმა ხელში აიყვანა დასამშვიდებლად, ცალი ხელი მხარში ჩაავლო, მეორე კი დედისკენ გაიშვირა. ლოლამ გოგონა ჩამოართვა აბელს და ისევ კალთაში ჩაისვა. ქეთიმ დაუყოვნებლივ ჩაისველა.

— ოი, ოი, ოი! — კომიკური გაზვიადებით შეიცხადა ლოლამ. — შევრცხვით. საქვეყნოდ მოგვეჭრა თავი. — მერე აბელს მიუბრუნდა და ვითომ ქეთის მაგივრად უთხრა: — ასეთი უწესო და უზრდელი გოგო ვარ, აბელ. როდის რა უნდა ვისწავლო მე სულელმა!

— სულელი კი არა, ჭკუის კოლოფი ყოფილა! — გაიცინა დედამ. — მაშინვე დედა მოიკითხა.

— ეგ კი იცის. ყოველთვის დედა უნდა ასიამოვნოს. აბა, წავედით, წავედით, ადრეა ჩვენთვის სტუმრად სიარული.

სანამ ლოლა გავიდოდა, ქეთი დედის მხარზემოდან უყურებდა აბელს და თვალებს უჟუჟუნებდა, მერე კი, როცა აბელმა ხელი ხელს შემოჰკრა და ფეხები ააბაკუნა, ვითომ მოგდევო, გულიანად ახითხითდა.

ამის შემდეგ ლოლას ხშირ-ხშირად მოჰყავდა ქეთი. აბელი და აბელის დედაც ადიოდნენ ხოლმე მათთან. ერთი სიტყვით, დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ.

ქეთი პირდაპირ გაგიჟებული იყო აბელზე. მის მეტი ქვეყანაზე აღარაფერი უნდოდა. დაინახავდა თუ არა, ჭყივილით იწევდა მისკენ, აეტორღიალებოდა და, როცა აბელი ხელში აიყვანდა, ჩაეკრობოდა და მკლავებს მაგრად შემოხვევდა კისერზე. მერე თავის ენაზე, რომელიც აბელს უკვე მშვენივრად ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა, თამაშს ითხოვდა. აბელიც დასვამდა, სიამოვნებით ეთამაშებოდა და არასოდეს მასთან თამაში არ აწყინდებოდა. გოგონაში იყო რაღაც განსხვავებული, რაღაც ისეთი, რაც დიდებს არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ამაში აბელი მანამ დარწმუნდა, სანამ მიხვდებოდა, რომ ეს რაღაც არის ბავშვის სამყარო, ლაღი, უშუალო, წმინდა, სამყარო. სრულიად თავისუფალი მოზრდილების გარდაუვალი პირობითობებისაგან, როცა ალალმართალი, საკუთარ თავში დარწმუნებული. შეუვალი ბუნებრიობა ყალბი სირცხვილის გრძნობით არ არის დამახინჯებული და ამ აზრით ჭამა, კოცნა და ჩასველება ერთ ზნეობრივ სახეშია მოქცეული. ამ ამოხსნილი მომხიბლაობის გარდა ქეთის ჰქონდა ერთი ამოუხსნელი მომხიბლაობაც, რის გამოც აბელი თავდავიწყებით მიეცემოდა ხოლმე გოგონასთან თამაშს. ეს იყო უცნაური ანდამატი, რომლის ერთი ბოლო ზოგჯერ ბებიას წვერცანცარა თხას აგონებდა, ან უჭკუო კნუტს, რომელსაც იქ, ძველი სახლის ეზოში ეთამაშებოდა, ხოლო მეორე ბოლო სადღაც არამიწიერ, არახორციელ, თვალშეუდგამ სფეროებში იკარგებოდა. აბელი ატყობდა, რომ ესეც ბავშვის საერთო-თავისუფალი სამყაროს ნაყოფი იყო და არა ქეთის პიროვნული თვისება, ოღონდ გონებაში ჩამოყალიბება და და მისთვის სახელის დარქმევა ვერ მოეხერხებია. ახლა, ამ სიშორიდან ჩვენ იოლად ვიტყვით, რომ ეს არის მძლავრი ქალური საწყისი, რომელიც ჯერ სქესის ბიოლოგიურობად არ დაკონკრეტებულა და ამიტომ უფრო მშვენიერია, ვიდრე საამო. მაგრამ აბელის აზრი, ცხადია, მაშინ ესოდენ ღრმა შრეებს ვერ მისწვდებოდა.

მალე ქეთიმ აბელის სახელიც ისწავლა და, თვალს მოჰკრავდა თუ არა, მაშინვე დასჭყივლებდა: „ა-ბეჰ!“ „ა“-ს გრძლად ამბობდა, კარგა დიდხანს აჭიანურებდა, მერე კი ერთბაშად მოჭრიდა: „ბეჰ!“ ზოგჯერ, თურმე, როცა ვერ ხედავდა, მაშინაც ეძახდა. ლოლამ თქვა, ხანდახან, როგორც კი გაიღვიძებს, ერთს მიიხედ-მოიხედავს, მერე მომიბრუნდება და მეკითხება: „ა-ბეჰ?“ აბელი, ქეთის ჭყივილს რომ გაიგონებდა, თვითონაც მისივე კილოთი შეეხმიანებოდა: „ქე-თიჰ!“, რაც ქეთის ძალიან ახარებდა.

ლოლას დედ-მამა ძალიან მოხუცები იყვნენ და და-ძმასავით ჰგავდნენ ერთმანეთს. მუდამ ერთად, გვერდიგვერდ ისხდნენ და ისეთი პოზა ჰქონდათ, თითქოს სურათის გადასაღებად ემზადებიანო. ერთმანეთს ყველაფერში ეთანხმებოდნენ, ერთი რომ ადგებოდა, მეორეც ადგებოდა, ერთი თუ წყალს დალევდა, მეორეც დალევდა, სადილ-ვახშამს ერთად აკეთებდნენ, მაღაზიაში ერთად დადიოდნენ, ერთ ვიწრო საწოლში ეძინათ და, საერთოდ, გაუცალცალკევებლის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. სლოკინიც კი ერთად აუტყდებოდათ ხოლმე.

აბელი ყველაზე მეტად ქეთის მამის სურათებით დაინტერესდა. ლოლამ პირველი სტუმრობისთანავე მოუტანა აბელსა და დედამისს ფოტოქაღალდის დიდი, სქელი პარკი, რომელიც მისი ქმრის სურათებით იყო სავსე. ერთ სურათზე მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა, მეორეზე ქუჩაში მანქანასთან იდგა და ვიღაცას ხელს უქნევდა, მესამეზე ცხენზე იჯდა, მეოთხეზე ზურგჩანთააკიდებული ციცაბო კლდეზე ადიოდა... ზოგან ამხანაგებში იყო, ზოგან მარტო, ზოგან ნავში იჯდა და ნიჩბებს უსვამდა, ზოგან დიდი ყანწი ეჭირა ხელში და სადღეგრძელოს ამბობდა. და, რაც მთავარია, უკლებლივ ყველა სურათში იღიმებოდა ნათელი, ხალისიანი, თამამი და ბედნიერი ღიმილით. აბელს გული შეეკუმშა და სევდა დაეუფლა. საოცრად გაუგებარი და არაბუნებრივი ეჩვენა, რომ ასეთი კაცი დაიღუპა. მირიანის გარდაცვალება მწარედ განიცადა, მაგრამ ასეთი გრძნობა მაშინ არ გასჩენია. ერთი დიდი სურათი ლოლას საწოლის თავზე ეკიდა. გრძელი ულვაშები ჰქონ-

და, მაღალი შუბლი. და რაღაცაზე ლაღად, გემრიელად იცინოდა.

მაშინ აბელს ლოლა ძალიან შეეცოდა. მერე წარმოიდგინა, თვითონ როგორ მოკვდებოდა და მისი შავკაბიანი მეუღლე როგორ აჩვენებდა მახლობლებს მის მოღიმარე სურათებს.

ამის შემდეგ, როცა კი სტუმრად ამოვიდოდა, აბელი ყოველთვის ცდილობდა წინა ოთახში, რომელიც სასტუმროს მოვალეობას ასრულებდა, ისეთ ადგილას დამჯდარიყო, რომ მეორე ოთახში, საწოლის თავზე დაკიდებული დიდი, სიცოცხლით სავსე პორტრეტი მუდამ მხედველობის არეში ჰქონოდა. გულით ეწადა შავ პარკში შენახული სურათებიც კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინა, მაგრამ თხოვნას ვერ ბედავდა, რადგან იცოდა, რომ ქმრის მოგონებას ლოლა ყოველთვის მძიმედ განიცდიდა. საწოლის თავზე დაკიდებული პორტრეტის ყურებას კი საგანგებო ნებართვა არ სჭირდებოდა. საკმარისი იყო სასტუმრო ოთახში მაგიდის კუთხეში დამჯდარიყო. საწოლ ოთახში გამავალი ღია კარის პირდაპირ, და თავისუფლად შეეძლო თან ქეთისთან ეთამაშა და თან, როცა მოესურვებოდა. მაშინ შეეხედა სურათისათვის. აბელი, თუ შემთხვევით ვინმე არ მოასწრებდა შერჩეული ადგილის დაკავებას, ასეც იქცეოდა. იჯდა, ქეთის ეთამაშებოდა, შიგადაშიგ იმ სურათს შეხედავდა და ყოველ შეხედვაზე ხელახლა რწმუნდებოდა, რომ ლოლას იოტის ოდენაც კი არ გადაუჭარბებია, როცა ერთხელ დედას უთხრა, მე ისეთი ქმარი დავკარგე, ქალბატონო ქეთევან, ცოცხალი რომ ვარ საკვირველიაო. აბელი ცდილობდა ლოლას ნათქვამი „ისეთი" გაეშიფრა და ნათლად წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს კაცი ცოცხალი და ხორცშესხმული. აბელის რწმენით (რაც რამდენიმე სტუმრობის შემდეგ მყარად ჩამოყალიბდა), ლოლას ქმარი იყო მაღალი, წარმოსადეგი, კარგად ჩამოსხმული და ბეჭებგანიერი, ჰარმონიულად განვითარებული, თანაბრად ძლიერი ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად, გულკეთილი და გონებამახვილი, ხალისიანი და მხიარული კაცი, რომელსაც საკუთარი ძალის სჯერა, კაცი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ცხოვრება მისთვის შექმნილი ასპარეზია და მან ამ ასპარეზზე დიდი საქმე უნდა გააკეთოს და ღრმა კვალი დატოვოს შთამომავლობის სამზერად და აღტაცებაში მოსაყვანად. და ყველაზე სულელური, ყველაზე აბსურდული, ყველაზე გაუგებარი, რაც კი მის ცხოვრებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, იყო საავიაციო კატასტროფაში მოყოლა და უსახელოდ დაღუპვა.

ეს საიდუმლო აბელმა ვერ ამოხსნა. მისი სულიერი განვითარების ხაზი ამ დროს ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, როცა ყველაფერი, რაც ხდება, განიხილება როგორც მკაცრი და გარდაუვალი კანონზომიერების შედეგი. მაგრამ ლოლას ქმრის დაღუპვა ვერავითარ კანონზომიერებაში ვერ თავსდებოდა. მართალია, მოგვიანებით, ერთი წლისა თუ წელიწად-ნახევრის შემდეგ, აბელს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს მიაგნო იმ ღრმად ჩამალულ, ფარულ მიზეზს, რომელიც იდუმალ კატასტროფას საერთო კანონზომიერების ფარგლებში აქცევდა, მაგრამ ეს მაინც ბუნდოვანი გრძნობა იყო და აბელმა ვერ გაბედა მისი ბოლომდე დაჯერება და აღიარება.

წელიწადზე მეტი გავიდა.

ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებულს, ლიფტი დაზიანებული დახვდა და ფეხით აუყვა კიბეს. თავის სართულს რომ მიაღწია, უცებ ქეთის ტირილი შემოესმა. იმავ წამს კიბეზე ლოლა გამოჩნდა, რომელსაც ხელში აყვანილი ქეთი მოჰყავდა. ქეთი კისერზე შემოხვეოდა დედას, ნიკაპი მის მხარზე ჩამოედო და ძალისძალად, აშკარად ვალმოსახდელად ტიროდა.

— ქეთი, რა გატირებს? — შეეკითხა აბელი, როცა დედა-შვილი ახლო მოვიდა.

ქეთი არ მობრუნებულა. ოღონდ წამით ტირილი შეწყვიტა და გაიტრუნა. აბელი მძლავრი ცთუნება იყო, მაგრამ

ქეთი გატრუნული იყო.

მაშინ აბელი მივიდა და, ლოლას ხელებს ქვემოთ, წელში მოჰკიდა ხელები.

— მერე დედა ცოდო არაა? — თავი შეაბრალა შვილს ლოლამ. — არა, არა! დედასია ქეთი! — ამ სიტყვებით გოგონა გულში ჩაიკრა. მაგრამ აბელმა ხელების გაშვება ვერ მოასწრო და ლოლამ შვილთან ერთად მისი ხელებიც ჩაიკრა გულში.

აბელს რეტი დაესხა და ალმური წაეკიდა. ლოლა კი უფრო მაგრად იკრავდა გულში თავის გოგონასა და აბელის ხელებს და სიცილით ამბობდა:

— ჩემია ქეთი! აბელისა არ არის!

ერთადერთი, რასაც აბელის გონება ჯერ კიდევ ანგარიშს უწევდა, იყო შიში იმისა, რომ დედას არ შეემჩნია მისი სამარცხვინო მდგომარეობა. მაგრამ ეს შიში, როგორც ჩანს, უსაფუძვლო იყო. დედა ლოლასთან ერთად იცინოდა და უწყინარი თამაშის მეტს აქ ვერაფერს ხედავდა.

დამბლადაცემულ აბელს კიდევ ერთხელ გაუტყდა ძილი. აღგზნებული ტრიალებდა ლოგინში, გახურებულ სხეულში ჟრჟოლა უვლიდა და ხელის ზურგებით კიდევ დიდხანს გრძნობდა ლოლას მკერდს. პირველად სწორედ იმ ღამეს გაუელვა თავში ეჭვმა, რომ ლოლას ქმარი, შესაძლებელია, სულაც არ იყო იმ თვისებებით შემკობილი, რომლებსაც მისი ფანტაზია მიაწერდა.

რამდენიმე დღის შემდეგ თვალითაც იხილა ის მკერდი, რომელმაც ორჯერ ასე დაარეტიანა.

კარი ლოლას დედ-მამამ გაუღო.

— მოდი, შვილო, — უთხრა ლოლას დედამ.

— მოდი, შვილო, — უთხრა ლოლას მამამაც.

— ვინ არის, დედა? — მოისმა საწოლი ოთახიდან ლოლას ხმა.

— აბელია, — მიუგო დედ-მამამ.

— აქეთ მოდი, აბელ, — გამოსძახა ლოლამ.

ლოლა საწოლზე იჯდა. წინ, დაბალ მაგიდაზე, საქერავი მანქანა ედგა და რაღაცას ქერავდა. ქეთი ირგვლივ დაცუნცულებდა, ფეხებში ებლანდებოდა და ხელს უშლიდა.

აბელი რომ კარის ზღურბლს მიადგა, ლოლამ შემოსცინა, მერე შვილს მიუბრუნდა:

— აი, აბელი მოვიდა და მომაშორებს შენს თავს ცოტა ხნით.

ამ სიტყვებით ქერვა განაგრძო.

აბელი მივიდა, დედის ფეხებთან ჩაცუცქული ქეთის ასაყვანად დაიხარა და ამ დროს ლოლას კაბის ჩახსნილი საკინძის ქვემოდან თეთრმა, ქათქათა მკერდმა შემოანათა.

ლოლამ მოხედა, კიდევ ერთხელ შემოსცინა და საკინძე გაისწორა.

გაზაფხულზე უჩვეულო სიცხეები დაიჭირა და მაისის შუა რიცხვებში ქეთი ბებიამ და პაპამ სოფელში წაიყვანეს.

მაისის ბოლოს აბელის ბებია გარდაიცვალა.

დედამ სკივრიდან შავი კაბა ამოიღო, გარეცხა, გააუთოვა და ბებიას დასაფლავებაზე წავიდა. აბელს გამოცდები ეწყებოდა და შინ დატოვა. წასვლის წინ დედამ სამი დღის სამყოფი საჭმელი გაუკეთა და დაუბარა, თუ ვინიცობისაა, რამე დაგჭირდეს, ლოლა მოგხედავსო. ლოლასთვისაც დაებარებია, აბელს ყურადღება მიმიქციეო.

ლოლამ მეორე დილასვე შემოიარა, ხომ არაფერი გჭირდებაო, ჰკითხა და, რაკი აბელს არაფერი სჭირდებოდა, შეჰპირდა, საღამოსაც მოვალო.

მართლაც მოვიდა.

— როგორა ხარ? — იკითხა შემოსვლისთანავე.

— კარგად, — მხრები აიჩეჩა აბელმა.

— ისადილე?

— კი.

— თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს.

— რა უნდა დამჭირდეს...

— რა ვიცი, — და ღიმილით დაამატა: — შენი თავი მე ჩამაბარა დედაშენმა.

— დედაჩემს კიდევ პატარა ვგონივარ.

— დედებმა ასე იციან... — აბელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელა აათვალიერ-ჩაათვალიერა და უცებ გაიცინა. — საცა სამართალია, ჩემი თავი უნდა ჩაებარებინათ შენთვის. — და ცოტა მორცხვად დაატანა: — იცი, რა მშიშარა ვარ?

— რისა გეშინია? — გაუკვირდა აბელს.

— რა ვიცი. სანამ დედაშენი აქ იყო, თითქოს უფრო იმედიანად ვიყავი. წუხელ კი მთელი ღამე რაღაც ხმები მესმოდა. გარეთ, დერეფანში ვიღაცეები დადიოდნენ.

— მოგეჩვენებოდა.

—ჰო, ალბათ მომეჩვენა. მაგრამ რა, გული კი გადამელია შიშით და... — აქ ისევ გაიღიმა. — საბანი თავზე გადავიფარე. ჩემი ჭკუით, დავიმალე. შენ არ გეშინია?

— ოჰ, მეშინია არა ის! — აგდებით თქვა აბელმა. ცოტას კი აჭარბებდა, მაგრამ მშიშარა მართლა არ იყო.

— დადიოდნენ დერეფანში და ჩურჩულებდნენ... მაგ დროს რომ დამეძახა, გაბედავდი ამოსვლას?

— რა გაბედვა მაგას უნდა! — უმისამართო დაცინვით თქვა აბელმა.

— რა ვიცი... რახან ასეთი ყოჩაღი ხარ, ამაღამ დაგიძახებ, თუ კიდევ მომესმა ხმები. ამოხვალ?

ლოლას სიტყვებს უკან თითქოს გრძელი, შავი ჩრდილები მოჰყვებოდა.

— ამოვალ.

— თუ ძალიან არ შევშინდი, არ დაგიძახებ. თუ ძალიან შევშინდი, ფეხს დაგიბრახუნებ ზემოდან. თუ დაგიბრახუნე, ესე იგი, ძალიან მეშინია და ამოდი. კარგი?

— კარგი.

— ფხიზლად იყავი, იცოდე.

გასვლისას ლოლამ რაღაც უცნაურად შემოხედა და აბელმა უეცრად, ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ლოლაზე მაღალი იყო.

როდესაც კარგად დაღამდა, აბელი საგონებელში ჩავარდა.

ჯერ ერთი, არ იცოდა, როდემდე უნდა ეფხიზლა. თავიდან რატომღაც მიიჩნია, რომ, თუ შეშინებაა, ლოლას ღამის თორმეტ საათამდე უნდა შეშინებოდა. და მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა ამ ვარაუდის უგუნურობას. რატომ უნდა შეშინებოდა მაინცდამაინც თორმეტ საათამდე, და არა, ვთქვათ, ნაშუაღამევის სამ საათზე?

მაგრამ ეს ეჭვები ცოტა ხანს აწვალებდა, რადგან იგი მალე უფრო მნიშვნელოვანმა, უფრო მწვავე და ამაღელვებელმა ეჭვებმა შეცვალა. აბელს გაახსენდა ლოლას უცნაური, გაუბედავი შემოხედვა, გაუგებარი, თითქოს ალერსიანი და თან შეშინებული ღიმილი და გახშირებული სუნთქვა, რომელიც გრძელ ჩრდილებად მოყვებოდა უკან მის სიტყვებს. და რაც უფრო მეტს ფიქრობდა აბელი, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ, ის, რასაც ლოლა შიშს ეძახდა, იყო არა შიში, არამედ რაღაც სხვა, რაღაც მძლავრი და დაუოკებელი, ვულკანის ამოფრქვევასავით შეუკავებელი და ყოვლისწამლეკავი. აბელი ვერ ბედავდა საკუთარი თავისთვის გაემხილა, რომ მას ქალი ეძახდა და არა ლოლას შიში. ამის გამხელას ვერ ბედავდა, მაგრამ ბუნდოვანი ფიქრი ქარბორბალასავით ტრიალებდა, ყველაფერს ავსებდა, სხეულსაც, სულსაც, ოთახსაც. ყველაფერი ამ ბუნდოვანი ფიქრით იყო გაჟღენთილი.

აბელი მოუსვენრად წრიალებდა და ხშირ-ხშირად უყურებდა საათს.

თავის ტოლ-ამხანაგებში დღემდე ერთადერთი ბიჭი ეგულებოდა, ვინც ქალთან იყო ნამყოფი. იმ ბიჭს (იგი აბელის კლასში სწავლობდა) ერთხელ, როცა სახლში არავინ ყოფილა, შინამოსამსახურე, სახელად გალია, დაემარტოხელებია და მასთან ერთდღიანი რომანი გაეჩაღებინა. ამ ამბავს ამხანაგებს დიდი სიამოვნებითა და გატაცებით უყვებოდა. ძალიან შორიდან იწყებდა ხოლმე, იმ დროიდან, როცა გალია შინამოსამსახურედ აეყვანათ. დაწვრილებით ყვებოდა ყველაფერს და თვითონვე ტკბებოდა იმით, რომ თან-

---

დათან უახლოვდებოდა მთავარ ამბავს. მთავარ ამბავს განსაკუთრებით წვრილად ყვებოდა. ერთსა და იმავეს რამდენჯერმე იმეორებდა და ყოველ დეტალს, ყოველ წვრილმანს გულმოდგინედ უხსნიდა გაუნათლებელ და პირდაღებულ ამხანაგებს. ერთხელ იმ ქალის სურათიც კი მოიტანა და ჩუმად, მაგრამ დიდი სიამაყით აჩვენა ბავშვებს.

იმ თავის თანაკლასელს აბელი ისე უყურებდა, როგორც კაცს, რომელსაც სასწაული შეემთხვა, რადგან ქალი, მისი აზრით, იყო რაღაც შორეული, რაღაც იდუმალი და მიუწვდომელი, რომელიც, შეაძლებელია, არსებობს, მაგრამ სადღაც ჰორიზონტს მიღმა იმყოფება.

ახლა კი, როცა ლოლასთან შეყრა ესოდენ რეალური ჩანდა, აბელს ვერ დაეჯერებინა, რომ ეს სწორედ ის იდუმალი და წინასწარ გამთანგავი შეერთება უნდა ყოფილიყო, თუმცაღა მრავალი ფრიად და ფრიად საეჭვო ნიშანი, როგორიც იყო მისი ხელის გულში ჩახუტება, საკინძის გასწორება უცნაური და მოალერსე ღიმილით, იდუმალ-გაუბედავი, თითქოს რაღაცის მთქმელი და რაღაცის დამმალავი შემოხედვა, გახშირებული, სურნელოვანი სუნთქვა, ყოველივე ეს ერთ მძაფრ ფოკუსში იყრიდა თავს.

ელოდა და ეშინოდა.

ელოდა დათქმულ ნიშანს და ეშინოდა დათქმული ნიშნის. ვერაფრით ვერ გარკვეულიყო, რა ერჩივნა.

პირველი დაიწყო, როდესაც ლოლას შეეშინდა.

ზემოდან ყრუ ბრახუნი მოისმა.

აბელი შეკრთა. ჯერ ეგონა, მომეჩვენაო. მერე, როცა მიხვდა, არ მოჩვენებია, იფიქრა, იქნებ განგებ არ დაუბრახუნებია, უბრალოდ, ხელიდან რამე გაუვარდაო. მით უმეტეს, რომ ბრახუნი ყრუ და ხმადაბალი იყო.

აბელი ეჭვობდა და არ იცოდა, რა ექნა. ლენჩივით იდგა და ჭერს მისჩერებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბრახუნი განმეორდა. უფრო ძლიერად [illegible]ფიოდ.

აბელი კანკალმა აიტანა. რატომღაც ფეხაკრეფით გაიარა ოთახი და შემოსასვლელი, წყნარად, უხმაუროდ გამოაღო კარი და, როცა გავიდა, ასევე წყნარად, უხმაუროდ გაიხურა. ჩუმად, ქურდულად აიარა კიბე. ლოლას სართულზე რომ ავიდა, ყოველი შემთხვევისათვის მიმოიხედა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო. მაშინ კარს მიადგა და აცახცახებული ხელით ზარი დარეკა. მთელი სხეული სიცხიანივით უხურდა.

— შენა ხარ, აბელ? — მოისმა შიგნიდან ჩურჩული და აბელს მოეჩვენა, თითქოს ლოლას ხმას ოხშივარი ასდიოდა.

— ჰო, მე ვარ, — ჩურჩულითვე მიუგო აბელმა და დიდი ჯაფა დაადგა იმისათვის, რომ ყელის ვიწრო ხვრელში გაჩხერილი სიტყვები ზემოთ ამოეთრია.

ლოლამ კარი გაუღო.

— შემოდი...

აბელი შევიდა.

ლოლას გრძელი საღამური ხალათი ეცვა, რომელიც თოვლივით ქათქათა მკერდს სანახევროდ უფარავდა.

— გარეთ არავინაა? — იკითხა ლოლამ.

— ვინ უნდა იყოს!.. — აბელმა დააპირა ეს ფრაზა აგდებულად და ცოტა დამცინავად ეთქვა, მაგრამ დაცინვას ვინ დაეძებდა, სიტყვები ლამის ყელში გაეჩხირა.

— რა სულელი ვარ! — თქვა ლოლამ. — ეტყობა ისევ მომეჩვენა და ტყუილად გაგაღვიძე. გეძინა?

— არა, — მიუგო აბელმა. ის აღარ უთქვამს, რა დროს ძილია, ჯერ არ დავწოლილვარო. რცხვენოდა, რომ სიტყვები უძალიანდებოდა და ხმა უცნაურად ჩავარდნილი ჰქონდა.

— აქ არც მე მესმის, — თქვა ლოლამ. — საკვირველია, საწოლ ოთახში ისმის და აქ კი არა. აბა, წამოდი.

ლოლა წინ გაუძღვა და საწოლ ოთახში შევიდნენ. ლოგინი გაშლილი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწოლის თავზე ლოლას ქმარი იცინოდა.

— ჩუ! — შეჩერდა უცებ ლოლა. — გესმის?

— არა, — მიუგო აბელმა. აბელი თრთოდა.

ლოლა გატრუნული იდგა და ყურს უგდებდა რაღაცას.

—აი, აი, კიდევ! — შეშინებული ხმით დაიჩურჩულა. ხელები მხრებში ჩაავლო. — აგერ! — და მხრით მიეკრო.

აქ თამაში დასრულდა.

ჯერ მხრით მიეკრო, მერე მკერდით, მერე მუცლითა და მთელი სხეულით შემოეჭდო, შემოეკონა, შემოესკვნა, მთელი ძალით ჩაბღუჯა, ყელში აკოცა, ტუჩებში აკოცა, გაშმაგებით დაუწყო ლოკვა.

მომდევნო სცენაში გონება აღარ მონაწილეობდა, ამიტომ მეხსიერებას ცალკეული ფრაგმენტებიღა შემორჩა.

ლოლამ ცალი ხელი გაუშვა აბელს და თავისი ხალათის ღილებს დაუწყო გახსნა. მერე აბელს ეშველებოდა გახდაში. მერე ლოგინში რაღაც დაუნაწევრებელ ბგერებს გაიძახოდა, ხანდახან ხმამაღლა შეჰკივლებდა.

და ყოველივე ეს იყო შორეული და ბუნდოვანი ფონი რაღაც საოცარი სიტკბოსი, რაღაც არამიწიერი ნეტარების, რომელიც მოწოდებულია ყველაფერი მოსპოს და ყველაფერი გაამართლოს.

ნაშუაღამევს ეს არამიწიერი ნეტარება თითქოს თანდათან დაილია და აბელს ძილი მოუნდა, მაგრამ ლოლა მინავლულ ცეცხლს კვლავ და კვლავ უკეთებდა და, იაე გათენდა, თვალი არ მოახუჭვინა.

საწოლის თავზე კი ლოლას ქმარი ეკიდა და მხნე, ლაღი, ბედნიერი სიცილით იცინოდა.

ლოლამ დილაადრიან გამოისტუმრა აბელი.

კარი გააღო, თავი გაჰყო, მიმოიხედა, მერე მობრუნდა, სწრაფად აკოცა ტუჩებში და უთხრა:

— ღამე ამოდი.

აბელი ავიდა და კვლავ ჩაიძირა არამიწიერ თავდავიწყებაში, რომელიც ისეთი რამ ყოფილა, რაც ყოველივეს საკუთარ თავში იწოვს, არსებობის დანაწევრებას, სიცოცხლის დღეებად და ფაქტებად დაყოფას ამთლიანებს და ერთ, ყოვლისმომცველ, განუყოფელ ნერვად აქცევს.

აბელი თანდათან გაიწაფა და რამდენიმე ხნის შემდეგ ინიციატივა, რომელსაც პირველ ღამეებში მთლიანად ლოლა ფლობდა, ნაწილობრივ თავის ხელში აიღო.

ნელ-ნელა გამოიცვალა. გრძნობდა, როგორ ემატებოდა საკუთარი თავის რწმენა, როგორ დააბიჯებდა უფრო მყარად და დაჯერებულად. და თითქოს ამას მაინც არაფერი კავშირი უნდა ჰქონდეს ქალთან, უფრო ლონიერი ბიჭები, რომლებიც ჩვეულებრივ დაუფიქრებლად სარგებლობენ თავიანთი უპირატესობით და უმიზეზოდ ჩაგრავენ შედარებით სუსტებს, ვაგლახად ვეღარაფერს უბედავდნენ, თუმცა საამისო საბაბი აბელს არც ერთი მათგანისთვის არ მიუცია.

ზოგჯერ იმ თანაკლასელივით მოუნდებოდა ეტრაბახა თავისი სამიჯნურო თავგადასავლით, ყოფილა შემთხვევა, პირიც კი გაუღია, რომ ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ ბოლო წამს მუდამ აჩერებდა რაღაც უცნობი და გაუგებარი ძალა.

რაკი ერთი გაიკვალა გზა, ლოლას უკვე ვეღარც თავისი დედ-მამა აკავებდა და ვეღარც აბელის დედა. ყოველთვის პოულობდა შესაფერის დროსა და ვითარებას.

მაგრამ ერთ დღეს, როდესაც აბელი ნაჩვევი ბილიკით მივიდა წყაროსთან, ლოლამ უარი უთხრა დარწყულებაზე. აბელი გაბრაზდა და შეუღრინა (ეს მოულოდნელი და თითქოს უცაბედი რეაქცია თვითონვე უკვირდა მერე და მისთვის ვერავითარი ახსნა ვერ მოეძებნა). ლოლამ გაიცინა, ბავშვივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუყვავა და შუბლზე აკოცა. აბელი ლამის დაახრჩო შეურაცხყოფის გრძნობამ. მაგრამ ლოლამ იოლად მოახერხა მისი დაშოშმინება და პირში ჩალაგამოვლებული გამოისტუმრა. აბელი დიდხანს ვერ მიხვდა, რა დაემართა ლოლას, რადგან ერთადერთი, რაც მათი ურთიერთობის განმავლობაში მოხდა, ის იყო, რომ ლოლამ მუშაობა დაიწყო. ამას კი აბელი, ცხადია, ვერ აკავშირებდა გაშმაგებული ლოლას მოულოდნელ ჩაცხრობასა და გაციებასთან (მხოლოდ მოგვიანებით გახდება ნათელი ასეთი კავშირის ბუნებრიობა და ლოგიკურობა). ამის შემდეგ, თუმცა თვითონვე გრძნობდა, რომ ეს უიმედო ცდა იყო, ერთი ორჯერ კიდევ მიაკითხა ლოლას, თანაც ერთხელ თავი ძლივს შეიკავა, რომ არ აცრემლებულიყო.

აბელი მეათე კლასს ამთავრებდა, როცა ლოლა გათხოვდა და ქმრის ბინაში გადავიდა. ქეთი, პატარა, თეთრი ანგელოზი, ხან დედასთან იყო, ხან ბებიასთან და ბაბუასთან.

## თავი მეხუთე

შემოქმედება საკუთარი თავის გამომზეურებაა. ოღონდ, როდესაც შემოქმედმა, საკუთარი თავი რომ თოკზე გადაჰკიდა, ქვემოთ მაყურებელი შენიშნა. შეცბა და ამ „საკუთარ თავს" შელამაზება დაუწყო: წარბები გამოიქნა, თვალები მინაბა, ბზარები საგოზავით ამოივსო, გაცრეცილი ადგილები გაიფერადა, ფერ-უმარილი წაისვა, ნილაბი გაიკეთა და თვალში ნაცარი შეგვაყარა. ამით ვიღაც-ვიღაცები კი მოატყუა, მაგრამ შენ რას მოგატყუებს! შენ, სიყალბეს რომ ამჩნევ, შუბლს იჭმუხნი. ყველაზე საინტერესო (და ცოტა სასაცილოც კი) ის არის, რომ შემოქმედმა მშვენივრად იცის, შენ ვერ მოგატყუებს და მაინც ვერ უძლებს ცთუნებას, რომ არ იკეკლუცოს და თავი იმაზე უკეთესად არ მოგაჩვენოს, ვიდრე აინამდვილეშია. ცთუნებას ვერ უძლებს, თორემ ისე შემოქმედის მიზანი პატიოსანი და კეთილშობილურია: თავისი სისხლი გაჩვენოს და მასში შენი სისხლი დაგანახოს. ამ მიზანს თუ მიაღწია, მაშინ აბელი, რომელიც მხოლოდ შუამავალია და კავშირის საშუალება, მისი ორეულიც იქნება და შენიც. თქვენ ამ ორეულს, როგორც საერთო მამრავლს, ფრჩხილებს გარეთ გაიტანთ, დასხდებით და დინჯად, დაკვირვებით შეისწავლით.

აბელი არ არსებობს. იგი მე შევქმენი ერთგანზომილებიან სისტემაში საკუთარი ნიმუშის მიხედვით. აქ ყველაფერი მე ვარ. თუ ვინმე ქვას ისვრის, მე ვარ. თუ ვინმეს ქვას ესვრიან, მე ვარ. თუ ვინმე წარბებს იქნის და ფერ-უმარილით ითხუპნება, ისიც, სამწუხაროდ, მე ვარ.

აბელი არ არსებობს, რადგან იგი პერსონაჟია. მაგრამ, ჩვენ თუ პერსონაჟები არა ვართ, ვითომ ვარსებობთ? არსებობა ურთიერთობებია. არც მეტი, არც ნაკლები. გამოაცალე ადამიანს ურთიერთობები და ადამიანიც გაქრება. ჩვენ რომ გვგონია, თითქოს ურთიერთობებში ადამიანის პიროვნება და ხასიათი მჟღავნდება, ტყუილია. თვითონ ადამიანი იქმნება ურთიერთობებში. ადამიანი ურთიერთობაა, მეტი არაფერი. ეს იმდენად ნათელი და ურყევი აქსიომაა, რომ მის ჭეშმარიტებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს სულის მეტი. სული კი, რასაც გვეუბნებიან, თუ სიმართლეს გვეუბნებიან, სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა დგას და, ამდენად, მატერიალური პასუხისმგებლობა არ აკისრია.

როდესაც აბელი თავის თავზე ფიქრობდა (ადამიანი კი არასოდეს სხვა რამეზე არ ფიქრობს), მან საკუთარი არსებობიდან მეხსიერებაში ისეთ ეპიზოდებს მოუხმო, რომლებმაც ყველაზე აქტიური როლი ითამაშეს მის შექმნაში და ყველაზე მკაფიო ხაზები გაავლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებაზე რომ მიმეშვა, ალბათ ყველაფერს დეტალურად გაიხსენებდა. ამით, ერთი მხრივ, სახე უფრო ფერხორციანი გამოვიდოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ნაკლებმნიშვნელოვანი ეპიზოდების აღწერით მეც დავიღლებოდი და მკითხველსაც თავს მოვაბეზრებდი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ არც ისე იოლი გადასაწყვეტია, რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ეპიზოდი. ასეთია, მაგალითად, ის ეპიზოდი, რომელშიაც აბელმა ავი ნადირივით შეუღრინა ლოლას, როდესაც ამ უკანასკნელმა გაკვალული და ნაჩვევი ბილიკით მისულს დარწყულებაზე უარი უთხრა. აბელი ამ მომენტს გაკვრით შეეხო, მე კი იგი უფრო სერიოზული ყურადღების ღირსი მგონია. ჯერ ერთი, საინტერესოა ამ უჩვეულო რეაქციის მოულოდნელი ხასიათი. აბელს თავის თავში იმგვარი არაფერი ეგულებოდა, რაც შეიძლებოდა ასეთ ცხოველურ სიავედ გამოვლენილიყო. ამიტომ თვითონვე შეცბა და მოეჩვენა, თითქოს ვიღაც სხვამ, ვიღაც უცხომ დაიღრინა მისი პირით. საინტერესოა ისიც, რომ ყოველივე ამის გაცნობიერების შემდეგ არც კი უცდია მოებოდიშებინა ან სხვა რაიმე საშუალებით გაეფანტა უხერხულობა. პირიქით, მამაკაცურმა თავმოყვარეობამ (რომელიც, კაცმა არ იცის, რა არის) აიძულა, სწორედ შეცბუნება დაემალა და თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ეს პირუტყვული ღრენა სავსებით სწორი და წინასწარ გამიზნული რეაქცია ყოფილიყოს. ლოლას ამ გამოხდომისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. თვითონ კი მოგვიანებით დაინახა, თუ როგორ დაილექა მისი მაშინდელი ღრენაცა და შეცბუნების შენიღბვაც სირცხვილის გრძნობად. ამის შემდეგ, კარგა ხანს, როცა კი ეს ეპიზოდი მოაგონდებოდა, სულში უსიამოვნო განცდა უჩნდებოდა და სახე წამოუხურდებოდა ხოლმე. მერე და მერე, როცა ლოლასთან ურთიერთობის მოგონება გაბუნდოვანდა და ემოციური ხაზი გაწყდა, სირცხვილის გრძნობაც გაუქრა. მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ღრენაც, ის შეცბუნებაც, იმ შეცბუნების დამალვაც, მომდევნო სირცხვილის გრძნობაცა და სირცხვილის გრძნობის თანდათანობითი გაქრობაც მისი პიროვნებისა და მისი არსების მნიშვნელოვან ნაწილად არ იქცა?

ამასობაში სკოლა დაამთავრა. დედამისმა ერთხელ თქვა, მათემატიკური საგნები უყვარს და რიგიანადაც სწავლობსო. ეს არ იყო მთლად სწორი. მართალია, მათემატიკურ საგნებს რიგიანად სწავლობდა, მაგრამ სიყვარულით მარტო ფიზიკა უყვარდა. უფრო სწორად, არა თავად ფიზიკა, არამედ ის გამოუცნობი და მიმზიდველი ნათება, რომელსაც ფიზიკა საკუთარი თავის ირგვლივ ქმნის, ფიზიკის ის ქაოტურად მბრუნავი ნაწილი, რომელიც მეცნიერული ჩარჩოს გარეთაა, რომელიც ფანტაზიას ასაზრდოებს, მაგრამ ცოდნას არ ამდიდრებს და რომელიც უკვე აღარაა ფიზიკა, ან, ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ არაა ფიზიკა. ერთი სიტყვით, ის, რაც საშუალებას გვაძლევს თამამად ვივარაუდოთ, რომ ერთი მხრივ სამყარო არის ცოცხალი ორგანიზმი, ადამიანი კი ამ ორგანიზმში დაბუდებული მიკრობი, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის შემადგენელი ყოველი ატომი თავადაა უსასრულო სამყარო, რომელიც სავსეა გალაქტიკებითა და დასახლებული პლანეტებით. და ეს ორი სამყარო შეიძლება იყოს სრულიად იდენტური, ისე რომ მასშტაბებითაც კი არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ასეთი ფიზიკა, ცხადია, უფრო ხელოვანის ფიზიკაა, ვიდრე ფიზიკოსისა.

აბელმა ეს არ იცოდა და ფიზიკის ფაკულტეტზე შევიდა. შევიდა კარგად, თამამად და ყოჩაღად, როგორც ნაცნობ ტყეში, სადაც ადრეც არა ერთხელ ყოფილა. მაგრამ პირველსავე კვირეებში მიხვდა, რომ იქ არ მისულა, სადაც მიდიოდა. რეალური ფიზიკა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანატრი ფანტასტიკური ფიზიკის ნაცვლად შესთავაზეს უნივერსიტეტში, სულ სხვა რამ გამოდგა და მისი სულის გაურკვეველ შიმშილს ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ, ზამთრის სესიები რომ მოახლოვდა, სწავლას თავი დაანება.

სინამდვილეში ეს მიზეზი არც ერთადერთი იყო და, შესაძლებელია, არც მთავარი. იმ ხანებში აბელი რაღაც აუხსნელმა სევდამ უსასოობის გაურკვეველმა განცდამ შეიპყრო. გულში ზანტად, მაჯლაჯუნასავით დაიზლაზნებოდნენ უცნაურად აგორგლილი, სრულიად გაუგებარი ძალები, რომლებიც სულს ამძიმებდნენ და სიცოცხლის რიტმს ადუნებდნენ. ამაოების გამთანგველი გრძნობა დროდადრო თვითმკვლელობის სურვილად სახიერდებოდა და აბელის სულში შიშს თესავდა.

აბელმა ბევრი იფიქრა, დიდხანს ეძია თავისი უცნაური მელანქოლიის მიზეზები. ბოლოს, მისი აზრით, როგორც იქნა, მიაგნო იმ გასაღებს, რომელიც ამ გაუსაძლისი ტყვეობიდან დაიხსნიდა, და, თუმცა თვითონვე გრძნობდა, რომ ამ „მიგნებაში“ ძალდატანება და უჯიათობა მეტი იყო, ვიდრე მიგნება, თავიდა გასაოცრად შენიშნა, რომ სწავლის თავის დანებებამ მართლა მოჰგვარა სიმშვიდე.

სესიების შემდეგ, საბუთების გამოსატანად რომ მივიდა, დერეფანში ერთი თანაკურსელი გოგონა შეხვდა, რომლის სახელი ახლა აღარავის ახსოვს (არადა, ვინ იცის, უკვე სადოქტორო დისერტაციას ამზადებს). ის კი გვახსოვს, რომ გამხდარი გოგო იყო, მაღალი, მდიდარი და კარგი ოჯახიშვილი. ზვიადი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ამაყი მზერა და თავდაჯერებული ღიმილი, როცა გელაპარაკებოდა. სახეზე შეუვალი უპირატესობა ეწერა. შეხვდა ეს გოგონა დერეფანში, ამაყად მიესალმა და ჰკითხა, მართლა დაანებე თავი სწავლასო. აბელმა დაუდასტურა. გოგონამ რატომღაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. რა ბზიკმა გიკბინაო, ჰკითხა და სახე ცოტა მოიმკაცრა. აბელს არც თავდაჯერება მოსწონდა ამ გოგოსი, არც ოჯახიშვილობა და არც მეტისმეტი სიმაღლე, ამიტომ არხეინი კილოთი მიუგო, თეატრალურზე უნდა ჩავაბაროო, და, როცა გოგონამ პირი ოდნავ გააღო, მისი ამ მცირეოდენი დაბნეულობით ისარგებლა, ყველანი მომიკითხეო, დაუბარა და გაკვირვებული მიატოვა შუა დერეფანში.

საღამოს, ეს ეპიზოდი რომ გაახსენდა, ჯერ გაეღიმა, მერე მუცლის არეში სიმხურვალე იგრძნო, მერე დაინტერესდა, მერე დაფიქრდა, მერე აფორიაქდა, მერე სახლიდან გავიდა და შუაღამემდე იბორიალა ქალაქის ქუჩებში.

კვირის თავზე ერთი პრობლემაღა ჰქონდა გადასაჭრელი: როგორ ეთქვა დედისთვის, რომ უნივერსიტეტი მიატოვა და თეატრალურ ინსტიტუტში აპირებდა შესვლას. დედას ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო მონაპოვარი უზომოდ ახარებდა და ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო მონაპოვარის დაკარგვა უზომოდ აწუხებდა. მიუხედავად ამისა, თქმა აუცილებელი იყო. აბელმა ბევრი იფიქრა, დიდხანს უტრიალა. ბოლოს, როგორც იქნა, შესაფერისი დრო შეარჩია და უთხრა. ის არ უთქვამს, რომ უნივერსიტეტს თავი დაანება, ვაპირებო, უთხრა. ჯერ იმაზე ილაპარაკა, რომ წელიწადის დაკარგვა ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ, თუკი ამის სანაცვლოდ ადამიანი თავის ჭეშმარიტ მოწოდებას მიაგნებს, მაშინ ეს დანაკარგად არ ითვლება. მერე მოკლედ შეეხო გარდასახვის რთულსა და საინტერესო ხელოვნებას. ბოლოს, დიდი მსახიობების სახელოვან ცხოვრებას რომ მიადგა და ეშხში შევიდა, დედამ შეაწყვეტინა. დედამ სულ მთლად გაჭაღარავებულ თმაზე ხელი გადაისვა ხელი და უთხრა, როგორც გიჯობდეს, შვილო, ისე მოიქეცი. უკვე დიდი ხარ და შენს ცხოვრებას აწი შენ უნდა გაუძღვეო.

ამ დღიდან მოყოლებული აბელი თავის ცხოვრებას თვითონვე უძღვებოდა. ზაფხულში თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არიცხა და ორი თუ სამი წლის განმავლობაში ფიზიკა საერთოდ არ გახსენებია. რომ ვთქვა, მთელი არსებით თეატრალურ ცხოვრებაში დაინთქა-მეთქი, მთლად სწორი არ ვიქნები, მაგრამ, თუ ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის მართლა არსებობს რაიმე უჩინარი მიჯნა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიჯნას არ გადაცდენილა. სამაგიეროდ ამ მიჯნის აქეთ ყველაფერი აინტერესებდა. ხანდახან თვითონვე უკვირდა, როგორ ასწრებდა ამდენ რამეს, როგორ ახერხებდა, რომ საათობით იდგა უსაქმოდ ინსტიტუტის წინ ამხანაგებთან ერთად და ლაზღანდარობდა, გაუთავებლად დახეტიალობდა ქალაქში და ქალაქგარეთ, დადიოდა მუზეუმებში და გამოფენებზე, კინოში და თეატრში, სტუდენტურ წვეულებებზე გატაცებით უკრავდა გიტარას და მღეროდა, კამათობდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაირ-ნაირ პრობლემებზე და ამავე დროს კითხულობდა ბევრს. კითხულობდა არა იმიტომ, რომ რამე მიზანი ჰქონდა, რამეს მიელტვოდა, რაიმესათვის ემზადებოდა, არამედ იმიტომ, რომ კითხვისას მეტ სიცოცხლეს გრძნობდა, მეტ თავისუფლებას, სამყაროსთან უფრო მჭიდრო კავშირს.

ერთგვარი შებორკილობა და მორიდებულობა, რომელიც ბავშვობიდანვე მოჰყვებოდა, უკვალოდ გაქრა. ახლა სხეულს ილლად და ძალდაუტანებლად ფლობდა და არც შინაურებთან და არც უცხოებთან საკუთარი ხელები უკვე აღარ ეჩვენებოდა რაღაც ზედმეტ ტვირთად და ძნელად დასამორჩილებელ მტრად. შარშანდელი სულიერი სიმძიმეც შარშანდელი თოვლივით დადნა. სხეული და სული ერთ მთლიან ჰარმონიაში მოექცა.

თანაკურსელებთან მშვიდობიანი და კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მართალია, ეს იყო ჭრელი ახალგაზრდობა სხვადასხვაგვარი ნიჭით, სხვადასხვაგვარი საზრუნავით, სხვადასხვაგვარი მიზნებითა და ამ მიზნების მისაღწევი სხვადასხვაგვარი საშუალებებით, მაგრამ აბელს ნაკლებად აინტერესებდა ამხანაგების ზნეობრივი თუ ინტელექტუალური კლასიფიკაცია, მათთან მხოლოდ ზერელე, წვრილმანი ძაფები აკავშირებდა და ამიტომ ერთნაირად უყურებდა იმასაც, ვინც კარიერის ძიების ეკლიან გზაზე ენერგიულად დაფუსფუსებდა კულისებში, და იმასაც, ვინც ბიბლიოთეკაში ალამებდა და ათენებდა და წარმატების კიბეზე მუდამ ერთსა და იმავე საფეხურზე იტკეპნებოდა.

მეგობარი ერთი ჰყავდა, ლადო მენაბდე, სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი. აბელსა და ლადო მენაბდეს შორის თავიდანვე წარმოიქმნა შეუმჩნეველი, მოუხელთებელი მაგნიტური ველი, რომელზედაც მალე, როგორც საიმედო საძირკველზე, მეგობრობა აიგო. ეს არაფრით არ ჰგავდა იმ მეგობრობას, წლების წინ რომ მეტეორივით გადაიქროლა აბელის ცაზე. მირიანთან მეგობრობა ამაფორიაქებელი და ტრაგიკულად რთული იყო, შიშით, ნატვრითა და ეჭვებით სავსე, ლადო მენაბდესთან ურთიერთობა კი ნათელი და უბრალო, თავისუფალი ყოველგვარი იდუმალი ხვრელებისაგან. ეს იყო თანაბარუფლებიანი, მშვიდი და უდისტანციო მეგობრობა, უანგარო კეთილმოსურნეობა და რაღაც ნათესაური, მშობლიური მხარში დგომა, რამაც პირველად აბელი ფრიად აალელვა და, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალურ გუნებაზე დააყენა.

ლადო მენაბდე პრეტენზიული ბიჭი იყო, ღრმად სწამდა თავისი ნიჭიერება და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მალე მთელ თეატრალურ სამყაროს აალაპარაკებდა, მაგრამ მისი ასეთი თავდაჯერება რატომღაც არავის სწყინდა, შესაძლებელია, უმრავლესობა ვერც კი არჩევდა, ლადო სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ხუმრობდა. საოცარი უნარი ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა. აბელის დედა პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახვისთანავე მოხიბლა. გაიცინა, გაიცინა, იხმაურა, აბელი ხან შეუქო დაა ხან გაულანძღა, კომიკურად წარმოადგინა ფიზიკოსის საინტერესო „გარდასახვა“ მსახიობად, გემრიელად ისადილა და, რაც ჭამა, ყველაფერს პათეტიკური ოდა მიუძღვნა. ბოლოს თქვა, აქაურობა ისე მომეწონა, ამის შემდეგ ჩემს სახლში აღარ ვიცი რა გამაძლებინებსო, და საბოლოოდ მოიგო დიასახლისის გული.

მეორე კურსის ბოლოს აბელს ნია რობაქიძე შეუყვარდა (თუმცაღა, ეს უკანასკნელი სიტყვა, როგორც მალე დავინახავთ, უფრო პირობითი ცნება გამოდგა, ვიდრე აბსოლუტური). ნია რობაქიძე იმ დროს პირველ კურსს ამთავრებდა.

ადრე გაზაფხულის ერთ კვირა დღეს ფაკულტეტმა ექსკურსია მოაწყო ყინწვისში. ძირითადად პირველი, მეორე და მესამე კურსელები იყვნენ. ავტობუსი მთის ძირში დატოვეს, ბიჭებმა გოგოების ზურგჩანთები საკუთარ ზურგჩანთებთან ერთად აიკიდეს და ფერდობს შეუყვნენ. ზემოთ რომ ავიდნენ, ზურგჩანთები მოიხსნეს, ეზოს კუთხეში დაყარეს და ხმაურით შეცვივდნენ ტაძარში. აბელი ყინწვისში ადრეც იყო ნამყოფი ლადოსთან ერთად და აქაურობას კარგად იცნობდა. ტაძარში ყველანი დაწყნარდნენ და ფრესკებს დაუწყეს თვალიერება. ყველაზე დიდხანს, რაღა თქმა უნდა, ანგელოზის ცნობილ ფრესკასთან ჩერდებოდნენ, ჩუმად უყურებდნენ და ხმადაბლა უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრს. აბელმა შემოიარა ტაძარი და ბოლოს ისიც ანგელოზის ფრესკასთან შეჩერდა. აქ უკვე მთელი ჯგუფი იდგა, მათ შორის, სწორედ აბელის წინ, ნია რობაქიძეც. ერთხანს უხმოდ უყურებდნენ. მერე უცებ ნია რობაქიძემ თქვა:

— არც ისეთი ყოფილა ეს ანგელოზი, როგორც გვაწონებენ.

— ჰო, — შენიშნა აბელმა. — თანამედროვე ანგელოზების ფონზე ცოტა ძველმოდურია.

ნიამ თავი მოაბრუნა, აბელს ამოხედა და ამრეზით აიბზუა ცხვირი.

აბელს გოგონას წყენინება აზრად არ ჰქონია. ამიტომ ნიას ამრეზამ ცოტა შეაწუხა და გადაწყვიტა როგორმე გამოესყიდა ეს უნებლიე დანაშაული.

ტაძრის დათვალიერებას რომ მორჩნენ და გარეთ გამოვიდნენ, შესაფერისი შემთხვევაც მიეცა. მთელი ჯგუფი წყაროსკენ წავიდა. გზა ბექობსა და პატარა ხევს შუა მიდიოდა. უცებ ნიამ ტაში შემოჰკრა და, გოგოებო, შეხედეთ რა ლამაზი ყვავილიო, იკივლა. აბელმა ზემოთ კლდის თავზე, მწვანე ბალახში ცისფერი ყვავილი შენიშნა. კლდე ძნელი ასავლელი იყო, მაგრამ აბელი მაინც ავიდა. ქვის შვერილებსა და ხის ფესვებს მოეჭიდა, აფორთხდა, კლდეს თავზე მოექცა, ის ცისფერი ყვავილი მოწყვიტა, ფრთხილად ჩამოიტანა და, ვითომ არ იცოდა, ისე იკითხა, აბა, რომელი იყო ამ ყვავილის დანახვაზე რომ წივილ-კივილი ატეხაო. მეო, ნიამ მიუგო, თან ყვავილს თვალებით ჭამდა. აბელმა თავი ცერემონიულად დაუკრა, გოგონას ხელი ხელში აიღო, ნაზად და თეატრალურად აკოცა და ყვავილი მიართვა.

რაკი ამ რაინდული საქციელით წეღანდელი არარაინდული საქციელი გამოისყიდა, სინდისის ქენჯნამ გაუარა და ნია რობაქიძეც, როგორც თვითონ ეგონა, მიავიწყდა.

საღამოს, როდესაც შინმობრუნებულმა ზურგჩანთა ამოალაგა და გაბერტყა, უეცრად მოაგონდა, როგორ ეჭირა ნია რობაქიძის ხელი ხელში, და მოეჩვენა, რომ ნიას ხელი რაღაცნაირი იყო. თბილი — თავისთავად. ნაზიც — თავისთავად. მაგრამ ამ ხელს კიდევ ჰქონდა რაღაც თვისება, რაღაც ისეთი თვისება, რომ დროდადრო თავს გაგახსენებდა. აბელს გაუკვირდა, რომ ეს ამბავი ახლა შენიშნა და არა მაშინ, როცა ნიას ხელი ხელში ეჭირა.

მეორე დღეს, ინსტიტუტში, ლექციებს შორის შესვენებისას, დერეფანში შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეს გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმა. გაეღიმათ როგორც შეთქმულებს, გაეღიმათ ისე, თითქოს წუხელ სიზმარში ერთმანეთი ენახოთ.

მერე, დიდ აუდიტორიაში, პოლიტეკონომიის ლექციაზე, როდესაც ლადო მენაბდეს კრეისერობანას ეთამაშებოდა, გახურებულ თამაშში გუშინდელი ექსკურსია წამით კვლავ აღდგა მეხსიერებაში. მთავარმა მომენტებმა სწრაფად, კინოფირივით გაიარა გონებაში. ნია რობაქიძემ ანგელოზის ფრესკა და აბელის უწყინარი შენიშვნა დაიწუნა და ცხვირი აიბზუა. გუშინ ეს პატარა ეპიზოდი ამით დამთავრდა და აბელს განსაკუთრებული მასში არაფერი შეუნიშნავს. დღეს კი, ლექციაზე, მოეჩვენა, თითქოს ნიას ამრეზილ, გამომწვევ შემოხედვას უკან, როგორც ფონი, მოყვებოდა რბილი და თბილი სუნთქვის მძლავრი ტალღა, რომელმაც ახლადა მოაღწია აბელამდე, სწრაფად გაიარა მის ახეულში და იქ სიხარულის ელვისებური განცდა დატოვა. იქნებ ამის ბრალიც იყო, რომ ლადო მენაბდემ მის მთავარ კრეისერს შიგ შუბლში მოარტყა და ჩაძირა, ხოლო ლექტორმა ორივე მებრძოლი მხარე აუდიტორიიდან გააძევა.

მალე აბელის არსებაში ნიამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. თუ პირველ ხანებში იშვიათად და მოულოდნელად დგებოდა ისეთი მომენტი, როცა ფიქრებში ნია ამოტივტივდებოდა, მერე და მერე უკვე ისეთი მომენტი დგებოდა იშვიათად, როცა ფიქრებში ნია არ ჩანდა. ახლა ნიამ ყველაფერი დაიპყრო. ყველგან ნია იყო. ნიას მოქნილი ტანი, თეთრი, შემოკვართული შარვალი, ყვითელი ყვავილებით მოქარგული ღია მწვანე, გადმოფენილი ხალათი, ნიას თვალები, მეტყველი, თბილი, ნიას ღიმილი, თან გულღია და ალალი, თან ჩუმი და იდუმალი, შეთქმულის ღიმილი.

ნიას გარეშე არაფერი აღარ არსებობდა. წიგნის კითხვისას თვალსა და წიგნს შორის ნია იდგა და ყოველი ფრაზა ნიას გავლით შემოდიოდა გონებაში, შემოდიოდა ნიას სურნელით, ნიას ღიმილით, ნიას შემოხედვით გაჟღენთილი. საგამოფენო დარბაზებში კედლიდან ნია იყურებოდა. კინოფილმი იმით იყო საინტერესო, რომ გმირ ქალსა და ნიას შორის საერთოსა და განსხვავების დადგენა შეიძლებოდა.

ინსტიტუტის წინ უსაქმოდ დგომა და ამხანაგებთან ლაზღანდარობა ადრე თუ თავისთავად იყო სასიამოვნო და საინტერესო, ახლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ფასი, თუ ნიაც იქ იმყოფებოდა, ან ინსტიტუტში მაინც ეგულებოდა აბელს და, მაშასადამე, ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდა.

ნიას დანახვა ნამდვილი დღესასწაული იყო, და ამ პერიოდში აბელს იოტის ოდენადაც კი არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მშვენივრად იცოდა, თუ რა არის ბედნიერება. ბედნიერება ისაა, რომ სულ მუდამ ნიას უყურო, იჯდე სადმე შენთვის ფანჯარასთან და მთელი სიცოცხლე უყურო ნიას.

ლადო მენაბდეს, რომელთანაც ძველებურად მეგობრობდა, დროდადრო დასანახავად ვერ იტანდა. ლადო ატყობდა, რომ აბელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ამ ცვლილებების მიზეზსაც ხვდებოდა, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ მიაჩნდა საკმაო საფუძვლად იმისათვის, რომ ლექციებიდან არ გაპარულიყვნენ, როცა ქალაქში ახალ, საინტერესო ფილმს აჩვენებდნენ, უცხოეთთან ურთიერთობის სახლში ფრანგული წიგნის გამოფენა იხსნებოდა, ან უბრალოდ, ცაზე გაზაფხული გამოჩნდა და ასეთ დროს ქალაქგარეთ, აყვავებული ტყემლის ძირში წამოწოლას არაფერი სჯობდა. აბელს ტყემალი არ აინტერესებდა, ცის ცქერას ნიას ცქერა ერჩივნა და არაფრით არ ეთმობოდა ლექციებს შორის ათწუთიანი შესვენებები, როცა შესაძლებელი იყო დერეფანში ნიას გადაეყროდა და გამოლაპარაკებოდა. ამი-

ეროვნული

ტომ დროდადრო, როცა იძულებული ხდებოდა ლადოსთან ერთად ქალაქგარეთ წასულიყო. მაშინ როდესაც ნია ქალაქში ეგულებოდა, თავიაი ერთადერთი მეგობარი ჩუმი აიძულვილით სძულდა.

ნიას აბელის გამოჩენაზე სახე გაუბრწყინდებოდა ხოლმე და ნაბიჯს აუჩქარებდა, თითქმის აირბილით წამოვიდოდა. ამ დროს აბელი ნეტარების ღრუბლებში ცურავდა და თვითონაც ნეტარების ერთ-ერთ ღრუბლად იქცეოდა.

ააე გრძელდებოდა მთელი ერთი წელიწადი. მთელი ერთი წლის განმავლობაში სამყაროსა და ნიას შორის იგივეობის ნიშანი იყო გავლებული. ნია იყო სიცოცხლის არსი. ნია რომ არა, მკვდარი და ცარიელი სამყარო, უსიცოცხლო და უაზრო გუნდა. გამომშრალი და გამოფიტული. ექვი არაა, აადმე უფსკრულში გადაიჩეხებოდა და დაიმსხვრეოდა. ნია განსაზღვრავდა ყოველივეს. ნიათი არაებობდა ყოველივე. თავად აბელიც ნიას გამოძახილი იყო. აბელის სიცოცხლე იმაა ერქვა. ნია რომ სუნთქავდა. აბელის არაებობა იმას ერქვა. ნიაზე რომ ფიქრობდა. რა თქმა უნდა. იყო მეორეხარისხოვანი საგნები და მოვლენებიც, ვთქვათ, გამოცდები, დედა. მეგობრობა. მაგრამ ეა საგნები და მოვლენები სადღაც ცნობიერების მიღმა. მექანიკური რეაქციის აფეროში იმყოფებოდნენ და. ამდენად. მათზე ყურადღების გამახვილება არ ღირდა.

იმ წელიწადს აბელმა კიდევ ერთხელ მოხსნა პირი ფანტაზიის ძველისძველ გუდას. კიდევ ერთხელ შემოჭკრა დეზი ოცნების ფრთოსან რაშს. გადაეშვა ნეტარების ფერად ბურუსში და იქ, ძილღვიძილის მოუხელთებელ და ტკბილ საზღვარზე შექმნა სურათი, დიდი, საამო, კმაყოფილებისფერი სურათი. სურათზე იყო ოჯახი ბედნიერი, იდილიური, მომღიმარე. იყო ცოლ-ქმარი, ერთიმეორის ნაზად მოყვარული და ერთიმეორის ღრმად პატივისმცემელი. იყვნენ ბავშვები (ორიდან ოთხამდე), ბუთხუზები, ლამაზები, ცნობისმოყვარ[illegible]ლი — მოხდენილი, განათლებული და ინტელექტუალი. ნიჭიერი თეატრალური კრიტიკოსი. ქმარი — თვითნაბადი ტალანტი, თეატრალური სამყაროს მეფე. იყო, რა თქმა უნდა, მეგობართა ვიწრო წრე, მდიდარი სულის, ფართო განათლების, მაღალნიჭიერი ადამიანები, რომლებიც დროდადრო შეიკრიბებოდნენ ამ ყველასათვის სამაგალითო ოჯახში და გვიანობამდე საუბრობდნენ ღრმა, აქტუალურ ეროვნულ თუ საერთაშორისო პრობლემებზე. ზოგჯერ (ალბათ მრავალფეროვნებისათვის) ოჯახის თავზე პატარა ჩრდილიც გადაივლიდა. თეატრის დარბაზში მჯდომი რომელიმე ახალგაზრდა ქალი. წარმოსადეგი, ტანადი. მკვრივი, ნუშის თვალებით, ხშირი გიშრისფერი თმით, სქელი, ვნებიანი ტუჩებითა და ღრმად დეკოლტირებული კაბით, არ დააჯერდებოდა მაყურებლის მოკრძალებულ როლს და ცთუნების ქრუანტელისმომგვრელ გზას დაადგებოდა. მაგრამ ქმარი, მოისმენდა რა ალსარებას (ქალი ქალია და შეხვედრას ყოველთვის მოახერხება). დიდი ტაქტით, უბრალო და თბილი სიტყვებით დააშოშმინებდა კალაპოტიდან ამოვარდნილ ქალს და მერე, შინ მისული, ამ ამბავს ცოლს უყვებოდა... და, ცხადია, იყო გასტროლები, ძლევამოსილი და თავბრუდამხვევი გასტროლები. ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალიაც. ფეშენებელური სასტუმროები. მაყურებელთა ოვაციები. დიდებული დარბაზობები. ცოლმა მრავალი ენა იცოდა და ქმარს თარჯიმნობას უწევდა. რომეო, ჰამლეტი, ოტელო, იულიუსი, ლირი... კომედიები. ფალსტაფი. რეცენზიები, პორტრეტები ჟურნალ-გაზეთებში (ცოლთან ერთად). შეხვედრები აეროპორტებში, რეპორტიორების ზღვა. ავტოგრაფები. საუბარი სახელმწიფოს მეთაურებთან. დიძაბულობის შენელება. მრავლის უმრავლესი ინტერვიუ. ამერიკის ტელევიზია. შემოქმედებითი და ზნეობრივი კრედო. მსოფლმხედველობა. ადამიანის დანიშნულება. ტელეექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანებთან მიჯაჭვული მრავალრიცხოვანი მაყურებელი. მერე მოგზაურობის შთაბეჭდილებები („იქნებ რაიმე შეგემთხვათ კურიოზული?"). ვალმოხდილობა, ერისკაცობა...

ახლაც, როგორც ბავშვობაში, ფანტაზია ნელ-ნელა იწურებოდა და, როცა ყველა სიმაღლე დაპყრობილი აღმოჩნდებოდა, ყველა წარმატება მოპოვებული, ყველა საქმე გაკეთებული, ოცნება ფერს კარგავდა, ხუნდებოდა, სისხლის გადასხმას საჭიროებდა. ამ მიზნით ზოგჯერ, რაკი ირგვლივ ხელმოსაჭიდი აღარაფერი ჩანდა, მოქმედების ადგილი სადმე სხვა პლანეტაზე ან სულაც სხვა გალაქტიკაში გადაინაცვლებდა. მაგრამ იქ ფეხს ვერ იკიდებდა, იქ ფანტაზია, მკვდარ კრატერებში გამომწყვდეული, ფრთებს ისე ლაღად ვერ შლიდა. ამიტომ კვლავ დედამიწაზე ბრუნდებოდა და, რაკი შესაძლებლობის მაქსიმუმი უკვე გაკეთებული იყო, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ძილი უმთავრესად შუა ოცნებაში წამოეწეოდა ხოლმე და მის აშლილ ფიქრებს, როგორც უპატრონოდ მიმოფანტულ წიწილებს, მსუბუქად გადააფარებდა თავის თბილსა და საიმედო ფრთებს. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ძილი იგვიანებდა, ოცნება ასწრებდა საკუთარი თავის ამოწურვას და იფიტებოდა. ასეთ დროს აბელს თავადაც გამოფიტულობის განცდა ეუფლებოდა და უმწეობის უმწვერვალესი ტკივილით, რომელსაც გარდაუვალობის წინაშე შიში ბადებს, გრძნობდა, რომ რეალურის საზღვარს მიადგა და იმის იქით არარაობის ხახადაღებული უფსკრული იყო, რომელშიაც, როგორც კლდეს მოწყვეტილი ქვა, აუცილებლობის გზით მიექანებოდა ყოველი სულიერი. ამ უფსკრულის დანახვაზე აბელი ატყობდა, რომ ყველაფერი, რასაც მისი ოცნება და ფანტაზია ხატავდა, ამაოება იყო, და გული ეკუმშებოდა, მაგრამ რაღაც მომნუსხავი ძალა ამოწურულ ოცნებას აიძულებდა კვლავ საწყისი მდგომარეობა მიეღო და ყველაფერი თავიდან დაეწყო, თუმცა ცხადი იყო, რომ საბოლოოდ ისევ იმ უფსკრულს მიადგებოდა.

მიუხედავად ასეთი შინაგანი ორომტრიალისა, აბელს არც უცდია პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა. მართალია, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდა ნიას, ერთად დახეტიალობდნენ ქალაქის ძველ უბნებში, ერთად დადიოდნენ კინოში, ისე თავისუფლად და კარგად გრძნობდნენ თავს ერთმანეთთან, რომ სხვა არავინ სჭირდებოდათ (ლადო დროდადრო ცოფებს ყრიდა), მაგრამ ყოველივე ამას მაინც თვითდინების ხასიათი ჰქონდა. სადმე, ინსტიტუტში ან ინსტიტუტს გარეთ შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს და იდეაც იქვე, ექსპრომტად იბადებოდა. პაემანი, როგორც ასეთი, არასოდეს დანიშნულა. პაემანი უკვე პრაქტიკული ნაბიჯი იყო, ეს კი აბელის გეგმაში არ შედიოდა.

თუმცა ეს ნათქვამი მთლად ზუსტი არ არის. აბელს არავითარი გეგმა არ ჰქონია და ამიტომ არც იცოდა, რა შედიოდა მის გეგმაში და რა არა. იცოდა, რომ პრაქტიკულ ნაბიჯს არ დგამდა, მაგრამ რატომ იქცეოდა ასე, წარმოდგენა არ ჰქონდა. სავარაუდოა, რომ აქ რამდენიმე მიზეზი ერთდროულად მოქმედებდა. ჯერ ერთი, შესაძლებელია, იმედი არ ჰქონდა. ობიექტურად ეს იმდენად მცდარი მოსაზრებაა, სასაცილოდაც კი ჟღერს. მაგრამ ასეთ საკითხში ობიექტურობა თვალებდათხრილია. ვინც გიყვარს (ამ მოსაზრებას, ღრმად თუ ჩავუკვირდებით, კაცის თანდაყოლილი ეგოიზმი ასაზრდოებს), მას შენდა უნებურად ისეთი ზღაპრული ფერებით ამკობ და ისეთ უნაკლო არსებად წარმოიდგენ, რომ სრულიად მიუწვდომელი გეჩვენება და ველარ დაგიჯერებია, როგორ შეიძლება ამ ღვთაებამ, ამ ანგელოზმა შენისთანა პროზაული არარა შეიყვაროს. მეორე, აბელი, ეტყობა, შეეჩვია თავის ოცნებას,

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

როგორც არაერთხელ მოსვლია, და მისი ხელყოფა, შესაძლებელია, ალარც კი უნდოდა. და ბოლოს, გამორიცხული არ არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება ბუნდოვნად იგრძნო, მიკვლევით კი ვერ მიაკვლევ, რადგან იგი ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების გარეთაა (უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ამ ეპიზოდის ფინალი).

ლადო მენაბდე ბრაზობდა. ბრაზობდა იმიტომ, რომ, ვთქვათ (დამახასიათებელი მაგალითი რომ მოვიყვანოთ), რამდენიმე საათით ხელში ჩაიგდო წიგნი, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, და აბელს დაუწყებდა ძებნას, რათა ერთად წაეკითხათ, მაგრამ ვერსად იპოვიდა, ან, კიდევ უარესი, იპოვიდა და შინ ვერ წაიყვანდა. აბელი რომ გაჯიქდებოდა, იმას ადგილიდან ველარაფერი დაძრავდა. და, ცხადია, ლადო ბრაზობდა. მის სიბრაზეს უფრო ის უკიდებდა ცეცხლს, რომ იცოდა აბელის გაჯიქების მიზეზი და ხმას ვერ იღებდა. ერთი ორჯერ კი გადაუკრა სიტყვა, მაგრამ აბელი გალიზიანდა და ღრენით გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე. მაშინ ლადო იძულებული შეიქნა, პირში წყალი ჩაეგუბებია და ისე, უმისამართოდ ეყარა ცოფები.

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი განვითარება და ეს ეპიზოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს და შეიძლება ვერც ეწოდოს სამიჯნურო ეპიზოდი, რალაცად უნდა გამოვლენილიყო, თორემ უკვე გავიდა მისთვის განკუთვნილი ხაზის ბოლოში და ერთ ადგილას ტკეპნას იწყებდა, რითაც საეჭვოდ ემსგავსებოდა აბელის ოცნებას, საკუთარი თავის ამოწურვის სტადიაში შესულს. განსხვავება ის იყო, რომ ოცნება შეგიძლია თავიდან დაიწყო და რალაც ახალი, თუნდაც სულ მცირე და უმნიშვნელო ნიუანსებით გაამდიდრო, რეალურ ეპიზოდს კი თავიდან ვერ დაიწყებ, რეალური ეპიზოდი მხოლოდ ერთხელ გათამაშდება და ფინალში, თუ რამე არ მოუხერხე, უაზროდ იწყებს ტრიალს საკუთარი თავის ირგვლივ. აბელიც გრძნობდა, რომ განვითარება დასრულდა და საჭირო იყო დასკვნების გაკეთება. მართლაც გვიან შემოდგომაზე ამ ამბების გაცნობიერებას შეუდგა. გაცნობიერებას რომ მორჩა, შემდეგი ნაბიჯიც გადადგა — ერთ საღამოს დედას ოჯახის თაობაზე გაუბა საუბარი და დარწმუნდა, რომ იგი სიხარულით შეხვდებოდა აბელის დაქორწინებას.

აბელმა გადაწყვიტა ნიასთვის ხელი ეთხოვა.

იმ დროს ინსტიტუტი ემზადებოდა გრანდიოზული ღონისძიებისათვის, რომელსაც ერქვა „ჩვენ — სტუდენტები“. ეს იყო ერთგვარი საჯარო გამოცდა, სტუდენტების მიერ საკუთარი ამხანაგებისა და სტუმრებისათვის ანგარიშის ჩაბარება. ჩანაფიქრის მიხედვით, საღამო უნდა ყოფილიყო თეორიული კონფერენციისა და აქტიორულ და რეჟისორულ ნამუშევართა პრაქტიკული ჩვენების ნაზავი.

საღამოს უნდა ჰყოლოდა სამი წამყვანი: ერთი სამსახიობო ფაკულტეტიდან, ერთი — სარეჟისოროდან და ერთიც — თეატრმცოდნეობიდან. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტიდან საღამოს წამყვანად დანიშნული იყო ნია. ამ გარემოებამ აბელი აიძულა საბოლოო ნაბიჯი დროებით გადაედო და მხოლოდ ამ დიდი თეატრალური საღამოს შემდეგ გადაედგა, რათა ზედმეტი საფიქრალითა და მღელვარებით არ დაეტვირთა ნია ასეთი სერიოზული მოვალეობის წინ.

დადგა საღამოს ჩატარების დროც — ნოემბრის პირველი შაბათი. საღამოს ექვსი საათისთვის დარბაზი ისე იყო გაჭედილი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ღია სცენაზე დარბაზიდან ხელმარცხნივ, სულ განაპირას, წამყვანთა მაგიდა იდგა. ხელმარჯვნივ, მაგიდის სიმეტრიულად — როიალი. შუაში კი, ავანსცენაზე — მიკროფონი.

საღამო დაიწყო. კულისებიდან წამყვანები, ნია და ორი ვაჟი, გამოვიდნენ და მაგიდისკენ გამოემართნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიას გრძელი, კოჭებამდე ჩამოშვებული შავი ქვედა კაბა და გრძელსახელოებიანი და ფართოსაყელოიანი წითელი ხალათი ეცვა.

ნიას გამოჩენისთანავე, მანამ, სანამ შიშველ ემოციას გონება შეუერთდებოდა და ვითარების წესრიგში მოყვანას შეუდგებოდა, აბელს გული შეეკუმშა, თავით ფეხამდე ცივმა ტალღამ დაუარა და, თითქოს იქიდან რაღაც მნიშვნელოვანი და აუცილებელი გაიყოლიაო, სხეულში სიცარიელის სევდა დარჩა, იმავ წამს გონება უკვე ჩაერია საქმეში და ერთიანი, აბურდული შთაბეჭდილებიდან წვრილ-წვრილი ძაფების ამოძრობა დაიწყო.

ნია შუაში მოდიოდა. აქეთ-იქიდან ბიჭები მოჰყვებოდნენ, ერთი — მომავალი მსახიობი, მეორე — მომავალი რეჟისორი. ნიამ, ჩვეულებრივ, მყარი და დაჯერებული სიარული იცოდა, ახლა კი, ამ დაჯერების უფრო მეტად ხაზგასმა მოეწადინებია თუ რა იყო, ისე მოდიოდა, რომ მის სიარულში დაჯერების მაგივრად დაქადნება იგრძნობოდა. ხელებს ენერგიულად, ჯარისკაცივით იქნევდა. სცენის მესამედი არ ექნებოდათ გავლილი, რომ თანამგზავრებს მთელი ორი ნაბიჯით გაუსწრო. როგორც კი ეს შენიშნა, მოწყვეტით შედგა, დარბაზს მკაცრად და ცოტა გამომწვევად მოავლო თვალი, მზერა სადღაც ბოლო რიგზე შეაჩერა და ამხანაგებს დაელოდა. დაშვებული მკლავები ისე უტოკავდა, თითქოს ინერციის დაძლევა უჭირსო. ამასობაში ბიჭები წამოეწივნენ და მათთან ერთად განაგრძო გზა მაგიდისაკენ. თვალი შორეულ წერტილს მოაშორა, მზერა მხარმარცხნივ მომავალი ბიჭის ფეხებზე გადაიტანა და ნაბიჯი მის სიარულს შეუთანხმა. მერე მხარმარჯვნივ მომავალ ბიჭს მიუბრუნდა და ფიცხი ჟესტიკულაციითა და ამ ჟესტიკულაციასთან შეუთანხმებელი მიმიკით ხმადაბლა საუბარი გაუბა. ბიჭმა გაკვირვებით მოხედა, დაბნეულად გაიღიმა და წარბები აათამაშა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოგზაურობა დასრულდა და სამივემ მშვიდობით მიაღწია დანიშნულების ადგილს. ერთ-ერთმა ბიჭმა სკამი გამოუწია ნიას. ნია გამართული დაჯდა, იდაყვები მაგიდას დააყრდნო და ხელის თითები ერთმანეთს გადააწნა. ბიჭები აქეთ-იქით მოუსხდნენ. დარბაზში სიჩუმე იყო. მაყურებლები ელოდნენ. პირველი სიტყვა ნიას ეკუთვნოდა. მცირე პაუზის შემდეგ ნიამ გაიღიმა. გაიღიმა ისე, რომ გეგონებოდათ (ყოველ შემთხვევაში აბელს ასე ეგონა), ერთი ნიღაბი მოიხსნა და მეორე აიფარაო, და წამოდგა.

— ძვირფასო მეგობრებო! პატივცემულო სტუმრებო! — უცხო, უცნაურად მომრგვალებული და მოკვეთილი ხმით დაიწყო მან და სიტყვები ისე წამოვიდა დარბაზში, აბელს მოეჩვენა, თითქოს თავზე კაკალს აბერტყავდნენ. — დღევანდელი საღამოს იდეა გაჩნდა ამ სამი-ოთხი თვის წინ, როდესაც ინსტიტუტში დისკუსია დაიწყო თანამედროვე თეატრალური ხელოვნების გზებისა და მიმართულების შესახებ. დისკუსიაში ჩაბმული აღმოჩნდნენ როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები. მაშინ გადაწყდა ეს საინტერესო პრობლემა ვიწრო, შინაურული ჩარჩოებიდან გამოგვეტანა და ფართო მსჯელობის საგნად გვექცია. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ იდეა მხოლოდ შედეგით ფასდება და თეორიული მოსაზრების სიცოცხლისუნარიანობას პრაქტიკა არკვევს. ამიტომ... — აქ ნიამ ყელი მოიღერა, იდაყვში მოხრილი ხელები განზე გადაშალა და ხელისგულები ოდნავ მორკალული თითებით ისე დაიჭირა, თითქოს ზედ სანთლები ედგა და ეშინოდა არ გადმოცვივნოდა. ერთხანს უხმოდ გაშეშდა ამ პოზაში. მერე ლაპარაკი განაგრძო. ბოლოს, როცა ზოგადი მიმოხილვა მოათავა და საღამოს პროგრამის გასაცნობად სიტყვა გვერდით მჯდომი ბიჭისთვის უნდა მიეცა,

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზა შეიცვალა, მარჯვენა ხელი მკერდთან ახლოს მიიტანა, ისე რომ მტევანი ლამის ეხებოდა მარჯვენა ძუძუს, მარცხენა ხელი კი ორი მართი კუთხით (ერთი იღლიაში და მეორე იდაყვში), გამართული, ერთმანეთზე მიტყუპებული თითებით, მაღლა, თავს ზემოთ შემართა.

ამ პოზაში იდგა და რომელიღაც მავედრებელ ფრესკას განასახიერებდა, როდესაც აბელი წამოდგა.

— სად მიხვალ? — თავმოუბრუნებლად ჰკითხა ლადომ.

— მონასტერში.

აბელმა იგრძნო ლადოს მწყრალი და გაკვირვებული მზერა, მაგრამ არ მიუხედავს, უხმოდ გაიკვლია გზა მისი საქციელით უკმაყოფილო მაყურებლებს შორის, ჩქარი ნაბიჯით გაიარა დარბაზი, გასცდა უკაცრიელ ფოიეს, ჩაათავა უკაცრიელი კიბე და მეგარდერობე ქალების ცნობისმოყვარე მზერის ქვეშ ქუჩაში გავიდა.

აქ ერთხანს უძრავად იდგა და იმაზე ფიქრობდა, თუ საით წასულიყო. სევდა მწვავე ტკივილად დადიოდა სხეულში. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძვლებზე ფრჩხილებს უფხაჭუნებდნენ.

ბოლოს, როდესაც გადაწყვიტა მარჯვნივ წასულიყო, მარცხნივ შეტრიალდა და ნელა გაუყვა გზას. ცდილობდა მშვიდად და თანაბრად ესუნთქა, მაგრამ ამ მცდელობიდან არაფერი გამოდიოდა. ხელ-ფეხი დროდადრო ისე უდუნდებოდა, არ ეგონა, თუ არ წაიქცეოდა.

ქვის სოკოსთან შეჩერდა და წყალს ხარბად დაეწაფა. სითხემ ცივი კლაკვნით გაიარა გახურებულ გულ-გვამში და წამიერი სიცოცხლე შეიტანა იქ, მაგრამ თვითონაც მალევე გახურდა, საერთო ტემპერატურაში დაიკარგა და სიცოცხლის ნიშანიც ჩაქრა.

ბაღში შევიდა, ჩაბნელებული კუთხე მოძებნა და განმარტოებით მდგომ მერხზე დაჯდომა დააპირა, მაგრამ ამ განზრახვაზე იქვე აიღო ხელი. ხანდახან გონებაში ნიას მოღერებული ყელი, გადაშლილი მკლავები და კეკლუცი გამოხედვა ჩნდებოდა. ასეთ დროს სევდის ტკივილი ძლიერდებოდა, ძვლებზე უფრო სწრაფად უფხაჭუნებდნენ ფრჩხილებს და, თითქოს რაღაც უხილავი საგუბარი გახსნესო, მთელი სხეულიდან ერთბაშად ჟონავდა ოფლი.

აბელი ბაღიდან გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და აღმართს შეუდგა.

უეცრად სახლი მოენატრა. რაღაც უცნაურად, მწარედ მოუნდა თავის ოთახში ყოფნა. ფანჯრებს ჩაკეტავდა, კარს ჩაკეტავდა, შუქს ჩააქრობდა და იქნებოდა ბნელაში თავისთვის. მარტოდმარტო. ვერც ვერავინ დაინახავდა, ვერც ვერავინ გამოელაპარაკებოდა.

მაგრამ, ამ ძლიერი სურვილის მიუხედავად, გეზი არ შეუცვლია. გზა განაგრძო და მალე მთაწმინდაზე ავიდა. აქ ერთხანს იწრიალა, იბორიალა, ბოლოს გულზეხელებდაკრებილი გადმოდგა მთაზე და შორს, ქვემოთ, ელექტროშუქებით განათებულ ქალაქს დააკვირდა. გულში სასოწარკვეთა, სიცარიელე და ამაოების გაუსაძლისი სიმძიმე ედგა.

უეცრად აბელი მიხვდა, რომ არსებობდა წამალი, რომელიც ერთბაშად დააყუჩებდა მის ტკივილს და ზლაზვნითა და ტაატით მიმავალ დროზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული. ეს წამალი თვითმკვლელობა იყო.

თვითმკვლელობის ბუნდოვანი სურვილი ჯერ კიდევ ამ სამიოდე წლის წინ გაუჩნდა, როცა ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მაშინ ამ სურვილს ბუნდოვანების საბურველი ვერ ჩამოხსნა. იგი რატომღაც შორეული ოცნება ეგონა, ფუფუნება, რომელზედაც იოლად ვერ მიიწვდება ხელი. ახლა იგივე სურვილი შიშველი სახით წარსდგა მის წინაშე და იმდენად რეალური, იმდენად იოლი და საამოც კი ჩანდა, რომ აბელს გაუკვირდა, როგორ ვერ შებედა მაშინ, ფიზიკის ფაკულტეტზე, ხელი ჩაევლო და ჩამოეგლიჯა ეს ბუნდოვანების საბურველი.

რაკი გზა იპოვა და გადაწყვეტილება მიიღო, ცოტა გუნებაც გამოუკეთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე აუტანლად აღარ უფხაჭუნებდნენ ძვლებზე ფრჩხილებს და სიცარიელეც ისე მტკივნეულად აღარ უჭერდა მარწუხებს.

აბელი დაფიქრდა. თუ ამაღამვე დააპირებდა განაზრახის სისრულეში მოყვანას, ამისათვის მხოლოდ ერთი საშულება არსებობდა — წყალი. მაგრამ იყო კია აუცილებელი ამაღამვე მოეთავებინა საქმე? ახლა, როცა გადაწყვეტილების მიღებამ ცოტა შვება მოჰგვარა, თითქოს მოცდაც შეიძლებოდა, მეთოდების აწონ-დაწონა და მათგან საუკეთესოს არჩევა. მეთოდი კი, წყლის გარდა, კიდევ ბევრი ეგულებოდა: თოკი, ტყვია, დანა, საწამლავი... გარდა ამისა, ალბათ საქმეების მოწესრიგებაც საჭირო შეიქნებოდა. ერთი და ორი დღით ხომ არ მიდიხარ კაცი! იქნებ ნიასაც უნდა შეხვედროდა. ზოგი რამ აეხსნა და სიკვდილის წინ კეთილი რჩევა მიეცა... ნიასთან შეხვედრა ისე, საკითხის დასმის წესით გაიფიქრა, დარწმუნებით ჯერ არ იცოდა, საჭირო იქნებოდა თუ არა.

საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აჩქარება და წინდაუხედაობა ამ საქმეში არ ივარგებდა. ეს ერთი ღამე როგორმე უნდა გაეძლო, ყველაფერი კარგად გაეანალიზებია, ყველაფერი თავთავის ადგილას დაეწყო და ხვალ მშვიდად და წყნარად გაეკეთებინა გასაკეთებელი.

მთაწმინდიდან ნელა, აუჩქარებლად დაუყვა ბილიკს, ფერდობი ჩაათავა, გზაზე გავიდა, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩების მთელი წყება გალია, რუსთაველი ფეხით გაიარა და, კარგად რომ დაიღალა, მაშინღა ავიდა ავტობუსში.

კარი რომ გააღო, ხმაურზე დედამ გამოიხედა.

— მოხვედი, დედა? სადა ხარ აქამდე?

— არსად, საქმე მქონდა, — აბელმა ოდნავ უკმაყოფილო კილო გამოურია ხმაში, რათა შემდგომი კითხვები აერიდებინა, მაგრამ ამ დროს შენიშნა, რომ დედა მარტო არ იყო. ოთახში მაგიდასთან ლადო მენაბდე იჯდა და თხილს შეექცეოდა. წინ ნაჭუჭებით სავსე თეფში ედგა. თეფშის გვერდით თხილის სამტვრევი იდო.

დედა აღელვებული ჩანდა, ლადო — გაბრაზებული.

— სად იყავი? — ლადოს თავი არ აუწევია, თხილი აიღო, სამტვრევში ჩადო და გატეხა.

— მთაწმინდაზე.

— მთაწმინდაზე? — ახლა კი მოიხედა ლადომ, თუმცა საქმიანობა არ შეუწყვეტია, გატეხილ თხილს ორივე ხელით არჩევდა. — რატომ?

— იმიტომ.

— ველად გაიჭერი?

— მთად.

ლადომ ათვალწუნებით შეხედა და ერთხანს უყურა. მერე დედამისს მიუბრუნდა:

— დეიდა ქეთევან, საწოლის ფეხზე გამოვაბამ და ქამრით ვცემ.

— გამოაბი, შვილო, და ცემე, — ისე მშვიდად და უბრალოდ დაყაბულდა აბელის დედა, რომ აბელსაც კი გაეცინა.

— მერე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდი, ერთი მაინც გეკითხა, იქნება მეც მინდოდა მთად გაჭრა?

— მთად გაჭრა მარტო უნდა. კარგად ჩაიარა საღამომ?

ლადო ისევ აბელის დედას მიუბრუნდა.

— საღამო დაწყებული არ იყო, რომ წამოვარდა უცებ გიჟივით და უკანმოუხედავად მოკურცხლა. თურმე ნუ იტყვით და, ამას რომ გოგო მოსწონს, იმ გოგომ კარგად ვერ გაიარა სცენაზე და აჟეთი ჟესტი გააკეთა. — ლადომ მარჯვენა ხელი მკერდთან მიიტანა და მარცხენა, იდაყვში მოხრილი, მაღლა აიშვირა. — იმის მაგივრად, რომ გაეკეთებია, ვთქვათ, ასეთი ჟესტი. — ლადომ ხელები შეცვალა, ამჯერად მარცხენა მიიტანა მკერდთან და მარჯვენა აიშვირა მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთი ეჭვი მაქვს, ლადო, რომ მაგას პირველად არ ყვები. ერთი რეპეტიცია ჩემს მოსვლამდე გაქვს გავლილი, — თქვა აბელმა. — მეც მინდა თხილი.

— აგერ, დედა, — დედამ თეფში და სამტვრევი მოუტანა.

— შენა ხარ შუა საუკუნეების რაინდი, — უთხრა ლადომ. — რომელიც მაქსიმალისტია არა რწმენით, არამედ იმის გამო, რომ რეალურობის გრძნობა არ გააჩნია. ცოტა გულუბრყვილო რაინდი, ცოტა შერეკილი და კომიკურობამდე პატიოსანი.

— სახე უკვე გახსნა, — დედას მიმართა აბელმა და თავით ლადოზე ანიშნა. — ახლა მოქმედების ხაზს დამიზუსტებს და მერე კონკრეტულ მიზანსცენებზე გადავა.

— ზღარბი ხარ შენ, შუა საუკუნეების რაინდო, — უთხრა ლადომ.

— მაგას რა ჭკუა აქვს, დედა, — აბელს მიუბრუნდა დედამისი. — სცენაზე როგორ გაივლის და ხელს როგორ აიშვერს! მთავარია, ისე როგორაა და ისე თურმე ძალიან კარგი გოგო ყოფილა. ზედმეტი...

— სია შეადგინეთ? — შეაწყვეტინა აბელმა და თხილის გული პირში ჩაიდო.

— რა სია? — გაუკვირდა დედას.

— ხალხის. დასაპატიჟებელი ხალხის. ხომ უნდა ვიცოდეთ, რამდენ კაცს ვპატიჟებთ ქორწილში, რომ მერე ამის მიხედვით სურსათ-სანოვაგის თადარიგი დავიჭიროთ, — ამ სიტყვებით ლადოს მიუბრუნდა. — ხელისმომკიდე შენ იქნები?

— წავედი, — თქვა ლადომ, თხილის სამტვრევი მაგიდაზე დადო და ზეზე წამოდგა.

— ჰო, — ქუშად გამოეპასუხა აბელი. — ძილის დროა უკვე.

— აბელ! — საყვედურით უთხრა დედამ.

— ეჩქარება კაცს. — მხრები აიჩეჩა აბელმა.

— ნახვამდის, დეიდა ქეთევან, — ღიმილით დაემშვიდობა ლადო. — მაგას ხვალ მოვუვლი.

— გააცილე, აბელ, — ჩუმად უთხრა დედამ, როცა ლადომ კარი გამოაღო.

— იცის გზა, — ხმამაღლა, ლადოს გასაგონად მიუგო აბელმა.

ლადო ღიმილით დააცქერდა აბელს, მერე, ღამე მშვიდობისაო, თქვა და წავიდა.

— რამ გაგაფხუკიანა, დედა, ასე...

აბელმა ხმის კილოზე შეატყო, რომ დედა გრძელი მონოლოგის თქმას აპირებდა, და შეაწყვეტინა:

— მაპატიე, დედა, სამეცადინო მაქვს.

დედას ეწყინა, მაგრამ ეცადა არ შეემჩნია.

აბელი თავის ოთახში შევიდა. ცოტა სინდისი კი ქენჯნიდა, დედას რომ გამზადებული მონოლოგი წყალში გადაუყარა, მაგრამ ეს ამბავი იქვე გადაავიწყდა, რადგან უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი. ოთახში შესულმა პირველ რიგში ის ძლიერი და გაუგებარი წადილი აისრულა, რომელიც ცოტა ხნის წინ მთაწმინდისაკენ მიმავალს დაეუფლა: კარი ჩაკეტა, ფანჯრები ჩაკეტა, შუქი ჩააქრო და სიბნელეში დარჩა.

ტახტზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, ხელები მკერდზე ჯვარედინად დაიკრიბა და მაშინვე ის საზარელი ეპიზოდი გაახსენდა, ნია რომ სცენაზე შემოვიდა. რა ყალბად მოდიოდა, რა არაადამიანურად! ბოლოს რა ჟესტით დააგვირგვინა ეს ყველაფერი! თურმე რა მწარედ ვცდებით, როცა გვგონია, ადამიანს ვიცნობთ! რა გულუბრყვილოდ, რა დაუფიქრებლად ვენდობით ჩვენს თავს! აბელს ათასი სიტყვა შეეძლო ეთქვა ნიას შესახებ, ათიათასი სიტყვა შეეძლო ეთქვა, და არასოდეს აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ ეს გოგო საგანგებოდ იდგა ხოლმე სარკის წინ და ხმის კილოსა და ჟესტ-მიმიკას ამუშავებდა. აბელს დაჯერებაც კი უჭირდა, რომ ეს ნია იგივე ნია იყო, რომელიც სახეგაბრწყინებული ეგებებოდა, იგივე ნია, რომელსაც არასოდეს შეტყობია იმაზე დაფიქრებულიყოს, თუ როგორ გადაედგა ნაბიჯი, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმია კილოსთვის რამე საგანგებო გამომსახველობა მიენიჭებოის. იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ სცენაზე ადამიანის ფსიქიკა ყირაზე დგება და იქ სტანისლავსკის სისტემა მოქმედებს და არა ღვთის მიერ ბოძებული ბუნებრივი სისტემა? თეატრალურ ინსტიტუტში ჩვეულებრივ ხალხს იღებენ და მერე მათგან სტანისლავსკის სისტემით ხელოვნური ხალხი გამოჰყავთ.

აბელი წამოდგა და ჩაბნელებულ ოთახში გაიარ-გამოიარა. საშუალება ბევრია: წყალი, თოკი, ტყვია, საწამლავი, ფანჯრიდან გადახტომაც საშუალებაა... რა ბედნიერებაა, რომ ადამიანი უკვდავი არაა და ყოველთვის აქვს ერთი გამოსავალი, თავია დახსნის ერთი გზა. საშინელება იქნება, კაცი რომ უსასრულოდ ცოცხალი იყო და ძვლებზე უსასრულოდ გიფხაჭუნებდნენ ფრჩხილებს.

იაევ ტახტზე დაჯდა, გონებას ერთ ადგილაა მოუყარა თავი და დაფიქრდა, რათა საშუალებათა მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან ბოლოს და ბოლოს რომელიმე ამოერჩია. წყალი, თოკი, ტყვია, დანა, საწამლავი, ფანჯარა... დაკვირვებით და შეუცდომლად რომ ამოერჩია, ჯერ კარგად, დეტალურად წარმოიდგინა ყველა პროცესი. წყალი. ყელზე ქვა უნდა გამოიბა, თორემ სიცოცხლის ინსტინქტი გადამწყვეტ მომენტში ზედაპირზე ამოგაგდებს. სუნთქვა შეგეკრება, ყურები დაგიგუბდება, წყლის ყლაპვას დაიწყებ, გაიბერები, ამოსუნთქვის დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდება, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე საოწარკვეთილი, პანიკური შიშით შეპყრობილი, ყელზე გამობმულ ქვას ჩაფრინდები. უკანასკნელი, განწირული ძალით შეეცდები მოიგლიჯო... ცუდია. თოკი. ფეხს ჰკრავ და წააქცევ სკამს, რომელზედაც იდექი. ერთადერთ საყრდენს. ბოლო იმედს. ყველაფერს ალბათ ტყვია სჯობა, მაგრამ რევოლვერი სად გინდა იშოვო?

უეცრად აბელს თვალწინ წარმოუდგა ნია, რომელმაც გაიგო, რომ აბელმა თავი მოიკლა. აბელი ტომარასავით ჰკიდია თოკზე. უკვე აღარ ფართხალებს, მხოლოდ ოდნავღა ქანაობს ინერციით. ნიამ ჯერ სარკის წინ ივარჯიშა. შეარჩია მისი აზრით ყველაზე უფრო გამომსახველი ჟესტი და მერე მოვიდა. შემოვიდა ოთახში, ერთი კი გამოიხედა აბელისკენ და ის მომზადებული ჟესტი გააკეთა: მარჯვენა ხელი გაშლილი, გაფარჩხული თითებით სახესთან მიიტანა, ისე რომ ხელის ზურგი სახისკენ ჰქონდა მიქცეული. მარცხენა ხელი აგრევე გაშლილი, გაფარჩხული თითებით ოდნავ უფრო წინ და ოდნავ უფრო მაღლა დაიჭირა. და ერთხანს გაშეშდა ამ პოზაში, თან ტრაგიკული ხმით თქვა: „ოჰ!“

ამ ხილვამ აბელი შეაძრწუნა და უცებ დაეჭვდა: იქნებ არ იქცევა სწორად? სასაცილო ხომ არ შეიქნება ხალხის თვალში? აგდებული ღიმილით ხომ არ იტყვიან, რისთვის მოიკლა თავი ამ სულელმა. ქალს სერიოზულად როგორ უნდა უყუროო! ანდა ნია ხომ არ იამაყებს კიდეც იმით, რომ მის გამო ვიღაცამ შუბლში ტყვია დაიხალა ან ყულფში თავი გაჰყო? საერთოდ, ნუთუ შესაძლებელია ადამიანი იმიტომ დაიბადოს, რომ ცხრამეტი წლისამ თავი მოიკლას? ესეც არ იყოს, ლალატი ხომ არ არის თვითმკვლელობა? სულმდაბლობა, სილაჩრე, იოლი გამოსავალი. ვერ აგიტანია, ვიღაც რომ ძვლებზე ფრჩხილებს გიფხაჭუნებს, ვერ გაგიძლია ტკივილისთვის და თავს იკლავ! რა ვაჟკაცობაა!

მაგრამ, — აბელი წამოდგა, ნელა გადაიარა ოთახი, წიგნების თაროს მიადგა და დააკვირდა, ისე, უაზროდ დააკვირდა, გარჩევით ამ სიბნელეში მაინც ვერაფერს გაარჩევდა, — მაგრამ იქნებ თავად ეს ეჭვი გააჩინა შიშმა, სიკვდილის შიშმა, იქნებ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მეთოდები და საშუალებები რომ ცხადად და მკაფიოდ წარმოუდგა თვალწინ, სიცოცხლის ინსტინქტმა გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვიძა, ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, ჩაჩქანი დაიხურა, ფარიც აიღო და კარიც ჩაკეტა?

აბელი დაიბნა. გადაწყვეტილება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მტკიცე, სწორი და ერთადერთი ეგონა, ახლა საეჭვო და საჭოჭმანო გახდა, რადგან სერიოზული, საფუძვლიანი მოსაზრებები ძნელად გადასალახავ დაბრკოლებად გადაეღობა. მაგრამ ამ „საფუძვლიან მოსაზრებებსა და ძნელად გადასალახავ დაბრკოლებას“ თავად ელობება წინ ეჭვი იმისა, რომ ყოველივე ეს, მთელი ეს მიზეზები და საბუთები სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ნიღაბი, გონების მიერ გამოჩორკნილი. შიში. თავის მოკვლა ვერ გაგიბედია. მაგრამ არ გინდა გამოტყდე და ცდილობ ეს გაუბედაობა გონიერებად გაასაღო.

აბელი გულწრფელად ცდილობდა ვითარებაში გარკვეულიყო და ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი შიში (თუკი მართლა ეშინოდა) სიკვდილის შიში კი არ იყო, ტკივილის შიში იყო. ამიტომაც არჩევდა ასე გულმოდგინედ „საშუალებებს“, ამიტომაც უარყო წყალი, თოკი, ფანჯრიდან გადახტომა. ამიტომაც ეძებდა უმტკივნეულო გზას.

თუ ეს ყველაფერი მართლა ასეა, მაშინ მარტივი არჩევანი ჰქონია. არჩევანი ორ ტკივილს შორის. და ეტყობა, სიკვდილის წინარე ტკივილს ეს ტკივილი ერჩივნა, ახლა რომ განიცდიდა. ახლა რომ განიცდიდა და კიდევ არაერთხელ რომ მოუწევდა განცდა ცხოვრების გზაზე.

აბელი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და გადაიხედა. სიმაღლე შეამოწმა. მერე მობრუნდა და შუქი აანთო.

და უეცრად, რაღაც უცნაური სიცხადითა და ჯიუტი თანმიმდევრობით მეხსიერებაში რიგრიგობით ამოტივტივდნენ მირიანის მამა, მირიანი, მათი წიგნები, მირიანი და წიგნები, თითქოს ჯაჭვს ორი რგოლი მოწყდაო, მყისვე ისევ გაქრენ. დარჩა მირიანის მამა, ისეთი, როგორიც მირიანის სიკვდილის შემდეგ ნახა აბელმა: მწუხარე და მშვიდი. იდგა იგი, მაღალი, სათვალიანი, ნაღვლიანად დაფიქრებული. იდგა და რაღაც იცოდა ისეთი, რის გამოც მისი მწუხარება ისე იდო გაუგებარ სიმშვიდეში, როგორც სურათი შავ არშიაში.

ამ სურათმა აბელის აფორიაქებულ სულში რაღაც უცხო ჰარმონია შეიტანა. აბელი დამშვიდდა, წიგნების თაროს მიადგა, შეჩერდა, კარგახანს იდგა ასე. თითქოს რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებიაო. ბოლოს გაიღიმა.გაიღიმა თავისუფლად, შვებით. აქ, თაროს ამ შორეულ კუთხეში აინშტაინი იყო. ბორი, ბორნი... ის წიგნები, რომლებისთვისაც თითქმის სამი წელიწადია ხელი არ უხლია. და ამ სამი წლის განმავლობაში თურმე ისე ენატრებოდა, როგორც სახლი მოგენატრება შორეულ მოგზაურობაში მყოფს.

აუჩქარებლად გადაარჩია, რამდენიმე მათგანი აიღო და მაგიდაზე დადო. თვითონაც მაგიდას მიუჯდა. იმ არჩეულებიდან ერთი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

დილამდე იკითხა. დილით ადგა, დაიბანა, ისაუზმა. დედას ლოყაზე აკოცა. ოთახში შებრუნდა და შუადღემდე ისევ იკითხა. ნაადრილევს ლადოსთან წავიდა, ისაუბრეს. ქალაქში იხეტიალეს. კინოში შევიდნენ, კინოს მერე კიდევ იხეტიალეს და ისაუბრეს. შინ მობრუნებული ნავახშმევს კვლავ თავის მაგიდას მიუჯდა და შუაღამემდე იკითხა. ნაშუაღამევს დაიძინა. დილით ინსტიტუტში წავიდა. შესვენებაზე დერეფანში ნიას შეხვდა და დარწმუნდა, რომ სიყვარულის ნარჩენები, როგორც კვამლი ჩამქრალი ხანძრის შემდეგ. ნელ-ნელა იფანტებოდა და ქრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი მეექვსე

მომდევნო ორი წლის განმავლობაში აბელის სახეს ახალი შტრიხი აღარ შემატებია. ეს გასაგებიცაა. ცხრამეტიოცი წლის კაცი უკვე ჩამოყალიბებულია როგორც პიროვნება. ძირითადი ხაზები გავლებულია, ძირითადი ფერები წასმულია და, ასე ვთქვათ, მთავარი სამუშაო მოთავებულია. მართალია, მასში ერთხანს კიდევ შეიმჩნევა არამდგრადობა და ცვალებადობისაკენ ლტოლვა, მაგრამ ეს უფრო მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. ასეთ დროს კაცი საგამოცდო ვადას გადის, როგორც ახლად დამთავრებული სახლი, რომელსაც დრო სჭირდება, სანამ საბოლოოდ დაეფუძნებოდეს საძირკველს და საკუთარ სხეულს შეეჩვეოდეს. ახალი უკვე აღარაფერია მოსალოდნელი, მხოლოდ არსებული ხაზები და ფერები განიცდიან ოდნავ ცვლილებებს: ზოგი მათგანი უფრო გამოკვეთილი და რელიეფური ხდება, სხვები მკრთალდება და მეორე პლანზე გადადის და ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულ ფორმას იღებს, როგორც სიმინდი, როცა გობს შეანჯღრევენ, რათა მარცვლები მჭიდროდ ჩასხდნენ ერთმანეთის გვერდით და ცარიელი ადგილები შეძლებისდაგვარად შეივსოს.

როდესაც დიდი თეატრალური საღამოს შემდეგ ნია რობაქიძეს შეხვდა და დარწმუნდა, რომ მისი სიყვარული ხანძრის შემდეგ დარჩენილ კვამლს ჰგავდა, ეგონა, ეს კვამლი სულ მალე გაიფანტებოდა, მაგრამ მოტყუვდა. როგორც გამოირკვა, კვამლი ნედლ მუგუზალს ასდიოდა და ეს ნედლი მუგუზალი დიდხანს ბოლავდა. შიშინებდა, იცრემლებოდა, ხრჩოლავდა და ცხვირსა და თვალებს სწვავდა. ნიას დანახვაზე გული ძველებურად შეუტოკდებოდა ხოლმე, მაჯისცემა ძველებურად უხშირდებოდა, მაგრამ ახლა ამ მღელვარებაში, როგორც ნაწვიმარი წყლის მღვრიე ნაკადი, შხუილით შემოდიოდა იმ შემზარავი საღამოს შხამიანი მოგონება, რომელიც სიყვარულის მღელვარებას სიძულვილის მომწვანო ფერით აზავებდა და საწამლავის მწარე გემოს აძლევდა. სიყვარულისა და სიძულვილის ეს უცნაური ნარევი უსიამო, მაგრამ გარდაუვალ აღგზნებას იწვევდა და ავ, დაუნდობელ ირონიად მჟღავნდებოდა. აბელი შეგნებულად არასოდეს ცდილობდა, როგორღაც თავისთავად გამოსდიოდა, რომ ნიას ყოველი შეხვედრისას კენწლავდა, სიტყვას დიდ თეატრალურ საღამოზე გადაუკრავდა და, რაც შეეძლო, ამწარებდა. ნია ვალში არ რჩებოდა და ირონიას ირონიით პასუხობდა.

დიდხანს გაგრძელდა ეს დაძაბული და აღგზნებული სიძულვილ-სიყვარული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მუგუზალი ჩაქრა, კვამლი გაიფანტა, სიყვარულიცა და სიძულვილიც ერთდროულად ამოიძირკვა და ნია იქცა ერთ ჩვეულებრივ გოგოდ, რიგით ნაცნობად, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა სხვა რიგითი ნაცნობებისაგან. თითქოს ეს ამოდენა ვნებათა ღელვა, კინაღამ თვითმკვლელობით რომ დამთავრდა, საერთოდ არ ყოფილიყოს.

სანამ ამ უჩვეულო სიძულვილ-სიყვარულის სიმხურვალე არ განელდა, აბელი ჯიუტი გატაცებით, რაღაცნაირი ჟინით ანთებული, დღისით და ღამით კითხულობდა ორი თუ სამი წლის წინ დავიწყებულსა და მერე ისევ გახსენებულ წიგნებს. აღარც ლექციებზე ყოფნა უნდოდა, აღარც ხეტიალი, აღარც კინო, აღარც ამხანაგები. ერთი სული ჰქონდა, შინ დაბრუნებულიყო, თავის ოთახში ჩაკეტილი მაგიდას მიჯდომოდა და მთელი არსებით დანთქმულიყო ამ წიგნებში. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამით რაღაც კომპენსაციას პოულობდა იმ თავზარდამცემი იმედგაცრუების სანაცვლოდ, რომელიც ნია რობაქიძის თეატრალობამ მოუტანა. მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რე და მერე, როცა ტრაგედია წარსულად იქცა და ნელ-ნელა ფარსის სახე მიიღო, მართალია, ის გატაცება და ჟინიც ჩაუცხრა, მაგრამ ჩაუცხრა როგორც ჯიბრი და კომპენსაციის ძიება, თორემ გახსენებული წიგნები ალარასოდეს დავიწყებია და მათი მშვიდი, უბრალო სიყვარული სამუდამოდ დარჩა. ამის შემდეგ აინშტაინი და სტანისლავსკი თანაარსებობის მშვიდობიან პოლიტიკას დაადგნენ და ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ.

აბელმა ინსტიტუტი დაამთავრა და ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში იქნა გამწესებული.

თერთმეტ ნოემბერს ორ მომცრო ჩემოდანში ჩაალაგა მთელი თავისი ავლადიდება, გიტარა მხარზე გადაიკიდა, ნაშუალამევს ჩაჯდა ყვითელ მატარებელში და პროვინციაში გაემგზავრა.

განაწილების თანახმად, სამსახურში გამოცხადების ვადა ათი სექტემბერი იყო, მაგრამ აბელი დედის ავადმყოფობამ შეაფერხა. ზაფხულში დედა შეუძლოდ შეიქნა. ექიმებმა დიდხანს უკირკიტეს, დიდხანს იკვლიეს, დიდხანს აწვალეს და საბოლოოდ ფილტვის კიბო დაუდგინეს. კიბო არავითარ ანგარიშს არ უწევდა ადამიანების სამსახურებრივ მოვალეობას და მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს მოითავა საქმე. ოქტომბრის ბოლოს მშობლიური ნიადაგიდან ამოვარდა უკანასკნელი ფესვი და აბელი, საბოლოოდ დაობლებული და საბოლოოდ განთავისუფლებული, წავიდა პროვინციულ თეატრში, რომელიც ყოველდღიური ერთფეროვნებით მოქანცულ ადამიანებს ნემსივით უკეთებდა მრავალფეროვნების ილუზიას.

მანქანაში, სადგურისაკენ მიმავალი, თვალგაშტერებით მისჩერებოდა მძღოლის ტყავის ქურთუკს, რომელიც მარცხენა ბეჭს ქვემოთ მრგვალად იყო გამომწვარი, ისე რომ ნეკა თითი თავისუფლად შეეტეოდა, გულზე მსუბუქი სევდა აწვა და ცდილობდა წარმოედგინა უცნობი ქალაქი, სადაც მისი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი უნდა გათამაშებულიყო.

პროვინცია ყვავილნარში ჩაფლული სიმყუდროვეა. შემოღობილი მწვანე ეზოები, ღობის ძირას მაღალი ვარდები, ყელმოღერებული გოგოები ვარდებივით იყურებიან ღობიდან და კულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ გამვლელებს. ქალაქის ირგვლივ — ფერდობები, ფერდობებზე — ვაზი, ზემოთ — ზვიადი მთები, შორს — მაღალი მწვერვალები და მარადიული თოვლი. შხაპუნა წვიმა, გრილი სისველე და ბავშვობის ბუნდოვანი მოგონება, როგორც სამყარო შეჭირხლული ფანჯრიდან. წვიმაში ვაზი, სველი მტევნები, ცივი ყურძენი, რბილი მიწა, შიშველი ფეხები, ყვავილების თაიგული...

ყვავილები, რომლებიც იკრიფება და თაიგულად იკვრება.

აბელს წარმოდგენა არ ჰქონდა, მართლა იყო ბავშვობაში ასეთი ეპიზოდი, თუ ყველაფერი გვიანდელმა ფანტაზიამ შეთხზა.

მატარებლის კუპეში არავინ დახვედრია და არც მერე შემოსულა ვინმე. ამან გაახარა. უცხო, შემთხვევით ხალხთან მუსაიფი არ უყვარდა, მით უმეტეს ახლა, როცა გულზე მშობლიურ ქალაქთან განშორების ცრემლიანი სევდა ჰქონდა შემოწოლილი. მარტო ყოფნა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო.

მატარებელი რომ დაიძრა, ლოგინი გაიშალა, დაწვა და ფიქრებში წასულს არ გაუგია, როდის ჩაეძინა.

გამთენიის ხანს გამოეღვიძა. გარეთ მღვრიე, თეთრი ბურუსი იდგა. მატარებელი ტრიალ მინდორზე მიჰქროდა. კარგად რომ დააკვირდა, სიმინდის ძირები გაარჩია და მიხვდა, რომ ეს ტრიალი მინდორი სინამდვილეში ნაყანევი იყო.

ტანთ ჩაიცვა. პირი დაიბანა. მერე კუპეში სარკმელთან დადგა და უცნობ სივრცეს დაუწყო თვალიერება. ბურუსი ნელ-ნელა იფანტებოდა.

ბოლოს უხილავი ჭიშკარი გაიღო და ყვითელი მატარებელი სტვენითა და კივილით შევარდა პატარა პროვინცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ქალაქში, სადაც აბელს თეატრალური ფრთები უნდა გაეშალა.

მატარებლიდან გადმოვიდა. ჩემოდნები ძირს დადგა და დაკვირვებით მიმოიხედა.

ხალხი ნელა, ტაატით გადმოდიოდა მატარებლიდან და ნელა, ტაატით მიედინებოდა ქალაქისაკენ, როგორც მდორე წყალი, როგორც უქარო ღრუბელი, რომელსაც არსად არ ეჩქარება.

არავის არსად არ ეჩქარებოდა. ირგვლივ ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც შენელებულ კინოკადრში. აბელმა მხრები აიჩეჩა, ჩემოდნებს ხელი დაავლო და მკვირცხლად, მხნე ნაბიჯით მიაშურა შემნახველ საკანს.

ჩემოდნები დატოვა, ქალაქში გამოვიდა, ვაგზლის პატარა, ჭუჭყიანი მოედანი გადაკვეთა და ალალბედზე დაადგა ერთ-ერთ ქუჩას.

ყელმოღერებული ვარდები და გრძელკაბიანი, ცნობისმოყვარე გოგონები არსად ჩანდა. ირგვლივ მხოლოდ ყვითელი ფოთლები იყო. ყვითელი ფოთლები დიდხანს, უხალისოდ ტრიალებდნენ ჰაერში და მერე ზანტად ეშვებოდნენ ძირს. ქარი უბერავდა და თეთრ ღრუბლებს უხილავი ფარეხისაკენ ერეკებოდა.

ვაგზლის მახლობლად სულ ორ და სამსართულიანი სახლები იყო. ძველებური, ულაზათო, მოსაწყენი სახლები, რომელთა დანახვაზე კაცს ვეებერთელა, ბნელი და გრილი, დარაბებიანი ოთახი გახსენდება, სადაც მზე და სინათლე ცოტაა და ამიტომ ერთთავად ავადმყოფი გგონია თავი.

ციოდა. აბელმა ქურთუკის საყელო აიწია და ღილებიც შეიკრა. ადრიანი დილა იყო და ქუჩაში ხალხი კანტიკუნტად ჩანდა.

ვაგზალს რომ კარგა მანძილზე გასცდა, ხელმარცხნივ გაუხვია. კიწრო ქუჩაში. ქუჩის პირას, ტროტუარსა და სამანქანო ნაწილს შორის, პატარა არხში წყალი მიწანწკარებდა. ქუჩას ორივე მხარეს მოზრდილი ჭადრები და აგურით ნაგები, ლამაზი, ეზოიანი სახლები მისდევდა. ვარდები და ვარდივით გოგონები არც აქ ჩანდნენ.

აბელმა ეს ქუჩაც ჩაათავა და უფრო ფართო ქუჩაზე გავიდა. ჭადრები აქაც იყო, მაგრამ წყალი არ მიწანწკარებდა და პატარა, კერძო სახლებს აქა-იქ, როგორც აქსელირებული თანამოძმეები, გვერდით ამოდგომოდნენ თანამედროვე მაღალი სახლები.

ერთი საათი ასე იხეტიალა, ხან მარჯვნივ გაუხვია, ხან მარცხნივ, ათვალიერებდა ქუჩებს, სახლებს, ეზოებს, ბოლოს კიდევ ერთ მოსახვევს მიადგა.

ეს იყო ძალიან ვიწრო, ქვაფენილი ქუჩა, დაბზარული, ჭუჭყიანი, ალაგ-ალაგ აყრილი ტროტუარით. ქუჩა დამრეცად ეშვებოდა ქვემოთ ორასი-ორას ორმოცდაათი მეტრის მანძილზე, მერე მარჯვნივ უხვევდა და სახლებიც უკან იკარგებოდა. აგურის ფორმისა და აგურის ზომის რუხი ქვები, გარდიგარდმო მჭიდროდ და მკვიდრად ჩალაგებული მთელ თავდაღმართზე, აქაურობას თითქოს რაღაც უცხო იერს ანიჭებდა. ქუჩის ორივე მხარეს, თავიდან ბოლომდე, ჩამწკრივებული იყო დუქნები და ნაირ-ნაირი სახელოსნოები. დუქნების თავზე, ასევე ქუჩის მთელ სიგრძეზე, პირდაპირ შუა ქუჩაში გადმომდგარიყვნენ ხის აივნები რიკულებიანი მოაჯირებით, რომლებიც თითისტარის ფორმის პატარა მუცლიან სვეტებს ეყრდნობოდნენ. ქუჩის სივიწროვის გამო აივნები ისე ახლო იყვნენ ერთმანეთთან, რომ მოაჯირზე გადმოყრდნობილ მეზობლებს შეეძლოთ ჩურჩულით ელაპარაკათ.

დუქნები და სახელოსნოები რიგი ღია იყო და მუშტარს ელოდებოდა, რიგი ახლა იღებოდა და რიგს ჯერ კიდევ ბოქლომი ედო. ხარაზი, რომელსაც ქუჩის ზედა თავში მოეწყო ფარდული, ადრიანად მოსულიყო და უკვე გამოეფინა თავისი საქონელი — ნაირ-ნაირი ფერის, ნაირ-ნაირი ფორმისა და ზომის

წალები. წალების ნაწილი თხილის წნელისაგან დაწნულ ორ მოზრდილ ჩელტზე ეწყო, ნაწილი ფარდულის კედლებსა და კარზე ეკიდა. თვითონ, პირხმელი, ხშირი შავი თმით, ჯაგარა ულვაშებითა და ლურჯი წინსაფრით, ფეხმორთხმით იჯდა ჩელტებს შუა თხის გრძელბეწვიან ტყავზე და გასანთლული ძაფით ახალ წალებს კერავდა. სახარაზოს გვერდით ფართლეულის დუქანი იყო. პატარა, პირმრგვალი, ღიპიანი მედუქნე, რომელიც წვრილ თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებსო, ის-ის იყო მოვიდა, კარი გააღო და საქონლის გამოფენა დაიწყო. ახალმოსულები და დამხვდურები ხმამაღლა ესალმებოდნენ ერთმანეთს და ხმამაღლა კითხულობდნენ ერთმანეთის ოჯახისა და საქმიანობის ამბავს. ამიტომ მთელ ქუჩაში ყაყანი ისმოდა. სახარაზოსა და ფართლეულის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა მხარეს, ფარდებჩამოფარებული, დაკეტილი დუქანი იყო. მის გვერდით გაურკვეველი ეროვნების კაცი, მაღალი ჭაღარა მოხუცი, ხის მოხატული ყულაბებით, ჯამებითა და კათხებით ვაჭრობდა. სადალაქოში თეთრხალათიანი, შავი, გრძელცხვირა დალაქი ღიღინით ლესავდა სამართებელს და თან ცალი თვალი ქუჩისკენ ეჭირა. ცოტა ქვემოთ სამჭედლური იყო. სამჭედლურის წინ ტანმაღალ, ჩამოსხმულ, შავგვრემან, ხუჭუჭთმიანსა და წვერგაუპარსავ ახალგაზრდა კაცს ცხენი ლაგამით ეჭირა. სამჭედურში პატარა ბიჭი, ჩაფსკვნილი და ჯანიანი, საბერველის ტარს მშვიდად, რიტმულად ამოძრავებდა. საბერველი ქშინავდა და ვეშაპის ლაშს ჰგავდა. ვიწრო, ხახვრად ბნელი სასადილოს წინ ქალი სპილენძის მაღალი სურიდან წყალს უსხამდა კაცს და ზედ ტროტუარზე აბანინებდა ხელ-პირს. ქუჩაში მრავალი დუქანი და ფართო ასორტიმენტის საქონელი იყო: წვრილმანები, ძველმანები, რკინეულობა, თიხა, ტანსაცმელი, ქუდები, ტკბილი წყალი და ათასი ხარახურა. ქვემოთ, ქუჩის ბოლოდან ურემი მოდიოდა. ურემში ცალი კამეჩი იყო შებმული. კოფოზე მოხუცი გლეხი იჯდა. დიდი, ჭაღარა ულვაშები ჰქონდა, ფართო შუბლი და დაფანჩული წარბები. ხელში წკეპლა ეჭირა და კამეჩს დროდადრო ხმადაბლა უწრუპუნებდა.

ქუჩაში რაღაც გაურკვეველი სუნი იდგა. ეტყობა, ყველაფერი ერთად იყო არეული: გავარვარებული რკინა, დილის გრილი და გამჭვირვალე ჰაერი, ნეხვი, ახლად შეკერილი წალები, აქაფებული საპონი, ნამგზავრი ცხენი, მტვერი, ოფლი... ყოველივე ეს ერთმანეთში ირეოდა და გაურკვეველ სუნად იდგა, რომელიც რაღაც მოგონებას აღვიძებდა და ვერც აღვიძებდა.

აბელი ნელა მიაბიჯებდა თავდაღმართში და ყურადღებით აკვირდებოდა ჰაერში გადმოკიდებულ ჩუქურთმიან აივნებს, რომლებიც ორ-ორი საყრდენით იყო გამაგრებული ისე, რომ საყრდენის ერთი ბოლო აივნის ერთ კუთხეს ებჯინებოდა, მეორე ბოლო — დუქნის კედლებს კარს ოდნავ ზემოთ. ყურადღებით აკვირდებოდა მაღლა აივნებს და დაბლა დუქან-სახელოსნოებს. და როცა ყოველივე ეს, სპეციფიკურ და გაურკვეველ სუნთან შეზავებული, მთელ არსებაში შემოვიდა, მოძალებულ ფანტაზიას წამით სადავე მიუშვა. მაშინვე დრომ და სივრცემ სიმტკიცე დაკარგეს, დაიშალნენ და დაიფანტნენ, თითქოს მთავარი ძარღვი გამოეცალათო, და აბელს მოეჩვენა, ვითომ დრომ სადღაც საკუთარ სიღრმეში გადაინაცვლა და ახლა ეს ქუჩა, ეს აყაყანებული, ლაღი, მძლავრი და თან მშვიდი სიცოცხლით ცოცხალი ქუჩა, ეს ფერები, ეს სახეები, ეს ხმაური, ეს სუნი, ყველაფერი ეს იყო რომელიღაც უცხო ქვეყანა სადღაც აღმოსავლეთში, შესაძლებელია, სპარსეთი, შესაძლებელია, თურქეთი, შესაძლებელია, არაბეთი... და დროისა და სივრცის ამ წამიერმა, უცნაურმა გარდასახვამ ელვასავით სწრაფი, ელვასავით მყისიერი, ელვასავით კაშკაშა, მაგრამ ელვასავითვე მოუხელთებელი გრძნობა გააჩინა: ნატვრისა თუ მოგონების მსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუქი, ნაზი სევდა, რომელიც სევდაა და არა სიხარული, რადგან ძალიან ძლიერია და სიხარულის ვიწრო ჩარჩოში ვერ ჩაეტია.

ეს თითქოსდა უმიზეზო, მაგრამ საოცრად ტკბილი სევდა მყისვე ჩაქრა, ისე რომ მოსვლასა და წასვლას შორის დრო არც გასულა, ოღონდ სხეულში მცირე ხნით თბილი კვალი დატოვა, მაცთური კვალი, ამაო იმედი იმისა, რომ ნეტარი ელვა ისევ დაკვესავს. მერე ეს კვალიც გაქრა.

აბელი ქუჩის ბოლოში ჩავიდა. აქ გზა მარჯვნივ უხვევდა. ერთხანს აღმართი ისევ ქვაფენილი იყო, მერე კი ვაკე იწყებოდა და ქვაფენილსაც ასფალტი ცვლიდა. მარცხნივ, ქვემოთ საცალფეხო ბილიკი მიდიოდა. შორს, ფერდობის ძირას მდინარე მიიკლაკნებოდა. გამოღმა ნაპირი არ ჩანდა, გაღმა კი ტირიფიანი ჭალა მისდევდა. მდინარე განიერი იყო, ზანტად, მდორედ მიედინებოდა და ტყით შემოსილ მთებში იკარგებოდა.

აბელმა მარჯვნივ გაუხვია. აღმართი აიარა და ვაკეზე გავიდა.

ქვაფენილი ქუჩა თავისი რიკულებიანი აივნებით, პაწაწკინტელა დუქნებით, მარადიული ფერებით, შინაურული ყაყანით და ბუნებრივი სიცილით ერთბაშად, მოლანდებასავით გაქრა. ახლა ირგვლივ ისევ ეზოიანი სახლები იყო განიერი ჭიშკრებითა და კორიდორით, და, შიგადაშიგ, მაღალი, თანამედროვე შენობები, თითქოს ქალაქს საკუთარი წარსულის შერცხვა და სხვისი ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება.

ცივი ქარი ქროდა. ყვითელი ფოთლები დიდხანს დაფარფატებდნენ ჰაერში და მერე ნელა, აუჩქარებლად ეშვებოდნენ ძირს.

აბელმა ალალბედზე განაგრძო გზა და მალე ვრცელ ბაღს მიადგა. ბაღში დიდრონი, ბებერი ხეები და საღებავგადაცლილი მერხები იდგა. ერთი კაცი, ერთი ქალი და ერთი ბავშვი, როგორც ჩანს, დედ-მამა და შვილი გრძელტარიანი ცოცხებით იქაურობას გვიდნენ.

აბელი ბაღში შევიდა და დიდი, განიერი მუხის ძირას მერხზე ჩამოჯდა.

მეეზოვეთა ოჯახი აუჩქარებლად იქნევდა ცოცხს და ნამწვავების, ქაღალდების, მტვერისა და ყვითელი ფოთლებისაგან ათავისუფლებდა მოკირწყლულ ბილიკებს. აბელი ერთხანს მექანიკურად, აზრმიუტანებლად უყურებდა მათ საქმიანობას და უცებ გულზე ნაღველი შემოაწვა. მოეჩვენა, თითქოს ამ პატარა, უსახურ ქალაქს ირგვლივ მაღალი გალავანი ერტყა, რომელსაც, როგორც ზღაპრებში ამბობენ, ჩიტიც ვერ გადააფრინდება. რაღაც ძალამ, რაღაც უცნობმა ძალამ, ულმობელმა და ყოვლისმცოდნემ, გულგრილად აწონ-დაწონა აბელის ნიჭი და უნარი, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა მისი მომავალი ცხოვრება და ფარგლით შემოუხაზა ეს პატარა ქალაქი, როგორც მოქმედების არე და ასპარეზი. სხვას უფრო დიდი ასპარეზი აქვს, კიდევ სხვას მთელი დედამიწა არ ჰყოფნის ასპარეზად. და ეს ყველაფერი თავშივეა განსაზღვრული. ვიღაცამ წინასწარ იცის, რომ შენ ასეთი და ასეთი ნიჭი გაქვს, ასეთი და ასეთი შესაძლებლობა და შენი ნიჭისა და შესაძლებლობის კვალობაზე ასეთსა და ასეთ რადიუსში იტრიალებ და მოცემულ ჩარჩოს ვერ გასცდები. აბელს გული შეეკუმშა. წარმოიდგინა, როგორ გახდებოდა ეს უცხო ქალაქი ნაცნობი და მშობლიური, როგორ გახდებოდნენ აქაური უცხო ადამიანები მახლობლები და შინაურები, როგორ ჩაეფლობოდა აქ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ივლიდა სამსახურში და მოვალეობასავით შეასრულებდა როლებს, რომლებსაც რეჟისორები დააკისრებდნენ. დაოჯახდებოდა აქ, კერას გაიჩენდა, გახდებოდა პროვინციელი ინტელიგენტი, დაბერდებოდა აქ ერთფეროვნებაში, მოწყენილობაში, ვიწრო წრეხაზში, მოკვდებოდა და აქაურ სასაფლაოზე გაიჩენდა სამუდამო ბინას. ნაღველი ქვასავით დააწვა გულზე, თბილისი მოენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრა. სახლი, ლადო მენაბდე და ნაცნობ-მეგობრები.

წამოდგა. ეს მარწუხებივით შემოჭერილი მძიმე და აუტანელი ნაღველი რომ მოეშორებია, ჩქარი ნაბიჯით გავიდა ბაღიდან. ჩქარი ნაბიჯით გაიარა რამდენიმე ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩა. ბაზარს ჩაუარა. ბაზარში ტომრები, ხის ყუთები და ხალხი ერთმანეთში ირეოდა. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები დახლებზე ჰფენდნენ გასაყიდად ჩამოტანილ საქონელს — კარტოფილს, ყველს, ხილს, მწვანილს. სასწორებს მართავდნენ და ხმამაღლა იწვევდნენ მუშტარს. აბელი ბაზარს გაეცალა და მოზრდილ მოედანზე გავიდა.

ეტყობა, ეს ქალაქის ცენტრი უნდა ყოფილიყო. მოედანი და ქუჩები, რომლებიც მოედანს ერთვოდნენ, სუფთად იყო დაგვილი, გაზონები — ლამაზად გაკრეჭილი და მოვლილი. ცენტრში შადრევანი ჩქეფდა. მოედნის ირგვლივ, ქუჩებსა და ქუჩებს შუა, რამდენიმე არატიპიური, გემოვნებით აგებული შენობა იდგა.

ამან აბელს გუნება ცოტა გამოუკეთა. შეჩერდა. იქაურობა კარგად დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ მართლაც ქალაქის ცენტრში იმყოფებოდა. ირგვლივ სულ დიდ-დიდი, მნიშვნელოვანი დაწესებულებები იყო, მათ შორის, ადგილობრივი მთავრობის სახლი, მკაცრი, შეკრული შენობა მკვეთრი კონტურებით, ლითონის ჩარჩოიანი, ოთხკუთხა ფანჯრებით, და სასტუმრო, გაშლილი, ლაღი, შესასვლელში მაღალი, აგურისფერი სვეტებით და ფანჯრების წინ პატარა, კოპწია აივნებით.

სასტუმროს გვერდით აბელმა რესტორანი შენიშნა, გაახსენდა, რომ არ უსაუზმია და შიგ შევიდა. რესტორანს დიდი დარბაზი ჰქონდა და მაღალი ფანჯრები, რომლებიც პირდაპირ მოედანზე გადიოდა. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ აქა-იქ იჯდა რამდენიმე კაცი და ჩუმად, თავჩაღუნული შეექცეოდა საჭმელს. მომტანები უსაქმოდ ისხდნენ ბუფეტთან.

აბელი ფანჯრის ძირას დაჯდა თავისუფალ მაგიდასთან. იმავ წუთს ერთ-ერთი მომტანი, მაღალი, სქელი ქალი, ქერა და ჭორფლიანი, წამოდგა და მასთან მივიდა.

— ხაში უკვე გათავდა, — უთხრა ქალმა.

აბელს ხაში არ უყვარდა და გაეღიმა.

— სხვა რამე იყოს.

— ხარჩო გვაქვს და სოუსი.

— სოუსი მომიტანეთ.

— დალევთ რამეს?

— ლიმონათს.

ქალმა შეხედა და წამით შეაჩერა მზერა მის სახეზე.

— ახლავე, — თქვა მერე, შეტრიალდა და წავიდა.

სოუსი ცხარე და გემრიელი გამოდგა. ჭამა რომ მოათავა, აბელმა ფული გადაუხადა მომტანს და თეატრის გზა ჰკითხა.

ქალმა წელანდელივით შეხედა, მერე უთხრა:

— მოედანს გადაჭრით და იმ ქუჩაზე გახვალთ. — ხელი გაიშვირა და ფანჯრიდან დაანახვა. — მანდვეა, კუთხეში რომ სახლი დგას, იმის უკან.

აბელმა მადლობა გადაუხადა და რესტორნიდან გამოვიდა.

თეატრი მრგვალი იყო და ირგვლივ დიდი, ლამაზი ბაღი ერტყა.

შესასვლელში კარისკაცი იჯდა, ახალგაზრდა ბიჭი, თითქმის ბავშვი. ხელში პურის ყუა ეჭირა და ილუკმებოდა.

აბელი მიესალმა და ჰკითხა:

— დირექტორს სად ვნახავ?

კარისკაცმა სწრაფად გადაყლაპა ლუკმა და ცერი ზურგს უკან, მაღლა გაიშვირა.

— ზემოთ, მეორე სართულზე.

აბელი მეორე სართულზე ავიდა. წარწერის მიხედვით მიაგნო დირექტორის კაბინეტს და კარი შეაღო. მაგრამ ეს კაბინეტი არ იყო, ეს წინა ოთახი იყო, ვიწრო, პატარა. საწერ მაგიდას ასე, ოცდარვა-ოცდაათი წლის პირმრგვალი, შავი ქალი უჯდა და საბეჭდ მანქანაზე ზანტად, ნელა აკაკუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელს ვაგზალი მოაგონდა. ხალხი რომ ტაატით მიდიოდა ქალაქისაკენ. მერე მბეჭდავ ქალს მიესალმა:

— გამარჯობათ.

— ხო, — თავაუწევლად მიუგო ქალმა.

— დირექტორი არის?

ქალმა ახლა კი შემოხედა და ოხვრით თქვა:

— კი.

აბელმა კარი შეაღო და წამსვე თვალში ეცა უცნაური, არაბუნებრივი უძრაობა. თითქოს კაბინეტში კი არა, კაბინეტის ფოტოსურათში შესულიყოს.

ოთახში სამი კაცი იმყოფებოდა. ერთი მათგანი, წითური, ნაყვავილევი, მსუქანი, დირექტორის სკამზე იჯდა და, ეჭვი არაა, დირექტორი იყო. მაგიდის წინ, დირექტორისაგან ხელმარცხნივ, დევივით კაცი იჯდა. იგი მბეჭდავი ქალის ხნისა იქნებოდა, გაშლილი ხელი მაგიდაზე ედო და ლამის ნახევარ მაგიდას ფარავდა. აბელს არაფრად ეჭაშნიკა მისი ვეებერთელა, მასიური სახე, ვიწრო შუბლი, ჯაგარა თმა და გადაბმული წარბები.

„ან ადმინისტრატორია, ან შოფერი." — გაივლო გულში.

ადმინისტრატორის (ან შოფრის) მოპირდაპირე მხარეს, დირექტორისაგან ხელმარჯვნივ, ბუნჩულა ბერიკაცი იჯდა. აქელი, ჭაღარა თმა ჰქონდა. სქელი, ჭაღარა ულვაშები და პატარა ძკვირცხლი თვალები. ერთადერთი, რაც ამ ოთახში მოძრაობდა, ეს თვალები იყო.

„მხცოვანი მსახიობი, — დაასკვნა აბელმა. — უნიჭო, ბეჯითი და გულუბრყვილო, რომელსაც იუმორის გრძნობა არა აქვს და განურჩეველი აღიონზულობით ყვება სულელურ ეპიზოდებს თავისი წარსულიდან. მოსმენით. ცხადია, არავინ უსმენს".

ყველაფერმა ამან მყისიერად, შემოსვლისთანავე გაუელვა თავში. იმავ წამს ზურგს უკან კარი მიხურა და დამხდურებს სალამი უთხრა:

— გამარჯობათ.

— ხო, — თქვა დირექტორმა და ნაყვავილევი სახე ნელა მოატრიალა. რაკი სტუმარი ვერ იცნო, პირი ოდნავ გააღო. ცალი თვალი მოჭუტა და ცხვირზე ცნობისმოყვარე ნაოჭები გაუჩნდა.

— თქვენს თეატრში ვარ განაწილებული, — უთხრა აბელმა და ქურთუკის ჯიბეში საბუთებს დაუწყო ძებნა.

— სიგარეტი არა გაქვთ? — ჰკითხა დირექტორმა.

„კარგ დროს მოვსულვარ". — გაიფიქრა აბელმა. საბუთების ძებნას თავი მიანება. სიგარეტის კოლოფი ამოიღო და დირექტორს მიაწოდა. დირექტორმა კოლოფი დაიქნია. ერთ ცალ სიგარეტს თავი ამოაყოფინა და პირდაპირ პირით ამოაძრო. მერე კოლოფი ხელში შეატრიალა და მაგიდაზე დააგდო. კაცმა, რომელიც, აბელის აზრით, ან ადმინისტრატორი უნდა ყოფილიყო, ან შოფერი, კოლოფი აიღო, გულდასმით დაათვალიერა ყოველი მხრიდან და პატრონს დაუბრუნა.

— რა დროს დავანებებ თავს! — ისეთი ხმით თქვა, თითქოს ფანჯრის ძირას ტრაქტორმა გაიარაო. — ფილტრიც ახლა მომრავლდა. ლამაზი კოლოფებიც ახლა მომრავლდა. ყველაფერი ახლა მომრავლდა.

ამ სიტყვებზე აბელს შეხედა და უცებ ხმამაღლა, რაღაც უცნაურად, ჩაზგასმით გაიცინა. მისი სიცილი გრგვინვასავით გაისმა კაბინეტში.

„დიდი უსიამოვნო ტიპია!" — გაიფიქრა აბელმა და თვალი აარიდა.

— დაბრძანდით, — უთხრა აბელს დირექტორმა.

აბელმა საბუთები მოძებნა, მაგიდაზე დააწყო და დაჯდა. დირექტორმა საბუთებში ჩარგო თავი, ცოტა ხნის მერე ისევ ასწია.

— სექტემბერში მოგელოდით.

— დედა მყავდა ავად. მოგწერეთ კიდეც.

— ვიცი. ახლა კარგადაა?

— გარდაიცვალა.

დირექტორმა თავი ისევ სწრაფად

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული

ჩარგო საბუთებში. კაცი, რომელიც ან ადმინისტრატორი უნდა ყოფილიყო, ან შოფერი, სკამზე შეიშმუშნა. ბუნჩულა ბერიკაცმა ფეხი ფეხზე შემოიდო და თქვა:

— დედას სხვა გზა არა აქვს.

აბელმა გაკვირვებით შეხედა ბერიკაცს და გაიფიქრა: „არც ისე ბუნჩულა ყოფილა, როგორც მეგონა“.

— მშობლები იხოცებიან. შვილები რჩებიან, — თქვა დევმა. მერე მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი და მარცხენა წარბი მაღლა აწია და საზეიმო-პედაგოგიური კილოთი დაუმატა: — ბუნების კანონი!

ყველა წარმოთქმული ფრაზა ყველა წარმოუთქმელი ფრაზის ელჩია, ხოლო წარმოთქმის მანერა ჭუჭრუტანაა, საიდანაც სამყაროს შიდა ხედი ჩანს. საზეიმო-პედაგოგიური ჭუჭრუტანიდან აბელმა დაინახა შიდა ხედი — მარტივი, სადა, თავთხელი, და ვიწრო შუბლისა და გადაბმული, შავი წარბების უსიამოვნო საბურველი ნელ-ნელა დაეშვა, როგორც გამოცვლილი ტყავი. პირველმა შთაბეჭდილებამ რღვევა დაიწყო.

— მაყვალო! — იყვირა უცებ დირექტორმა.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ აბელი შეკრთა. ბერიკაცმა, რომელიც მთლად ბუნჩულა არ გამოდგა, გულკეთილად და ცოტა ეშმაკურად ჩაიცინა და თქვა:

— სიცოცხლის შთაბეჭდილებას დისონანსები ქმნის.

„ზარი არ მუშაობს“, — გაიფიქრა აბელმა და ამ ფიქრმა ხელი შეუშალა იმაში, რომ ბერიკაცის ნათქვამს ბოლომდე ჩაწვდომოდა. ამასობაში მაყვალამ, იმ პირმრგვალმა, შავმა მბეჭდავმა, კარი შემოაღო და შეჩერდა.

— მოდი, — უთხრა დირექტორმა და აბელის საბუთები მიუჩოჩა. — ბრძანება დაწერე.

მბეჭდავი უხმოდ გავიდა. გზადაგზა საბუთებს ათვალიერებდა.

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში, — ბერიკაცმა ღიმილით გამოუწოდა ხელი აბელს და აბელმაც შენიშნა, რომ თვალის კუთხეებში ღიმილის გარდა, კიდევ იყო რაღაც ჩაგუბებული, რაღაც რთული და გამოუცნობი. შესაძლებელია, ეშმაკობა, შესაძლებელია, უმისამართო დაცინვა, შესაძლებელია, ისეთი რამ, ღიმილს რომ საკუთარი თავის არ აჯერა, ან კაცი რომ შაბლონურ კლასიფიკაციაში ვერ თავსდება.

— გედეონ რევია, — გაისმა ამ დროს დირექტორის ხმა. — უხუცესი მსახიობი.

— და ჩვენი თეატრის სული! — დაუმატა დევმა და ამჯერად, ალბათ მრავალფეროვნებისათვის, მარჯვენა ხელის საჩვენებლი თითი და მარჯვენა წარბი ასწია.

— ესეც ჩვენი თეატრის სხეული, — დევისკენ გაიშვირა ხელი დირექტორმა.

აბელს გაეცინა. ამ კაცისგან მართლა გამოიჭრებოდა ერთი პატარა თეატრის მთელი შტატი.

დევმა კვლავ გაიცინა, არაბუნებრივად, მკაფიოდ და ხაზგასმით. მერე აბელს ხელი ჩამოართვა და საკუთარი თავი თვითონვე წარუდგინა.

— ასლან გორდაძე, მსახიობი.

„მსახიობი, — გაიფიქრა აბელმა. — — და არა ადმინისტრატორი ან შოფერი. ფსიქოლოგიამ კრახი განიცადა“.

— დაბინავდით სადმე? — ჰკითხა დირექტორმა.

— ჯერ არა.

— სექტემბერში რომ ჩამოსულიყავით, არ დაგჭირდებოდათ ლოდინი. ახლა... — დირექტორი ასლან გორდაძეს მიუბრუნდა. — რამდენ ხანში მოვუხერხებთ ბინას?

— ორ თვეში, — მიუგო ასლან გორდაძემ ისეთი კილოთი, რომელიც ეჭვისთვის იოტის ოდენა ადგილსაც არ ტოვებდა.

— მანამ კი...

— მანამ სასტუმროში ვიცხოვრებ.

აბელმა ცოტა უხერხულად იგრძნო თავი, ამ უძრავ ხალხს რომ ამდენი საზრუნავი გაუჩინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის სიტყვებზე სამივეს გაეცინა.

აბელი ვერ მიხვდა, რა იყო სასაცილო, მაგრამ კითხვა მოერიდა.

— სანამ ბინას გიშოვიდე, ჩემთან იქნები, — უთხრა ასლან გორდაძემ.

აბელს სასტუმროში ერჩივნა ყოფნა. ჯერ ერთი, უცხო ოჯახში ერთთავად შებოჭილი უნდა ყოფილიყო მეორეც, თუმცა პირველი შთაბეჭდილება უნიადაგო გამოდგა და ფსიქოლოგიამ კრახი განიცადა, მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა ეს კაცი, რომელმაც თავიდანვე შენობით დაუწყო ლაპარაკი. მესამეც, არ უნდოდა, ვინმეს ტვირთად დასწოლოდა და შეეწუხებია.

— არა, გმადლობთ. — თავაზიანად მიუგო ასლან გორდაძეს. — ჩემი გულისთვის რატომ უნდა შევიწროვდეთ.

— ასლან გორდაძე ის დევია, რომელსაც ყოველი მოჭრილი თავის ადგილას ორი თავი ამოსდის, — თქვა გედეონ რევიამ.

თავად ასლან გორდაძემ კი შინაურულად დაადო ბეჭზე თავისი ვეება ხელი და უთხრა:

— თბილისში რომ ჩამოვალ, თქვენებურ ქუდს დავიხურავ და სასტუმროში გავჩერდები. აქ კი ჩვენებური ქუდი უნდა დაიხურო. ასე სჯობს.

აბელი დარწმუნებული არ იყო, რომ ასე სჯობდა, მაგრამ შეატყო, დავა წყლის ნაყვა იქნებოდა, და გაჩუმება ამჯობინა.

— წაიყვანე ბარემ. — უთხრა დირექტორმა ასლან გორდაძეს და მერე აბელს მიუბრუნდა: — მოეწყეთ, დაისვენეთ და საღამოს მოდით.

— კი ბატონო, — აბელი წამოდგა და გაახსენდა, რომ დირექტორს სიგარეტი არ ჰქონდა. მთელი კოლოფი უნდოდა დაეტოვებია, მაგრამ დირექტორმა არაფრით არ ქნა. ერთი ღერი ამოიღო და კოლოფი უკან დაუბრუნა.

აბელი და ასლან გორდაძე კაბინეტიდან გამოვიდნენ.

— კენკავ? — მბეჭდავ ქალს ჰკითხა ასლან გორდაძემ და თავისი არაბუნებრივი სიცილით გაიცინა.

მბეჭდავმა თავი ასწია და უტყვი მზერა წამით აბელზე შეაჩერა. მერე თავი ისევ ჩაღუნა და „კენკვა“ განაგრძო.

დერეფანი განიერი იყო, მაღალი და ნათელი.

— შენობა კარგი გვაქვს, — თქვა ასლან გორდაძემ. — მეორე ქალაქში.

— მეორე?

— კი. პირველი სასტუმროა, მეორე ჩვენა ვართ.

ეზოში რომ გამოვიდნენ, აბელს უთხრა:

— აქ დამელოდე, მანქანას გამოვიყვან. — ამ სიტყვებით გასწვრივ გაუყვა შენობას და კუთხეში შეუხვია.

მალე მანქანის ხმა მოისმა და იმავ წამს ასლან გორდაძე „ვოლგით“ გამოვიდა კუთხიდან. აბელის წინ დაამუხრუჭა და კარი გაუღო. აბელი გვერდით მიუჯდა. ეზოდან გავიდნენ, რომელიღაც ფართო ქუჩას გაუყვნენ, ხიდი გადაიარეს და გზაჯვარედინს მიადგნენ.

— ბარგი ალბათ სადგურში გექნება. — თქვა ასლან გორდაძემ.

— დიახ, შემნახველ საკანში დავტოვე.

ასლან გორდაძემ გზაჯვარედინი გადაკვეთა და პირდაპირ წავიდა.

ცა ღრუბლებით დაიფარა, ქარი ქროდა და ხეებიდან ყვითელი ფოთლები ცვიოდა.

„ხომ არ ვკითხო, რატომ არ იყურებიან ლობეებიდან ვარდივით ყელმოღერებული გოგონები?“ აბელმა თვალი გააპარა ასლან გორდაძისკენ და ცდა წარმოედგინა, როგორ შეხვდებოდა ასეთ შეკითხვას ეს კაცი. ეს გულუბრყვილო დევი, რომელიც მსახიობი გამოდგა და არა ადმინისტრატორი.

— არა ხარ ნამყოფი ჩვენს ქალაქში? — ჰკითხა ასლან გორდაძემ.

— არა, პირველად ვარ.

სანამ სადგურამდე მივიდოდნენ, ასლან გორდაძე გზაში სულ ვიღაცეებს ესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმებოდა. გაჰყოფდა მარცხენა ხელს მანქანის სარკმელში და მაღლა ასწევდა.

ბოლოს სადგურს მიაღწიეს. აბელის პროტესტია მიუხედავად, ასლან გორდაძეც გადმოვიდა მანქანიდან, შემნახველ კაკანში შეჰყვა, საკნის მორიგეს შინაურულად წამოუტყაპუნა ბეჭზე ხელი და მერე ერთი ჩემოდანი თვითონ წამოიღო. ჩემოდნები საბარგულში ჩაალაგეს, ჩასხდნენ მანქანაში და უკან გამობრუნდნენ.

— მალე შეეგუები აქაურობას, — უთხრა ასლან გორდაძემ. — თბილისში რომ ხარ მიჩვეული, ისეთი საზოგადოება იქნება ვერ დაგახვედროთ, — ამ სიტყვებზე მოუტრიალდა და მარჯვენა ხელი და მარჯვენა წარბი აწია. — მაგრამ ისე, აქაურები გულიანი ხალხია და სტუმრის პატივისცემა იციან.

— აწი რაღა სტუმარი ვარ.

— ეგეც მართალია, — გაიცინა ასლან გორდაძემ.

გზაჯვარედინიდან მარჯვნივ გაუხვიეს, პატარა მოედანს შემოუარეს და ვიწრო, წყნარ ქუჩაზე გავიდნენ. ქუჩის ბოლოში ორსართულიან კოხტა სახლთან ასლან გორდაძემ სვლა შეანელა, მანქანა რკინის ფართო ჭიშკარს მიაყენა, სამჯერ მისცა სიგნალი და მერე, შიგნიდან რომ ბავშვების გახარებული ჭყივილი მოისმა, აბელს მიუბრუნდა:

— ა, ესაა ჩემი ციხე-სიმაგრე.

ჭიშკარი გაიღო. აბელი ერთბაშად ვერ მიხვდა, რამდენი ბავშვი იყო ეზოში. მანქანა რომ შევიდა, მოიხედა და ახლაღა დაითვალა. ოთხნი იყვნენ. ერთი — გოგო. ეტყობა, ყველაზე უფროსი, და სამი ბიჭი. ორ ბიჭს ჭიშკარი ეჭირა აქეთ-იქით. უმცროსი, ცხვირპირმოთხუპნილი და წელსქვევით შიშველი. მანქანას მოსდევდა. გოგონა გვერდზე იდგა და მშვიდი თვალებით იყურებოდა.

— ყველა შენია? — გაკვირვებით ჰკითხა აბელმა და გვიან მიხვდა, თუ რა უბრალოდ და ძალდაუტანებლად დაელაპარაკა „შენობით".

ასლან გორდაძემ ღიმილით გააყოლა თვალი მის მზერას.

— ყველა ჩემია, — მერე მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ზემოთ, მეორე სართულისკენ გაიშვირა ხელი და დაუმატა: — ისიც ჩემია.

აბელმა აიხედა. აივანზე ფეხმძიმე ქალი იდგა. ქალმა უცხო კაცის დანახვაზე გაკვირვებული სახე მიიღო, თავშალი გაისწორა და, რამდენადაც თავისი მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევდა, სწრაფად დაეშვა კიბეზე.

ამასობაში ბავშვები მამის ირგვლივ მოგროვდნენ და აბელს ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრეს. წეღან რომ აქეთ-იქით ჭიშკარი ეჭირათ, ისინი ერთი სიმაღლისანი იყვნენ, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და, ეჭვი არაა. ტყუპები იყვნენ. პატარა, წელსქვევით შიშველი, მამის დიდ ფეხს მიადგა. ორივე ხელი მოხვია, როგორც საიმედო ბოძს, და ზედ მიეკრო. გოგონა, ეტყობა, უფროსი შვილის რეპუტაციას უფრთხილდებოდა, ქარაფშუტა, სულწასულ ძმებს არ აჰყოლია, წყნარად იდგა მოშორებით და მშვიდი, ნათელი თვალებით უყურებდა აბელს.

ასლანმა უმცროსი შვილი თავის მარცხენა ფეხს მოწიწკნა, ხელები იღლიაში ჩაავლო, მაღლა ასწია, კრიტიკულად შეათვალიერა და, ვითომ დაწუნების ნიშნად, თავიც გაიქნია.

— ბიჭო, — უთხრა. — ან არ გრცხვენია, ან არ გცივა, ასე ტიტლიკანა რომ დაკუნტრუშობ? რას გვახარბებ, რომ გვახარბებ, რა გაქვს ამისთანა შესახარბებელი? — და მერე, როცა ბავშვმა მამის სიტყვების შესამოწმებლად თავის სიშიშვლეს დახედა და რატომღაც ძალიან კმაყოფილი ღიმილით გაიბადრა, ყირამალა ამოატრიალა და კიდევ უფრო მაღლა ასწია.

— რატომ არ მოვკვდები! — მორიდებული ღიმილით შეიცხადა ამ დროს ასლანის ცოლმა, რომელსაც კიბე უკვე ჩამოეთავებია. — რა უყო შარვალი ამ უხეირომ! შენც რას აფრიალებ, ასლან, დასვი ძირს, სირცხვილია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სასირცხვილო რა არის! — თქვა ასლანმა. ცალი ხელი შეუშვა და შიშველ უკანალზე წამოუტყაპუნა. — დაინახოს ქვეყანამ, რომ კაცია. — მაგრამ ბიჭი მაინც დასვა, ხელი ცოლს გადახვია მხარზე და უთხრა: — გაიცანი, ნანო, ეს ჩვენი ახალი მსახიობია. სასოებით ჩაგვაბარა გრიგოლმა. ასე შემოგითვალა, — ასლანმა მარცხენა ხელის თითი და მარცხენა წარბი შემართა. — თვალის ჩინივით გაუფრთხილდით.

ცოლმა გაიღიმა, გამარჯობათ, ჩემო ბატონოო, უთხრა აბელს და ხელი გაუწოდა. საშუალო ტანის ქალი იყო, მოგრძო, სწორი სახე ჰქონდა და ისეთივე მშვიდი, ნათელი მზერა, როგორც უფროს გოგოს. გრძელი კაბა ეცვა, კაბის ზემოდან — ლურჯი კოფთა. თავზე თხელი თავსაფარი ეხურა, ნიკაპქვეშ გაკვანძული.

აბელმა ხელი ჩამოართვა და მობოდიშება დაიწყო:

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება...

ნანომ იისეთი ღიმილით შეაწყვეტინა, აბელს ცოტა ხნის წინანდელი სცენა გაახსენდა, დირექტორის კაბინეტში რომ სასტუმროს ხსენებაზე გაეცინათ:

— რას ბრძანებთ, სტუმარმა რომ შეგვაწუხოს, რაღა მასპინძლები ვიქნებით! — მერე გოგონას მიუბრუნდა: — ნინიკო, დედა, მოუძებნე ამ ჩურჩუტა შარვალი და ჩააცვი.

გოგონამ ტიტლიკანას ხელი ხელში ჩასჭიდა.

— წამო, გოგიტა, — დაყვავებით უთხრა და გოგიტაც მორჩილად გაჰყვა.

— რა მშვენიერი კარ-მიდამო გქონიათ! — გულწრფელი აღტაცებით თქვა აბელმა.

— ყველაფერს დაგათვალიერებინებ, — მიუგო ასლანმა.

ამჯერად ასლანმა არც ერთი ჩემოდანი არ დაანება აბელს. მცირეოდენი ბრძოლის შემდეგ ორივეს თვითონ დაავლო ხელი, სტუმარს მხოლოდ გიტარა შეატოვა და ზედა სართულზე აუძღვა.

აბელს კუთხის ოთახი მიუჩინეს, მოზრდილი ოთახი, მაღალი და ნათელი. კარი და ერთი ფანჯარა ვეებერთელა საერთო აივანზე გადიოდა. მეორე ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა. კედლებზე ბაცი ლიმონისფერი ნაზი შპალერი ეკრა, ჭერზე ექვსკუთხედი ჭაღი ეკიდა ლიმონისფერივე აბაჟურით. ოთახში ძველებური, მასიური ავეჯი იდგა: დიდი კარადა, დიდი საწერი მაგიდა, ფართო საწოლი, ერთი ღრმა, მოხერხებული სავარძელი, რამდენიმე სკამი. ფანჯრის რაფაზე მაგიდის ლამფა იდგა სოკოს ფორმის, ჭრელი, ხალისიანი აბაჟურით. ფანჯრებზე ორმაგი ფარდები ეკიდა — ჯერ თეთრი, თხელი, ნაზი, გამჭვირვალე, მერე — სქელი, მძიმე, დაბინდული ვარდისფერი, რომელიც თითქოს ერთმანეთთან აკავშირებდა ლიმონისფერ კედლებსა და ყავისფერ ავეჯს. საწოლის წინ, იატაკზე გრძელბეწვიანი ტყავი ეფინა, რა ცხოველისა იყო, აბელმა ვერ გამოიცნო.

ასლანმა ჩემოდნები კარადასა და საწოლს შუა, კედელთან დააწყო. ნანო ციბრუტივით დატრიალდა. საკვირველი იყო, რა მარჯვედ, რა ცოცხლად და რა ხალისიანად ბზრიალებდა ეს პატარა, გამხდარი ქალი, რომელმაც ოთხი გორდაძე შობა და მეხუთე მუცელში ჰყავდა.

სანამ ნანო ფუსფუსებდა და სტუმრისთვის ოთახს ამზადებდა, ასლანმა აბელს სახლი და ეზო დაათვალიერებინა.

აივანს ორივე მხარეს ჰქონდა კიბე, ერთ-ერთი მათგანით, რომელიც აბელის ოთახის მხარეს იყო, ქვემოთ ჩავიდნენ. მოპირდაპირე კუთხეში, პირველ სართულზე ერთი დიდი ოთახი იყო, ბუხრიანი, დაბალი და მყუდრო, შედარებით უბრალოდ და შინაურულად მოწყობილი.

— აქ ზამთარშია კარგი ქეიფი, — თქვა ასლანმა.

შემდეგ მოდიოდა მარანი. ეს იყო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევრად სარდაფი. რამდენიმე საფეხურით ქვემოთ უნდა ჩაუყვებოდი ჩაეულიყავი. მარნის იატაკი თლილი ქვით იყო მოგებული. აგრეთვე თლილი ქვით იყო მოპირკეთებული კედლების ნაწილი, დაახლოებით კაცის სიმაღლეზე. შუაში ერთიანი ხისგან გამოთლილი დაბალი ტაბლა იდგა და ირგვლივ ერთიანი ხისგან გამოთლილი ექვსი დაბალი სამფეხა სკამი ჰქონდა შემოწყობილი.

— აქ ზაფხულშია კარგი ქეიფი, — თქვა ასლანმა.

აბელს გაეღიმა. ასლანი კი მეგზურის მშვიდი სერიოზულობით ლაპარაკობდა და თავის ნათქვამში სასაცილოს ვერაფერს ხედავდა.

აივანს აიგრძივ რამდენიმე ხის სვეტი ჰქონდა შეყენებული. ქვემოთ, მთელ სივრცეზე ისეთივე ქვის იატაკი იყო, როგორც მარანში. მარნის წინ მრგვალი მაგიდა იდგა. შუა ღერძით, რომელიც ბოლოში სამ მორკალულ ფეხად იშლებოდა მაგიდის ირგვლივ ოთხი წნული სავარძელი იყო. კედელთან, ოთახისა და მარნის ფანჯრებს შუა ხის ტახტი იდგა და ზედ ძველებური ნოხი ეფინა.

სახლის წინ ეზოს ნაწილი შიშველი იყო, მარტო ორი ხე იდგა — ერთი მსხალი და ერთი კაკალი. იქით და იქით მეტი ჩანდა ხეხილი.

— ხეხილს გადაღმა ვაზი მაქვს. — წინ გაიშვირა ხელი ასლანმა. — სახლის უკან ბოსტანი. ბოსტნის ზემოთ ფუტკარი მყავს.

— ფუტკარი? — აბელს რატომღაც გაუკვირდა.

— კი. შვიდი ძირი სკა მაქვს. ბავშვებს თაფლი სჭირდებათ. — მერე გაიღიმა ფართო, გულკეთილი ღიმილით, ყველა კბილი გამოაჩინა. — ჩვენი ქალაქი სოფელივითაა. ჩემს ფუტკრებს ჩემი ეზო ჰყოფნით. წამო, გაჩვენებ სკას.

მაგრამ ამ დროს აივანზე ნანო გამოდგა.

— ასლან! ამოდით. წაიხემსეთ ცოტა. გმადლობთ. ნუ შეწუხდებით, — სწრაფად მიუგო აბელმა. — მე უკვე ვისაუზმე.

ასლანი აბელს დააკვირდა და გადაბმული წარბები თითქოს კიდევ უფრო გადააბა ერთმანეთს.

— სად ისაუზმე?

— ქალაქში. ცენტრში.

— ბაზრის მოედანზე.

— არა მგონია. ბაზარი უფრო ქვემოთაა.

— კი, ცოტა ქვემოთაა. ადრე მოედანზე გამოდიოდა, მერე მშენებლობის გამო გადაჭრეს და დაბლა ჩასწიეს. — ამ სიტყვებით ცოლს ახედა და უთხრა: — ლუდხანაში უსაუზმია.

— ლუდხანა არ იყო.

— ლუდხანა იყო. ადრე იყო ლუდხანა. ჩვენ ახლაც ლუდხანას ვეძახით. მაგ რესტორანს მალე უფრო დაწვრილებით გაიცნობ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ჩვენია.

— ჩვენი? ვისი?

— თეატრის. რა გაჭამეს?

— სოუსი.

— კარგი იყო?

— კი. ცხარე და გემრიელი.

ასლანმა კმაყოფილი ღიმილით დაუქნია თავი. მერე უთხრა:

— წამო, თუ არ გშია, ჩემი ხელით გამოხდილი არაყი მაინც გაასინჯე.

აბელმა სახეში შეხედა და გაიღიმა.

— მე ისეთი ეჭვი მაქვს, მალე მაგ არაყის დაწვრილებით გაცნობაც მომიწევს.

ასლანი აროხროხდა და ბეჭზე ხელი დაჰკრა.

— მოგიწევს, აბა არ მოგიწევს?! — მერე ისევ ცოლს ახედა: — არა მშიათ და რა ვუყო?

— ჩაის მაინც არ დალევთ? — ჰკითხა ნანომ.

— ჩაის სიამოვნებით დავლევ.

ჩაი სატყუარა გამოდგა. ასლანმა თავისი ხელით გამოხდილი არაყი მაინც გაასინჯა. მაღალფეხიან ვიწრო ჭიქებში დაასხა, ღმერთი შეგვეწიოსო, დალოცა და დალია. აბელმაც დალია. მაგარი

არაყი იყო, მაგრამ სიფიცხე თითქმის სრულებით არ ჰქონდა.

— გემრიელია, — თქვა აბელმა. — რისი არაყია?

— ფირმის საიდუმლოებაა! — მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი და მარჯვენა წარბი ასწია ასლანმა.

თითო კიდევ დალიეს, მერე აბელმა ჭიქას ხელი დააფარა და თავი გაიქნია.

ასლანმა შეხედა. დასასხმელად გამზადებული ბოთლი ერთხანს კიდევ ეჭირა ჰაერში. ბოლოს დადგა.

— როგორც გინდა.

ნასაუზმევს ასლანმა უთხრა:

— დაისვენე, გამოიძინე. ნამგზავრი ხარ.

— არ მინდა, დღე ძილს არა ვარ მიჩვეული. თანაც ვიძინე მატარებელში.

— მაშინ წამო, ქალაქს გაჩვენებ.

როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ და ასლანმა ძრავა ჩართო, ბავშვები, რომლებიც, ეტყობოდა, სადღაც ეზოს შორეულ კუთხეში თამაშობდნენ, მაშინვე კისრისტეხით მოცვივდნენ. წინ ტყუპები მორბოდნენ. ისინი პირდაპირ ჭიშკარს ეცნენ, გააღეს და აქეთ-იქით დაიჭირეს. გოგიტა მანქანის სარკმელს მოადგა. მას ახლა გრძელი შარვალი ეცვა და უფრო დიდი ჩანდა. ნინიკო შორიახლო შეჩერდა და მშვიდი, ნათელი, ცოტა სევდიანი მზერით გააცილა ეზოდან მიმავალი მანქანა.

ქალაქი თითქმის მთლიანად ის იყო, რაც დილით უკვე ნახა აბელმა: ვაგზალი, ცენტრი, ერთი-ორი მოზრდილი ქუჩა, ორსავ მხარეს ჩამწკრივებული მაღალი შენობებით და პატარ-პატარა, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები ეზოიანი კერძო სახლებით. იყო კიდევ ტყე-პარკი, ველური, მოუვლელი, ზაფხულობით ალბათ ძალიან სასიამოვნო, და ერთი ძველი ეკლესია. ქალაქი მთის კალთაზე იყო გაშენებული და, როდესაც ყველაზე მაღალ წერტილში ავიდნენ, მისი შემოგარენი აბელს უფრო ლამაზი ეჩვენა. სახლების სახურავებს გადაღმა, ქვემოთ, ჭალაში ვერცხლისფერი მდინარე მიიკლაკნებოდა. უკან, ზემოთ, შიშველი მთა ტყის დიდი ქუდით ბოლოვდებოდა.

ასლანი ყველაფერს, რაც მისი აზრით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, აჩვენებდა და გულდასმით ათვალიერებინებდა. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას რესტორნებზე, სასადილოებზე, სასაუზმეებზე, სახაშეებზე, სამწვადეებზე, სალუდეებზე. ამის გამო აბელმა ღიმილით შენიშნა:

— ეტყობა სმა-ჭამას თქვენში ძალიან ეტანებიან.

რაზედაც ასლანმა ყურადღებით შეხედა და მერე სერიოზულად, ლამის დიდაქტიკური კილოთი მიუგო:

— საჭიროა.

სადილობის დროს რომ მოაწია, შინ დაბრუნდნენ.

ტყუპებმა ჭიშკარი გააღეს და აქეთ-იქით დაიჭირეს. გოგიტა მანქანას აედევნა, ნინიკომ შორიახლოდან დაუწყო ცქერა თავისი ნათელი მშვიდი თვალებით, ნანო ღიმილით მოადგა აივნის მოაჯირს.

აბელმა იკითხა:

— არ უჭირს ამდენი ბავშვის მოვლა, ისიც ასეთ დროს?

ასლანმა მანქანა დაამუხრუჭა და მიუგო:

— ნანო ყოჩაღი ქალია. ხვალ კი სიდედრს ჩამოვიყვან სოფლიდან. — ამ სიტყვებით მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მანქანის ჭერს ატაკა, მარცხენა წარბიც ასწია და გაიცინა: — დამხმარე ძალა!

ნასადილევს აბელმა თავისი ბარგი-ბარხანა ამოალაგა, მერე ტანსაცმელი გამოიცვალა. ეზოში ჩავიდა და პატარა გორდაძეები ახლო გაიცნო. ნინიკო, რომელსაც გრძელი კაბა ეცვა, გრძელი, ხშირი თმა დიდი ქალივით ეფინა მხრებზე და დახვეწილი სახე და კრიალა ნათელი თვალები ჰქონდა, მშვიდად

დინჯად და ამომწურავად იძლეოდა პასუხს ყველა შეკითხვაზე. ტყუპებმა მოულოდნელად დაირცხვინეს და ტყუპად გადგნენ განზე. სამაგიეროდ გოგიტა, როდესაც აბელმა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, გაბადრული ღიმილით წამოვიდა მისკენ. გამოწვდილ ხელზე ხელი დაჰკრა და დაუყოვნებლივ დაუწყო ჭიდაობა. მალე ძმის საქციელით წაქეზებული ტყუპებიც დაეძგერენ აბელს. ნინიკომ ერთი კი თქვა. სირცხვილია, ბიჭოო, და მერე მშვიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, თუ რით დამთავრდებოდა სამი ძმის ძიძგილაობა უცხო ძიასთან. როდესაც აბელი „დამარცხდებოდა“ და გულაღმა წაიქცეოდა, პატარა გოგიტა მაშინვე, როგორც ცხენს, ისე გადააჯდებოდა მკერდზე და ბეჯითად ცდილობდა დაეხრჩო. ბოლოს აბელი დაიღალა და ზავი ითხოვა, მაგრამ ბრძოლის ეშხში შესულ ბიჭებს ზავის გაგონებაც არ უნდოდათ. მანამ არ დაშოშმინდნენ, სანამ ნანო არ გამოჩნდა და არ დაუტატანა.

მაშინ აბელმა ბრძოლა დამთავრებულად გამოაცხადა და პრიზები გაანაწილა:

— პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვეს ძმებმა გორდაძეებმა. ბოლო ადგილი და თუნუქის მედალი მოიპოვა ბიძია აბელმა. მაყურებელთა კონკურსში გაიმარჯვა უმშვენიერესმა ნინიკომ.

ნინიკომ გვერდზე გაიხედა და ღირსეულად შეინარჩუნა სერიოზული გამომეტყველება.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თემურ ჩხეტიანი

### ფანჯრიდან დანახული სინანული

ქანაობს ტოტი,
თითქოს ტოტიდან
ეს-ესაა აფრინდა ჩიტი...
...მაგრამ ამ ტოტზე
არა მჯდარა ჩიტი საერთოდ!..

სიცივე ბზარავს ჩემს სამყოფელს
იმგვარად, თითქოს
დიდი ხანია, რაც ჩააქრეს ბუხარში ცეცხლი...
..მაგრამ ოთახში არ ნთებულა ცეცხლი საერთოდ!

დაცარიელდა გული ისე, თითქოს გულიდან
წავიდა ვიღაც, სამუდამო და შეუცვლელი...
..მაგრამ ამ გულშიც არ ყოფილა
ვინმე საერთოდ!..

### ბავშვს თუ რაიმეს დაპირდებით

განა გაბედავ,
საკუთარ ბავშვობას მოეფერო,
მიუალერსო და
თავზე ხელი გადაუსვა?
დაიხარო ან
მუხლებში ჩამჯდარი
თვალებში ჩააცქერდე!..

მას ხომ ასე სჯეროდა შენი!
ის ხომ ამდენს მოელოდა შენგან!
შენ კი ამდენ რამეს შეპირდი და
არაფერი არ შეუსრულე!

იდექი ასე,
და შორიდან წარმოიდგინე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ფანჯრებთან დარჩენილი,
ხატვით გართული...

ოღონდ რას ხატავს —
მის გაგებას
ნურასოდეს ნუღარ ეცდები.

## ბიუროკრატის საუზმე

ჩამოჭრა
მოვალეობის აგურისფერი პური;

გადაუსვა
მოთმინების გაყინული კარაქი;

დააყოლა
ფარისევლობის ნელთბილი რძე და

წავიდა კაცი სამსახურში.

## სიჩუმე

სიჩუმე.
როდესაც აზრი ეკარგება კედლების არსებობას.

სიჩუმე.
როდესაც ფიქრი ხდება
ერთადერთი და ხელმისაწვდომი...

მეხსიერების ნემსის ქვეშ კი
ისევ ბრუნავს განვლილი ცხოვრება —
მშვენიერი, ოღონდ ზოგიერთ ადგილას
ოდნავ გაკაწრული — ფირფიტასავით..

სიჩუმე.

●

სეირნობიდან მოჰყვებათ მამებს
ბავშვები მზესთან ნათამაშევი
და ქუჩებს აზრიც არა აქვთ რამე,
გარდა მზისა და გარდა ბავშვების.

აზრი ყოველი აზრის დამტევი,
აზრი ლამაზი,
დაუსაბამო:
სეირნობიდან მოჰყავთ ბავშვები
და შინ ბრუნდება მშვიდად საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ძმას

მეტი რა მინდა:
ორიოდე ღრუბელი მაღლა,
მტკაველი მიწა — სანაბიჯოდ, და ვლოცავ გამჩენს!—
ძვლები იქნება, თუ სახელის მაგვარი რაღაც —
აქ უნდა დარჩეს!

## კარებები

ჩვენ
საგულდაგულოდ ვუდარაჯებთ ხოლმე
გულის იმ კარს,
საიდანაც ვინმეს შემოსვლას ველოდებით.

მაგრამ არ ვიცით არსებობა
იმ კარებისა,
საიდანაც გადიან და უჩინარდებიან
მოგვიანებით.

## პატარა დედა

სიხარულის ფართოდ გაშლილ
თეთრი ზეწრით შებურვილს
ხელთ უჭირავს თოთო ბავშვი —
ახლად —
გაბა —
ნებული!..

●

ისევ შევხვდი.
ისევ-ისე შევკრთი.
ორი სიტყვა ძლივს ვუთხარი ფიცივით:
ღამეები ვტეხე-მეთქი შენთვის.

— ნატეხები მაჩვენეო! — იცინის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რენე კალანდია

### იდილიური

(ლატვიური დღიურიდან)

ნატრობდი? აგიხდა! თბილია თივა.
წევხარ და სიზმარს წიწკნი;
რა ბედნიერი ხარ, სულაც არ გტკივა —
წაუკითხავი წიგნი.

დილაა! ლექსები?.. ერთი და იმათი...
ეზოში ჟღარუნობს ბიდონი;
რძე. დიასახლისი. საუზმე — „პრიმა"-თი
გიორგი ბაქანიძეს იგონებ.

დღეები?.. შუადღე გადაშლის ნიავს და
საღამო გახდება ჭრელი;
ხსოვნაში დაგრჩება მასპინძლის თივა და
სოფელი — პეტრისის ველი.

### კიდევ ერთი სიყვარულის მელოდია

ნატალი!
შენი სახელით მთვრალი,
კვლავ ვჩურჩულებდი: ცაა — ფიქალი,
და შორეული, ვით მადრიგალი,
გულს აწამებდა გრძნობა — გრიგალი;
ფრანგულ სუნამოს სურნელი,
დეკოლტე — მკერდი-თოვლი —
თრთოლაა განუკურნელი,
მიმტევებელო ყოვლის, —
„სული აღმერთებს ცურვას",
თვალი — თეთრ მკერდზე ხალებს,
სილურჯე აღსასრულისა
ჰა, აეფარა თვალებს...
ამ განშორებას, —
ტკივილთა ლავას,
ლექსი — ზვარაკი თუ ეცოტავა;
მდინარე მოვა, ღელე კი წავა,
ჭაბუკი მოვა, ხოლო მე წავალ...
და მინორული მუსიკის ლანდი —
სივრცით დაღლილის უძირო დარდი,
მადლობა უფალს,
რომ აგშორდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მკვდრის მზე

ჩვენ თვით სიკვდილშიც ვერ ვპოვებთ შვებას —
ზურგს შეგვაქცევენ ანგელოსები.

მიქელანჯელო.

ნაღველმა დამჭრა... ვწევარ გულაღმა...
თქვენი ცრემლი და მუდარა მაწვიმს...
ქარონიც მოვა... და გავალთ გაღმა...
ჰა, როგორც იქნა... ვეშვები დაღმა...

მე დაჭრილი ვარ — სივრცის ფერებით,
დაისის ლექსით — თქვენი თვალებით,
მე უკვე ვკვდები — მწუხრის ბგერებით
დამბადებელი მომეფერება...

აჰა, ინებეთ სული — გვირილა,
აჰა, აიღეთ ჯვარი — ცხოვრება,
აჰა, სტრიქონიც აატირილა
ცით ჩამოქცეულ სევდის ყვირილმა...

## რექვიემი

ლატვია. ტყე და შ. ჩანტლაძე „წავიდა თოვლი"...
რაღაც შორეულ, მუქთვალება ტკივილს ვიგონებ,
რამდენი ვინმე ნაღდი, როგორც ტყვია ნასროლი,
ლურჯ სიყმაწვილის სივრცეებში გამოვიგლოვე...

მერე რა მოხდა?.. მეკითხება სამყაროს მტვერი
და მიწის მატლი — მიხსნის ფრთათა ტრაექტორიის
კანონებს... კმარა! აღარ მყოფნის უკვე ჰაერიც,
მარტო დამტოვეთ!.. სევდიანი დღე ისტორიის

ჩემია! ჩემი!.. თქვენ კი გქონდეთ აქვარიუმი —
ოქროს თევზებით, მოუარეთ, როგორც წესია...
ჩემთან დარჩება სულის ხსოვნა და მაგიური
სიტყვის სიმაღლე, — ღვთაებრივი როგორც მესია.

ტყე და „წავიდა თოვლი",
ბალახი იწყებს შრიალს,
ცვივა ცვარ-ნამი — ბროლი...
ტანჯული სულის წრიალს
რით ანუგეშებ, უფალო?..
ჰა, ამოლურჯდა იაც...
მადლიო?! რა ვქნათ, უფრორე
ცოდვის მთესველი გვქვია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხმა მღაღადებლისა

ვით შემოდგომურ ფოთოლზე ცრემლი —
თავჩაქინდრული სევდის ყვავილი
ანათებს სიზმრის მეწამულ ველზე
ამოხეთქილი ამოძახილი;

დუმილო — მეფევ,
დუმილო — მონავ,
დუმილო — ჯილავ,
დუმილო — ჯვარო,
სასოწარკვეთილ ყვავილთა კონა
ქვითინით უნდა გადაგაყარო

მკერდზე, რამეთუ დაიქცა წყალი,
გულზე, რამეთუ დაობლდა პური,
აჰა, ცრემლიან ლოდინით მთვრალის
ღაღადებს სული უდაბნოური.

## ნელი სვლა

საოცრება მოგელის შენ...
**ტერენტი გრანელი**

მე მოვდიოდი, მოვდიოდი, შენსკენ პოეტო,
არყით, სიგიჟით და სიჩუმის თეთრი ქვი-
თინით, და სასაფლაოს უსასრულო მდუმარე-
ბაში თვლემდნენ წლები — ანგელოსები, ვით
გვირგვინები — „ცრემლიანი ბედისწერისგან“...

კვლავ არსებობდა დავიწყება, როგორც სასჯელი,
კვლავ ცოდვილობდა გულდედლობა მონური სულის,
კვლავ ყვავილობდა გულდიდობა — შენი მტანჯველი,
შემდეგ აფეთქდა გული — ნაღმი, და თქვა: გასრულდა!..

ღმერთო, უშველე განწირულთა ცისფერ გოდებას,
ღმერთო, შეუნდე — მოლოდინში აღმართულ ხელებს,
ღმერთო, იშვილე პოეზია, როს ჟამი დგება
მდუმარებისა და თავებს დავხრით, მაშინ გვიშველე!..

დალლილთა სულის სახელით,
სილრმეებიდან ძახილით,
ხავილისფერი ხრიალით,
ახრიალებულ ხახით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვინმე მელექსე“ დარჩება,
რომ ცის გუმბათზე გიხილოს,
და სივრცეებში აგინთოს
ლურჯი სიჩუმის სხივი.

## საკუთარი ლექსი

*ჯარჯი ფხოველს*

შემეფეთება მოპასანი — ყელგამოჭრილი,
ქალალდის ფურცელს — კედელს ვეხლები...
მკითხველო ჩემო, ნურც იფიქრებ, ვიყო მორჩილი
ან ტაში-ტუშით ველი შეხვედრას...

არა და არა! თვალსისხლიან ღამეებს რული
არ ეკარება, — უდაბნოს იქით
გარბის ყვირილი — მისდევს მსხემი გადარეული
და მიაქვს შენი ცრემლების ტვირთი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი

# მივემგზავრები მადრიდს

## სამსახურში

— ულრმესი მადლობა, ბატონო სიმონ, ულრმესი მადლობა, ანგარიში რომ გამიწიეთ... განა არ მესმის, ამ დროს, როცა ყველაზე მეტი სამუშაო გვაქვს, ორი კვირით უფასო შვებულება რას ნიშნავს... ეს ჩემი **გამოუვალი,** მართლაცდა **გამოუვალი** მდგომარეობა რომ არა, როგორ შეგაწუხებდით... ულრმესი მადლობა, რა დამავიწყებს... ოღონდ რაკი ასეთი მადლი მოისხით, ბატონო სიმონ, ერთ თხოვნასაც შემოგკადრებთ: არ მინდა ჩვენმა თანამშრომლებმა იცოდნენ, სადაც მივდივარ. ხომ იცით, შემოდგომაა, ყველას სოფლისკენ მიუწევს გული, იქ, სოფელში რომ ვინმე მესტუმროს, ახლა ამის დრო არ მექნება, ხომ აგიხსენით, დედაჩემი რა დღეშიც ჩავარდნილა... ჩალოგინებულ მოხუც ქალთან რა სტუმრობის დროა, ყოველ წუთს შეიძლება რაღაც დაემართოს, ეჰ, მოხუცია, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი მზარავს, თქვენც ხომ გესმით, ბატონო სიმონ, დედას ვინ შეგვიცვლის, ვიდრე დედა ცოცხალი გყავს, არც ობოლი ხარ და არც მიუსაფარი, უდედოდ კი... რა ასაკშიც არ უნდა ვიყოთ... ეჰ, თქვენც ხომ შარშან დაკარგეთ დედა... ახლა ყველას რომ ვუთხრა, რისთვისაც მივდივარ: დედა მყავს მძიმედ ავად და უნდა მივხედო-მეთქი, ხომ იცით, შეწუხდებიან: ვინ წამალს შემომთავაზებს, ვინ ექიმს და არც ეგ მინდა... არ მინდა ხალხის აფორიაქება, ხომ გესმით... ამიტომ ძალიან დამავალებთ, თუ ამაშიც შემიწყობთ ხელს... დაე, იცოდნენ, რომ მივლინებაში წავედი... დიდი მადლობა, ბატონო სიმონ, ულრმესი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ, აბა, სულ კარგად...

## ოჯახში

— ხვალ მივლინებაში მივდივარ ორი კვირით. სოხუმში. ჰო. ჩამილაგე, ბევრი არაფერია საჭირო, კარგი ამინდები ყოფილა. ლაბადა არ გინდა... არა. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, დაიმახსოვრე: თუ ვინმემ დამირეკოს, თუ კი არა, ხომ იცი, დარეკავს ვინმე, არავისთან წამოგცდეს, სოხუმში არისო... ამ ხანებში იქით რომ მოუწიოს ვინმეს წამოსვლამ, ვიცი, მინახულებენ, შემომივლიან და ახლა მე სმისა და ქეიფის თავი არა მაქვს. თანაც მართლა ბევრი საქმე მაქვს მოსაწესრიგებელი. უფროსმა განსაკუთრებით მთხოვა... ასე უთხარი, კისლოვოდსკშია დასასვენებლად-თქო... დაიწყე უკვე ჩალაგება, მე ცოტა ხნით უნდა გავიდე, აუცილებელი საქმე მაქვს მოსაგვარებელი...

## არც ოჯახში, არც სამსახურში

— რა გაძლებს ორი კვირა უშენოდ... ავდგეთ. ჩავიცვათ. თუმცა, შენ იწექი, თუ გინდა. დროზე უნდა მივიდე სახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, გასამზადებელი ვარ, ნეტავი ერთად მივდიოდეთ სადმე როგორც შარშან... ეჰ, სხვა ქალაქში რომ მივდიოდე, ნამდვილად წაგიყვანდი, მაგრამ ქუთაისში არ გამოვა, შენც ხომ იცი... როგორ მეზარება, რომ იცოდე... რაღა ახლა მოუნდათ იმათაც მემკვიდრეობის დამტკიცება... თვითონ აღარაფრის თავი არა აქვთ, ჩემს სიდედრსა და სიმამრს, და მე მომიწევს ყველაფერზე სირბილი, ხომ გესმის... მაგრამ რას ვიზამ... პატარა მემკვიდრეობას კი არ ეხება საქმე... რა გაძლებს ეს ორი კვირა იმათთან სახლში... სხვაგან... ერთად წავიდოდით, მაგრამ მანდ... მთელი ქალაქი ჩემი ცოლის ნათესავებით არის სავსე... აბა არ მოიწყინო... ასე... ერთხელ კიდევ, ასე... დაგირეკავ აუცილებლად, კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო...

## ქუჩაში

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— როგორა ხარ? რამდენი ხანია აღარ მომიკრავს შენთვის თვალი!

— არა მიშავს. შენ როგორ გიკითხო?

— რა ვიცი, მართლა კარგად გამოიყურები: შორიდან გიყურებდი, ისე მოაბიჯებდი, სადმე კარგ ადგილას რომ მიიჩქარის კაცი.

— მართალია, სხვალ მადრიდს მივემგზავრები.

— აუჰ! როგორ მოახერხე?

— თუ ძალიან მოინდომებ, ხომ იცი... მთელი ცხოვრების ოცნება მისრულდება! ესპანეთი, მადრიდი! — ჩემი სიგიჟეა!

— აბა, შენ იცი! ბედნიერ მგზავრობას გისურვებ!

— გმადლობთ, გმადლობთ... კეთილად მენახე!

## საავადმყოფოში

— უკაცრავად. შეიძლება მთავარ ექიმთან შესვლა?

— მიბრძანდით, სწორედ თავისუფალია.

— ო-ო-ო-ჰ!! ამას ვის ვხედავ! მართლა შენა ხარ?! არა, მართლა შენა ხარ?! მოიცა ერთი, კარგად შეგხედო! რა ქარმა გადმოგაგდო! რა ჭაუამ გითხრა?! კაცი ხარ შენ და სინდისის რამე გცხია?! ბიჭო, ერთხელ მაინც როგორ არ გაგახსენდი, რა იშოვე ამ ქალაქში ამისთანა, ერთ მერხზე მაინც არ გაგვეტარებინოს შვიდი წელი! აღარ გახსოვს, შე უსინდისო, შენა?! დაჯექი. დაჯექი. მოიცა, ერთი კარგად შემოგხედო, როგორ გამოცვლილხარ...

— უნდა მიშველო, გოგი, ცუდად არის ჩემი საქმე!

— რა იყო, რა დაგემართა! თუკი რამე შემიძლია...

— რა დამემართა! ეგ რომ ვიცოდე... ნერვები მღალატობს, გესმის, ნერვები! **არავის** დანახვა აღარ შემიძლია. გესმის? **არავის. არავის.** არავის ხმის გაგონება. სახე. ხმა... არავისი... დავიღალე, გადავიღალე... აღარ მინდა... ხომ მაქვს უფლება, დავიღალო? ცოტა ხანს მინდა ჩემთვის ვიყო. სულ მარტო. **სულ მარტო.** სიჩუმე მინდა. გესმის? სიჩუმე. არ შეიძლება? გეკითხები, არ შეიძლება. კაცს სიჩუმეში მოგინდეს ყოფნა?! ტირილი დამჩემდა, გესმის? ტირილი! თან ისეთ რამეზე, ისეთ სისულელეზე ავზლუქუნდები, რომ ლამის გულზე გავსკდე: ვთქვათ, ვუყურებ ტელევიზორს და დიქტორი აცხადებს ხმამაღლა და საზეიმოდ: „მოდის რუსთავის ფოლადი!" და გადმოინთხევა ფოლადის ლავა და გადმომელვრება მდუღარე თვალებიდან. ვზივარ და ვქვითინებ! რა ეშმაკი მატირებს, გეკითხები? მეორე წუთს აჩვენებენ სადღაც რაღაც ომს, ხალხი ერთმანეთს ხოცავს, ესვრის, აჩრჩობენ, წვავენ — და ვზივარ პირგამეხებული, ძარღვი არ შემიტოკდება! რაღაც არევდარევაა ჩემს ფსიქიკაში, მთლად მოვიშალე. დანარჩენს მერე მოგიყვები. ახლა სახლიდან ვარ წამოსული. ზოგმა იცის, რომ მივლინებაში ვარ. ზოგს დედაჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ვგონივარ სოფელში. ერთი სიტყვით. უნდა მიშველო, ეგებ შენთან დამაწვინო და ცალკე პალატა მომიხერხო... არადა, არ ვიცი, არ ვიცი, რა მომივა...

— მაგას რა უნდა! კარგია, რომ გაგახსენდი. მესმის. მესმის. ნერვები! ჰე. ახლა ისეთი დროა. ყველა-ყველა და მე როგორ ვერ გაგიგებ! მე თვითონ... ჩვენში დარჩეს და, როცა ვნერვიულობ... ყველგან თაგვები მელანდება! გეუბნები! პატარა, შავი თაგვები... აი, ჩემი კაბინეტის გვერდით ერთი ოთახი გვაქვს თავისუფალი. ადრე იქ იყო ჩემი კაბინეტი, რემონტის შემდეგ ამ ოთახში გადმოვედი, ის ცარიელი დარჩა... არც ვიცი, რისთვის გამოვიყენო... იქ მოგათავსებ. დივანიც დგას. სავარძლებიც. წყალიც აქვს ცალკე, შხაპიც და სხვა რამეც. თუ გინდა, სულ ნუ გამოხვალ გარეთ: კაციშვილი არ შეგაწუხებს. იქნები ღმერთივით. ფანჯრები ბაღში გადის, დიდებული ბაღი გვაქვს, სხვათა შორის, ეს საავადმყოფო ამ ბაღის გულისთვის ააშენეს აქ. ჩვენს ავადმყოფებს იქ სეირნობის თავი არა აქვთ. 3-4 საათის შემდეგ სულ ცარიელია. შეგიძლია იქაც ისეირნო. ვეტყვი და საჭმელს გარეთ დაგიტოვებენ, კართან, თუ გინდა, სულ ნუ გამოხვალ... როცა მოგშივა, შეიტანე და ჭამე. ჰა, რას იტყვი... ოღონდ ერთადერთი... ავადმყოფის პიჟამო უნდა ჩაიცვა. თვალში არავის მოხვდეს მაინც, ხომ იცი... სხვა არაფერი მოგეთხოვება!

— შენი ჭირიმე, გოგი!

## უნომრო პალატა

როდესაც მთავარმა ექიმმა, იგივე ბავშვობის მეგობარმა, მცირე თათბირისა თუ წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ოთახი დატოვა და ბოლოს და ბოლოს მარტო დარჩა ის, ვინც სოფელში, სოხუმში, კისლოვოდსკსა, ქუთაისსა და მადრიდში ერთდროულად იყო გამგზავრებული — ამ მრავალი მიმართულებით (უფრო კი, როგორც ჩანს, საკუთარი თავისაკენ) წასულმა ადამიანმა თვალები დახუჭა, ღრმად ჩაისუნთქა თბილისის ერთი შორეული უბნის მედარებით სუფთა ჰაერი, მთელი სხეულით შეიწოვა ოთახში გამეფებული სიჩუმე (დერმატინის შავი, სქელი კარი ჩქამსაც არ უშვებდა დერეფნიდან), რომელიც ფანჯარასთან შეუმჩნევლად გადადიოდა ბაღის შრიალში და სალბუნად ეფინებოდა მის გადაღლილ ნერვებს... უზომო ნეტარებით დაემხო საწოლზე და ჩაეძინა ღრმა და მშვიდი ძილით — ძილით, შვებას რომ მოაქვს. სიზმარში კი ხალისიანად ადგა საწოლიდან, სტვენასტვენით ჩაალაგა პატარა, ლამაზი ჩემოდანი, გავიდა აეროპორტში, ელეგანტური ხელის ქნევით (რომელსაც მოუხდებოდა შეძახილი: „გუდბაი, მაი დარლინგ!“ უფრო კი „ადიოს, მი ამიგოს“) დაემშვიდობა ნაცნობ-მეგობრებს, მსუბუქად შედგა ფეხი ტრაპზე და გაემგზავრა მადრიდს... მადრიდში ჩავიდა თუ არა, გამოეღვიძა...

ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ხეების ოდნავ მოქანავე კენწეროებს მიაჩერდა და მშვიდად და აუჩქარებლად დაიწყო ფიქრი: ადრე მადრიდს არასოდეს ხედავდა სიზმარში. ყოველთვის ცხადში მიემგზავრებოდა იქ. იქაც და მადეირას კუნძულებზეც, წითელი ზღვის სანაპიროზე და კუნძულ ერომანგაზე ან ესპირიტუ სანტოზე. რა იყო ამაზე ადვილი! საკმარისი იყო ავტობუსის ფანჯარასთან მოხვედრილიყავი, რომ თვალს სივრცე ჰქონოდა გასაშტერებლად. ვიდრე ავტობუსი ვერიდან საბურთალოს ბაზრამდე გააღწევდა, ორი-სამი პატარა კუნძული უკვე შემოვლილი ჰქონდა: ნავით შორს გადიოდა ოკეანეში, თევზს იჭერდა, დიდხანს ეხეტებოდა ფეხშიშველი კუნძულის ქვიშიან ნაპირზე, ოკეანის მწვანე ქაფი წვივებს ულოკავდა, უცქეროდა კუნძულის საკვირველ ხეებს, უსმენდა უცხო ჩიტებს და უცხო სიტყვებს... მერე კი ღამით იდგა ვარსკვლავებით გადაბდღვრიალებული ცის ქვეშ, ნაპირზე, უყურებდა ცა როგორ ირწეოდა ოკეანის მრუმე მწვანე სარკეში... უყურებდა და უყვარდა. უსმენდა ოკეანისა და კუნძულის ენით გამოუთქმელ მუსი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კას და... გული უდნებოდა სიყვარულისაგან... ის ისილებოდა ამ სიყვარულით, ქროლდებოდა, აღარ იყო, მიფარფატებდა და ერეოდა ოკეანის ოდნავ სველსა და ოდნავ მკვრივ ჰაერს. მას უყვარდა ოკეანე და მხოლოდ აქ შეეძლო ყვარებოდა მთელი სამყარო... ყველა კუნძულს თავისი მუსიკა ჰქონდა. ეს მუსიკა ისე ერთვოდა ოკეანის ხმადაბალ სიმღერას (რომელიც მხოლოდ ძლიერი, უზარმაზარი, ლურჯი და მწვანე ხმოვნებისაგან შედგებოდა: აიაა — ეიო —ოაა, იოო, — უუა — აა — ეეი)! როგორც კუნძულის მიწას ლოკავდა ოკეანის წყალი... ეს მუსიკა სრულიად აშკარად ესმოდა მას, ქარივით შრიალით წამოიმართებოდა, და უხმიანებდა სმენის საიდუმლო წიაღში... (ამ დროს ავტობუსი დილმის მასივს უახლოვდებოდა ხოლმე...). ბოლოს ემშვიდობებოდა „თავის“ პატარა საყვარელ კუნძულებს და მიეშურებოდა მოგზაურობის საბოლოო მიზნისაკენ — ყოველი მოგზაურობა, სად და როგორც არ უნდა დაწყებულიყო, ბოლოს ესპანეთით მთავრდებოდა. რაც თავად მოგზაურისთვისაც აუხსნელ გამონაკლისს წარმოადგენდა. მას არ იზიდავდა დიდი და ცივილიზებული სახელმწიფოები. მისი გული შორეულ, უცხო და პატარა კუნძულებს ეკუთვნოდა (ეგებ იმიტომ, თვითონაც პატარა ქვეყნის შვილი რომ იყო), მაგრამ ესპანეთი, მადრიდი ყოველგვარ გზათა შესაყარად ექცა თავიდანვე, იმ შორეულ გზათა, მისი ოცნების ფერადი რუკა ცისფრად რომ დაექსელათ. მადრიდში თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში (განსხვავებით თბილისისაგან, სადაც თავს არასდროს გრძნობდა შინ. აბა როგორ უნდა იგრძნო შინ თავი, როცა ყველა გიცნობს და ყველა, რატომღაც ცუდი აზრისაა შენზე. ის არ სჯობია, სასიამოვნო მანძილიდან რომ გიცნობენ, და თუ შენზე არ გიყდებიან, საწინააღმდეგოც არაფერი აქვთ. დაგინახავენ და მხიარულად დაგიქნევენ ხელს).

ის მაუბუქად მიდიოდა მადრიდის ქუჩებში. გადაივლიდა ხიდს, სადაც ყოველთვის ქროდა ქარი, საყელოს მაღლა უწევდა და თმას უფრიალებდა... ქუჩის მეორე მხარეს ახლად გაცნობილ მოხუცებსა და ბავშვებს შეუძახებდა. ისინიც მხიარულად პასუხობდნენ: «Buenos dias, amigo!» გვერდით ახალგაზრდა ქალი ჩაივლიდა ტანის რწევით, შავი, წელში გამოყვანილი კაბის შრიალით, მხრებზე დაყრილი თმებითა და ღრმად ამოჭრილი გულისპირით, სადაც ხორბლისფერ კანზე მკერდის ღართან მზეზე მოლაპლაპე ვერცხლის ჯვარი თრთოდა: – «Como es bella esa, Seniorita!» „რა მშვენიერი ხართ, სენიორიტა“! შესძახებდა ის ალალი აღტაცებით და ქალი, როცა გასცდებოდა, გაიღიმებდა. მერე კი ის მოედანი, სადაც დიდებული მწერლისა და მისი უკვდავი პერსონაჟების ქანდაკება იდგა... აქ კი გიტარა ყოვლად აუცილებელი იყო და მასაც ყოველთვის თან ჰქონდა... დადგებოდა მოედანზე და იწყებდა სიმღერას. ასევე, აუცილებელი გახლდათ აქ ქარი (თმას უფრიალებდა). ის მღეროდა ძალიან მღელვარე და მელოდიურ სიმღერას ესპანურად, მსმენელთ მოუთხრობდა იმ ქვეყანაზე, საიდანაც იყო და იმ კუნძულებზე, რომლებიც მადრიდამდე შემოიარა. ამ გრძელი სიმღერების მგრძნობიარე რეფრენი გახლდათ, თავიდან — „ყველგან სევდაა და ყველგან სიხარული, ყველგან — დაბადება, ყველგან — სიკვდილია, ყველგან ტირიან და ყველგან მღერიან. მაშ, მოდი, ვანუგეშოთ ერთმანეთი, მოდი, გავუღიმოთ ერთმანეთს“. ბოლოს: „და მე მოვედი თქვენთან“... ის მღეროდა თავის აუხსნელ სიყვარულზე ესპანეთისადმი. ხალხი მატულობდა ირგვლივ; ისე შესცქეროდნენ როგორც ნისკარტში პალმის რტოგარჭობილ მტრედს. ხელს უქნევდნენ აღტაცებულნი. გაისმოდა სიმპათიის გამომხატველი შეძახილები: „შეხედეთ, სულ ესპანელს ჰგავს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თუ მართლა არსებობენ ადამიანთა მარადიული ტიპები, რომლებიც ყველა ეპოქაში შესაბამისი სახით იბადებიან, მაგალითად, ქადაგები, მისიონერები, ტირანები თუ მმართველები, პოლიტიკოსნი და მოძღვარნი (რამეთუ, ამბობენ, ადამიანთა ბუნებასა და მიდრეკილებებს, ამის შესაბამისად ბედ-იღბალსაც ჩვენი მარადიული მნათობების გამოშუქება და ზეგავლენა განსაზღვრავსო), მაშინ რაღა ფიცი და მტკიცი სჭირდება, რომ სანდრო ლიჩელი დაუცხრომელ მოგზაურთა კასტას ეკუთვნოდა. სრული დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო: ის რომ კოლუმბისა და ამერიგო ვესპუჩის თანამედროვე ყოფილიყო, და პირველ დიდ მოგზაურობათა და აღმოჩენათა ეპოქაში ეცხოვრა (თუკი თავისი ბედკრული ქვეყნის გადამკიდეს ეკონომიურად არ შეეშლებოდა ხელი), აუცილებლად აღმოაჩენდა რომელიმე ქვეყანას და შეიძლება კოლუმბი თუ ვესპუჩი სულაც პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა. მეტი რაღა საბუთი გინდათ: დაჯდებოდა ან დაწვებოდა თუ არა, მაშინვე სამოგზაუროდ მიეშურებოდა: კუნძულ ტანგატაპუსა თუ ვანუა-ლივიზე. არაფერი არ უნდოდა ამ ცხოვრებისაგან და თავისი გულუბრყვილობის გამო, სულაც არ ახსენდებოდა, რომ სამაგიეროდ მოგზაურობას უნდოდა ბევრი რამ და სულ მოკლე მგზავრობისთვისაც კი (თუნდაც თბილისიდან ასპინძამდე) საჭირო იყო, სულ ცოტა: ფული, ბილეთი, დრო და უფლება. მაგრამ მსგავსი უმნიშვნელო ფაქტორებისაკენ სანდრო ლიჩელის ლაღად მოფარფატე სულს ერთხელაც არ ჩამოუხედია.

ეჰ! პოეტებო და მოგზაურებო! ეჰ! არტისტული სულის ადამიანებო!

მას გაცილებით დიდმნიშვნელოვან აუცილებლობად მიაჩნდა, მაგალითად, გიტარა და ესპანური სიმღერების ცოდნა: შეიძინა გიტარა, შეისწავლა დაკვრა, ესპანური სიმღერები და იმდენი ესპანური, რომ ხალხს დამეგობრებოდა (რადგან გაქცევით, აბა, რატომ უნდა გაქცეულიყო ვინმე მისგან!). სხვადასხვა ესპანურ ფრაზებს, ფრაგმენტებს სიმღერებიდან და ცნობილი ლექსებიდან ის შემოქმედებითად აერთიანებდა, რათა ზუსტად გამოეხატა თავისი გულისნადები (საერთოდ, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სანდრო ლიჩელის ამ ესპანური ვარიაციების გრამატიკულ სისწორეზე თავს ვერ დავდებ. მათი ემოციური გამომსახველობა კი აშკარაა). დიახ. შემდეგ, ქარი ისევე აუცილებელი გახლდათ როგორც გიტარა. ქარს იმ დღეს უნდა ექროლა, როცა ის მადრიდის ერთ-ერთ ხიდზე გადადიოდა და სერვანტესის ძეგლისაკენ იღებდა გეზს: რადგან არც ერთხელ არ დაუნახავს ეს კადრი ისე, რომ მის თმას ქარში არ ეფრიალა.

სანდრო ლიჩელს არ ახასიათებდა ფილოსოფიური თვითანალიზი და თვითჩაძიებები, თორემ ეგებ კიდეც გაჰკვირვებოდა თავისი ეს ახირება-აკვიატება (რაც ისევე ბუნებრივად მიაჩნდა როგორც სამსახურში დაგვიანება) და ასეთი ღრმააზროვანი კითხვები დაესვა საკუთარი პიროვნებისათვის:

„ვინა ვარ მე და რატომ მეძახის წყნარი ოკეანე და ესპანეთი?“

„რატომ მაინცადამაინც მადრიდი და არა ვაშინგტონი ანდა ადის-აბება?“

„რას ეძებს, რა უნდა ადამიანის უკვდავ სულს, ამ თავნება, მოუხელთებელ ფრინველს, რომელიც დაჟინებით მიმოქრის პლანეტებსა და კონტინენტებს შორის, სხეულსაც იქით ეწევა და სულაც არ დაგიდევს გრავიტაციისა თუ სივრცეში მოძრაობის კანონებს. არც სატრანსპორტო, მატერიალურ, პოლიტიკურ თუ ოჯახურ (დიახაც ანგარიშგასაწევ) ფაქტორებზე ფიქრით იცხელებს თავს, მაგრამ სანდრო ლიჩელი არავითარი კითხვებით არ აწუხებდა საკუთარ არსებას და მხოლოდ ანებივრებდა მშვენიერი მოგზაურობით.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ იმ პატარა კუნძულების საქმე ცოტა სხვაგვარად გახლდათ: გარკვეულად მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სახელების ჟღერადობამაც განაპირობა, რომ ისინი სანდრო ლიჩელის საყვარელ კუნძულებად იქცნენ (თორემ წყნარ ოკეანეში ბევრი სხვა პატარა კუნძულიც იყო, მაგრამ სანდრო ლიჩელი იქ გამგზავრებას არ აპირებდა) რადგან ამ კაცზე მაგიურად მოქმედებდა ზოგიერთი სიტყვა. აბა, როგორ არ შეუხტებოდა გული, როცა პირველად შემოესმა მათი სახელები: **„ერომანგა“ „მოროტაი“ „შუაზელ“ „მარაუტა...“** ლიჩელი მთლიანად შეიპყრო ამ სიტყვათა ჯადოსნურმა ჟღერამ, მაგრამ ისევე არასდროს უცდია მათი მნიშვნელობების გარკვევა, როგორც ამ კუნძულების გეოგრაფიული პირობების შესწავლა. მისთვის სრულიად საკმარისი იყო იმის დადგენა, რომ ისინი ისევე იყვნენ გაფანტულნი სადღაც წყნარ ოკეანეში, როგორც წვრილ-წვრილი ვარსკვლავები დიდ-დიდ მნათობებსა და ნისლეულებს შორის. ამ კუნძულებზე სანდრო ხედავდა მღვიმეებსა და შიშველ ქარაფებს, მელანივით მუქ ტბებსა და მათ ნაპირზე ყვითელ ნაყოფებიან უცხო ჯიშის ხეებს, ძოწისფრად რომ ილებებოდნენ ჩამავალი მზის ნათელში.

საერთოდ, რაც შეეხება გეოგრაფიულ განსწავლულობას, ამ საკითხში სანდრო ლიჩელის საქმე ცოტა თავისებურად გახლდათ. თუ ის სიზუსტეს გამოიჩენდა საკუთარი ცნობიერების მიმართ, უნდა ეღიარებინა, რომ მისი გეოგრაფიული წარმოდგენები იმ ბავშვის გაკვირვების საფეხურზე დარჩენილიყო, რომელსაც ვერაფრით ვერ გაუგია, რატომ ძირს არ ცვივიან ქალაქები და ადამიანები, თუკი დედამიწა ბურთივით მრგვალია და თანაც ტრიალებს! მაგრამ რა გულუბრყვილობა იქნებოდა, თუკი ვინმე დაასკვნიდა, სანდრო ლიჩელი გაუნათლებელი კაცი ყოფილაო; ლიჩელი ფრიად ნაკითხი გახლდათ და საშუალო სკოლაც ოქროს მედალზე ჰქონდა დამთავრებული, დამსახურებულ ოქროს მედალზე. მაშასადამე, გეოგრაფია და ფიზიკა-გეომეტრია მშვენივრად ჰქონდა შესწავლილი, მათი კანონებიც კარგად მოეხსენებოდა. მაგრამ, მერე რა? ის ცოდნა ცალკე არსებობდა და ის გაკვირვება — ცალკე, სულაც არ გამორიცხავდნენ ერთმანეთა.

დიახ, ვიმეორებ, სანდრო ლიჩელს არ ახასიათებდა თვითანალიზი, რომ შეკითხვა დაესვა თავისი თავისთვის: „ვინა ვარ მე და რატომ მეძახის უცნობი სივრცე?“ მაგრამ თუკი სხვა ვინმე მოიცლის და იკითხავს ამას, თანაც საჯაროდ, ცხადია, იქ უამრავი განსხვავებული პასუხი თუ ჰიპოთეზა იჩენს თავს:

მაგალითად, ვინმე უდარდელი ხელს აიქნევს და ჩაილაპარაკებს, „კაცია და გუნებაო,“ და, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც დიდებულია ეს ხალხური ფორმულა, ასე საყვარლად რომ იცავს ადამიანის ინდივიდუალობას, პიროვნების თავისუფლებას და ასე შემდეგ, (რასაც, ცხადია, მხოლოდ თამამი სულის პატრონი წამოიძახებდა თავის დროზე), ამ შემთხვევაში საკითხის გადაჭრად ვერ ჩაითვლება.

ვიღაცას გენეტიკის შემოქმედებითად განვითარებული თეორია გაახსენდებოდა და დაუშვებდა, რომ სანდრო ლიჩელს თავის წინაპართაგან მხოლოდ მოგრძო, თხელი ცხვირი და მარჯვენა ფერდზე კვერცხის ფორმის ლაქა კი არ ჰქონდა გადმოცემული, არამედ, აი ეს ლტოლვაც გარკვეული ქვეყნებისაკენ მათგან მიღებულ მემკვიდრეობად უნდა ჩაეთვალა, ერთგვარ ესტაფეტად. ვინ იცის, რამდენი თაობის მანძილზე თაობათა გარკვეული ინტერვალებით რომ გადაეცემოდა მათი გვარის ზოგ-ზოგ შთამომავალს. ეგებ რომელიმე მისი შორეული წინაპარი, იქნებ სწორედ ის, ვისაც კვერცხის ფორმის ყავისფერი ლაქა ჰქონდა მარჯვენა ფერდზე, ბედისწერამ ესპანეთში მოახვედრა, და მერე მუდამ თან დაჰქონდა ამ ქვეყნის ხატი? ან ეგებ აფრებიანი ხომალდით ჩაუვლიდა ხოლმე იმ პატარა კუნძულებს? ეგებ ამ კაცს სატრფო ჰყავდა მადრიდში, რაღაც განგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალით იქ მოხვედრილი ქართველი ასული და დღენიადაგ ამ ქალაქისაკენ ისწრაფოდა იმისი გული? ეგებ მისი ასრულებული თუ აუსრულებელი სურვილები იყო, იმ ყავისფერ ლაქასთან ერთად რომ გასრიალდა ლიჩელების გვარის ფიზიკურ თუ სულიერ კაპილარებში? ვინ იცის.

ხოლო სხვა მრავალგანსხეულების ეგზომ მანუგეშებელ მოძღვრებას გაიხსენებდა, რომელიც ასე ამღელვარებს ადამიანის წარმოსახვასა და ფანტაზიას, საოცარი ვარაუდებისაკენ უბიძგებს, და იტყოდა: რომ მისი წინაპარი კი არა, შეიძლება თავად სანდრო ლიჩელი იყო რომელიმე წინა ცხოვრებაში მადრიდის მოქალაქე, სულით და ხორცით ესპანელი, ვინმე ხოზე დე მორა თუ გარსილასო დე ლა ვეგა; ვინ იცის, ეგებ თავად აგებდა მადრიდის ქუჩებში ქვაფენილს ან აშენებდა ტაძარს ან სახელი ჰქონდა განთქმული როგორც მოხეტიალე მომღერალ-ხუგლარს? ეგებ ესპანელი ზღვაოსანი იყო და განძი ჰქონდა ჩამარხული წყნარი ოკეანის რომელიმე იმ პატარა კუნძულზე? ან ეგებ რუიდიასის ლაშქარში კასტილიის განთავისუფლებისათვის იბრძოდა სულაც? და ვის გაუკვირდება დაუდგრომელი ესპანელი ქართველ კაცად რომ დაბადებულიყო მერე! ოღონდ, რატომ? — ეს კი განგების შეუღწეველ ლაბორატორიაში მიმდინარე ამოუხსნელ რეაქციად უნდა ჩაითვალოს.

მავანი უფრო შორს წავიდოდა, უფრო ძველ, უფრო უცნაურ და პოეტურ მოძღვრებას გაიხსენებდა და იტყოდა, რომ შეიძლება სანდრო ლიჩელი ოდესღაც სულაც თევზი იყო, დიდი, შავფარფლება,თვალსევდიანი თევზი და წყნარ ოკეანეში იმ კუნძულების წყალში ცხოვრობდა! ხანდახან ტალღას აჰყვებოდა, თავს დაადებდა კუნძულის ნაპირს და ფიქრობდა: „მიწა". ანდა შეიძლება ფრინველი გახლდათ, უძველესი დროის უცხო. უსახელო. მარტოსული ფრინველი. და იმ პატარ-პატარა კუნძულებზე ბუდობდა. დაფრინავდა მათ თავზე და უცნაური კივილით აცილებდა ჩამავალ მზეს... ან ეგებ ამ უდაბური კუნძულების ცხოველი იყო, და მერე ესპანეთის რომელიმე მეფის სამხეცეში მოხვდა? ვინ იცის. ვინ იცის, რას აღარ იტყოდნენ საკვირველი ჰიპოთეზების მოყვარულნი! ვინ იცის, საიდან მოდიოდა სანდრო ლიჩელის მოხეტიალე სული და რა შორი გზებით ჩასახლდა ერთი თბილისელი კაცის გამხდარ სხეულში?

ხომ იმასაც ამბობენ: ყველაფერი მოგონებააო! ოცნებაც — ოდესღაც არსებულის მოგონებააო! ვინ იცის, სწორედ იმ უშორესი ცხოვრების მოგონება იყო, ასე რომ ჩქეფდა მისი სულის ნისლეულში და ეძახდა, ეძახდა წყნარი ოკეანის შავ-მწვანე ღამეებისა და მარტოსული კუნძულებისაკენ.

ოღონდ ნურავინ იფიქრებს, რომ სანდრო ლიჩელი, რაკი გაუთავებლად მოგზაურობდა და მაშასადამე უმეტესწილად თავისი ფაქტიური ადგილსამყოფელიდან ფაქტიურად შორს იმყოფებოდა, სამსახურზე გულარძნილი კაცი გახლდათ. სულაც არა! სწორედ პირიქით. ის დაწესებულების ერთ-ერთ ყველაზე მცოდნე და სერიოზულ მუშაკად ითვლებოდა. ესეც თქვენ! ანუ იმათ, ვისაც მარტივი მიზეზ-შედეგობრიობა უყვარს.

ვიცი, ხშირად მომიწევს სანდრო ლიჩელის დაცვა: ბარემ აქედანვე დავიჭერ თადარიგს და განვაცხადებ: ძალიან შეცდება ზოგიერთი გულუბრყვილო ან (რაც უარესია) ინტრიგანი, თუკი დაასკვნის: საქართველოზე გული ჰქონია აყრილი სანდრო ლიჩელს და თურმე სამუდამოდ სხვაგან ცხოვრებას ესწრაფვისო (რაც სანდრო ლიჩელისათვის სასიკეთო დასკვნა არ იქნებოდა). არამც და არამც! როგორც ქართველების უმრავლესობა, ისიც მეტისმეტად მტკიცედ იყო მიჯაჭვული სამშობლო ქვეყანაზე და ეს მიჯაჭვულობა მისი ბედისწერა გახლდათ, მისი სისხლი და ისტორია და ძალიანაც კარგად მოეხსნებოდა, აქ რომ კიდეც ფეხით დაეკიდათ (გამორიცხული აბა რა არის),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ერთია, სხვა ქვეყანაში მაინც ვერ გაძლებდა დიდხანს და იქ ცხოვრებას გემოს ვერ ჩაატანდა (რაც მრავალთა სამწუხარო გამოცდილებამაც დაგვიდასტურა). დიახ. მაგრამ სამშობლოსადმი მისი სიყვარული ისევე ბუნებრივი იყო, როგორც შორეული ქვეყნებისაკენ ლტოლვა. და შორეული ქვეყნების სიყვარული ისევე ბუნებრივი გახლდათ, როგორც ზღაპრებში მზეთუნახავის შეყვარება უნახავად. მერედა, რა უმნიშვნელო საგანი იქცეოდა ხოლმე იქ მეფისწულისა თუ რაინდის დაუცხრომელი ლტოლვისა და სულაც სიყვარულის მიზეზად: მზეთუნახავის სილამაზეზე შორიდან მოღწეული ხმები; ან უცბად სარკმელზე შემომჯდარი ჩიტის ნისკარტიდან ოთახში ჩამოფარფატებული მბზინავი თმის ღერი! უცნობი ქალის ერთი ღერი თმა! აბა რას შეედრებოდა თმის ეს ერთი ღერი სხვადასხვა ჟურნალებში ნანახ ფერად ფოტოებს, თანამედროვე ფოტოხელოვნების ბრწყინვალე მიღწევებზე რომ მეტყველებენ და ასე ცოცხლად გვიჩვენებენ უცხო ქვეყნების კოლორიტულ ცხოვრებასა და ბუნებას, ან მით უმეტეს, ტელემოგზაურობას უშორეს ქვეყნებში შესაბამისი მუსიკის თანხლებით. და რა გასაკვირი იყო, რომ ადამიანს ამ სხვათა მოგზაურობის დროს რომელიმე ქვეყანა ან ქვეყნები შეჰყვარებოდა და თავადაც აღძვროდა იქ წასვლის სურვილი? ხოლო რატომ მაინცადამაინც ეს ქვეყანა და არა სხვა, — ეს ისევ საიდუმლოდ რჩება.

ნურც იმას იფიქრებს ვინმე, თითქოს სანდრო ლიჩელისათვის ეს წარმოსახვითი მოგზაურობა ფუჭი დროსტარება იყო, ერთხელ და სამუდამოდ მოწყვეტილი რეალობას. არა! სანდრო ლიჩელი დარწმუნებული გახლდათ, რომ ეს მოგზაურობა, როცა იქნებოდა, შედგებოდა, ისევე როგორც, როცა იქნებოდა, პენსიაში გავიდოდა. რა აძლევდა ამ რწმენის საფუძველს? — მისივე სურვილის სიძლიერე, ის რომ, ეს სურვილი ასე თავისთავად, ბუნებრივად გაჩნდა და არსებობდა. აი, სწორედ ეს ბუნებრიობა. თვითონ სანდრო ლიჩელს, რაკი თვითანალიზი არ ახასიათებდა, არც ამ თავისი რწმენის რაობაზე უფიქრია. მაგრამ მას არც თავისი ცხოვრების აღწერა განუზრახავს ოდესმე და, მაშასადამე, მაინცდამაინც არ დამდგარა აუცილებლობის წინაშე: გაეცნობიერებინა საკუთარ განცდათა ძირები. რაკი მისი ამბის მოყოლა მე ვითავე, თავიც მე უნდა ავიტკივო და ლიჩელის განცდათა ფსიქოლოგიური საფუძველი რაღაცნაირად განვმარტო. ასე რომ ესეც ჩემი ვარაუდი გახლავთ, თუ რატომ იყო სანდრო ლიჩელი დარწმუნებული, როცა იქნება წავალ იქ, სადაც მთელი ცხოვრება მივდივარო.

მაგრამ რაიმე გზის გამონახვა, „მიდგომ-მოდგომა“, გაკითხვა-გამოკითხვა, იმ შორეულ კუნძულებს რომ თავი დავანებოთ, ესპანეთში მოგზაურობის განსახორციელებლად (სულ ცოტა, საგზურის შესახებ კითხვა მაინც პროფკავშირებში) სანდრო ლიჩელს აზრად არ მოსვლია. საქმე ის გახლდათ, რომ მისი ეს დიდებული მოგზაურობა, საუბედუროდ (საქმისათვის), ყოველთვის იწყებოდა ერთი საბედისწერო ფრაზით და კადრით: „ერთ მშვენიერ დღეს ადგა და წავიდა“, „ერთ მშვენიერ დღეს ესპანეთში გაემგზავრა“, ისევე როგორც ქართული ზღაპარი იწყება მრავლისმეტყველი და უცვლელი ფორმულით — „იყო და არა იყო რა“. „ერთ მშვენიერ დღეს...“ მაშასადამე, ყოველგვარი ფსიქოლოგიური და პრაქტიკული შემზადების, აწონ-დაწონის, თხოვნის, ვედრებისა და ტანჯვა-წვალების გარეშე. გადაწყვეტილება და ასრულება ლამის ერთია და იმავე დღეს ან დიდი-დიდი ორი დღის მანძილზე ხდებოდა. და აბა ამის შემდეგ, ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოები და წინასწარი ღონისძიებანი, რაც თუ საქმეს ახლოდან შევხედავთ, რამდენიმე წლის მანძილზე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო (და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარ გარანტიას არ იძლეოდა საქმის წარმატებით დაგვირგვინებისა, რადგან, ჩვენში დარჩეს და, ესპანეთის საგზურს სანდრო ლიჩელამდე ვინ მიუშვებდა!) არ იქნებოდა წარმოსახვაში ასეთი მშვენიერი, მოულოდნელი და გულისგამახარი მოგზაურობის შებლალვა? კიდევ ვიმეორებ, სანდრო ლიჩელს მიზეზებზე ფიქრი არ უყვარდა და ამისათვის არც ეცალა: ისევ მე ვუშვებ ამას, ალბათ ამიტომ არ ირჯებოდა ოცნების განსახორციელებლად-მეთქი. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ემზადებოდა თავისებურად და კეთილსინდისიერად: ისწავლა გიტარაზე დაკვრა, ესპანური სიმღერები და სალაპარაკო ენა (საერთოდ, სანდროს ეგონა რომ ყველა შორეულ და კარგ ადგილას ესპანურად ლაპარაკობდნენ. ხოლო ზოგჯერ მზად იყო, ისიც კი ჰგონებოდა, ჩიტებიც ესპანურად ჰიკჰიკებენო). დასამალი რაღაა და ბრტყელი ტყავის ქამარიც კი შეიძინა და ფართოფარფლებიანი ქუდი, ურომლისოდაც ერთი წამით არ შეეძლო საკუთარი თავის წარმოდგენა იმ კუნძულებზე. და კიდევ: ადგენდა სიებს, თუ რა საჩუქრები უნდა წაეღო მადრიდში (ამას ხმამაღლა რა ათქმევინებდა, მაგრამ გულში დარწმუნებულიც კი გახლდათ, რომ იქ ელოდებოდნენ კიდეც და უკვირდათ: ამდენი ხანი სად არისო) და წყნარი ოკეანის კუნძულებზე, უკეთუ იქ მოსახლეობა აღმოჩნდებოდა.

ასე გადიოდა წლები. არც უგუნებოდ, არც უნუგეშოდ... მაგრამ ეს კი ნამდვილად აღარ ვიცი, როგორ მოხდა, ან როდის დაიწყო ამის მოხდომა ერთ მშვენიერ დღეს სანდრო ლიჩელისათვის ცხადი გახდა, რომ ვერასოდეს გაემგზავრებოდა ვერც თავის კუნძულებზე, ვერც ესპანეთში. მასში ნელ-ნელა მომწიფდა ეს ეჭვი, დაახლოებით იმ დროს, ორმოც წელს რომ გადააბიჯა. თანდათან განმტკიცდა და ბოლოს რწმენად იქცა... როდესაც სანდრო ლიჩელმა ცხოვრების ლოგიკას უსწორა თვალი, სადად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადვილად დაასკვნა: თუ საგზური გამოჩნდებოდა, არ იქნებოდა ფული, როცა იქნებოდა ფული, არ იქნებოდა საგზური, როცა იქნებოდა ორივე — არ მისცემდნენ შვებულებას, თუ იქნებოდა სამივე — უღალატებდა ჯანმრთელობა, როცა იქნებოდა ოთხივე — მოუკვდებოდა დედა, ავად გაუხდებოდა ცოლი ან თვითონ წაიღებდა წერილს ანუ გაემგზავრებოდა სამყაროს ყველაზე საინტერესო ქვეყანაში, გარკვეული მსოფლმხედველობის წარმომადგენელნი „მოუსავლეთს“ რომ უწოდებენ.

როდის აუღო სანდრო ლიჩელმა ალღო ცხოვრებას? ეტყობა, როცა ერომანგადან ტონგატაპუსაკენ მიცურავდა და მადრიდში ცნობილ მოედანზე მღეროდა — მისი გამოუცნობი არსების ერთი ნაწილი ძალიანაც ყურს უგდებდა ცხოვრების ხმას, ან, უფრო სწორად, ბუზღუნს. და თვალს ადევნებდა ყოველდღიურობის მტვერწაყრილი ჯაჭვები როგორ ხეხავდნენ ხალისით გათენებულ დღეებს და როგორ მიჰყრიდნენ ხოლმე საღამო ხანს დამტვრეული ეჟვნებით სადღაც ორმოში. არ ვიცი, კიდევ რას ადევნებდა თვალს... მაგრამ უნებლიე ტირილიც მაშინ დაეწყო, როცა ორმოცდაშვიდ წელს მიუახლოვდა... დიახ. პირველად ტელევიზორის წინ დაემართა. ფრაზაზე: „მოდის რუსთავის ფოლადი!“ შემდეგ „ღელავს მწვანე ზღვა!“ და ჩაის თვალუწვდენელი პლანტაციები გამოჩნდა კადრში. მერე სამსახურში კრებებზეც ემართებოდა. იჯდა და ტიროდა. შემდეგ უნებლიე სიცილი დაერთო ამას. თუ ტირილის დამალვა კიდევ რალაცნაირად შეიძლებოდა, კაცს თვალების ანთება ანდა ალერგია (ეს უნივერსალური დაავადება, ამქვეყნად ყველაფრის გამოწვევა რომ შეუძლია) მოემიზეზებინა — სიცილს რაღას უზამდით! დიახ, ხშირად იჯდა და სრულიად შეუფერებელ ადგილას ხითხითებდა. თუმცა ნუ გადავაჭარბებთ! ხალხი საკუთარი საწუხარით არის შეპყრობილი და ნერვებიც არავისა აქვს წესრიგზე. ასე რომ ჯერჯერობით არავის ხვდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა თვალში სანდრო ლიჩელის სიცილ-ტირილი, არავის აშფოთებდა თავად მის გარდა.

აქ კი არ მინდა ავჩქარდე და დავიჟინო: სანდრო ლიჩელის ნერვიული მდგომარეობა მაინცდამაინც მოგზაურობაზე ხელის აღებამ გამოიწვია-მეთქი. დროში თანმიმდევრობა ხომ ყოველთვის არ ნიშნავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. თანაც აქ მისი ცხოვრების ერთ მხარეზე გავამახვილეთ ყურადღება, მისი ერთი შინაგანი თავგადასავალი მოვყევით, მაგრამ რამდენი სხვა ასპექტიც ჰქონდა მის მრავალშტოიან ყოფიერებას: მხოლოდ მთელი ცხოვრების სრული სურათის შექმნით (ეს კი აბა ვის შეუძლია!) შეიძლება იმ სულიერი მდგომარეობის ახსნა, რისი წყალობითაც სანდრო ლიჩელი ბოლოს და ბოლოს მართლა გაემგზავრა: კვალის სრული აბნევითა და დაფარვით ორკვირიანი ნავთსაყუდელის საძებნელად.

და აი, ახლა საავადმყოფოს უნომრო პალატის ფანჯარასთან იდგა და პირველად ჩაფიქრებოდა საკუთარი სულის უცნაურ „საქციელს" კერძოდ, იმ ფაქტს რომ წლების წინ დავიწყებულმა მოგზაურობამ სიზმარში გადაინაცვლა: სიმარტოვესა და სიჩუმეში პირველივე ძილის დროს ლიჩელი ისევ ესპანეთში გაემგზავრა... დიახ, იდგა და ფართო ფანჯრებიდან ბაღში იცქირებოდა, სადაც ვეება მუხები და რცხილები შრიალებდნენ და უსაზღვრო მადლიერებით იყო აღვსილი განგების მიმართ, რომ ბოლოს და ბოლოს სიმყუდროვესა და სიმშვიდეში მოახვედრა, რასაც ბოლო ხანებში ისევე ელტვოდა როგორც ადრე წყნარი ოკეანის კუნძულებს. საერთოდ, სანდრო ლიჩელს უმადურება არ ახასიათებდა: ახლაც ცრემლები დაუგორდა ლოყაზე, მაგრამ ეს ნევრასთენიით გამოწვეული კი არა, სიხარულის მსუბუქი ცრემლი იყო, უსაზღვრო თავისუფლების საუფლოში მოხვედრილი ადამიანის ცრემლი!

ახლა შეეძლო ფანჯარასთან მდგარიყო თუნდაც მთელი სამოცი საათი. იატაკზე დაწოლილიყო და სავარძელი მუცელზე დაედგა. მაგიდაზე ყირა გაეჰიმა. ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო, ფეხები ძირს ჩამოეკიდა და მთვარესთვის სახეში შეეცინა. ქაღალდის ჩიტები გაეფრინა ფანჯრიდან, ქაღალდის ბაყაყებით აევსო ოთახი. შეეძლო ემღერა, ეყმუვლა, ეკიკინა, ებუყბუყა... რასაც შეუდგა კიდეც ხალისით. შეეძლო დაღონებული ყოფილიყო, თუკი დაღონდებოდა, მშვიდად ეტირა და ბოლოს და ბოლოს წაეკითხა სამი საყვარელი წიგნი, რომელთა წაკითხვასაც ათი-თხუთმეტი წელი ამაოდ ნატრობდა და ცდილობდა. (რა გულუბრყვილო და დაუჯერებელი იქნება, ვინც არ დაიჯერებს, რომ ეს შესაძლებელია!) ახლა შეეძლო თუნდაც სამჯერ გადაეკითხა თითოეული. ვინ დაუშლიდა! მთავარმა ექიმმა მკაცრად გააფრთხილა ყველა, ცუდ-უბრალოდ არავის შეეწუხებინა „მისი უახლოესი ადამიანი და მძიმე პაციენტი, რომლის გამოკვლევა-მკურნალობას თავის თავზე იღებდა".

ეს ოთახი დერეფნის მყუდრო მოსახვევში მდებარეობდა, მთავარი ექიმის კაბინეტის გვერდით. ამ მოსახვევში უსაქმოდ ისედაც არავინ უხვევდა, ისე რომ, დერმატინის მძიმე კარი რომ არც ყოფილიყო, მაინც არ შეწუხდებოდა მთავარი ექიმის „უახლოესი ადამიანი და მძიმე პაციენტი", რომელიც ჯერჯერობით იატაკზე იწვა და ჭერს მიშტერებოდა: გარინდებული და საკუთარ თავში წასული, ამ სიტყვის უღრმესი მნიშვნელობით.

### მკურნალობის კურსი

ეჰ, როგორ ცდებოდა, ვისაც მთავარი ექიმი ყოველგვარ განსაკუთრებულობას მოკლებულ, მშრალ და უხასიათო კაცად მიაჩნდა! აბა, ერთი მის გულში ჩაეხედათ (მაგრამ გულში ჩასახედად ვიღას სცალია.). იმ უცნაურობასაც რომ თავი დავანებოთ (რაც თვითონ აღია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა: შავნაღვლიანობის დროს ყველგან პატარა, შავ თაგვებს ვხედავო), ერთი გენახათ. თავგადასავლებისადმი ბავშვური სიყვარულის როგორმა რეციდივმა იფეთქა მის არსებაში, როდესაც ასე მოულოდნელად გამოეცხადა თანასოფლელი და თანაკლასელი. ამ კაცის სული საოცარი განცდებით აღივსო: ლამის დეტექტიური რომანის გმირად წარმოიდგინა თავი, რაღაც კონსპირაციების უბადლო მეთაურად. პირველი წუთებიდანვე შეეცვალა გამომეტყველება და სიარულიც კი: იერი მრავლისმეტყველი, გამოუცნობი გაუხდა, გამოხედვა — გამჭოლი და გამაშიშვლებელი, ხოლო სიარული... არა, ეს თვითონ უნდა ენახა ადამიანს, როგორ უახლოვდებოდა და შორდებოდა საიდუმლო კარს. კონსპირაციის ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენდა მისი სახის ის ენით გამოუთქმელი გამომეტყველება, რაც მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როცა თანამშრომლები მოწიწებით კითხულობდნენ მისი „უახლოესი ადამიანის“ ჯანმრთელობას. მაშინ შეფიქრიანებული და მკაცრი იერით, შეკავებული მჭმუნვარებით (როცა არ უნდათ სხვებს გადასდონ შიში და საწუხარი) ძუნწად პასუხობდა: „არ მინდა ავჩქარდე. შეეჩვიოს აქაურობას, დამშვიდდეს, გამოვიკვლევთ. დიაგნოზს ალბათ 8-9 დღეში დავსვამ. ეჭვი მაქვს რაღაც ანთებით პროცესზე მუცლის ღრუში“.

სამედიცინო პერსონალს თავი არ აუტკიებია იმაზე ფიქრით, რა ცვლილებები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მთავარი ექიმის „უახლოესი ადამიანის“ გამოჩენას მათ სამყაროში. მართალია, საავადმყოფოში ხშირად იწვნენ მარტოხელა მთავარი ექიმის სხვადასხვა ჯურის ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ განა სამედიცინო პერსონალს ყურადღება არ უნდა მიექცია იმ ფაქტისათვის, ჩემი უახლოესი ადამიანიო მთავარ ექიმს მანამდე არავისზე რომ არ ეთქვა? და თუ ყურადღება მიაქცია, არ უნდა ეფიქრა, რომ მთავარი ექიმი „უახლოესი ადამიანისადმი“ ჩვეულებრივ ყურადღებას არ დასჯერდებოდა? ეს რომ ეფიქრა, ამ ამბის მეორე დღეს საღამოს ათ საათზე მორიგე ექიმს, რომელიც საორდინატოროში იწვა და კონიაკს წრუპავდა, თან ტელევიზორში ფეხბურთს უყურებდა ან მორიგე ექთანს, მედდებთან ერთად ჩაის რომ შეექცეოდა და პალატებში ჩამორიგებული თერმომეტრების აკრება სულ დავიწყებოდა — ანგელოზები არ დაუფრთხებოდათ და გულები არ დაუსკდებოდათ! — დიდი ხნის შინ წასული მთავარი ექიმი მოულოდნელად გამოჩნდა მთავარ კორპუსში და მრისხანედ ჩაიარა დერეფნებში. მორიგე ექიმმა თავზე თეთრი ჩაჩი ჩამოიფხატა. ხელი დასტაცა ფონენდოსკოპს და ქარიშხალივით გაიჭრა პალატებისკენ — საღამოს ჩამოვლას შეუდგა. ისეთი არნახული გულითადობით გასინჯა ავადმყოფები და ისეთი გულისყურით მოისმინა მათი ჩივილები (ჩაიწერა კიდეც!), რომ ზოგიერთ პაციენტს გაკვირვებისაგან სიცხემ აუწია და სხვანიც საგრძნობლად აფორიაქდნენ. მორიგე ექთანიც ფეხდაფეხ მისდევდა, ავადმყოფებს სასთუმალსა და საბნებს უსწორებდა და ბოდიშს იხდიდა. თერმომეტრების აკრება რომ დააგვიანდა. მოგეხსენებათ, ავადმყოფები ავად არიან, ესე იგი. მთავარ სატკივართან ერთად ნერვებიც გადაძაბული აქვთ, აღქმა გამძაფრებული, გაზვიადებული... მათ ეჭვიანობა ახასიათებთ, ხშირად ყოვლად უწყინარ მოვლენაში, რაღაც განსაკუთრებულად საშიშს ხედავენ და... მორიგე ექიმისა და ექთნის უცნაურმა საქციელმა, როგორც მოგახსენეთ, პალატებში საყოველთაო მოუსვენრობა გამოიწვია... იმ ღამით ავადმყოფებს ცუდად ეძინათ. მათი საწოლებიც ხშირ-ხშირად და შეშფოთებულად ჭრიალებდნენ (ზოგი სიკეთე მავნებელია)... მთავარ ექიმს ფეხდაფეხ დადევნებულმა მედდამ კი დაინახა, როგორი მძიმე გამომეტყველებით მიადგა იგი დერმანტინის შავ კარს და გამოაღო. მაგრამ ის აღარ დაუნახავს, რა სახეგაბადრულმა მიხურა კარი ზურგს უკან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ლიჩელი, მადლიერებისა და სიხარულის ნიშნად, მთავარ ექიმს გადაეხვია. მთავარმა ექიმმა ხელების ფშვნეტით გახსნა შავი ჩანთა და ამოალაგა სხვადასხვა ჯურის დელიკატესები: ყველი, კარაქი, ძეხვი... და სხვა. მერე კი ორი დიდ-პატარა ბოთლი. პატარა ბოთლს ჰქონდა წარწერა „სარაჯიშვილი № 1“, დიდ მუცელგამობერილ ბოთლს კი — „სარაჯიშვლი № 2“. მთავარმა ექიმმა აუხსნა პაციენტს, რომ „სარაჯიშვილი № 1“ დამამშვიდებელი მიქსტურა იყო და შეეძლო დაელია ლამღამობით. № 2 — კი, არც მეტი და არც ნაკლები, კონიაკი „ენისელი“ გახლდათ და აუცილებლად უნდა დაელია „ტონუსის, დადებითი გუნება-განწყობის შესანარჩუნებლად“. და, საერთოდ, მთავარი ექიმი ხანგრძლივად შეჩერდა № 2-ის აშკარა უპირატესობაზე. ამის შემდეგ მეგობრები სავარძლებში მოკალათდნენ და დაიწყეს ისეთი ბგერების გამოცემა, რასაც ეწოდება „მხიარული ხითხითი“.

ღამის პირველ საათამდე ისინი უსხდნენ სახელდახელო, მაგრამ ძვირფას სუფრას და დაუსრულებლივ იხსენებდნენ თავიანთ ბავშვობას: მხოლოდ ახლა გამოუტყდნენ ერთმანეთს, რომ ორივეს ერთი გოგო უყვარდა — თანაკლასელი. მხოლოდ ახლა გაარკვიეს მაშინდელი გაუგებრობა: თურმე სანდრო დარწმუნებული იყო, რომ მისი სატრფო გიორგის ეტრფოდა. გიორგის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სანდროსა და იმ გოგოს მზე ერთმანეთზე ამოსდიოდათ. ბოლოს მათი სატრფო სკოლის დამთავრებისთანავე რომ სხვას გაჰყვა, თავისზე ბევრად უფროსს, ბიჭებს ისევ მოუბრუნდათ გული ერთმანეთზე, საერთო უბედურებამ დაახლოვა, თუმცა კრინტი არაფერზე დაუძრავთ. სანდროს ეგონა, რომ სატრფომ გიორგის უღალატა, გიორგის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნაღალატევი და მიტოვებული სანდრო იყო.

ახლა ისხდნენ და ოცდაათი წლის შემდეგ ისევ იხსენებდნენ, როგორი სიცილი და როგორი ტირილი იცოდა, როგორ დარბოდა და როგორ ბრაზობდა, თმა როგორ უფრო უხდებოდა — ერთ ნაწნავად თუ ორად. ახლა უფრო იყვნენ დარწმუნებულნი, რომ იმისთანა მშვენიერება მათ სოფელში კი არა, მთელ საქართველოშიც არავის დალანდებოდა. ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და დიდხანს დავობდნენ: რომელი ყურის ძირას ჰქონდა ხალი, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ბოლოს თითოეული თავის აზრზე დარჩა. ერთ საკითხში კი მთლიანად ერთად აღმოჩნდნენ: ორივეს კარგად დამახსოვრებოდა, რომ პატარძალი ქორწილის დღეს სევდიანი იყო. ქმრისთვის არც შეუხედავსო, ამას ხშირ-ხშირად და მრავლისმეტყველად იმეორებდნენ. ბოლოს იმაშიც გამოტყდნენ, რომ გიორგის ციცრის კვერცხი ეჩუქებინა ერთხელ, სანდროს — ხოხბის ფრთა. რადგან მზეთუნახავი თვითეულს მეორის საკუთრებად მიაჩნდა, ცხადია, ეს საქციელი ღალატი იყო ძმაკაცის მიმართ. ის კიდევ გიორგის ეუბნებოდა თურმე, სანდროსთანა ერთიც არ არისო, სანდროს კი უმტკიცებდა, გიორგისთან ვერავინ ვერ მოვაო. ქორწილამდე ერთი კვირით ადრე ერთისთვისაც ლოყაზე ეკოცნა, მეორისთვისაც და გაქცეულიყო. ამ ამბების გარკვევამ და გახსენებამ ორთავეს გული შეუძრა და „სარაჯიშვილი № 2“-ის ზედაპირი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ფსკერს: თაფლისფერთვალება უცნაურმა გოგომ მათი მთელი სოფელი შემოიყოლა და ვრცელი, ყვითელი ოთახი თანდათან აავსო სანდრო ლიჩელის ბავშვობამ: კანგადამსკდარი, ღამესავით შავი ქლიავისა და მზესუმზირის გადატეხილი ღეროდან გამოჟონილი წებოვანი რძის სურნელმა, ნაკვერცხლებზე მიყრილი მოპარული ნედლი სიმინდის შიშინმა, საღამოს შინ მიმავალი ნახირის ბღავილმა, მთვარე რომ მიუძღვებოდა სოფლისაკენ, ორღობის ბოლოში აფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიალებულმა ჩითის წითელმა კაბამ — გულდ დაძგერებულმა ხანძარმა, უბეში გამთბარმა მწყრის დაჭორფლილმა კვერცხებმა, ყვითელმა მთვარემ, რომლისთვისაც დედამისს ცომიანი ხელი გაერტყა სახეში და ლაქები დაემჩნია, მიკიოტის კივილმა ღამის უდაბნოში... სახლის კუთხეს ამოფარებული ბიჭის ტირილმა პატარა თანასოფლელის დასაფლავების დღეს... და კიდევ სხვა უამრავმა, ქვიშაწაყრილმა წვრილმანმა, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად ჩნდებიან, როცა ორი ადამიანი იგონებს ერთსა და იმავეს. ყველაფერი ეს ნელა და ცრემლიანად ჩაიხატა უნომრო პალატის ოთხკუთხა სივრცეში და ვინმე შემოსული ვერც კი გაიგებდა, რომ მან ოროლობეში ამოჰყო თავი და ფერდებსავსე, გალეჭილი ბალახის სუნით გაჟღენთილ წითელ ძროხას დაეჯახა, ან ცომით სავსე ვარცლს წამოედო, ან პატარა ბიჭის ანკესებს, ან ფეხი ჩადგა ნაწვიმარ მიწაზე დარჩენილ გუბეში, სადაც ქაღალდის ნავები და ღრუბლის ნაფლეთები მიცურავდნენ...

და რომელი პალიტრა უფრო მკვეთრი იყო, რომელი კინოფირი უფრო ფერადი — ნამდვილად მომხდარი და მეხსიერების ფსკერზე დალექილი ბავშვობა (დაკარგული სამოთხე) თუ არ მომხდარი, ოცნების ეკრანზე მოციმციმე შორეული ცხოვრება — წყნარი ოკეანე, კუნძულები და მადრიდი? ვინ იცის? მთავარი ის გახლდათ, რომ სანდრო ლიჩელის უცნაური მეთოდით მოპოვებულ სიმყუდროვეში ნელა და შრიალით გადიოდა ორივე ფირი და ცოცხლდებოდა დავიწყებული წარსული და განუხორციელებელი მომავალი.

და განა გასაკვირი არ იყო მთავარი ექიმის სულიერი სიღრმე და კულტურის დონე, რომ თავის ნერვებდასუსტებულ პაციენტს რაიმე მედიკამენტი კი არ დაუნიშნა, არამედ ბალში სეირნობა, კითხვა, ხატვა და სიმღერა. გულითადი დიალოგები საღამოს 10-11 საათიდან ღამის 12-1 საათამდე და. რაც მთავარია, მიანიჭა **ადგილსამყოფელის შეუვალობის სრული რწმენა!** ამავე დროს მთავარი ექიმი კმაყოფილებით შენიშნავდა, რომ ხსენებული კურსი კეთილისმყოფელად მოქმედებდა როგორც სნეულზე, ისე მკურნალზეც: უდედმამო და უცოლშვილო მთავარი ექიმი საოცარი ხალისით მიისწრაფოდა ყოველ საღამოს საავადმყოფოსაკენ.

## გაუთვალისწინებელი შედეგები

რა იცოდა ზოგ-ზოგმა ავადმყოფმა, რომ თავისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის უხილავი პაციენტის — სანდრო ლიჩელის მადლობელი უნდა ყოფილიყო: მაშასადამე, მადლობელი უნდა ყოფილიყო რომ სანდრო ლიჩელი, მიზეზთა და მიზეზთა გამო ნევრასთენიამ შეიპყრო და საავადმყოფოს მიაშურა... მადლობელი უნდა ყოფილიყო, რომ ეს მიზეზნი და მიზეზნი არსებობდნენ და ასე შემდეგ (ზოგი ჭირი მარგებელია), რადგან მთავარი ექიმის სისტემატიური გვიანი ვიზიტების გამო, საავადმყოფოში იდეალურმა წესრიგმა დაისადგურა: ერბოს ვინ დააქცევს, მაგრამ რომ დაქცეულიყო, დერეფნებში პირწმინდად აიკრიფებოდა. პალატებშიც, დღის 4 საათის შემდეგ სადგურის მოსაცდელს რომ ემსგავსებოდნენ, სისუფთავე დამკვიდრდა. გაჩნდა მედიკამენტები, რომლებიც დღის მეორე ნახევარში რატომღაც არასდროს არ ჩანდა. დროზე და სწორად კეთდებოდა ნემსები, მორიგე მედდებს დანიშნულებანი ერთმანეთში აღარ ერეოდათ, და ერთის მაგივრად მეორეს არ აძლევდნენ ნოშპასა და ბისებტოლს; დამლაგებლებმა შეწყვიტეს გვიან ღამით პალატებში სინათლის ანთება და ხელზე გასაყიდი საქონლის: საცვლების, სარჭების, სპატიმროებში დამზადებული სპილენძის ჯვარცმების გამოფენა-გაყიდვა. ავადმყოფებს რწმენა ჩაესახათ, რომ მათი გამოჯანმრთელება ვიღაცას აღელვებდა, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი გამოკეთდა კიდეც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიტარა, ანუ დარაჯის ღამის ვიზიტორი

მთვარე, რომელიც ერთ ღრუბელს რომ თავს დააღწევს, მეორე ღრუბელს, როგორც ვეშაპს ისე უვარდება ხახაში, შიგადაშიგ მაინც ახერხებს ცვალებადი შუქით გაანათოს ძველი ბაღის ძველთაძველი ხეები და საავადმყოფოს მართკუთხა ფანჯრები, რომელთა რაფებზეც ანეულთა მოკრძალებული აკვებია დაორთქლილი ქილებითა და ბოთლებით გამოდგმული. ბაღში მიმოფანტულ, ცარიელ ლურჯ სკამებს ყვითელი ფოთლები ეფინება... ეს საავადმყოფოს ბაღია და ამ სკამებზე შეყვარებულები არ ეხვევიან მთვარის ბადეში (სხვა პარკებში კი ამ დროს ისინი მრავლად არიან, სხედან ერთმანეთის სუნთქვაში ჩალექილები). სადღაც შემკრთალი ღამის ჩიტი დაუსტვენს და ღამესაც შეაკრთობს... ყველაფერი იდუმალ ბინდბუნდში გარინდებულა და უძახის ადამიანს ღამის წიაღში ჩასაკარგავად...

საავადმყოფოს დარაჯი, იგივე კარისკაცი, ჩაფიქრებული მიუყვება ბაღის წითელ ბილიკს. დღიაით მას დაებადა ეჭვი, რომ ბაღის მესერი სადღაც გამონგრეული იყო: საღამო ხანს ისეთი მნახველები გამოვიდნენ მთავარი შესასვლელიდან, რომლებიც დღისით არ შეუშვია. ეს კი, სულ ცოტა, დღეში შვიდი-რვა მანეთის ზარალს ნიშნავდა. როგორც ჩანდა, ვიღაცები საავადმყოფოს ეზოში იპარებოდნენ და უკანა შესასვლელით შედიოდნენ კორპუსში. ასე სერიოზულად შეფიქრიანებული მიდიოდა საავადმყოფოს დარაჯი და მიაშრიალებდა ყვითელ ფოთლებს, როდესაც თვალი მოჰკრა სწორედ მესრის მხრიდან მთავარი კორპუსისაკენ მომავალ აჩრდილს. აჩრდილის გამოჩენა დარაჯმა საკუთარი ეჭვების აშკარა დადასტურებად მიიჩნია: ვიღაც ახირებული მნახველი თავს იგდებდა და ღამის სალამოს ათ საათზე მობრძანდებოდა ავადმყოფთან, თანაც არც სურდა ამ გვიანი ვიზიტისთვის, დაწესებულების წესების აშკარა დარღვევისათვის ერთი მანეთი მაინც გაემეტებინა. მნახველის უსინდისობით აღშფოთებული დარაჯი ვეება მუხას ამოეფარა, მერე კი ბუჩქებში გაფოფხდა... მას სურდა პირდაპირ შესასვლელთან გაება დამნაშავე მახეში და ეს გაზრდილი დანაშაული — მესრიდან გადმოძრომა ხუთი-ექვსი მანეთი მაინც დაესვა მისთვის. უცბად დარაჯმა აჩრდილის ხელში რაღაც დიდი და უცნაური ფორმის საგანი შენიშნა. ეს არ იყო არც ყვავილები, არც ტორტი, არც ქვაბი, არც ბალიში, არც „სუდნო", არც ნარდი — არაფერი იმის მსგავსი, რაც შეიძლებოდა ავადმყოფთან მიეტანათ. პატარა ტელევიზორიც კი არ გახლდათ, რომლის შეტანაც კარისკაცის პრეისკურანტის მიხედვით ცხრა-ათი მანეთი ღირდა... ეს იყო... არა, დარაჯი სულაც ვერ მიხვდა, რა იყო ეს — თეთრ ნაჭერში გახვეული ვეება საგანი — კარისკაცი ბუჩქებში გაიტრუნა და აშკარად გაიგონა... ჯერ კნავილი, მერე ყეფა! ამ ხმებს აჩრდილი გამოსცემდა — გაიღო მეორე სართულის ფანჯარა და იქიდან თეთრი თოკი გადმოეშვა (დაგრეხილი დოლბანდი). აჩრდილმა ის საგანი თოკს გამოაბა და თვალი გააყოლა, როგორ წავიდა ზემოთ... ათი-თხუთმეტი მანეთის სუნი დატრიალდა — გააჩნია, რამდენად აკრძალული და მიუღებელი საგანი შეაპარეს. მთვარე ისევ ღრუბელმა შთანთქა და აჩრდილი ჩრდილში მოექცა. იგი შესასვლელისაკენ გაემართა და მიუახლოვდა კიდეც კარს, რომ კარისკაცმა იაკუპა და ამ ყოვლად საეჭვო პიროვნებას ზურგზე მოექცა.

პიროვნება შემოტრიალდა, ერთი მოქნევით ჩამოიწყვიტა მამაცი დარაჯი, უთაქა კიდეც, თვალებიც დაუბრიალა, იდიოტი უწოდა და შენობაში შევიდა. დარაჯის გონება იმ წუთს გაცილებით უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე, რომელიც გნებავთ „იდიოტისა". ტვინის ყველა უჯრედში

ერთბაშად ჩამობნელდა და ამ დიდებულმა ორგანომ უარი განაცხადა ცხოვრების შემდგომ შემეცნებაზე: საეჭვო პირი, იგივე აჩრდილი — მთავარი ექიმი გამოდგა.

საავადმყოფოს კარისკაცმა (იგივე დარაჯმა), რომელიც მისაღებში სკამზე მიესვენა, ორსაათიანი გაოგნების, სულაც დამბლის შემდეგ, დაასკვნა, რომ არაფერიც არ დაუნახავს, რომ, თურმე, არა ტყუოდა ცხონებული ბებიამისი, ძველი, სავსე მთვარე მოჩვენებებს იწვევსო, რომ ამტკიცებდა, რომ ღამით ბნელ პარკში სიარული მართლაც მხოლოდ იდიოტს მოუვიდოდა აზრად, რომ იმ ოხერ მესერს დღისით შეამოწმებდა, უკეთუ ღვთის წყალობით ყველაფერი მოჩვენება იყო და მთავარ ექიმს ისევე არ დაენახა არაფერი, როგორც მას თვითონ და მაშასადამე არც სამსახურის დაკარგვა ემუქრებოდა.

«Donde stas, amigo mio? Sale la luna...» ისმოდა უნომრო პალატაში: გიტარის გულისშემძვრელი ჰანგები და ესპანური სიმღერა, მართალია, არაპროფესიონალურ დონეზე შესრულებული, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი გულმხურვალებით, რომ ოთახში duende-ს რაღაც აჩრდილიც კი აფარფატდა. მთავარი ექიმი და მისი ახლობელი ადამიანი „სარაჯიშვილი № 2“-ის თბილი ნისლებიდან ერთმანეთს შესცინოდნენ და ასე წარმატებით განხორციელებული ოპერაციით გახალისებულნი, მუსიკის ხმებზე რიტმულად ირწეოდნენ.

«Donde stas, amigo mio? Sale la luna...»

„სადა ხარ ჩემო მეგობარო, მთვარე ამოდის...“

## ცხვირსახოცი ყურმილზე, ანუ „მალე ჩამოვალ, ჩემო ძვირფასო“

მეშვიდე დღეს სანდრო ლიჩელმა მორიდებით სთხოვა მფარველსა და მეგობარს, მის მაგივრად დაერეკა „ერთ ადამიანთან“ და ეთქვა: ვითომ სანდრო იყო, ვითომ ქუთაისიდან რეკავდა, ვითომ ცუდად იყო, ვითომ წუხდა ამდენი ხნის უნახაობას, ვითომ ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოვიდოდა თბილისში და დღედღეზე აპირებდა წამოსვლას (ნუ გაგიკვირდებათ, მეგობრებო! „ვითომ“—ეს მრავლისმეტყველი ენობრივი ფენომენი, ჩვენი ყოფიერების რაღაც ულმეს მოვლენას რომ გამოხატავს, კერძოდ კი, არარსებულ არსებულს, საერთოდ, სანდრო ლიჩელის (და არა მარტო მისი) ცხოვრების არსებითი განზომილება გახლდათ! მისი ცხოვრების ორივე ძირითადი ნაკადი — როგორც ხილული (სამსახური, ოჯახი და სხვა) ასევე უხილავი (მოგზაურობა და სხვ.) „ვითომ“-ის ცდომილი ვარსკვლავით განათებულ სივრცეში მიედინებოდა. პირველი იმიტომ, რომ იყო და არც იყო: რაკი ლიჩელი მასში მთელი არსებით არ მონაწილეობდა, მეორე კი არ იყო და მაინც იყო, რამდენადაც ლიჩელის არსების არსებითი ნაწილი დაეპყრო და გაეტაცნა).

გეგმა დეტალურად იქნა დამუშავებული. რეპეტიციაც ჩატარდა, რომლის დროსაც სანდრო ლიჩელი „იმ ადამიანს“ განასახიერებდა: საწოლზე წამოწოლილიყო, წარმოსახვითი ყურმილი მხრითა და ყურით ეჭირა და მშვიდად „იქლიბავდა ფრჩხილებს“. ხოლო მთავარ ექიმს მუჭზე ცხვირსახოცი გადაეფარებინა და მოგუდული ხმით ლაპარაკობდა, რომ სანდრო იყო, ძლივს დარეკა და ცუდად ესმოდა. ცხვირსახოცის, მიკროფონივით მომრგვალებული მუჭისა და დაჭიმული ხორხის წყალობით, მის ხმას ყოველგვარი თავისებურება დაჰკარგოდა: ეს იყო უბრალოდ ხმა, მოღწეული შორიდან. მთავარმა ექიმმა ქაღალდის ჩიტის ფრთაზე მიწერილი ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარი წაიღო და მეორე დღეს საკუთარ სახლში წარმატებით ჩაატარა მორიგი ოპერაცია. ქალის ნელმა ხმამ მშვიდად მიიღო მისი მხურვალე ინფორმაციები და მშვიდად დაუდასტურა მონატრება: ველოდებოდი შენს ზარსო. მთავარმა ექიმმა ქაღალდის ჩი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტის მეორე ფრთაზე ქალის პასუხები წააწერა და იმ საღამოს სანდრო ლიჩელს უკან დაუბრუნა. ეს უკანასკნელი მაინცადამაინც არ დაინტერესებულა ჩიტის ამ მეორე ფრთით, „სარაჯიშვილი № 2“-ისაკენ — გაიწოდა ხელი...

●

«El diamante de una estrella
ha rayado el hondo cielo,
Pájaro de luz, que quiere
escapar del universo...»

საღამოობით ფანჯარაში გაქვავებული სანდრო ლიჩელი ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე დიდი ესპანელი პოეტის ამ ლექსს, რომელიც მას განსაკუთრებით ხვდებოდა გულზე და ამიტომაც ზეპირად დაესწავლა. ეს გახლდათ ხმადაბალი და მხურვალე დეკლამაცია, შიგადაშიგ სიმღერაში გარდამავალი: „ელ დიამანტე დე უნა ესტრელა, ა რაიადო ელ ონდო სიელო, პახარო დე ლუს, კე კიერე ესკაპარ დელ უნივერსო“. შემდეგ სანდრო ლიჩელი ფანჯრის წინ აყუდებულ, დარბაისელ ხეებს ქართულად უთარგმნიდა წარმოთქმულ სტრიქონებს (ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ხეებს, რაკი ისინი საქართველოში ცხოვრობდნენ ქართული უფრო ესმოდათ. ვიდრე ესპანური): „ვარსკვლავის წახნაგმა ალმასივით გაკაწრა ცის სარკე — სინათლის ჩიტს სურს გაფრენა სამყაროდან“. რასაკვირველია, ეს შემოქმედებითი თარგმანი გახლდათ და არა სიტყვა-სიტყვითი. მაგალითად ორიგინალში წახნაგი სულაც არ არის ნახსენები და არც სარკე. მაგრამ რაკი ვარსკვლავი ალმასსაა შედარებული და ნათქვამია ალმასივით გაკაწრა, გაკვეთა ცის სიღრმეო, სანდრო ლიჩელმა შედარება უფრო გამოკვეთა, გაამძაფრა. „ესკაპარ დელ უნივერსო“, — სწორედ ეს ბოლო სტრიქონი გადადიოდა სიმღერაში და მეორდებოდა: „...სამყაროდან გაფრენა“. ის განსაკუთრებული მღელვარება, სანდრო ლიჩელი ამ სიტყვებს რომ მღეროდა, მაფიქრებინებს: მისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო ამდაგვარი მასშტაბური ლტოლვა: სამყაროდან აფრენის, ვარსკვლავივით ასხლეტის სურვილი. და, ვინ იცის, ეგებ ის ლოკალური მიზანსწრაფვა (მადრიდი და კუნძულები) სულაც ამ უსაზღვრო, მისტიკური ლტოლვის კონკრეტული გამოხატულება, ანდა პირველი საფეხური იყო?!

ბოლოს, სანდრო ლიჩელი ფანჯრიდან ჩატარებული მხატვრული კითხვის საღამოს შეცვლილი, ნაღველშეპარული ხმით წარმოთქმული სტრიქონებით ამთავრებდა: «El manantial besa al viento sin tocarlo...»

„ელ მანანციალ ბესა ალ ვიენტო სინტოკარლო...“ — „შადრევანი კოცნის ქარს შეუხებლად“.

მისი სულის რომელ მოძრაობაზე მიგვანიშნებდა ეს ლამაზი, მაგრამ გრილი და მკაცრი მეტაფორა? რატომ უყვარდა ეს სტრიქონი სანდრო ლიჩელს, რას ეუბნებოდა? ნუთუ ის (ლიჩელი) მეტაფორულად (და ქვეშეცნეულად) ასე გამოხატავდა თავისი ლტოლვისა და სურვილების ამაოებას? შადრევანი თავის მოუსვენარ სულად მიაჩნდა, ხოლო ქარი ყველაფერ იმად, რასაც ელტვოდა, რასაც ნატრობდა, რის დაჭერასაც ლამობდა... „შადრევანი კოცნის ქარს შეუხებლად...“ ეგებ ხვდებოდა, რომ განუხორციელებელი, მოციმციმე შეხება აკავშირებს ადამიანს თავის მიმომქროლავ ბედნიერებასთან? ან შეიძლება სულ სხვა აზრს სდებდა ამ სტრიქონებში, შეიძლება უფრო შორს (უფრო სწორად — უფრო ღრმად) მიდიოდა და ფიქრობდა, რომ ადამიანის სულიც ასე ფარულად ეხება რაღაც უხილავს: როგორც შადრევნის თეთრი ტუჩები ქარს! ბოლოს და ბოლოს ეს სტრიქონები ხომ ლექსიდანაა, რომელსაც „სიკვდილი განთიადისას“ ჰქვია!

ზუსტად არ ვიცი, რას ფიქრობდა სანდრო ლიჩელი, შეიძლება ისეთ აზრსაც სდებდა ამ სტრიქონებში, რაც

მათ ავტორს არც უგულისხმია. ასე იყო თუ ისე, მხატვრული კითხვა გვიანი საღამოს მუქ სილურჯეში ყოველთვის მთავრდებოდა გრილი და თეთრი სტრიქონით: „შადრევანი კოცნის ქარს შეუხებლად“.

შემდეგ კი სანდრო ლიჩელი ღამეულ ბაღში დასეირნობდა, დროდადრო ყვითელი ფოთლის ასაღებად იხრებოდა და ხან ქართულად, ხან ესპანურად ღიღინებდა: „სადა ხარ. ჩემო მეგობარო? მთვარე ამოდის“ (მე პირადად ეჭვი მაქვს, რომ ეს სტრიქონი მთლიანად სანდროს გამოგონილი არა, მაგრამ შემოქმედებითად გადამუშავებული უნდა იყოს. ჩემი აზრით, აქ ორი სხვადასხვა ფრაზაა გაერთიანებული: პირველი ამოღებული უნდა იყოს ესპანური ენის სახელმძღვანელოდან, კერძოდ, პარაგრაფიდან: „კითხვითი წინადადება“, მეორე კი ისევ გარსია ლორკას ლექსში აღმოვაჩინე: „მთვარე ამოდის“).

რა უცნაურად იქცა ეს შემოდგომა მისი სულის წყნარ გაზაფხულად! სანდრო ლიჩელი დარწმუნებული გახლდათ, რომ ეს სავსე მთვარე ჩუმად ამბობდა: „შენი გულიც ასე სავსეა, სანდრო, როგორც ჩემი სხეული“. ხოლო დღისით, როცა ის ფანჯრის რაფაზე ჩიტებს საკენკს უყრიდა, შემოდგომის მზე თავზე ნაზად უსვამდა ხელს და ეუბნებოდა: „დამშვიდდი, სანდრო, ყველაფერი კარგად იქნება“.

## ყოველი შემთხვევისათვის

გული მიგრძნობს, ამასობაში კიდევ დაგროვდებოდა თუ ბრალდებები არა, საყვედურები მაინც, შენიშვნები კი აუცილებლად, სანდრო ლიჩელის მიმართ. ვიცი, ზოგი საჯაროდ თუ არა, გულში აუცილებლად იტყოდა: „დიდი ჭკუამხიარული, ახირებული და ეგოისტი ყოფილა ეს სანდრო ლიჩელია თუ ვიღაცაო. ქვეყანა იქცევა და ის კიდევ როგორ გაერთოს, იმაზე ფიქრობს, ამ ხნის კაცი რაღაც სისულელეებით იქცევს თავს... არც ერთი ჩვენი პრობლემა არ აწუხებს, თანაც რა ქარაფშუტობაა, რაღაც უაზრო მოგზაურობის აკვიატება და მსგავსი უსარგებლო ოცნებებით თავის გამოტენა... მერე ის ესპანური სიმღერები რომ აუჩემებია და მთვარიან ღამეებში „სალე ლა ლუნას“ გაიძახის, ქართული სიმღერა ნაკლებ მგრძნობიარეა, თუ რა? ასეთ წუთებში მშობლიური ჰანგები რომ ახსენდებოდეს, უფრო უპრიანი არ იქნებოდა: მაგალითად, „აახ მთვარევ, მთვარევ“, ანდა „მიმღერე რამეო!“

განაგრძეთ, განაგრძეთ, მე სანდრო ლიჩელივით გულუბრყვილო არ გახლავართ და ასეთი (ზოგი გულწრფელი, ზოგი განგებ დასმული) კითხვებით თავგზა ადვილად არ ამებნევა. ეგ კითხვები მანამდე გავითვალისწინე, ვიდრე სანდრო ლიჩელის ამბის თხრობას შევუდგებოდი. ამიტომ ახლავე შევეცდები ნათელვყო ამ შენიშვნების უსაფუძვლობა. არ გეგონოთ, სანდრო ლიჩელისადმი მიკერძოებას ვიჩენდე. მაგალითად ვერც მე მოვიწონებ, დასაწყისში ასე შთაგონებულად რომ ტყუოდა და ამდენი ხალხი გააცუცურაკა! (მაგრამ „შთაგონებულად-მეთქი“ ხომ გაიგონეთ! ეს კი ნიშნავს, რომ ლიჩელი თავადვე იჯერებდა ხოლმე საკუთარ გამონაგონს და, მაშასადამე, იმ წუთში — ტყუილის მომენტში, გულწრფელი იყო. სიცხის საზომივით ტყუილის საზომი რომ არსებობდეს, ის ინსტრუმენტი ხსენებულ წუთებში ტყუილს არ აღნიშნავდა. ასე რომ ეს საკითხიც ღიად რჩება).

ახლა კი გამოთქმულ შენიშვნებს დავაჯგუფებ და თანამიმდევრულად გავცემ პასუხს:

1. სანდრო ლიჩელი ეგოისტია, გამოთიშულია საერთო საზოგადოებრივ პრობლემებს და მხოლოდ თავის გართობაზე ფიქრობს.

2. ლიჩელი უცხოურს ანიჭებს უპირატესობას მშობლიურის წინაშე.

3. სანდრო ლიჩელი უსარგებლო ადამიანია.

ვიწყებ პასუხებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. თქვენგან მიკვირს მეგობრებო! ჯერ ხომ სულ შვიდი დღეა რაც სანდრო ლიჩელი თავისთვის მარტოობს. დანარჩენი ოცდაშვიდი წელიწადი ხომ პატიოსნად მუშაობდა, თანაც სადმე გაუმგზავრებლად! და ორი კვირის შემდეგ ხომ ისევ იმუშავებს! რა თვალში მოგხვდათ ეს შვიდი დღე! რა ისეთი დანაშაულია! თანაც ჩვენი პოეტის მშვენიერი ლექსი რომ გავიხსენოთ, ეგებ უკანასკნელ დღეზე და სიხარულზე მღერის სანდრო ლიჩელი „გვირილაზე გატრუნულ პეპელასავით“, ეგებ ამის შემდეგ უფრო მძიმე და გაუხარელი დღეები ელის და ეს ორკვირიანი დასვენება ძალების მოსაკრებად გადმოუგდო უფალმა ღმერთმა?! (აბა რა ვქნა, ლიჩელის დასაცავად პოეტები თუ არ მოვიშველიე, სხვა ვინ დამიდგება გვერდით!)

2. მეორე საკითხზე ზემოთ მოგახსენებდით, მაგრამ, ეტყობა, უყურადღებოდ იქნა დატოვებული ჩემი სიტყვები. საქმე ის გახლავთ, რომ „შორეული“ და „ახლობელი“ — ადამიანის სულისათვის, ჩვენი ცხოვრებისათვის ყოვლად აუცილებელი ორი ფენომენია და ისინი ერთმანეთს ვერ შეენაცვლებიან. თუ ადამიანი მხოლოდ ახლობლიაა და მშობლიურის სფეროში ჩათბა, ჩატკბა და ჩარჩა, არაფერი მოსაწონი აქ არ არის. მას შორეულიც უნდა ეძახდეს, იზიდავდეს. იმ „შორეულს“ კიდეც რომ მისწვდეა. მასზე შორეულმა უნდა მონუსხოს და მიიხმოს, რადგან მიღწეულით, არსებობით დაუკმაყოფილებლობა გახლავთ ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ნიშანი. როგორც მიხვდებოდით, ამ „შორეულს“ ზოგადი მნიშვნელობით ვხმარობ. ერთისთვის ეს შორეული ქვეყნები იქნება, მეორესთვის — შორეული ვარსკვლავები ან ვარსკვლავებივით შორს მოციმციმე მიზნები, ხოლო მავანისათვის სულაც უხილავი სამყაროები, რაც შეეხება სანდრო ლიჩელს, მისთვის „შორეულს“ ესპანეთის, ოკეანისა და კუნძულების სახე ჰქონდა მიღებული. მაშასადამე, როცა მისი სული ამ შორეულს ელამუნებოდა და შეჰფოფინებდა, ბუნებრივია, ესპანურად ილაპარაკებდა და არა ქართულად (თორემ „ქართული“ და საქართველო, გაგიხარიათ, სტკიოდა და უკვნესოდა გულში და თან ისე, რომ ამაზე ლაპარაკსაც კი გაურბოდა).

3. რაც შეეხება მესამე შენიშვნას, აქ კი არ შემიძლია, არ გავბრაზდე! სანდრო ლიჩელის ჭკუამხიარულობასა და უსარგებლობაზე ითქვა რაღაც! ჯერ თავი დავანებოთ იმას, რომ ოცნებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და როგორც დღეს ბავშვმაც იცის, ყოველგვარი აღმოჩენების, გამოგონებებისა და ნოვატორობის მარადიული კერა თვით ზუსტ მეცნიერებათა საუფლოშიც კი სწორედ ოცნება-ფანტაზიით აფორიაქებული თავებია და არა პედანტურად მოწესრიგებული. დიახ, გავიმეორებ ძალიან ნაცნობ და მრავალგზის გამოთქმულ აზრს: სანდრო ლიჩელისთანა ახირებული მეოცნებენი, ორბიტიდან ამოვარდნილი სხეულები რომ არ არსებულიყვნენ, ვერც ხომალდები ეღირსებოდა კაცობრიობას და ვერც თვითმფრინავები! მერედა რომელი ჭკვათამყოფელი დამიმტკიცებს, თითქოს ამქვეყნად არსებობდეს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც გამოგონებები, აღმოჩენები და ახალი იდეები არ სჭირდებოდეს პრაქტიკულ სფეროში! თორემ ფრენასა და ფართფატს მიჩვეული სულები თავისუფლების ვირუსის მატარებელნი რომ არიან და სწორედ მათში და მათი წყალობით იფეთქებს ხოლმე მონობის მსხვრევის ეპიდემია (სწორედ შინაგანად შემზადებული), ეს ყველას მოეხსენება (თუნდაც ეს მოწოდება აშკარად არ ჩანდეს მაგალითად, მეოცნებეთა ცნობილი კასტის — პოეტთა შემოქმედებაში. ის იმდენად ძლიერად მოქმედებს იქ, უხილავადაც კი, რომ პოეტთა მკვლელობით იწყება ხოლმე ხალხის დამონება. განა სანდრო

---

**ნაირა გელაშვილი**

მოგზაურები მადრიდს

ლიჩელი სწორედ ასეთი პოეტის ლექსებს არ ამბობდა გულანათრთოლი?!). და უსამართლობაზე დაფუძნებულ ზოგ-ზოგ სახელმწიფოს (აღარ დავასახელებ ამ, ისედაც გამწვავებულ ვითარებაში) სულაც არ ეპრიანება ხსენებული მარადიული ვირუსის მატარებელი სულების ატანა და მათი, ასე ვთქვათ, ფარფატი; მაგრამ რაკი ოცნებას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონია, რაღას იზამენ! ხომ რალაცნაირად უნდა შეინარჩუნონ ფანტაზიის ბალანსი. თორემ გაგიხარიათ, ისინი გაიხარებდნენ, თუ მათი მიწები ფრთაგამოხრული, ბზის ბუჩქებივით თანაბრად გაკრეჭილი. ერთნაირგამოხედვიანი მოლასლასე არსებებით დაიფარებოდა! კიდევ კარგი, რომ ოცნებას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონია! კიდევ კარგი, რომ ოცნება არ ჩანს, თორემ ზოგიერთ განსაკუთრებულად ახირებულს, თმასავით გადაკრეჭავდნენ კიდეც!

...ახლა კი აღარ მოვცდები, მიზეზიან მოკამათეებთან პაექრობაზე წუთსაც არ დავკარგავ და მთელ დარჩენილ დროს იაევ სანდრო ლიჩელის სულისა და ცხოვრების საკვირველ გზათა გაშუქებას მოვანდომებ იმ სუსტი ფარნით, რომელიც ჩემს ხელთაა.

„დეჲარ“

1. „ლურჯი ქაოვილი — პატარა მრგვალ მაგიდაზე,. ზედ ყვითელი, გაუმჭირვალე შუშის ვაზა, ვაზაში — კამის მწვანე თაიგული (რა ლამაზი მცენარეა კამა). იქვე ძველი, შავი, სქელყდიანი წიგნი. დახურული; წიგნზე მუქი მწვანე საფერფლე და გვერდით ერთი, დიდი. მუქი ფორთოხალი. ეს ყველაფერი — მომწვანო-მოლურჯო კედლის ან ფარდის ფონზე...“

2. „შავი, მაღალი, მბზინავი, ტანწერწეტა ბოთლი. იქვე — დიდი, ვარდისფერი ნიჟარა. ორი გამჭვირვალე თეთრი სირჩა, მოშაბიამნისფერო სუფრაზე. გვერდით პატარა ტოტი. რომელი აჯობებს? ნაძვის? არა. ალუბლის პატარა ტოტი, სისხლისფერი ალუბლებით დახუნძლული...“

3. „სარკესავით უძრავი მწვანე ტბა. ნაპირზე ნავი. მზე ჩადის. მუქ-ვარდისფერ-მოშვინდისფრო შუქშია ყველაფერი გახვეული. კაცის სილუეტი ტბის პირას. ტბისკენ მიმავალი ბილიკის ბოლოს. ხელით თვალს იჩრდილავს და რალაცას დაძაბული გაჰყურებს ტბაში... ირგვლივ შამბნარი...“

4. „უზარმაზარი მთვარე. ძველი კოშკების ქონგურები — თითქოს ზედ მთვარეზე მიხატული... შავი კვიპაროსები... კვიპაროსის კენწეროდან აფრენილი შავი ფრინველი, ცეცხლისფერ თვალება.“

5. „ოკეანის ნაპირას — კაცი გადაბრუნებული ნავის გვერდით... კაცს ფართო ქამარი აქვს წელზე და თეთრ, გალეღილ პერანგს ქარი უფრიალებს, თმაც აწეწილი აქვს. ჰაერი — კრიალა, გრილი. წყალი — მწვანე. მზე ამოდის. ყველაფერი ბრწყინავს: წყალი, კაცის თვალები: კაცს ხელები აქვს წინ გაწვდილი, თავი უკან გადაგდებული, თითქოს ამბობდეს: „ეჰე-ჰეი, გამარჯობა, მზევ... მე გელოდები... მე შენ მიყვარხარ...“

რა არის ეს? ეს სანდრო ლიჩელის ნახატები გახლავთ. ესეც ადრე იყო, წლების წინ; ასეთ და მსგავს ნახატებს ხატავდა სანდრო ლიჩელი, ისე რომ არც ზეთის სალებავებისთვის უხდებოდა ენაგადმოგდებული სირბილი, არც ტილოსა და ფუნჯებისათვის. და იმასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერავინ უსაყვედურებდა, ყველაფერს სვრი, თხუპნიო. არც ცალკე კუთხე იყო საჭირო და არც ბევრი დრო — სულ რამდაც წამები ყოფნიდა. ეს გახლდათ ყველაზე სწრაფი, იაფი და ალბათ ყველაზე ხარისხიანი მეთოდი, რამეთუ ფიქრის მასალისაგან იყო ტილოც, საღებავიც, ფუნჯიც და ჩარჩოც, მერედა, ასეთი ხარისხის ან საღებავი სად უნდა ეშოვნა ან ფუნჯი, რომელი „ულტრა-მარინი" და «Кадмин лимонный» შეედრებოდა იმ ხასხასა, წვნიან, მბზინავ ფერებს — სანდრო ლიჩელის წარმოსახვის ნივთიერებისაგან რომ იყო დამზადებული! მე შენ გეტყვი და, დასკდებოდა ცოტა ხნის შემდეგ, ჩაშრებოდა და ლაქი დასჭირდებოდა გასაცოცხლებლად! თანაც ისინი იქმნებოდნენ, როცა სანდრო ლიჩელი იწვა და არ ეძინა: ოჯახი ძილში იყო წასული, სანდრო — თავის თავში. ანდა როცა სამსახურში თავისუფალ დროს თავს ხელზე ჩამოაყრდნობდა (თითქოს ერთმანეთს ანუგეშებდა მისი სხეულის ეს ორი ნაწილი) და უზარმაზარი ფანჯრებიდან სევდიანად შემოსცქეროდნენ წინ აყუდებული შენობის ძველი, ბათქაშდამსკდარი კედლები თუ შორეული ხრიოკი გორაკები. მაშასადამე, კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა ამ მეთოდს: ნებისმიერ მდგომარეობაში შეიძლებოდა ხატვა. ერთადერთი ნაკლი სჭირდა ამ ნახატებს — ისინი არ ჩანდნენ. ეს სანდრო ლიჩელის უხილავი გალერეა გახლდათ. მერე რა! ეგებ სამყაროს რომელიმე უხილავ საიდუმლო საუფლოში არსებობდეს კიდეც ასეთი უხილავი გალერეა ან ბიბლიოთეკა, სადაც ყველა ოცნებით დახატული ნახატი იქნება შეგროვებული და ყველა ოცნებაში დაწერილი ლექსი თუ მოთხრობა. ეგებ იყოს კიდეც ვინმე ასეთი უხილავი მწყალობელი — რომელიც ხელმოცარულთა: გადარეულთა, გონებადაბნელებულთა, ადრე გარდაცვლილთა თუ თვითმკვლელთა ფიქრში შესრულებულ მაგრამ განუხორციელებელ ქმნილებებს აგროვებს?! ეგებ მის ხელში გადადიოდეს ყველა ის ნისლოვანი ნაწარმოები, რაც მათ ავტორებს სიგიჟემ, სიკვდილმა, სილატაკემ ან სხვა უილბლობამ წაგლიჯა ფიქრიდან? არ ვიცი, როგორი იქნება ეს მწყალობელი: ექვსფრთიანი ქერუბიმი თუ ცხრაფრთიანი სერაფიმი. მაგრამ მე ის მეხატება ოკეანისფერთვალება არსებად (მე მას დავარქმევ „დეპარს"), რომელსაც წყალივით ტალღოვანი, ვერცხლისფერი თმა და მოსასხამი აქვს და მისი საუფლო ოკეანის ფსკერზეა თითქოს. ამ გალერეაში ყველაფერი მოძრაობს, ირთის, ლიცლიცებს, იცვლება: სურათებზე ფერები ერთმანეთს ენაცვლებიან — რადგან ეს შეუქმნელი ნახატებია და შემოქმედთ არა ჰქონდათ გადაწყვეტილი იქ ლურჯი ფერი დარჩებოდა საბოლოოდ თუ ღია ცისფერი. ამიტომ ხან ერთი ფერი ჩნდება, ხან კი — მეორე. სურათებზე გამოსახული ადამიანები და ცხოველები იცვლიან პოზასა და გამომეტყველებას, რადგან ავტორებს ხშირად არ ჰქონდათ მათი საბოლოო დგომა და იერი მოფიქრებული და სხვადასხვაგვარად ხედავდნენ მათ. ასევე ბიბლიოთეკაში — ნაწარმოებს იქ ხშირად რამდენიმე დასაწყისი ან დასასრული აქვს, ზოგი პერსონაჟი ძალზე მკვეთრია, ზოგი კი თითქოს ნისლისაგან ნაძერწი... მაგრამ იქ ყველაფერია აკინძული — ყველაფერი, რაც ჩაიფიქრეს, და ისმის შეუქმნელი მუსიკის ჰანგები და თვალუწვდენელ სივრცეზე მოჩანს მოძრავი ქანდაკებები, ტაძრები და

სასახლეები, ოცნების მასალისაგან ნაგები შენობები, რომლებიც არასოდეს აშენებულა. მწყალობელს უტყუარი საზომი და გემოვნება აქვს: ის ხელოვნების ნამდვილ შედევრებს აგროვებს მხოლოდ, უხილავ შედევრებს, არშექმნილ შედევრებს.. ეს უცნაური კოლექციონერი ჩუმად მიუყვება გალერეის კედლებს, ოკეანისფერი თვალებით ათვალიერებს ნახატებს, უსმენს მუსიკას და ფიქრობს: „ოცნება. ოცნება. ოცნება. არაფერი არ იკარგება. უხილავი უხილავად რჩება“ (ო, დიდო ღვთაება „დეჰარ“! მე მინდა არსებობდე შენ).

თუ ეს ყველაფერი ასეა, რაღა თქმა უნდა, რომ სანდრო ლიჩელის ნახატები ამ გალერეის საპატიო ადგილზე იქნებოდა გამოფენილი. ხომ ხედავთ ახლა, რა უპირატესობა აქვს ოცნებაში ქმნას! შეუქმნელი შედევრები შეიძლება „დეჰარის“ გალერეაში მაინც მოხვდნენ და რამდენი შექმნილი შედევრი დაღუპულა უპატრონობით (ისე რომ გალერეა კი არა, ტკბილი სიტყვაც არ ღირსებია), და კიდევ რამდენი დაიღუპება! ისინი — როგორც შექმნილები, ვერც შეუქმნელ ქმნილებათა გალერეაში მოხვდებიან!

(ეჰ, დაუდეგარი სულის ადამიანებო! სილამაზისა და სიხარულის მაძიებელნო! საიდუმლოს მოწყურებულნო! შემეცნების გზაზე გატანჯულებო!! იქით იყოს უხილავი გალერეა, და ეგებ ვერც ვერაფერი ვიპოვოთ ამ წამალზე უფრო წამალი. ამ მშველელზე უფრო სანდო, ამ მასალაზე უფრო მყარი და გამძლე, ვიდრე თქვენი წარმოსახვაა. ოცნება — ეს გამჭვირვალე ქსოვილი, ჰაერზე უფრო მსუბუქი მატერია, ჩვენი უხილავი სულის ყველაზე ჰაეროვანი ნაწილი, რომელიც შეიძლება ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მაგრამ ორიოდ ქულით ყოველთვის წინ უსწრებს: რატომ-ღაც ყოველთვის სჯობია მას).

ახლა კი უნომრო პალატაში სანდრო ლიჩელი ფანქრით ხატავდა.... ხატავდა ფანჯრიდან დანახულ სანახს.

## ჩამოვლა

ეს მოხდა სანდრო ლიჩელის თბილისიდან საავადმყოფოში გაქცევის მეათე დღეს. განგების ნებით, მთავარ ექიმს სრულიად მოულოდნელად მოუხდა საავადმყოფოსა და თავად თბილისის დატოვება ორი დღით. წასვლის წინ მთავარმა ექიმმა საგანგებოდ იხმო მთავარი ექთანი და მკაცრად გააფრთხილა: ყურადღება მიექცია მისი უახლოესი ადამიანისათვის, რომ ტყუილ-უბრალოდ არავის შეეწუხებინა. „თქვენი იმედით ვტოვებ, აბა თქვენ იცით“, — დასძინა ბოლოს, საუბარი დამთავრებულად ჩათვალა და პირქუში სახით ჩაიარა დერეფანში. რა საბედისწერო ფრაზა აღმოჩნდა ეს უკანასკნელი — „აბა, თქვენ იცით“. რა იცოდა მთავარმა ექიმმა, რომ ამ .ფრაზას ყველა თავისებურად განმარტავდა და ყველამ ერთი და იგივე რამ არ იცოდა! კერძოდ ის, რომ მათ მოეთხოვებოდათ „მძიმე პაციენტის“ სიმშვიდის სადარაჯოზე მდგარიყვნენ და ახლოსაც არ გაკარებოდნენ უნომრო პალატას. მთავარი ექიმის წასვლის შემდეგ, როცა მთელ საავადმყოფოს აშკარა გამოცოცხლება დაეტყო, გაისმა მხიარული შეძახილები და შიგადაშიგ დერეფნებში ჩაღიღინებაც კი (ყველაფერი ეს სამედიცინო პერსონალის მხრიდან). მთავარ ექთანს მოულოდნელად გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა და გატანჯული სახით სთხოვა წასვლის ნებართვა შვებულებიდან იმ დღეს დაბრუნებულ მთავარი ექიმის მოადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეა, გადასცა მთავარი ექიმის დანაბარები და „აბა, თქვენ იცითო“-ც არ დაავიწყდა. მთავარი ექიმია მოადგილემ, რომელმაც სულაც არაფერი იცოდა ახალი პაციენტის განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ, პროფესორის ჩამოვლა რომ დაიწყო, მთელ ამალას პირდაპირ უნომრო პალატისაკენ გაუძღვა. სანდრო ლიჩელი ენით გამოუთქმელი განცვიფრებით მიაჩერდა შესულთ. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს მეგობრისა და მფარველის წასვლით გამოწვეული გაუგებრობა იყო. ცოტა გამხიარულდა კიდეც და გაიფიქრა, დღეს და ხვალ როგორმე გავუძლებო. კონსპირაციის შენარჩუნების მიზნით, სანდრო ლიჩელი პროფესორის ხელის დაჭერას მუცელზე გაწამებული სახითა და „მტკივათი“ პასუხობდა. თანაც ორჯერ რომ „მტკივას“ იტყოდა, მესამედ „ნაკლებადო“. დააყოლებდა. მერე თანმიმდევრობა შეცვალა: „მტკივა, მტკივა ნაკლებად“. „მტკივა. ნაკლებად. მტკივა“ „ნაკლებად. მტკივა. მტკივა“. პროფესორმა სიცხის ფურცელს დახედა. აქ მთავარი ექიმი „სარაჯიშვილი № 2“-ით გამოწვეული ტონუსის აწევას აღნიშნავდა ხოლმე საღამოობით: ისე რომ სიცხის მრუდი ოცდათექვსმეტ და ოცდათვრამეტ გრადუსს შორის რაღაც რიტმულად ირხეოდა: პროფესორი ძალიან ჩაუღრმავდა ამ სურათს. მერე ავადმყოფის ისტორიაც მოითხოვა. ანალიზებიც (რომლებიც მთვარმა ექიმმა შეადგინა პაციენტთან ერთად ერთ-ერთ მხიარულ საღამოს, სიმღერებსა და სადღეგრძელოებს შორის) აშკარად ადასტურებდნენ პროფესორის ეჭვს. დერეფანში პროფესორმა, რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული სწრაფი დიაგნოზებითა და გადაწყვეტილებებით, რაღაც გადაულაპარაკა ამალას. „დროის დაკარგვა არ შეიძლება. ყველფერი უნდა გავაკეთოთ, რაც ჩვენს ხელთ არის“. — ეს გახლდათ საერთო დასკვნის ბოლო ნაწილი.

სანდრო ლიჩელი კი, მიიხურა თუ არა მძიმე კარი, წამოხტა და ჩაოლი ჩაპლინისეული რევერანსით დაუკრა თავი ოთახიდან გასულ საზოგადოებას: წარმოსახული შლაპა მუხლებ წინ გაიქნგამოიქნია და მერე ჭერში ააფრიალა. — წინ კიდევ ოთხი დღე იყო. უფასო შვებულების, უფასო დასვენებისა და უფასო მარტოობის ოთხი დღე. მაგრამ შემდეგ შაბათ-კვირა მოსდევდა და, მაშასადამე, ექვსი დღე კიდევ რჩებოდა მის განკარგულებაში: ამრიგად, შეეძლო ისევ აუჩქარებლად ეფიქრა, საღამოობით ესეირნა შემოდგომის ცარიელ ბაღში, ეხატა, ისევ ემოგზაურა, ეწერა დღიურები, რომელთა წერაც აქ დაიწყო, დაეკრა და ემღერა, ემღერა ესპანური სიმღერები თავისი მშვენიერი მსმენელისათვის, რომელიც ყვითელ კაბაში გამოწყობილი ცაზე იწვა და ლურჯ სასთუმალზე ედო ყვითელი თმით შემოგრაგნილი ფერმკრთალი სახე, და, რაც მთავარია, მას შეეძლო მერეც, როცა კი მოისურვებდა, ყოველთვის მოსულიყო აქ, მეგობართან, „პროფილაქტიკისათვის“ და ერთი-ორი დღე (დავუშვათ, შაბათ-კვირა.) ამ ჩუმ, შეუვალ ოთახში გაეტარებინა, ესე იგი, არც ისე ცუდად იყო საქმე, — თუკი ადრე მაინც გელოდა შენი კუნძული, ასე ცხოვრებაც კი შეიძლებოდა.

საღამოს სანდრო ლიჩელი რაღაც იუმორის გრძნობით შეეგება მედდას, რომელმაც მორიდებით მიუკაკუნა კარზე და აუწყა, რომ ოყნის გაკეთება იყო საჭირო. მან დიდის მოწიწებით შეახო ოყნის მილაკი სანდრო ლიჩელის სწორ ნაწლავს. ბოდიშიც კი მოიხადა და სასწრაფოდ დატოვა ოთახი, როცა ბალონი ჩამოიცალა. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო ლიჩელს მოეწონა კიდეც ცარიელი მუცლის სიმსუბუქე და მშვენიერ გუნებაზე დაიძინა. „ხვალ დილის ათ საათამდე არაფერი მიირთვათ“. — მედდის ეს სიტყვები მის ცალ ყურს შეეხო მხოლოდ და ისიც ოდნავ.

ნაირა გელაშვილი
მივემგზავრები მადრიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუდიმენტი

დილით სანდრო ლიჩელმა „სარაჯიშვილი № 2“-ის საკმაო დოზა მიიღო, შოკოლადის ფილა დააყოლა და ფანჯრის რაფაზე ყირა აჰიმა. ამის შემდეგ კიდევ იტყვის ვინმე, სანდრო ლიჩელი სულიერად მოტეხილი იყოო?! აბა, თქვენ, რომელიც გნებავთ, ორმოცდაშვიდი წლის კაცს მიეცით სრული თავისუფლება — ჩაკეტეთ დაგმანულ, შეუვალ ოთახში — თუ იმას ხტუნვა, სიმღერა, ყირები და მაგიდაზე წოლა მოუნდეს! ია დაღლილია, ბავშვი მასში უკვე მოხუცდა, არაფერი აღარ ეხალისება — დაწვება და შავნაღვლიანობა შეიპყრობს. სანდრო ლიჩელივით ქალაღდის ჩიტებს კი არ გააფრენს ფანჯრიდან!

ია-ის იყო სანდრო ლიჩელმა ავლავ დაიმატა № 2 (რომელსაც ამ დილით განსაკუთრებით მიეძალა, რატომ, არ ვიცი), რომ დააკაკუნეს. ექთანმა ბოდიშის მოხდით ათხოვა ნემსის გაკეთების ნებართვა და რაინდული თანხმობის შემდეგ ფაქიზად ჩაჩხვლიტა სანდრო ლიჩელის დუნდულა კუნთი, რაც ლიჩელს, № 2-ის წყალობით, არც კი უგრძვნია. მერეც ხალისიანი ინტერესით გაჰყვა ახალგაზრდა, მკერდსავსე ქალს, როდესაც მან სადღაც წასვლა შესთავაზა.

ლიჩელი საოპერაციო ოთახშიც არ შეცბუნებულა. როდესაც გახდა და საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა თხოვეს, ცოტა გაუკვირდა, მაგრამ პროფესორის სიტყვებმა — ათ წუთში ყველაფერი დამთავრდება, ვერაფერს გაიგებთო, დაამშვიდა — რაღაც ორიგინალური და უმტკივნეულო გასინჯვა იგულისხმა. როდესაც მუცლის კუნთში ნოვოკაინი შეუშხაპუნეს, არ ესიამოვნა და პროფესორის ხელში ალაპლაპებულ ლანცეტს რომ მოჰკრა თვალი, წამოჯდა: რას მიშვრებითო, „აპენდიციტი რა სალაპარაკოა“, — უპასუხეს თავაზიანი გაკვირვებით. სანდრო ლიჩელის ველურმა ღრიალმა და ელვისებურმა ნახტომმა ერთ წამს ყველანი გააშტერა. მაგრამ მალევე მოეგნენ გონს, ეცნენ [illegible] ქვემოთ შიშველი მოგზაური მაგიდაზე გაჭიმეს. პაციენტი ღმუოდა და ტლინკებსა ყრიდა. მისი სიშმაგით განცვიფრებულმა ქირურგმა სასწრაფოდ ნარკოზი მოითხოვა... და სანდრო ლიჩელის თვალებში ჩარჩენილი უკანასკნელი სურათი გახლდათ — მიკროფონის მსგავსი საგანი, რომელიც ნელა უახლოვდებოდა მის ცხვირს.

მერე კი საოცარ ნისლეულში ამოჰყო თავი: ღმერთმა იცის როგორ განზავდებოდა მისი მოუსვენარი ტვინის უჯრედებში, ღმერთმა იცის, რა გზებით შეჯერებული „ენისელის“ ძვირფასი სითხე და ნარკოზი — „ქლორეთილი..“

ღმერთმა იცის, როგორ მორიგდებოდა სანდრო ლიჩელის მოაზროვნე უჯრედებში აქროლებული ეს ორი ნაერთი, ადამიანის — ტკივილებით ასე უხვად დააჩუქრებული არსებისათვის ყოვლად აუცილებელი ორი ნივთიერება. — ერთი — ამგზნები და გამახალისებელი, მეორე — მომადუნებელი და დამაძინებელი. მათ ისე გაჟღინთეს სანდრო ლიჩელის ტვინის ხვეულები, გაზაფხულის თბილი წვიმები რომ დატბორავენ ხოლმე მიწის ხნულებს. მაგრამ რა მოსატანია აქ წვიმის წყალი, ასე გულუბრყვილოდ რომ უერთდება მშობლიურ მიწას? რას შეედრება ეს მარტივი შეერთება იმ უცნაურ ალქიმიას, სანდრო ლიჩელის შემეცნების ორგანოში რომ დატრიალდა! სანდრო ლიჩელი გრძნობდა და ხედავდა (!) , როგორ გაუჭრეს სხეული (რაც „ენისელის“ დამსახურება უნდა ყოფილიყო, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ქლორეთილს და არ ჩააზშობინა ტვინის, განსაკუთრებით აქტიური უჯრედები) და ამოაჭრეს ყოვლად უცნაური რაღაც საგანი — თეთრი დირიჟაბლი (თეთრი მთვარე?). სადაც სანდრო ლიჩელი თავის ბავშვობის შეყვარებულთან ერთად იჯდა და ნელა მიიწევდა მაღლა ცისაკენ (ეს ვიზიონი კი ამ ორი ნივთიერებისა და პაციენტის სულიერი შედგენილობის ერთობლივ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ). დირი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟაბლი ნელა ამაღლდა საოპერაციო ოთახის ჰაერში და ფართო ფანჯრებისაკენ გასწია — ის მიისწრაფოდა გარეთ, ის ელტვოდა სივრცეს, მას სურდა გაფრენილიყო — სად? ამას მხოლოდ უგულისყურო ადამიანი ვერ მიხვდება, საით გაფრინდებოდა სანდრო ლიჩელის დირიჟაბლი, ეს მზით განათებული მფრინავი ბუშტი, ისეთი მსუბუქი და მოელვარე, როგორც ვარდისფერი ბუშტი საპნისა.

●

— ყვირის, ხტუნავს, რატომ არ მოქმედებს ნარკოზი?

— რა მოგახსენოთ, ბატონო პროფესორო, მაქსიმალური დოზით მივეცით.

— კი მაგრამ, გამაგებინეთ, რა ნარკოზია ასეთი, თქვენი დამზადებული ხომ არ არის, რომ ოპერაციის დროს არ იმოქმედა. ახლა კი გონს ვეღარ მოგვყავს? გამოუძახეთ რეანიმაციის ექიმს! სწრაფად! მასაჟი! ნემსი!

დიახ, ისინი მიმართავენ მასაჟს. საგულე ნემსსაც, კარგადაც ულაწუნებენ სანდრო ლიჩელს ლოყებში, ცივ წყალსაც ასხამენ (პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან გადატანითი აზრით რომ უკვე გადაასხეს და საკმაო დოზითაც, ამას ვინ ვერ მიხვდება!), მაგრამ სანდრო ლიჩელი ჯიუტად რჩება ეთილენისელის ნისლებში. რჩება და ილიმის... ვის ულიმის უცნაურ ნისლში მოხვედრილი? ეგებ მისი გვაროვნული სისხლის ბურუსი გამოარღვია იმ უშორესი წინაპრის სახემ, კვერცხის ფორმის ლაქა რომ ჰქონდა გვერდზე და სატრფო ჰყავდა ქალაქ მადრიდში. წამოტივტივდა, მიუახლოვდა სანდროს, თვალებში შეხედა და უთხრა: „სანდრო!“ ეგებ ლიჩელის ღრუბელივით ამჩატებულმა სულმა ესპანეთის რომელიღაც დახავსებულ სამარხში სიძველით მწვანედ გამჭვირვალებული ძვლები იხილა, დახედა და შეაჟრჟოლა: რადგან ეს მისივე სამარხი იყო, სადაც ის წინა ცხოვრებაში დამარხეს ერთხელ და ძვლებიც მასვე ეკუთვნოდა. მიხვდა და გაეღიმა...

პროფესორმა ბრძანა, დაერეკათ ოჯახის წევრებისათვის. ახლაღა მოათვალიერეს უნომრო ოთახი. აქ იყო წიგნები, ყვითელი ფოთლები. აქ იყო ქაღალდის ჩიტები, ბაყაყები, ფანჯრის რაფაზე დიდი, თეთრი, აფრებიანი ქაღალდის გემი. იყო გიტარა და ფანქრით შესრულებული ნახატები კედლებზე: სადაც ფანჯრიდან დანახული, ბაღში მოსეირნე, წელში მოხრილი ავადმყოფები მოჩანდნენ, კიდევ: რაღაც კუნძულები და რაღაც ქალაქიც... მაგრამ არსად ჩანდა ტელეფონის წიგნაკი ან რაიმე მსგავსი საგანი.

ცნობათა ბიუროში მორიგე ექთანი იგებს სანდრო ლიჩელის ტელეფონის ნომერს — სანდრო ლიჩელი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თბილისში.

— ალო, სანდრო ლიჩელის მეუღლე ბრძანდებით? გამარჯობათ. უკაცრავად, იცით, ოპერაცია უკვე დამთავრდა. კარგი იქნება, თუ მოაკითხავთ. ბატონო? გაუგებრობაა? სად? კისლოვოდსკში? ბატონო? მივლინებაში? სოხუმში? სამსახურიდან ხშირად მიდის? მაპატიეთ. სად მსახურობს? აპა... მაპატიეთ. ქალბატონო, გაუგებრობაა...

— ალო, უფროსი ბრძანდებით? უკაცრავად, საავადმყოფოდან ვრეკავთ... თქვენი თანამშრომელი სანდრო ლიჩელი... როგორ? სოფელშია? საავადმყოფოში არ დაწოლილა? დედა ჰყავს ავად?.. მაპატიეთ, გაუგებრობაა...

უნომრო პალატაში დაბრუნებულ გაოგნებულ ექთანს პროფესორი აწვდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალალდის ჩიტს, რომლის ერთ ფრთაზეც ტელეფონის ნომერი და ქალის სახელი და გვარი მოსჩანს.

— ალო, ქალბატონი ნელი ბრძანდებით? იცით... უკაცრავად, თქვენ ალბათ იცნობთ სანდრო ლიჩელს? იცნობთ, არა? დიახ. დიახ. იცით ალბათ, საავადმყოფოში წევს... აქ თქვენი ნომერი ვიპოვეთ ჩიტზე, დიახ, ჩიტის ფრთაზე... კარგი იქნებოდა... ოპერაცია უკვე დამთავრდა... ბატონო? გაუგებრობაა? ქუთაისში?.. სამი დღის წინ გელაპარაკათ? თერთმეტი დღეა, რაც გაემგზავრა?.. მაპატიეთ... გაუგებრობაა, სრული გაუგებრობა... ბატონო? ჩიტი? ჩვეულებრივი ქალალდის ჩიტი! არ გინახავთ ქალალდის ჩიტები?

მორიგე ექთანი (თავისთვის). — გავგიჟდები ნამდვილად, ვინ არის ეს კაცი ბოლოს და ბოლოს?

უნომრო პალატაში შემოდის რეანიმაციის ექიმი. დახედავს თუ არა სანდრო ლიჩელს, წამოიძახებს: „როგორ ჰგავს ეს კაცი სანდრო ლიჩელს! მაგრამ ის მადრიდს გაემგზავრა“. მან მორიგი ნემსით ჩაჩხვლიტა სანდრო ლიჩელის ვენა.

სანდრო ლიჩელი იღიმის. დირიჟაბლი გაჩერდა მადრიდის თავზე. მალე ის უკან დაბრუნდება თბილისში. დაბრუნდება და აღარასდროს არ გაფრინდება. სანდრო ლიჩელი ბოდავს. ნამდვილი ბოდვაა და ყურადღებას არავინ აქცევს:

„სადა ხარ, ჩემო მეგობარო?.. მათ მე ამომჭრეს... მადრიდი“.

«Donde stas, mi amigo, sale la luna...»

„მთვარე ამოდის“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნანა გოგუაძე

●

დაიკრიფა ჭირნახული,
ბორგავს ქვევრი გოლიათი,
ეზო-ეზო ფერმწუხარე
დგას ფოთლების ფოლიანტი.

შემოდგომის ამ ჭრელ წიგნში
ჩემი არც რა ბწკარებია,
არ მითესავს, არ ვმკი,
თითი თითს არ დამიკარებია.

უქმად ჩავლილს ვგოდებ დღეებს
და არყოფილ შვება-ლხენას,
ზეცავ რისგან, ღმერთო რისთვის,
მომანიჭებ აღმაფრენას.

●

საღამოს ზღვიდან დაიძრა ქარი,
აიტანია ნორჩი ალვის რტო,
საღამოს ზღვიდან დაიძრა ქარი,
რომ შეაშფოთოს ცხელი აგვისტო.

ღრუბელი წვიმას იკავებს ჯიბრზე,
ღამდება ასე და რჩება რაი?
ერთადერთობა საკუთარ თავთან,
მიუსაფრობა და ჭიქა ჩაი.

●

ცა მედიდური ტკივილს არ იმჩნევს,
ისე თენდება დღეა მეშვიდე,
მე შენზე დარდი კვლავ დარდს
გამიჩენს,
ან განმარიდე, ან განმერიდე.

არ მინდა ზეცის გულგრილი თოში
და გადაკარგულ ქარებზე კრთომა,
თვალები რაღად დაგეძებს ბრბოში,
რად ზმანებებში დგას შემოდგომა?

●

ავყვები წუთით მზის ფერად ისრებს,
ჰგავს ნაოცნებარს მშვიდი საუფლო,
ვეხმიანები ჩემს ბებერ წიფლებს
და მაინც შენთან, შენთან ვსაუბრობ.

შორს მთაა—ტყეთა მუქლურჯი ბინა,
გულს ვეკითხები: არ მოვა, მოვა?
შორს მთაა — ტყეთა მსუბუქი ბინა,
აქ შენზე ფიქრის წვიმა და თოვა.

●

გადმოეშვა ციდან
ასჯერ უფრო წმინდა,
ვიდრე წარმოსახვის
მანამ წვიმა წვიმდა.

უწმინდესად,
უწრფელესად,
უწვალებლად
წვიმდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ უთვისტომომ, უთავშესაფრომ
ვერ მოგიარე, სიცოცხლის ფესვო,
ნუვინ თქვას ჩემი მიუსაფრობა,
მე თან გატარებ, ქართულო ლექსო.
და მე დამიცავს შენი თილისმა,
გაქვს ცის სიალე და ფერი მზისა,
რაც კი სიამე შეიგრძნო სულმა,
შენგან შეიგრძნო და შეითვისა.
გადაგატარებ სულის სამუმზე,
სამშობლო ჩემი — დიდი ლექსია,
თუ არ იქმოდა საქმეს მესხურად
მესხი მელექსე, რაღა მესხია?
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად,
შენ პოეზიის გრძნეულო ხატო,
სულმნათო შოთავ, გზა ბურანიდან
შენით იწყება და შენით ნათობს.
ლექსი სულია ალალ-მართალი, —
მშობლიური და ჩვენთვის ქართული,
ის გამბედავი მეომარია
და გასაჭირში ხმალაღმართული.
მე მიყვარს, როგორც მზე მიყვარს ქვეყნად,
ცეცხლივით ყვავის, თუ შესძელ, შესვი,
მე მიყვარს მისი ხელობა — სევდა
და სიკვდილივით მართალი ლექსი.

. . . . . . .

ჩემი გონება არის ციხე, რომელშიც მე ვარ
გამოკეტილი და გარედან გადარაზული
და როცა სული დაიღლება ამ ტყვეობაში
შემწედ აკითხავს პოეზიის ცისფერი სული.
ღვთაებრიობა, მისი შუქი გადამრჩენელი
მე მათამამებს, ხშირად მკერდზე თავი დავადო,
და ვიქვითინო მოწამლულმა შხამით და გესლით,
მწუხარება და უძლურება ჩემი გავანდო.
თორემ მე ვინა, უცნობებო, და ლექსი ვინა,
ო, ნუ იქნებით, მეგობრებო უსასტიკესნი,
ლექსს ცეცხლიცა აქვს, რომელიც წვავს განუკურნებლად,
სევდად,
საკირეულ,
ხეტიალად
გაგწირავს ლექსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ დანელია

## ერთადერთია ეს გზა, ძვირფასო

ერთადერთია ეს გზა, ძვირფასო,
ერთადერთია ეს გზა, ზეცისკენ
თვით კვამლიც, კვამლიც მიისწრაფვის.

მარტოობა...
სიცილს მხრები
ისე უთრთის, თითქოსდა იგი
იყოს, იყოს უდარდელი და უზრუნველი... —

იმ დალოცვილს ნეტა მაინც აღარ ვიცნობდე!

## ცა. მთვარე

გადაირბინა ცა მთვარემ
და
აბიბინდა მდინარის პირას,
ვით ბალახი თაფლისფერი, ცრემლგამოცლილი.

ღრუბელი ჯიბეში იქექებოდა —
ერთადერთი, უწყინარი, თავჩაქინდრული.
თენდებოდა აგვისტო ჩუმად,
უელავდა მთვარეს მუხლები... —
ოჩოკოჩს პირი დაეფჩინა
და
შუბლზე ხვირთქლი გადასდიოდა.

## მზის წვიმა

მზე წვიმს.
მზის წვიმა თბილზე თბილია,
როგორც მზერა შენი სხეულის.
ნაღვერდალი ხელისგულზე დაუდევს ქალაქს
(გამოქცევია მშიერ-მწყურვალ უდაბნოს იგი)
და ყურს უგდებს სისხლის წკრიალს.

მზე წვიმს.
მე ვხედავ წვიმას, მე — ერთადერთი
და მიხარია, რომ ამ ქალაქის
ჩრდილი ვარ, ჩრდილი — წყნარი, კამკამა,
ამ მზის წვიმაში ყველასათვის ძალზე საჭირო.

მზე წვიმს.
ქალაქთან ახლოა უდაბნო... —
სულო ჩემო — ჩრდილო კეთილო,
ფრთხილად იყავი!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თოვლის კოცონი

ცრემლით სველი აქვს ბეღურას უბე·
ცრემლი ბეღურას გულმკერდს უკოცნის.
ანთია ირგვლივ თოვლის კოცონი, —
სავსეა ფერის თოვლით დიდუბე.

ცრემლით სველი აქვს ბეღურას უბე, —
სიხარულის ცრემლს ჩიტი ვერ მალავს.
სავსეა თოვლით მთელი დიდუბე, —
მოჰყვება მთვარე ცრემლის ელმავალს.

## ხორბალი... — სიმღერა

შენი მოდგმის ვარ, ვარ მლოცველი!
მობრძანებულხარ ოქროსფერი სინათლითა
და
ჩემი წინაპრის ნედლი სიმღერით!..—
ხორბალი გქვია!..
თაფლისფერი თვალები მინდა
რომ ჩაგიკოცნო, შენი ჭირიმე!

შენი მოდგმის ვარ, ვარ მლოცველი,
ვარ, ვარ მლოცველი შენი ჩურჩულის,
დგას შენი ლურჯი სვეტიცხოველი —
ძალზე ამაყი, ძალზე გულჩვილი!..

შენი მოდგმის ვარ, ვარ მლოცველი!

## გედები

აქანავებენ ყელს გედები, აქანავებენ,
მისრიალებენ წყალზე, როგორც, როგორც ნავები.

საღამო გალობს, გულყვითელი საღამო გალობს,
მიგორავს ცაზე მთვარე, როგორც თეთრი გორგალი·

აქანავებენ ყელს გედები, აქანავებენ.

## ცირა ქოგგალე

მიფრინავს ცისკენ ტეხური, როგორც
მწუხრის ნათელი — ცრემლის მდინარე —
„ცირა ქოგგალე“ სევდანასვამი,
ნარნარტანა, ლამაზი ძალზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უხმე, სიმღერავ, ქარს, ნიავს მაინც,
ამოიყენე გვერდითა და ხელი მოჰხვიე!..
(ხშირად სიზმარი მირჩევნია ცხადს, ცხადს,
          რომელიც
უნიათოა, უსულოა და უსისხლხორცო!).

მიფრინავს ცისკენ ტეხური, როგორც
სევდანასვამი — „ცირა ქოგგალე“.

## ვისთვის სიკვდილი ლხინია

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვინა ვართ,
ბოლოს და ბოლოს,
საიდან მოდის ეს გზა ჩვენი, ანდა სადამდე უნდა
დასრულდეს
გზა, გზა ჩვენი —
ეს ფერადი განამაწია!
სად, ვის კარებთან დავეცემით (თავჩაქინდრული)
ბოლოს და ბოლოს,
ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს!.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვინა ვართ, ბოლოს და
ბოლოს?.. —
ჩვენ ისინი ვართ,
ვინც არასდროს არ დაცემულა,
ჩვენ ისინი ვართ,
ვისთვის სიკვდილი ლხინია, ლხინი —
საქართველოსთვის!.

## ცხენისწყალი. ნიავი

ქვითქვითებდა, როგორც მწყერი
ცხენისწყალი ლურჯზე ლურჯი
და ეყარა ქვები გულზე,
როგორც გაზაფხულის ღამეს
მოიისფრო ვარსკვლავები.

მზე ეფინა ნიავს ყელზე.
წკრიალებდა შემოდგომა —
ოქროსფერი ზანზალაკი.
გველის ტყავი გამხმარიყო,
გამხმარიყო ფერი გველის...
ჭახჭახებდა მზეზე რიყე —
ცხენისწყალის საგებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

# [illegible]

რომანი

ხოლო სოფელი ძველებურად ცხოვრობდა ისევ: აპოლოსეული რუკებით ხელმძღვანელობდა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, ძველებური მეორდებოდა კვლავაც, წარამარა დაცურავდა საჩვენებელი ჯოხი რუკებზე, სხვაგვარად არსებობას ფასი აღარ ექნებოდა, ურუკებოდ ხალხი წაერთმეოდა სიცოცხლეს... მხოლოდ თომა და ნინუცა იყვნენ გამონაკლისნი, მარტო ეგ ორი ადამიანი ვერ ჩაეთრია საერთო მდინარებას: თომა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამოირჩეოდა სხვებისაგან, სხვაგვარად სიცოცხლე ვერც წარმოედგინა და არც ძალუძდა, ვერა და ვერ დაემსგავსებოდა ვინმეს, ნინუცას კი ვერ გაეგო ვერაფრით,. როგორ უნდა დატეულიყო პაწია ქაღალდზე იმხელა სოფელი კი არა, მისი ეზო-კარმიდამოც, მსოფლიოზე ხომ აღარ ღირს სიტყვის ჩამოგდება და ამიტომაც იყო აპოლომ რომ წამოაძახა იმ დღეს, თომას ცოლი უნდა ყოფილიყავი, კარგად გაუგებდით ერთმანეთსო... მიხვედრილიყო აპოლო, რაღაც რომ ჰქონდათ საერთო ნინუცასა და თომას... ნინუცა კი ისევ დნებოდა და დნებოდა დღითიდღე და ისეთი პირი უჩანდა, ალბათ დიდხანს ველარ იბოგინებდა ამქვეყნად, ჩააბარებდა სულს უფალს; თავად ხომ ხვდებოდა ამას და არც მეზობლები ყოფილან უგრძნობნი და მიუხვედრელნი, სჯეროდათ, დიდი დღე აღარ დარჩენოდა ნინუცას და აპოლოს სიბრალულის გამო იცოდებდნენ ქალს. არ შეებრალებოდათ არაფრის დიდებით, აპოლო რომ არ ყოფილიყო, ვერა და ვერ ეპატიებიათ ქალისათვის რუკების უგულებელყოფა და ერთი დღეც იქნებოდა გადაუხდიდა სოფელი სამაგიეროს, ჰქონდათ ამისი იმედი, მაგრამ აპოლოს საცოდაობით ეწურებოდათ გული: კაი ხნის არის უკვე აპოლო და დაქვრივების მერე ცოლს აღარ მოიყვანს, რომ მოისურვოს კიდეც, ვინ უნდა გაჰყვეს, მომვლელ-პატრონი არ ეყოლება მაგ უბედურსო, დარდობდნენ... მაგრამ გაუმტყუნდათ უცილოდ მიჩნეული წინასწარმეტყველება თავად ნინუცასაც და მეზობლებსაც. რევმატიზმი მოევლინა ქალს მხსნელად... ისევ და ისევ უსაშინლესი გვალვები იდგა სოფლად, გადატრუსულიყო ირგვლივ ყველაფერი, ოღნავ სინესტესაც ვერ უპოვიდი მიწას, ნახევარ მეტრზეც რომ გაგეთხარა, ყვითლად აბრიალებდნენ ხეები დახრუკულ ფოთლებს, სიმინდი კი ნაადრევად დაქალებულ გოგოს დამსგავსებოდა, უხერხულობას რომ იწვევს ირგვლივ მყოფთა შორის იმისი წამოზრდილი მკერდი თუ სხვა რამ ასაკთან შეუფერებლად მომწიფებული ქალური ნაკვთები, — ჯუჯა იყო ყანა და მიყვითლებული, ხოლო ბოსტანს ნაბოსტნარიც აღარ ეთქმოდა და ტყესაც დაჰკარგვოდა თავისი ფერი თუ სურნელი, ეგ კი არა, გლეხები იმ შორეულ, მარადიული თოვლით დაფარულ მაღალ მწვერვალებს რომ მოჰკრავდნენ თვალს შემთხვევით, უკვირდათ, ის თოვლი როგორღა გადარჩენოდა ოხერტიალ მზეს... თავიდან იყო სევდა რომ დაუფლებოდა ადამიანებს, თორემ შემდგომით შემდგომ, საშველი რომ აღარ დაადგა ჯოჯოხეთურ ხვატ-პაპანაქებას და სახსენებელიც კი გადაავიწყდათ წვიმისა, როგორც ყველაფერს ამქვეყნად, გვალვა-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი“, 1981 წ. № 11, 12; 1982 წ. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საც შეეგუენ, მეტი ძალა არ ჰქონდათ რადგან, თან აპოლოსეული რუკებიც დროულად მოევლინა მხსნელად სოფელს, ამინდზე ფიქრი და დარდი გადაავიწყა... ჭირნახული რომ აღარ იქნებოდა იცოდნენ, ვენახმაც უმტყუნათ და ხეხილმაც, საქონელი იგრძნობდა ალბათ თავს ზამთარში ადამიანებზე უკეთ, სიმინდი ტაროს ვერ მოიწევდა თუმცა, მაგრამ ჩალად გამოდგებოდა. გლეხებმა კი, სხვა რამ გამოსავალი რახან აღარ ჰქონდათ, ფული გადაინახეს და იმედის თვალი მიაპყრეს ქალაქს, მერე და მერე, რაღაი ცხოვრებას თავისი გააქვს მაინც, ზამთარიც შეიხსენეს, ადრე, თითქოს არც იარსებებდაო, ისე რომ გადავიწყებოდათ და დიდიან-პატარიანად შეესივნენ ტყეს — შეშა მაინც გვქონდეს თავზესაყრელად ზამთარში, სხვა მხრივ ეგება გავიტანოთ თავი როგორმე, მაგასაც ქალაქში ხომ არ ვიყიდითო...

უთენიაზევე დაიბარებდნენ კაცები, ტყის საჭრელად მივდივართო, შემოუხაზავდნენ რუკაზე ცოლებს იმ ადგილს, საითაც მიეშურებოდნენ, მერე კოდალებს დაემგვანებოდნენ, დილიდან საღამომდე ისმოდა ტყეში წალდის კაკუნი... მხოლოდ ნინუცას მოუტანა სარგებელი იმ ხვატ-პაპანაქებამ, რევმატიზმი გაუქრო ქალს დროებით — აღარა სტანჯავდა იმხანად სახსრების ტკივილი... და, აი, ერთ საღამოსაც, ახალ შებინდებულზე, აპოლოს ეზოში მოეყარა თავი სამეზობლოს, გადაქანცულიყვნენ კაცები ტყეში ყოფნის შემდგომ და ქალებსაც დამჩნეოდათ დაღლა — ხუმრობა ამბავი როდი იყო იმ გვალვაში საჭმლის გამზადება თუ კიდევ სხვა რაჲ უამრავი სადიაცო საქმე. შეკრებილიყვნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ აპოლოს, რომელიც ქადაგად დავარდნილიყო, ალტყინებული გახლდათ საოცრად მაშინ და სხვაგვარად არც ეგებოდა, კოლუმბის მოგზაურობასა თუ ფათერაკ-თავგადასავლებზე ესაუბრებოდა მეზობლებს, გადახრუკულ მოლზე გაეშალათ ნახევარსფეროების რუკა, შემოსხდომოდნენ ირგვლივ ქალები და კაცები, უსმენდნენ აპოლოს ყურადღებაგამახვილებულნი და რუკას დასცქეროდნენ, აბრწყინებოდათ თვალები, სადღესასწაულო სიხარული დაუფლებოდათ იქ მყოფთ, და როგორც აპოლო იმ ადგილებს დაასახელებდა, რომელიც კოლუმბის ხომალდებს გადაესერა ერთ დროს, ხან ერთი სწვდებოდა საჩვენებელ ჯოხს და ხანაც მეორე, ნაკვალევს შემოხაზავდნენ რუკაზე დიდი მოგზაურისას...

ნინუცა იყო მხოლოდ დაღონებული, დამდგარიყო იქვე ახლოში მორიდებულად და თავის სადარდებელს ასდევნებოდა, სიცოცხლეს რომ უმწარებდა უკანასკნელ ხანებში, თანაც მოლზე გაფენილი რუკის დანახვაზე და იქ მყოფთა საქციელზე, ბუზადაც რომ არ აგდებდნენ ქალს, უფრო ეძალებოდა ნაღველი და, აი, სახსრების ტკივილი იგრძნო უცებ, ირგვლივ კი ყველანი გატრუნულიყვნენ, რომელიღაც კუნძულსა თუ სახელმწიფოს ეძებდნენ რუკაზე; ხუნთქვა ესმოდათ ერთიმეორისა, ნინუცამ რომ დაილაპარაკა მოულოდნელად, კაციშვილი არ მოელოდა, თუკი რამეს იტყოდა, მისჩვეოდნენ, ქალი სიტყვასაც არ სძრავდა იმ დროს, როცა ისინი რუკებს ჩაჰკირკიტებდნენ... „წვიმა იქნება ხვალ"... წვრილი ხმით თქვა ნინუცამ.. გაისუსნენ, გაიკვირვეს თანაც იმ სიტყვის ხსენება, გადავიწყებისათვის რომ მიეცათ გვალვიანი ზაფხულის გამო...

მორიდებული ფხუკუნი გაისმა ბოლოს აქეთიქიდან, ნინუცას კი თვალები ჩაუსისხლიანდა და ისევ გაიმეორა: „არ გჯერავთ თქვენ მაი ამბავი და, ნახეთ აგერ, წვიმა თუ არ იქნეს ხვალე..." ამ სიტყვების გაგონებაზე, ველარ შეიკავეს თავი იქ მყოფებმა და წელანდელი მორიდებული ფხუკუნ-ქირქილი სიცილ-ხარხარად იქცა უეცრად, შესცქეროდნენ ახლა ნინუცას, გადარეულა ალბათო, ფიქრობდნენ და ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ გულიანად, დასცინოდნენ დიასახლისს. ამგვარ საქციელს ვერც ერთი მეზობელთაგანი ვერ გაბედავდა, აპოლო რომ არ ახარხარებულიყო თავიდან და რაღაი იმან დაიწყო, აჰყვნენ სხვებიც. შურისძიებაც იყო ერთგვარად ეს — სოფელი ველარ იტანდა ბოლო ხანებში ნინუცას, რაკი მოეხსენებოდათ, რუკებისა რომ არა გაეგებოდა რა და ისიც უწყოდნენ, ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა დატეულიყო მათი სოფელი რუკაზე, იქაურებს კი ისე გასჯდომოდათ რუკომანია და გეოგრაფია ძვალ-რბილს, დამცირებულად გრძნობდნენ თავს, როცა გაიგებდნენ, ვინმე, სულ ერთი გახლდათ ესა, ვინც უნდა ყოფილიყო, მათ მსგავსად თუ არ კარგავდა ჭკუას რუკებისათვის...

ნინუცასთვის კი ვერაფერი გაებედათ, აპოლოს ხათრით, რა თქმა უნდა, არადა, ერთი სული ჰქონდათ სამაგიეროს გადახდისა და, აპოლოსი არ იყოს, ისინიც ადარებდნენ ხოლმე ერთიმეორეს ნინუცასა და თომას და ხშირად გაიძახოდნენ. თუ სამართლიანობაა ამქვეყნად, თომაიეს ცოლი უნდა ყოფილიყო ნინუცა, შეეფერებიან ერთმანეთს, აპოლოს რა ღირსიაო.. სოფელი აპოლოს ჩაურევლად მისდგომოდა ამგვარ დასკვნას, იმისი ნათქვამი, ნინუცა რომ დაზაფრა იმ დღეს, არც ერთ მეზობელთაგანს არ მოუსმენია, ცხადია თავისთავად. სიყვარულმა რუკებისამ, აზროვნებაც ერთნაირი ჩამოუყალიბა იმ სოფლის მკვიდრთ...

კიდევ დიდხანს გაისმოდა იმ საღამოს ხარხარი აპოლოს ეზოში. ნინუცას კი უფრო და უფრო რევდა ხელს სახსრების ტკივილი, თანაც კერპდებოდა და კერპდებოდა, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და წადილს აღენთო შურისძიებისა, ქმრის საქციელის გამოც. რაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდან იმან ატეხა ხარხარი და მეზობელთა გამოც, აპოლოს რომ აჰყვნენ. ჰოდა, მტრულად განეწყო იქ მყოფთა მიმართ, სახსრები რომ გაუუჩებოდა, მაშინ, ვინ იცის, ჩაეყლაპა ეგების შეურაცხყოფა, ახლა კი ვერ აპატიებდა დაცინვა-გაქილიკებას რუკათმცოდნეებს. — ვერც ქმარსა და ვერც მეზობლებს და ნინუცამ თავის სიცოცხლეში პირველად გაიფიქრა ამგვარი რამ: „მაცალეთ, თქვენ გაპატიებთ დაცინვას? არ ვყოფილვარ ქალი, მაგი თუ შეგარჩინეთ...“ გაეგებოდა ახლა, სოფელსაც დაპირისპირებოდა დღეიდან და ქმარსაც და სოფელმაც იცოდა ეს ამბავი და აპოლოც გრძნობდა, აწი და აწი. მტრად რომ გადაჰკიდებოდნენ ნინუცას და ორივე მხარეს ჰქონდა იმედი გამარჯვებისა თუ სამაგიეროს მიზღვისა.

სოფელს და აპოლოს თავიანთი ძლიერება უნერგავდათ რწმენას, ეჭვიც არ ეპარებოდათ, გაიმარჯვებდნენ აუცილებლად, ნინუცას კი ერთი უდავო ჭეშმარიტება ამოეცნო: არ შეიძლებოდა ადამიანის დაცინვა და აბუჩად აგდება, რაგინდ უსუსურ-გაუბადრულებული ვინმე არ უნდა ყოფილიყო იგი, არავის ჰქონდა ამის უფლება, საშიშზე საშიში იყო დამცირებულ-შეურაცხყოფილი ადამიანი, იცოდა ქალმა, მიუზღავდა საკადრისს სოფელსაც და აპოლოსაც...

და როცა სიცილის თავიც აღარა ჰქონდა აღარავის, სუნთქვაც უჭირდათ იმდენი ხარხარის შემდგომ და, რაც მთავარია, სამაგიეროს გადახდად მიაჩნდათ დაცინვა, კიდევ ერთხელ გაიმეორა ნინუცამ: „შეიცვლება ტაროსი, გაწვიმდება ხვალ, — და ჩასისხლიანებული თვალები მიმოატარა ირგვლივ. — ა, ნახეთ, ასთე თუ არ იქნეს, — მერე კი დააზუსტ-დააკონკრეტა კიდეც: — დილის ექვს საათზე წამოვა წვიმა ხვალე და ზეგე გადაიღებს, საღამოს შვიდი საათიზა, მაგ რუკებით რას გეიგებთ, — მოავლო მზერა კვლავაც იქ მყოფთ, გატრუნულიყვნენ ისინი, ეტყობოდათ აშკარად, წახდენოდათ გუნება და ნინუცას დაპატარავებული ეჩვენა ყოველი მათგანი. დამფრთხალიყვნენ, აცახცახებულსა და გაბოროტებულ დიაცს რომ უმზერდნენ, ხოლო ქალმა იგრძნო, ნაწილობრივ გადაუხადა უკვე სამაგიერო, მაგ რუკებით რას გაიგებთო, რომ თქვა, მაგრამ ესეც არ იკმარა, იცოტავა, — გამაგებიეთ ერთი, თუ ხალხი ხართ, რას ჩივიენ თქვენი რუკები, ხომ იცით, აფერი მესმის მათი მე, არ იქნება წვიმაო?“ — დაცინვა გაურია ნინუცამ ხმაში და უარესად შეკრთნენ იქ მყოფნი, აღარავინ ახარხარებულა იმ საღამოს, დედაკაცს კი სამაგიერო მიზღვეული ჰქონდა უკვე, მოწინააღმდეგე მხარე გრძნობდა ამჯერად შეურაცხყოფილად თავს, თუმცა სიტყვის დაძვრა ვერ გაებედათ, აპოლოს მეზობლებისა ერიდებოდა, თორემ ისინი რომ არა, დასაკლავად არ დაინანებდა ნინუცას, მეზობლებს კი რიდი ჰქონდათ აპოლოსი, იცოცხლე, მართლაც კი მწარე-მწარე სიტყვები მოსდგომოდათ ენაზე, მაგრამ რა შეეძლოთ, წიწაკასავით ყლაპავდნენ შეურაცხყოფას...

მეორე დილით კი, კაციშვილი რომ არ მოელოდა ნინუცას გარდა, გაწვიმდა მართლაც და გაოცდა სოფელი, დააჭყიტა და გადმოკარკლა თვალები: გადაკარგული სურნელი დატრიალებულიყო ირგვლივ ყველგან და სივრცეც მივიწყებულ ბგერებს აევსო და აეცახცახებინა... მერე, გაოგნებას ოდნავ როგორც დააღწიეს თავი, ყველას ერთდროულად გაახსენდა ნინუცა და, თითქოს სხვისი ბრძანებითა და სურვილით, საათებს დახედეს, კიდევ ერთხელ წაერთვათ გონი — ექვსი საათი იყო დილისა და შედარებით უფრო ხნიერებმა, ღმერთის სიყვარული რომ შერჩენოდათ, აცახცახებული თითებით გადაიწერეს პირჯვარი, სასწაული თუ გინდა, ეს არისო, ხოლო სხვებს გაოცებაც ვერ გამოეხატათ, მონუსხულიყვნენ...

აპოლოსაც მაშინვე გამოეღვიძა, როგორც კი წვიმა წამოვიდა, სხვებისა არ იყოს, საათს შეხედა იმანაც და დაფრთხა უცებ, სხეული აუკანკალდა, თვალს არ დაუჯერა, მაგრამ ჭეშმარიტებას სად გაექცეოდა, ცხადზე უცხადესი გახლდათ ყველაფერი — ექვსი საათი იყო დილისა, არც მეტი და არც ნაკლები, ხოლო გარეთ წვიმდა და წვიმდა კოკისპირულად, სინესტეს დანატრებული მიწა და ხეები კი ვნებამორეულნი იზმორებოდნენ, იბანგებოდნენ უეცარი ბედნიერებისაგან მოთენთილ-გაბრუებულნი...

ძილი გაფრთხობოდა სოფელს, მოუსვენრად წრიალებდა ლოგინში გაოგნებული და იმ დანატრებულ წვიმაზე უფრო მეტად, წუხანდელი სიტყვები ანცვიფრებდა ნინუცასი, ეგ კი აოცებდა, მაგრამ შეურაცხყოფილად გრძნობდა მაინც თავს რუკების უდიერად ხსენების გამო და, რაც მართალია, ანაღვლიანებდა წვიმა, საოცნებოდ რომ ჰქონდა ქცეული ადრე. მიზეზი სოფლის კაეშნისა კი ის გახლდათ, რომ შეუძლებელი გამხდარიყო შურისძიება, მაგრამ მაინც დარჩენილიყო ოდნავი იმედისმაგვარი რამ: ან ნაწინასწარმეტყველევზე ადრე გადაეღო წვიმას, ანდა მოგვიანებით, ამჯერად მაინც რომ არ აცხადებულიყო დედაკაცის ნათქვამი...

ხოლო ნინუცას, მიზეზს სოფლის იმდილანდელი აფორიაქებისა, ტკბილად ეძინა: ძალზე გვიან ჩასძინებოდა წინა ღამით, რევმატიზმი ხომ აწუხებდა და აწუხებდა, მაგრამ უფრო მეტად ბილწი ფიქრები სტანჯავდა და მეზობლების დამცინავი ხარხარიც გასჯდომოდა სმენას, იწრიალა და იწვალა კარგა ხანს და გათენებას ბევრი აღარაფერი უკლდა, ძილს რომ მინებდა..

ახლა კი ოთახში მშვიდი ფშვინვა ისმოდა დედაკაცისა. გადახედავდა აპოლო ჟამ-ჟამს ცოლს, საათს მიაჩერდებოდა მერე გაოგნებული და რეტდასხმული: „ექვს საათზე გაწვიმდა მარ-

თლაც, ფუ, რა უბედურებაა...“ და ცივი ოფლი ახხამდა, როგორც კი გაახხენდებოდა, ნინუცას წინასწარმეტყველება რომ აცხადდა: „რავა გამოიცნო ამ ჯოჯოხეთის მაშხალამ, ა“?

და სოფელსაც იმგვარივე ფიქრი უკარგავდა მოსვენებას, არადა, ძილს არაფერი სჯობდა იმდენი ხნის ხვატ-პაპანაქების შემდგომ შვებასავით მოვლენილ წვიმასა და სიგრილეში. მაგრამ ვერ იძინებდნენ, ისმენდნენ შრიალს წვიმას წვეთებისას, ნინუცა ათრთოლებოდათ თვალწინ, წინა სალამოს რომ იყო, იმ სიტყვების თქმისას, ზუსტად ისეთი — სახედამანჭული, ჩამომჭკნარ-გაბოროტებული, ანჩხლი დიაცი, თვალებსაც ცხადად ხედავდნენ ახლა იმისას, — წვრილსა და ჩასისხლიანებულს, გაბოროტებულ, მტაცებელ ფრინველს რომა აქვს, აი, სწორედ იმდაგვარს...

მოგვიანებით გამოიღვიძა ნინუცამ იმ დღეს და თვალის გახელისთანავე აპოლოს საწოლისაკენ გაიხედა, წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვევა გახლდათ ესა; კაცი ამდგარიყო, ხოლო წვიმის შრიალის ხმა მერელა ჩაესმა, მაგრამ არ გაჰკვირვებია ეს ამბავი თანასოფლელთა მსგავსად, არც ის გახსენებია, წუხელ სალამოს რომ იწინასწარმეტყველა, გაწვიმდებაო, ამეებისათვის როდი სცხელოდა დედაკაცს: სახსრები სტეხდა მაშინაც და ის აკვიატებული, ბილწი ფიქრებიც თვალს ახელდა თანდათან, ილვიძებდა და მალულად მიცოცავდა მისკენ დაუინებითა და ერთთავად ყურადღებადქცეული, როგორც დამშეული მახრჩობელა გველი, და მერე ტანზეც ეხვეოდა ნელ-ნელა, მაგრამ როდი გუდავდა ჯერჯერობით, სიამოვნებდა ქალის ტანის სიმხურვალე და იზოგავდა ღვთაებრივ ნეტარება-განცხრომას, ვერ გაემეტებია უეცრად გასახარჯად...

წვიმას კი მეორე დილითაც აღარ გადაუღია და სოფელი კვლავაც აკვიატებულსა ფიქრობდა, გაფაციცებით ელოდა სალამოს შვიდ საათს, დროებით გადავიწყებოდათ რუკებიცა და გეოგრაფიაც აპოლოსაც და სამეზობლოსაც; ხოლო ნინუცას არც თავისი ნათქვამი ახსენდებოდა და არც ის გაეგებოდა, რა დღეში ჩავარდნილიყო სოფელი...

გამომშრალ-გამოფიტული მიწა და ჩამოხმობას გადარჩენილი ხეები კი განცხრომას მისცემოდნენ, იგრილებდნენ და იგრილებდნენ ტანს და იმათ ბედნიერებასაც ხომ მეტი არა უნდოდა რა, დაკვირვებული ადამიანის მოდარაჯე თვალი — თუმცა საამისოდ კაციშვილს არ ეცალა მაშინ სოფლად — შეამჩნევდა აუცილებლად, როგორ იშმუშნებოდნენ ნეტარებისაგან მცენარეები, დედის მადლიანი ძუძუს სურნელითა და რძით გაბრუებულ, ძილბურანს მინებებულ ჩვილს რომ დადარებოდნენ, როგორ ისრუტავდნენ დანესტიანებულ ჰაერსა და წვიმის წვეთებს და სუნთქვის უნაზეს ხმასაც გაიგონებდა წვიმის შრიალში მიბნედილ-გა[illegible]რუნული ხეებისას.

მაგრამ სხვა სადარდებელი მიხძალებოდა ხალხსა და მაშინ, როცა სალამოს შვიდ საათს ორიოდ წუთიღა აკლდა. ცოტა დარჩა და. კინალამ სუნთქვა შეუჩერდა მღელვარებისაგან სოფელს... ნინუცას კი მჭადი დაეკრო კეცზე და თუმცა არ ფიქრობდა ამაზე. იცოდა მაინც დიდებულად, ჰა და ჰა. საცა იყო გადაიღებდა იმდენი ხნის ნაოცნებარი წვიმა. არც მოტყუებულა, როგორც კი შვიდი შესრულდა. სოფლის გასაოცრადა და კიდევ უფრო მეტად ასარევდასარევად წვიმა შეწყდა და გლეხებმა უცებ დაკარგეს ფიქრისა თუ განსჯის უნარი. გაოცებაც ვერ გამოხატეს. ისე გამოლენჩებულიყვნენ და ტანჯვისმომგვრელ უაზრო ზმანებათა ძილბურანში ჩაყვინთეს..

ხოლო აპოლო — ასევე დიდი მღელვარებით რომ ელოდა სალამოს შვიდ საათს — როგორც კი წვიმამ გადაიღო, ნინუცასთან ჩალასლასდა სამზადში მუხლებისა და მხრების ცახცახით, შეხედა ქალს, კეცთან რომ დაფუსფუსებდა. მერე კი ფეხაკრეფით წაეპარა რატომღაც და ქალმა თვალი მოჰკრა თუ არა, იკივლა კინალამ, ისე იყო ფერმიხდილი კაცი, მაგრამ მოერია თავს, არ უწივლია, ცნობისმოყვარეობამ სძლია შიშს, დაიხარა და ჯორკოსკამი დაუდგა, ის კი ანგარიშმიუცემლად ჩამოჯდა და არც ამჯერად ამოუღია ხმა, გახაცოდავებულად და გაუბედკრულებულად გამოიყურებოდა იმდენი ხნის აღზევება-განდიდების შემგომ. ყველაფერი დაივიწყა უეცრად ნინუცამ, ის ტანჯვისმომგვრელი ფიქრებიც, საცა იყო ხამარის კარამდე რომ მიიყვანდა, წყენაც, არაერთხელ რომ შეხვედროდა ხანგრძლივი ცოლქმრობის მანძილზე აპოლოსაგან, თავისი თავიც, გედეონი კი სულაც არ გახსენებია, ამჯერად მარტოდენ მზრუნველი მეუღლე იყო იგი, ქმრისთვის ჭკუადაკარგული დიაცი და აპოლო, როგორც კი ნინუცას გარდაქმნა შენიშნა, თანდათანობით მოეგო გონს, ნელინელ აღიდგინა წონასწორობა და ზიზღით გადახედა დედაკაცს, რომელმაც იგრძნო უმალ ქმრის სხეულის ყოველ ნაკვთს რომ მოსდებოდა მძულვარება და თავადაც არ დაუყოვნებია, წამსვე დაეუფლა მსგავსი განცდა. მოსისხლე მტრებივით შესცქეროდნენ ერთიმეორეს ისინი... და რუკები მხოლოდ ამჯერად გაახსენდა აპოლოს, არც ერთხელ არ გახსენებია მას მერე, რაც წვიმა წამოვიდა. მოეჩვენა, თითქოს არც ერთი მათგანი აღარ დახვდებოდა ადგილზე, აჩქარება სურდა. მაგრამ დინჯად წამოდგა მაინც, არ უნდოდა ქალი ჩასწვდენოდა სულიერ მდგომარეობას მისას, ეგ კი არა, ისიც აძრწუნებდა. სისუსტე რომ გამო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამულავნა ცოლის თანდასწრებით, ერთხელ კიდევ შეავლო ბოროტად აგიზგიზებული თვალები ნინუცას და გააბიჯა, ვიდრე სამზადიდან გააღწევდა, სისინით წარმოთქმული წყევლა ჩაეხმა, შეტოკდა წამით და ნირწამხდარმა იხედა უკუ, შეჰზარა და შესძრა დედაკაცის დანახვამ: გაყინული თვალებით მისჩერებოდა ნინუცა, თვალსაც არ ახამხამებდა და კაცს იმგვარი განცდა დაეუფლა, ბაყაყი იყო თითქოს, რომელიც ველარსად გაექცევა უხსენებელს, იმისი თვალებით მონუსხული და რაღას იზამდა, ჩაყლაპა შეურაცხყოფა, ძალამაც უღალატა, ნებისყოფამაც, შეარჩინა ქალს დამცირება, სისინით წარმოთქმული წყევლის გაგონებისთანავე რომ იგრძნო, ოდაში როცა ავიდა, რუკების დანახვამ მოიყვანა მხოლოდ გონს... საათზე მეტი დრო გასულიყო, რაც წვიმას გადაელო, მოჯადოებული სოფელი თანდათან მოდიოდა ჭკუაზე, უბრუნდებოდა ადამიანური აზროვნების უნარი და საგულდაგულოდ სწონიდა ყველაფერს, რაც წინა ორ დღეს მომხდარიყო...

ბევრი ფიქრისა და თავ-პირის მტვრევის შემდეგ ამგვარი რამ დაასკვნეს სოფლელებმა — შემთხვევით იწინასწარმეტყველა ნინუცამ წვიმის მოსვლაცა და გადაღებაცო. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიადგნენ ამ დასკვნას, რადგან არ სურდათ არაფრით აღიარება ჭეშმარიტებისა და აპოლოც ამავე აზრისა იყო. ხოლო მეორე საღამოს კვლავ რამდენიმე ოჯახი შეიკრიბა აპოლოსთან, საუბრობდნენ შემთხვევით ამბებზე, თუმცა ერთი და იგივე ფიქრი აჰკვიატებოდა ყოველ მათგანს, მაგრამ მთავარზე სიტყვას არ სძრავდნენ, ერცხვინებოდათ ერთურთისა მაშინ იქ მყოფებს, ერთი შეხედვით თითქოს მიზეზი არ უნდა ჰქონოდათ ამისა, მაგრამ გრძნობდნენ მშვენივრად, კარგად რომ გაეგებოდათ ერთმანეთის საფიქრალი, ამიტომაც ჩამოვარდნილიყო უხერხულობა, ხანდახან თუკი გააპარებდნენ მზერას ნინუცასაკენ, რომელიც, როგორც ყოველთვის, რაც ის ფიქრები უკარგავდა მოსვენებას, დაღვრემილიყო, ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა სიცოცხლისა, შეგზარავდა ამჯერადაც, მაშინ როცა აპოლო გაახალგაზრდავებული გამოიყურებოდა. რუკებზე და გეოგრაფიაზე ფიქრობდა იმ საღამოსაც და სხვაგვარი რამ არც იყო მოსალოდნელი, ხოლო სტუმრები ძალაუნებურად ადარებდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარს და ყოველ მათგანს ებრალებოდათ აპოლო...

ცა კი ვარსკვლავებს მოეჭედა, მთვარეც სავსე იყო, თაფლისფერი, დარის ნიშანი არის ესაო, ფიქრობდნენ იქ მყოფები, მხოლოდ დიასახლისს არ სცალოდა საამისოდ, იმ უღრუბლო ცის, სავსე მთვარისა და უამრავი წვრილი ვარსკვლავის მიუხედავად, სახსრები სტეხდა მაინც, მერე კი ერთ-ერთმა დედაკაცმა იკითხა, ნეტავ ხვალ როგორი ამინდი იქნებაო და შეკრთა ყველა, დაიძაბნენ, უხერხულად შეავლეს ჯერ მზერა ერთიმეორეს და მერეღა გადახედეს ნინუცას. იმან იგრძნო უცებვე, მხოლოდ მას რომ განეკუთვნებოდა შეკითხვა და სათითაოდ მოავლო მზერა ყოველ მათგანს, ფერმიხდილნი გამოიყურებოდნენ ნათურის მკრთალ შუქზე, აივნიდან რომ ანათებდა ეზოს და მიხვდა აღელვებულიყვნენ სტუმრები, მიზეზსაც უეცრად ჩასწვდა იმათი მღელვარებისას, აპოლოს სჭიდა ბოლოს თვალი და გარკვევით წარმოსთქვა: „წვიმა იქნება ხვალ...“ აირდაირივნენ ამის გაგონებაზე, უნებლიედ ახედეს ცას, ვარსკვლავებით მოჭედილსა და უღრუბლოს, მზიანი დილის მომასწავებელს და, ვიდრე რაიმეს იტყოდნენ, ამოიცნო ნინუცამ იმათი ფიქრი: „აფერია მაი, ვარსკვლავი რომაა ცაზე, წვიმა იქნება მაინც ხვალ დილით, დამიჯერეთ...“ ისე დარწმუნებით წარმოსთქვა, შიში დაეუფლა უცებ იქ მყოფთ, უაზრობა აღიბეჭდეს სახეზე და კვლავ ცისკენ აალერეს თავი, ნინუცა კი ჯიქურ შესცქეროდა ყველას, გამომწვევადაც, ხოლო თვალებში დამცინავი ღიმილი ჩაჰგუბებოდა...

სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, ვერ გადაეწყვიტათ სტუმრებს, გამოეთქვათ თუ არა ხმამაღლა თავიანთი აზრი, ნინუცას ნათქვამისა რომ არა სჯეროდათ, თანაც კი იმედოვნებდნენ, ეგების აპოლომ დაძრას სიტყვაო და იმასაც როდი დაუყოვნებია: „რას უყურებთ მაგ აბდალას, წვიმა არა ერთი, რავა დაეჯერება ტუნტრუცა დედაკაცს...“ გაგრძელებას აპირებდა წამოწყებულისას, მაგრამ ნინუცამ აღარ აცალა, გაიცინა ცივი, გამყინავი ხმით, გუნება მოგეშხამებოდა რომ მოგესმინა, ქირქილებდა და ქირქილებდა, ვიდრე შიში არ დაეტყო სტუმრებს, როცა შენიშნა იქ მყოფთა მდგომარეობა, მოულოდნელად შეწყვიტა ქირქილი, თვალებსა და სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა ისევ და უცებ თავისდა უნებურად გაახსენდა ამ სამიოდე დღის წინანდელი ამბავი, წვიმა რომ უწინასწარმეტყველა მეზობლებს და რუკებიც უდიერად მოიხსენია, მიხვდა, სამუდამოდ ჩასდგომოდა კრიჭაში სოფელი და თავადაც რომ არ მოელოდა არაფრით, თომა დაუდგა უცებ თვალწინ, სოფლისგანაც და ამქვეყნად ყველასაგან განზე გამდგარი გლეხკაცი, გამჭოლი მზერაც აშკარად დაინახა იმისი, თითქოს ორიოდ ნაბიჯზე იდგა და ბურღავდა თვალებით — „ახლა ზის საცოდავი მარტოდმარტო, საწყალი მავი...“ და ისე შეებრალა თ[illegible]მა, გული ამოუჯდა, ამ ამბავს კიდევ მოევლებოდა როგორმე, მაგრამ ცრემლიც მოადგა თვალზე, იქ მყოფები შენიშნავდნენ, რაღა თქმა უნდა, კურცხალმა რომ აუვსო ქალს თვალები, დაინახეს და გული ვატკინეთ ალბათ, იმიტომ ვერ დამალა ცრემლიო... ბოროტი სიხარულით აღივსნენ, გახალისდნენ უეცრად და მერე გამოხატეს კიდეც სიხარული, გადაიხარხარეს გუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანად, მაგრამ იმათ რომ ეგონათ გავამწარეთ და ეგ არიო. ნინუცას როდი ჩაესმოდა იმათი ხარხარი. დაკვირვების უნარიც წართმეოდა და ისევ და ისევ თომას ხვრეტდა, იმისი გამჭოლი მზერა უკრთოდა თვალწინ და მიზეზსაც ჩასწვდენოდა ამგვარი მოულოდნელობისას, იმიტომ გახსენებოდა ის ურწმუნო. ბედს რომ იზიარებდა თავადაც იმ კაცისას და თავისი თავიც ებრალებოდა მაშინ ნინუცას და თომაც, ისიც ნაწილად ქცეულიყო თითქოს მისი არსებისა, და თავადვე უკვირდა, ვერა გაეგო რა საკუთარი განცდებისა და ის დღე ახსენდებოდა, პირველად რომ შეებრალა თომა. აი, იმ საღამოს, ვიდრე გედეონი აციმციმდებოდა ტელევიზორის ეკრანზე...

ბოლოს კი, როცა მის ცნობიერებას ჩასწვდა სტუმრებისა და აპოლოს ხარხარი, წარმოსთქვა: „წვიმა იქნება ხვალ, — ისე დამაჯერებლად გაისმა ყოველი სიტყვა, მსმენელთ ტანი აებურძგლათ, ხარხარი და დაცინვა შეწყვიტეს ძალაუნებურად და მკვდრულ სიჩუმეში განაგრძო ნინუცამ: — გუშხამაც ხომ ვთქვი, თუ გახსოვთ, ვთქვი და მოვიდა კიდეც...“

რუკები აღარ უხსენებია უდიერად იმ ღამეს, მაგრამ სამი დღის წინანდელი ამბებიც კმაროდა და ისიც, თანასოფლელთათვის რომ ვერ აეწყო ნაბიჯი, სოფელი არაფერს აპატიებდა, მით უმეტეს კი, აპოლო — კარტოგრაფი სოფლისა, იცოდა ნინუცამ, აუცილებლად მიუზღავდნენ სამაგიეროს მეზობლებიცა და აპოლოც და ისიც ვაეგებოდა. რაკი უმიზეზოდ შეურაცხყვეს და მიწასთან გასწორება მოინდომეს მისი, თავადაც არ დასთმობდა რაიმეს, უდიდესი დანაშაული იყო ადამიანის გაპამპულავება და მასხარად აგდება; სოფელს კი, რახან ძალა უმაგრებდა მხარს, ამდენი ვერ შეეცნო ჯერ, მერე გვიანი იქნებოდა, სჯეროდა დედაკაცს, მაგრამ სულ ერთი იყო ამჯერად მისთვის ყოველივე, რაც მოხდა ისიც და ისიც, რასაც მერმისი მოიტანდა...

წვიმა კი მართლაც მოვიდა მეორე დღეს, ამჯერადაც არ უმტყუნა ქალს ალღომ თუ წინასწარმეტყველებამ. ხოლო სოფელი, არ არის ძნელი გამოსაცნობი, კვლავაც რომ განცვიფდა და ჩაფიქრდა ღრმად. გაოცებამ კი დარია ხელი და ფიქრიც მიეძალა. მაგრამ უფრო მეტად შეიძულა ნინუცა. თუმცა ხალხს კრინტიც არ დაუძრავს, ერთიმეორესაც ვერ გაუმხილეს დიაცზე ძვირი, დამფრთხალიყვნენ მეზობლები და, იმათი არ იყოს, აპოლოსაც შეჰპაროდა შიში, უმიზეზო თითქოს და გაუცნობიერებელი...

ხოლო ნინუცას ამგზობას უწინდელსავით როდი დავიწყებია თავისი წინასწარმეტყველება: წვიმდა და წვიმდა გარეთ, სიგრილე დასადგურებულიყო ყველგან, სადამდეც კი გაადწევდა მზერა და იმის იქითაც, ის კი იდგა გამარჯვებული იერით და ნიშნის მოგებით შესცქეროდა აპოლოს. ელოდა ზარზეიმით, ეგებ რამე თქვასო და ხმა რომ არ დასძრა კაცმა, გაანჩხლდა და გაბოროტდა, დამახინჯდა კიდეც — უფრო მეტად წაიხარა წელში, დაჩიავდა, ნაოჭებიც მოიმრავლა პირისახეზე და თვალებშიც დაეტყო ის დაბოღმვა-გაბოროტება, ყინულივით ცეცხლი აუგიზგიზდა გუგებში, ეზიზღებოდა და ჰზარავდა ახლა აპოლოცა და ყველა და ყველაფერი ამქვეყნიური, მთელი ციხქვეშეთი, ცოტა იყო ეგეც, თავის თავიც სძაგდა, ისეთი მძლავრი და იმდღემდე არგანცდილი სიძულვილი დაჰპატრონებოდა. იცოდა. ბოლმად შეგუბებულ სათქმელს თუ არ გადმოანთხევდა, გაიგუდებოდა, საკუთარი შხამი თუ გესლი იმსხვერპლებდა და ყვავივით მიაჩხავლა ქმარს:

—' რაო, აპოლო მოსასპობო, მოვიდა თუ არა წვიმა!...

— რაფერ გამოიცანი, ა? — იკითხა დინჯი ხმით აპოლომ, არც ნინუცას გაბოროტება შეემჩნიოს თითქოს და ჩხავილით წარმოთქმული წყევლაც არ ჩასმოდეს, იმგვარი კილო მისცა ხმას, შესაძლოა, ყველაფერს დიდებულად ჩასწვდა, მაგრამ განგებ გამოიშტერა თავი, იქნებ შიშის ბრალი იყო, მას შემდგომ რომ დაუფლებოდა, როცა მეორეჯერაც გამართლდა ნინუცას წინასწარმეტყველება, სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს ეალერსებოდა დედაკაცს: — რაფერ გამოიცანი, ნინუცა, ა, გამაგებიე ერთი, თუ ქალი ხარ..

— რაფერ და, — ალერსით წარმოთქმულმა სიტყვებმა ქმრისამ მოთენთა უცებ ქალი, სხეული მოუდუნა, დაამშვიდა კიდეც, სიკეთითა და სათნოებით აუვსო თვალები, წამში გარდაიქმნა ნინუცა, მთავარი კი, აი, რა გახლდათ: აღარც აპოლოს ულირსად მიუჩნევია თავი და არც გედეონისა, იმათი ტოლ-სწორი იყო ყოველმხრივ, მერე რა, თუკი საქვეყნოდ სახელგანთქმული შვილი ჰყავდა, არც ისა ყოფილა მაინცდამაინც დიდი ამბავი რუკებს რომ ადგენდა აპოლო, პირუკუ ხდებოდა ახლა ნინუცასათვის ყველაფერი, — ქმარიც ეამაყებოდა, შვილიცა და თავისი თავიც... „რაზე ვიტანჯებოდი მე სულელი, — ფიქრობდა და სიმშვიდე, რომელიც უფრო და უფრო ეუფლებოდა, ასათნოებდა, ალამაზებდა სითბოსა და ნათელს ჰფენდა ირგვლივ ქალი, — რას ვიკლავდი თავს, სად მქონდა ჭკუა...“

დაუჯერებლად მოეჩვენებოდა ასეთი უეცარი გარდასახვა ნინუცასი. ის ბოროტი, უინულოვანი ცეცხლი, რამდენიმე წამის წინ რომ აგიზგიზებოდა თვალებში, გაუქრა უკვალოდ იმის სანაცვლოდ სპეტაკი ნათელი უფართოებდა გუგებს, აღარც შუბლისა და სახის ნაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰები უმახინჯებდა გამომეტყველებას, მზრებშიაც გამართულიყო, ფერ-ხორციც მომატებოდა, იმგვარად მისძალებოდა ქალურის სინაზე. ვერ იაზრებდი ვერაფრით, გაბოროტება თუ ძალუძდა... ბოლოს ძლივსგასაგონად წაიჩურჩულა: — რევმატიზმმა მიმახვედრა, აპოლო, რავარც კი სახსრები ამტკივდება, ვიცი, წვიმა მოვა აუცილებლად...

მას შემდგომ გაწვიმდებოდა ხან. გამოიდარებდა ხანაც და შვებით ამოისუნთქა ხალხმა — მოლებოდა ბოლო გვალვას. იცოდა სოფელმა, ნინუცა არ შესცდებოდა არასდროს, აცხადებდა, რასაც იწინასწარმეტყველებდა ამინდზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულზე არ ეხატებოდათ, რაკი რუკებისა არა გაეგებოდა რა, სამაგიეროს მიუზღავდნენ, როცა იქნებოდა და, იმედიც ჰქონდათ შურისძიებისა აპოლოსაც და სხვებსაც. არადა, საჭირო ადამიანი გამხდარიყო სოფლისთვის ნინუცა და, იმის ქმარშვილისა არ იყოს, ისიც გამოირჩეოდა ახლა ირგვლივმყოფთაგან: ეკითხებოდნენ წამდაუწუმ, ხვალ როგორი ამინდი იქნებაო, პასუხობდა იგი ხალისითა და დაუზარებლად, მთავარი კი ის იყო, არც ერთხელ არ შემცდარა... ერთ დღესაც ასეთი რამ მოხდა: წვიმა იწინასწარმეტყველა ნინუცამ, ტელევიზორმა კი მზიანი, უნალექო ამინდი გამოაცხადა იმ ადგილებისთვის და სოფელმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ნინუცას სიტყვა აცხადდებოდა თუ სინოპტიკოსებისა: საერთოდ, ყველაფრის შემოწმება უყვარდათ იქაურებს, არ იფიქროთ, თითქოს ეჭვით იყვნენ დაავადებულნი, არა და არა, უბრალოდ, ჩვეულება ჰქონდათ ამდაგვარი, სულ ერთია, სარწმუნო იყო თუ არა, მაინც ხალისით ამოწმებდნენ ყოველივეს; გამონაკლისნი როდი ყოფილან ისინი ამ მხრივ, იმათი წინაპრებიც ასევე ირჯებოდნენ თურმე, ცნობისმოყვარეობის ბრალი იქნებოდა ალბათ, და, აი, მოუთმენლად ელოდნენ გათენებას მეორე დილისას, ცნობისწადილს მისცემოდა ყველა, ეწადათ ნინუცა გამტყუნებულიყო. და, ირიჟრაჟა თუ არა, გლეხებმა თვალი რომ გაახილეს, ხედავენ, წვიმს ბარაქიანად, იწუწება არემარე... ამის შემდგომ მეტი რაღა დარჩენოდათ, მოიქცნენ ისე, როგორც გონიერ ადამიანებს შეჰფერით — ირწმუნეს ერთხელ და სამუდამოდ ნინუცასი, უფრო მეტად ამაღლდა იგი სოფლის თვალში. ერთი რამ ზაფრავდათ მხოლოდ, ქალის მაშინდელი საქციელი არ მივიწყებოდათ, რუკებზე რომ მიახალათ აუგი და ისიც, რუკებისა რომ არაფერი გაეგებოდა. თორემ სოფლისთვის საჭირო ადამიანი რომ იყო, უწყოდნენ ჩინებულად, თუმცა წყურვილი სამაგიეროს მიზღვისა მოხვენებას უკარგავდათ მაინც და სხვა რომ ვერაფერი ელონათ, დასცინოდნენ წარამარა, ოღონდ ზურგს უკან. იცოდა ნინუცამ ჩასაფრებული რომ ჰყავდა ქმარიცა და მეზობლობაც და სჯეროდა, მოდგებოდა დღე ანგარიშსწორებისა, არ დაინდობდნენ, გაწირავდნენ, მაგრამ თავადაც მიუზღავდა სამაგიეროს ქმარსაც და სოფელსაც, სახელდობრ, როგორ, არ გაეგებოდა, სწამდა არ აპატიებდა დაცინვასა და შეურაცხყოფას და მერეღა მოეგებოდნენ გონს, მიხვდებოდნენ, რომ არა და არ შეიძლება დასცინო ადამიანს...

სინოპტიკოსებისა კი აღარაფერი სჯეროდათ იმ დღეს მერე იქაურებს, ისინიც, ადამიანთა უმეტესობისა არ იყოს, თუმცა თავად აზრზე არ იყვნენ, რაღაცით ჩამოჰგავდნენ თომას, ურწმუნობაზე მოგახსენებთ და როგორც კი ამინდის გამოცხადების ჯერი მოდგებოდა, თითქოს შურს იძიებდნენ, უმალვე თიშავდნენ რადიოსა თუ ტელევიზორს... ნინუცა კი მიუხედავად რუკების უგულებელყოფისა და გეოგრაფიული თვალსაწიერის სრული უქონლობისა, დროის გასვლასთან ერთად, დღითიდღე უფრო საჭირო ადამიანი ხდებოდა ხალხისთვის და მყუდროებას სოფლისას ძალზე ხშირად არღვევდა ხმამაღალი გადაძახილი დედაკაცებისა:

„ნინუცა, უუუ, ნინუცა!..“

„უუუ! — წამითაც არ დააყოვნებდა ქალი, ულიმოდა თვალები, ულაჟღაჟებდა სახე, იცოდა, სჭირდებოდა სოფელს და ბედნიერებას გრძნობდა. — მობრძანდით...“

„ბაზარში მივალთ ხვალ მე და ჩემი კაცი, საყიდელი გვაქვს რაცხა და რავარი ამინდი იქნება, მითხარი ერთი, თუ ქალი ხარ, — ულამაზეს, ჯადო მუსიკასავით ჩაესმოდა ნინუცას მეზობელ დედაკაცთა ძახილი: — წვიმა თუ იქნა წავალთ, თუ არა და, საქმე გვაქვს აქანა...“

ნინუცა კი დაავადებულ სახსრებს მიაყურადებდა თავისას, გრძნეულს დაედარებოდა მყის, ჩაიბურუსებდა თვალებს, გაირინდებოდა, სახეზე ისეთ ფიქრს აღიბეჭდავდა, კაციშვილი ვერ გაუგებდა ვერაფერს და კარგა ხნის გარინდების შემდგომ, ან იწვიმებსო გასძახებდა სივრცეს, ანდა, მზიანი ამინდი იქნებაო. უტყუარი იყო იმისი ვარაუდ-წინასწარმეტყველება, ისე რომ ჭეშმარიტად აუნაზღაურებელ სამსახურს უწევდა ნინუცას რევმატიზმი სოფელს, მაგრამ ეს რა იყო, თითქმის არაფერი, აპოლოს რომ მოუტანა სიკეთე ცოლის დაავადებულმა სახსრებმა, საქმე აი მართლაც ის გახლდათ: მოწყენილობამ და ერთი შეხედვით თითქოს უმიზეზო კაეშანმა დარია ხელი აპოლოს უკანასკნელ ხანებში, გამუდმებულ უსაქმურობას გაებეზრებია კაცი, რუკებს კი ეალერსებოდა უწინდებურად, მაგრამ ნიადაგ ხომ ვერ უკირკიტებდა. გეოგრაფიულ წიგნებს კი მაინცადამაინც ვერ უდებდა გულს, თან ახალი რუკებიც აღარა ჰქონდა შესადგენი და ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება; სათოხარს, ტყეს, ვენახსა თუ ციტრუსთა პლანტაციას ხომ აღარ ეკარებოდა და აღარა, ისე გადასჩვეოდა, ალბათ ვეღარც შეძლებდა ვერასოდეს გლეხურ საქმეს...

ჰოდა, ბევრი ფიქრისა და დავიდარაბის შემდგომ, რაკი ადამიანისათვის ყოველთვის აუცილებელია რაიმე საქმიანობა, ამგვარი რამ გადაეწყვიტა: „ავდგები და წავალ. გავეცლები აქაურობას. ქვეყანა დიდია. ვივლი არხეინად სოფელ-სოფელ, საქართველოსაც გავეცნობი კარგად და საქმესაც გავიჩენ: რუკებს შევადგენ და ზალხსაც ხომ დავეხმარები ამით, აბა, რომელი სოფელი იტყვის უარს რუკაზე...“ ამას რომ ფიქრობდა, ძალზე ხშირი იყო ასეთი რამ, თვალები უღიმოდა და ვარაუდობდა, ნეტავ რამდენი სოფელი იქნება საქართველოშიო. ისე გახლდათ უსაქმურობისაგან ქანცგაცლილ-გაბეზრებული, დარწმუნებული ბრძანდებოდა, ერთ მშვენიერ დღესაც ადგებოდა და გუდა-ნაბადს აიკრავდა, მაგრამ აქამდე როდი მიმდგარა საქმე, ნინუცას სახსრების ტკივილმა იხსნა გასაჭირისაგან, — ერთხელაც, უსაქმობით გამოფიტულს, რუკების თვალიერება როცა მობეზრდა, ახალმა აზრმა დაუცინცხალა გონება, ჯერ უბრალოდ, თითქოს უმიზეზოდ ჩაისახა და მიეძალა ის აზრი, მაგრამ, მოგეხსენებათ, უმიზეზოდ არ ხდება არაფერი ამქვეყნად და არც ოდესმე მომხდარა. აპოლოს იმ თითქოსდა შემთხვევით აზრსაც ჰქონდა მიზეზი და ამჯერადაც რუკების სიყვარული აღმოჩნდა გადამწყვეტი... ჯერ მთლად უბრალოდ და თავისთავად ჩაისახა ის აზრი, მერე, როცა რამდენიმე დღე გავიდა, უფრო გაუჯდა გონებას, ჯიუტად შეისხა ხორცი, ნელინელ მიიღო მკვეთრად გამოხატული ფორმა, ადვილად შესამჩნევი სიცხადეც შეიძინა, მთავარი ის გახლდათ, რომ აპოლოს კვლავ და კვლავ გეოგრაფია უღრუანტელებდა ფიქრს, გონებას თუ სხეულის ყოველ ნაკვთს: „მეტეოროლოგიური რუკა“, აი, ასეთი სახე მიიღო საბოლოოდ შემთხვევის წყალობით ჩასახულმა იმ აზრმა...

ამის შემდგომ რამდენიმე დღე იყო გაბრუებული აპოლო, კაციშვილისთვის არ გაუმხელია ფიქრი, გუნებაში ულიმოდა და ეალერსებოდა მხოლოდ, ვიდრე ვინმეს ეტყოდა... ხოლო ნინუცა გამოცვლილიყო მთლიანად იმ ხანებში, სულ სხვა იყო იმისი შინაგანი სამყარო, სიამაყე დაუფლებოდა, იცოდა რადგან, არ იყო ვინმეზე ნაკლები; გარეგნობითაც შეცვლილიყო ქალი, ისე გამხდარი აღარ ჩანდა, თვალებში სითბო და ნათელი ჩასდგომოდა, ის დანაოჭებული შუბლი და სახე, ადრე, როცა სატანჯველად ჰქცეოდა დამამცირებელი გრძნობა შურისა ქმრისა და შვილის მიმართ, საშინლად რომ ამახინჯებდა, ამჯერად უხდებოდა კიდეც. გუნებაც გამოკეთებოდა, მხიარულად საქმიანობდა ხოლმე ბოლო დროს, აღარც ძველებური წუევლა გაისმოდა იმისი, ხოლო რევმატიზმი, თუკი უწინ წელში ხრიდა და აჩაჩანაკებდა, აბერებდა კიდეც, ახლა შვებას ჰგვრიდა. მთავარი კი ისაა, უკვე აღარ ჩამოჰგავდა უწინდელსავით, ღამღამობითაც ტელევიზორს მიუსკუპდებოდა ხოლმე ძველი ჩვეულებისდამიხედვით და შვილის გამოჩენას ნატრობდა. ტელევიზორში გამოჩენა რა სათქმელია, როცა გედეონს მშობლიური სოფელიც მივიწყებოდა და მშობლებიც, უწინ წერილებს მაინც იწერებოდა ხოლმე, ახლა ესეც მობეზრდა, მაგრამ სოფელი იმის ქება-დიდებას ვერ იშლიდა მაინც. ამჯერად მარტო გედეონსა და აპოლოზე კი არა, ნინუცაზეც ლაპარაკობდნენ ხშირად, მამა-შვილი თუ გულწრფელად უყვარდათ, ნინუცა თუმცა ყი ესაჭიროებოდათ, ეზიზღებოდათ მაინც და, რაც დრო გადიოდა, იძულებდნენ უფრო, დარწმუნებულიყვნენ რადგან, სამაგიეროს მიზღვევას აწი ვეღარ მოვახერხებთო...

მერე კი, ერთ საღამოსაც, აპოლომ ღიმილით შეავლო მზერა ნინუცას, მომდგარიყო ჟამი საიდუმლოს გამხელისა...

— ნინუცა, საქმე მაქვს რაცხა, — თქვა აპოლომ და ღიმილი ჩამოიცილა, ეტყობოდა, ორჭოფობდა, გაემხილა თუ არა სათქმელი. მაგრამ განაგრძო მაინც: — რამდენი დღით ადრე შეგიძლია ამინდის გაგება?..

— წინასწარ? — თქვა ნინუცამ და არც ჩაფიქრებულა: — სამი დღით ადრე, — და გრძნეულს დაედარა უცებ; მიხვდა აპოლო, სახსრებს აყურადებდა ქალი, ცოტა ხნის მერე ლაპარაკი განაგრძო ნინუცამ: — ხვალ მზე იქნება, ზეგაც მასთე უნდა იყოს, მაზეგ კი შეიცვლება ამინდი, წვიმა წამოვა დილიდან...

აპოლოს კი მეტი არაფერი უთქვამს, კარგა ხანს დადიოდა მერე ოთახში, ჩაფიქრებული სცემდა ბოლთას, ბოლოს, ლოგინი რომ გაშალა ნინუცამ, თავის სამუშაო ოთახში გავიდა, აი, იქა, რუკებს რომ ადგენდა ხოლმე და ნინუცას ბრაზი მიეძალა, ბოროტი შუქი ჩაუდგა თვალებში, წყევლა-კრულვას უთვლიდა გუნებაში ქმარსაც, სამეზობლოსაც, რუკებსაც და ვიდრე ჩაეძინებოდა, მიყურადებული იყო, აპოლოს ნაბიჯების ხმა თუ ისმისო, მაგრამ ჩამიჩუმი არ ატანდა.

გათენებამდე ენთო შუქი აპოლოს ოთახში, მხოლოდ დილით გამოვიდა გარეთ, ნინუცამ საუზმეზე რომ უხმო, გადაღლილიყო, უძილოდ გათენებულ ღამეს გადაექანცა, მაგრამ მაინც მხიარულ გუნებაზე იყო და მიხვდა ნინუცა, კვლავ რუკები შეედგინა აპოლოს და უცებვე მოიღუშა ქალი, დამახინჯდა კიდეც, როგორცა სჩვეოდა გაბრაზებისას, ვერა და ვერ შეგუებოდა აპოლოს რუკებს... გამართლდა ნინუცას წინასწარმეტყველება: კვლავ ჩვეულებრივ ეჯახირა მთელ ღამეს აპოლოს, მაგრამ ამჯერად სამი დღის მეტეოროლოგიური რუკა შეედგინა თურმე, და ნინუცამ როცა გაიგო, თავადაც მიუძღოდა წვლილი, გახალისდა, თუმც გონს ვერ მოგებულიყო, როგორ დაეხმარა ქმარს, მაშინ,

როცა თავად არაფერი გაეგებოდა რუკებისა, თუმცა ბევრი ფიქრით თავი არ უმტვრევია, ირწმუნა აპოლოს ნათქვამი და ადრე რომ არ მოსწრებოდა არასდროს, იმგვარი სიამაყე დაეუფლა, განსაკუთრებით იმის წარმოდგენა აჯადოებდა ქალს, რომ აწი და აწი უჩემოდ აღარც აპოლოს არსებობას ექნება რაიმე აზრი და არც სოფლისასო...

მთაში მივარდნილი ის კოპწია სოფელი კი ახალი სასწაულის მოწმე გახდა, ამჯერად მეტეოროლოგიურმა რუკებმა წაართვა უნარი აზროვნებისა, სიამაყე და თავდაჯერებულობა. აი მართლაც ის იყო, იქაურთ რომ დარია ხელი მაშინ: პოლიტიკურისა და ფიზიკურის გარდა, მეტეოროლოგიური რუკაც ჰქონდათ ახლაც იმ სოფლის მკვიდრთ. იმ ნეტარხსენებული დღის შემდგომ, ყოველ მეოთხე დღეს ადგენდა აპოლო სოფლის მეტეოროლოგიურ რუკას, იქამდე, ვიდრე თავის სამუშაო ოთახში გამოიკეტებოდა, ნინუცას მოელაპარაკებოდა, გაიგებდა კარგად, რას უკარნახებდა ქალს დაავადებული სახსრები და ამის მერელა შეუდგებოდა საქმეს... უკვალოდ გაქრა აპოლოს მოწყენილობა და ნაღველი, უსაქმურობას რომ გამოეწვია, გულში კი ლოცვა-კურთხევას უთვლიდა ხოლმე დაავადებას ნინუცას სახსრებისას, მხსნელად რომ მოვლენოდა...

ხოლო სოფელმა გადაწყვიტა მოედანზე, თვალსაჩინო ადგილას გამოეკრათ ხოლმე მეტეოროლოგიური რუკები და აპოლოს შეუთანხმდნენ, სიხარულით დასთანხმდა ისიც.

იმ დღის შემდგომ მოედანზე იკრიბებოდნენ ხოლმე დიდის ამბით საგარეოდ მორთულ-მოკაზმულნი, უთენიაზევე მიეშურებოდნენ იქით, იქამდე, ვიდრე ისაუზმებდნენ, აინტერესებდათ, როგორი ამინდი იქნებოდა მომდევნო სამ დღეს და მეტეოროლოგიური რუკის ჭვრეტითაც ხომ იხიბლებოდნენ. სოფლის მყუდროებაში აღარ ისმოდა ახლა დედაკაცთა ძახილი: ნინუცა, უუუ! რავარი ამინდი იქნება ხვალო, და ქალს სწყინდა ეს ამბავი, მაგრამ ადამიანიშვილს არ უმხელდა, დაწვრილმანებად და გულნამცეცობად მიაჩნდა... მოკლედ, ყოველმხრივ დიდებულადა და ბედნიერად მიედინებოდა ცხოვრება... მერე კი ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, დაუჯერებელზე დაუჯერებელი, რასაც კაციშვილი არ მოელოდა იქაურთაგანი: გათენდა ერთი თითქოსდა ყოვლად ჩვეულებრივი დილა, იცოდა ყველამ მაშინ წინასწარვე, წვიმა რომ იქნებოდა, მეტეოროლოგიურ რუკაზე ამოეკითხათ და წვიმდა მართლაც, ჰოდა, დაირხა იმ დილით სოფელში ხმა, თომა გარდაიცვალაო. არადა, მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო ამგვარი რამ, შესაძლოა, ყველაფერი მომხდარიყო, მაგრამ ამას როგორ ირწმუნებდნენ, თანაც არც ის იცოდნენ, საიდან მოდიოდა ამბავი, ვის ეთქვა პირველად და გაოგნდნენ, სიტყვა ვერ დაეძრათ, ფიქრიც დაკარგვოდათ თითქოს, მეტყველებაც და განსჯაც. [illegible] კარგა ხანს ენაჩავარდნილ-გაოგნებულნი, სოფლის მოედანზე შეკრებილიყო სოფელი დიდიან-პატარიანად, უაზრო გამომეტყველება აღბეჭდვოდათ სახეზე. საცოდავად აცეცებდნენ თვალებს, სასოწარკვეთაც იგრძნობოდა იმათ გამოხედვაში და განცვიფრებაც. კარგა დიდი ხნის შემდგომ კი ის განცვიფრება-სასოწარკვეთა აშკარადგამოხატულ შიშად ექცა ყოველ მათგანს: დამფრთხალ, მაწანწალა ძაღლებს დადარებოდნენ იქ მყოფები, ხოლო ხმის ამოღება აუცილებელი გამხდარიყო უკვე, ძნელი ასატანი გახლდათ დუმილი. სიჩუმეს მხოლოდ ხმა არღვევდა წვიმისა, წინწკლავდა და ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ სოფლის მოედანზე შეკრებილთ, სუნთქვაზეც დასტყობოდათ, დამფრთხალნი რომ იყვნენ, ვგონებ ბაგაბუგიც აშკარად გაისმოდა მათი გულებისა წვიმის შრიალში და ბოლოს, აუტანელი რომ შეიქნა სიჩუმე, სოფელმა გამოსავალს მიაგნო თავისი ჭკუით, აპოლოს გადახედა უცებ, ყველამ ისე ერთდროულად მიიღრიცა მისკენ კისერი, აშკარა იყო, მარტოოდენ ამ კაცისგან მოელოდნენ შველას.

აპოლომ, სოფლის მზერა რომ შენიშნა და მიხვდა, რასაც თხოულობდა, შიში დაეუფლა, სოფელს კი არაფერი უგრძვნია და ვერც უნდა ეგრძნო ვინმეს რამე, იმდენი სიკეთე მოეტანა აპოლოს, ახლა ვერც წარმოიდგენდნენ, თუკი რაიმესი შეეშინდებოდა...

ნინუცამაც დაინახა, როგორ მიიღრიცა სოფელმა კისერი აპოლოსაკენ, გვერდში ამოსდგომოდა ქმარს ქალი და იმასაც მიხვდა, აპოლო რომ შეშინდა. სოფელმა თუ ვერ შენიშნა, დედაკაცს არაფერი გამოეპარებოდა, იმდენხანს ეცხოვრათ ერთად, და, როგორც კი ჩასწვდა სიმართლეს, ზიზღით შეავლო მზერა ქმარს, მერე ხალხს მიმართა: ,,რას ფიქრობთ, თქვენ, მართლა მოკვდებოდა ვითამ, თომაიე უკულმართი?“ ამ შეკითხვამ გონს მოიყვანა უცებ ყველა, დაუბრუნდათ უნარი განსჯისა და აზროვნებისა, გაუქრათ შიში და ატყდა უმალ ერთი ყაყანგნიასი, თუკი წეღან ვერც ერთ იმათგანს ვერ ამოეღო ხმა, ახლა ერთდროულად ალაპარაკდნენ, თან კი ერთმანეთს არ უსმენდნენ, ყურისწამღები ხმაური იდგა სოფლის მოედანზე, აშკარა იყო, ვერ დაეჯერებიათ თომას სიკვდილი: ტყუილი იქნება მაი ამბავი, წუხელ დავინახე თომა, საღამოს, ჩვეულებრივ გამოიყურებოდაო, — ერთმა თქვა და რამდენიმემ დააყოლა, მეც მოვკარი თვალიო, ბოლოს ამგვარი რამ დაასკვნეს საერთო აურზაურსა და ყაყანში — რამე ფათერაკი თუ არ შეემთხვა, ისე რა მოკლავდაო... თუმცა არც ეგა სჯეროდათ, ფათერაკი რას დააკლებდა თომასო, — გაიძახოდნენ და აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, რაღაც კი უნდა ეღონათ აუცილებლად და ალბათ კვლავ გაგრძელდებოდა ის უთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ყაყან-ღრიანცელი, ნინუცას რომ არ ეთქვა, წავიდეთ და ვნახოთო...

გაუბრწყინდათ უცებ თვალები გლეხებს, ამას როგორ ვერ მივხვდითო... აალერეს თავი და გახალისებულმა გასწიეს თომას სამოსახლოსაკენ, თავდაპირველად ყაყანით მიაბიჯებდნენ, ვარაუდს გამოთქვამდა ყოველი მათგანი თავისას, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ თომას ეზო-კარს, ხალისიც ეკარგებოდათ საკუთარ ვარაუდთა გამოთქმისა და ის რიხიც უქრებოდათ, წეღან რომ დასტყობოდათ, როცა აქეთკენ დაადგნენ გზას, და აი, მიაღწიეს თუ არა თომას კარმიდამოს, ისევ ჩაუვარდათ ენა, აზროვნებაც აღარ ძალუძდათ და შიშიც წეღანდელსავით აკიაფებოდათ თვალებში...

ჭიშკართან შედგნენ, ერთდროულად შეჩერდნენ, თითქოს ვიღაცის ბრძანებისდა თანახმად... ეზოსკენ გააპარებდნენ ზოგჯერ დამფრთხალ თვალებს, მაგრამ ჩამიჩუმი არ ატანდა იქიდან. მკვდრულ სიჩუმეს დაესადგურებინა ირგვლივ და იქ დგომა და დუმილი როცა მობეზრდათ, რიდით შეაღეს ჭიშკარი... ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ ოდისაკენ — დაძაბულნი, ფერმიხდილნი. წარკვეთოდათ სახო, მუხლებიც უცახცახებდათ და ღონეც ელეოდათ თანდათანობით. ააღწიეს, როგორც იქნა, და ოდასთან შედგნენ, იქ უფრო დიდხანს იდგნენ, ვიდრე ჭიშკართან, ელოდნენ ერთმანეთს, იქნებ რომელიმემ გაბედოს ოდაში ასვლაო, ბოლოს კვლავ ნინუცამ იხსნა გასაჭირიდან თანასოფლელნი: „მომყევით, რაღას უყურებთ...“ — მიაჩხავლა ხალხს დედაკაცმა და კიბისაკენ გააბიჯა, მიჰყვნენ ისინიც უჩქამოდ, მხოლოდ ხმადაბალი სუნთქვა ჩაესმოდათ ერთურთისა, ნინუცა კი შეჩერდებოდა ხანდახან, მიიხედავდა უკან. დამცინავად გადახედავდა დამფრთხალ მამაკაცებს...

იქამდე რა იყო, დიდი არაფერი, ზიზი და ზაფრა იქ დაეტყოთ, ოთახში შეხულთ: მაგიდას მისჯდომოდა თომა, წელში გამართული, ამაყად თავაღერილი... თეფში ედო წინ, ოთახში შესვლისთანავე შეამჩნიეს გამხმარი ყველი და მჭადის ნატეხი თეფშის კიდეზე და ისიც შენიშნეს კარგად. თომას ნაკბილარი რომ ეტყობოდა ყველს, ხოლო მაგიდაზე აქა-იქ მჭადის ნაფშვენები მიმოფანტულიყო, უფრო ჭარბად კიდეზე, თომას თითებგაფარჩხულ მარცხენა ხელის მტევანთან, მარჯვენა ხელში კი ღვინის ჭიქა შესციებოდა, ნაპირები ლურჯად მოჩანდა ჭიქისა, ფსკერი კი შავი ღვინით იყო დაფარული, ხოლო ბოთლი, თეფშთან რომ იდგა ახლოს, ნახევრამდე გამოეცალა და იაზრეს, ვახშმობის დროს აღსრულებულიყო თომა, ღიად დარჩენილ თვალებს მისას კვლავაც შერჩენოდა გამჭოლი მზერა, თავგზას რომ აკარგვინებდა ხოლმე სოფელს... „ღვინის დალევა მაინც მოესწრო მაგ საცოდავს, — ფიქრობდა ნინუცა და ებრალებოდა მიცვალებული, თანდათან უჩვილდებოდა გული, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ აქვითინებულიყო, ყველაზე საშინელება კი ის გახლდათ, ქალის აზრით, ღვინის დალევა რომ ვერ მოესწრო სიკვდილის წინ. ის ბოთლი რომ გამოეცალა, მაშინ არ იქნებოდა ასე შესაბრალისიო, დარდობდა. — „არა, რა იქნებოდა ვითამ, ღვინის დალევა მოესწრო. ვინ იცის, რაფერ იყო მოწყურებული, უბედურ დღეზე გაჩენილი მაგი, ყველი და ჭადიც რომ დარჩენია შეუჭმელი საცოდავს...“ და უცებ ვეღარ სძლია თავს, ცრემლმა აუვსო თვალები დედაკაცს... ხოლო სხვები თავჩაქინდრულნი დამდგარიყვნენ, თვალი ვერ გაესწორებიათ მიცვალებულის გამჭოლი მზერისთვის, დარწმუნებულნი კი ბრძანდებოდნენ, თომა რომ აღარ იყო ცოცხალთა შორის, მაგრამ განცვიფრება მაინც ვერ ჩამოსცილებოდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო მიცვალებული თომა და, კაცმა რომ თქვას, არც მაინცადამაინც სწყინდათ სიკვდილი ურწმუნო ადამიანისა, რომელსაც მრავალი მწარე სიმართლე მიუხლია სოფლისთვის დაურიდებლად და ახლა, ყოველ მათგანს ძალაუნებურად ახსენდებოდა ხვადასხვა ამბავი, რომელიც მიცვალებულთან გახლდათ დაკავშირებული, წყენა, რა თქმა უნდა, ამ კაცისაგან რომ შეხვედროდათ არა ერთხელ და ამიტომაც იყო, გაოცებასთან ერთად, სიამოვნებისმაგვარი განცდაც რომ დაუფლებოდათ და, ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდნენ ამის გამო, რაკი დიდებულად გაეგებოდათ ერთიმეორისა, იცოდნენ ახლა, ყველა ერთსა და იმავეს რომ ფიქრობდა და, აი, შენიშნეს მერე, ცრემლი მოხდგომოდა თვალზე ნინუცას და შეკრთნენ, ნინუცასაგან მიცვალებულზე გადაიტანეს მზერა და უარესად შეზარათ გამჭოლმა თვალებმა იმისამ, მერე კი მალვით გადახედეს აპოლოს, დამფრთხალი რომ შესცქეროდა ცოლს, ნინუცას კი არც იქ მყოფთა დარდი ჰქონია იმ წუთას და არც იმისა, რას გაიფიქრებდნენ, — თომა ებრალებოდა და იცრემლებოდა, თვალი ვერ ჩამოეცილებია მიცვალებულისათვის: „მწყურვალი მომკვდარა საწყალი, ეჰ, ვინ იცის, რაფერ უნდოდა ღვინო მაგ უბედურს, მოესწრო მაინც, რა იქნებოდა...“ დედაკაცის ცრემლმა მოიყვანა ხალხი გონს და ალაპარაკდნენ, აჩურჩულდნენ თავიდან, მერე კი თანდათან აუმაღლეს ხმას, თუმცა ისევ შიშს ჰგვრიდათ ღიად დარჩენილი თვალები მიცვალებულისა და იმისი მომნუსხველი, გამჭოლი მზერა...

სოფელს მიცვალებული ჰყავდა ახლა და აუცილებელი იყო მისი გაპატიოსნება: უპირველესად თვალები დაუხუჭეს ცხედარს და უცებ ამოისუნთქეს შვებით, აღარაფერი აფრთხობდათ ახლა და იმასაც შეეგუებოდნენ, თომა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ იყო ცოცხალთა შორის; მერე ტახტზე დაასვენეს მიცვალებული, შუა ოთახში და ნორმალური კალაპოტი მოერგო ყოველივეს — შიშიც გაქრა თავისთავად და შეგრძნებაც უხერხულობისა. იქვე გაიმართა ბჭობა, როგორ მოქცეულიყვნენ, იმწამსვე აფრინეს დეპეშა თომას შვილთან და გადაწყდა, ერთი კვირის შემდეგ დაეკრძალათ მიცვალებული. მერე თომას კარ-მიდამოს დასტრიალებდა სოფელი დაკრძალვამდე, ღამესაც უთევდნენ მიცვალებულს. იმ საღამოს ნინუცამ იგრძნო სახსრების ტკივილი აღარ აწუხებდა, თუმცა გარეთ კი წვიმდა და წვიმდა ისევ და, იმისი ვარაუდის თანახმად, ორ დღეს უნდა ეწვიმა კიდევ... სატკივარს არც მეორე დღეს შეუწუხებია დედაკაცი და არც მესამე დღეს, თუმცა შვება კი დაუფლებოდა, მაგრამ ავისმომასწავებელი გრძნობა უკარგავდა მოსვენებას, თითქოს წინასწარვე იცოდა, რაღაც დიდი უბედურება უნდა დასტყდომოდა თავს, საშველს არ აძლევდა აკვიატებული წინათგრძნობა ცუდისა და, აჰა, რომ შესაღამოვდა — მესამე დღე ღამდებოდა თომას სიკვდილის შემდგომ — აპოლომ იხმო ნინუცა, ახალი მეტეოროლოგიური რუკის შედგენის დრო მოსულიყო, დილისთვის მოელოდა სოფელი მომდევნო სამი დღის ამინდის პროგნოზს... ჰოდა, ნინუცას წინასწარმეტყველება, ავის მომასწავებლად რომ აკვიატებოდა, აცხადდა: ჩვეულებისამებრ რომ ჰკითხა აპოლომ, როგორი ამინდი იქნებაო, სახსრებს მიაყურადა დედაკაცმა, მაგრამ პასუხი აღარ მიუღია, შემზარავი რამ იყო სინამდვილე, უკვალოდ გამქრალიყო დაავადება, რომელმაც დიდზე დიდი სამსახური გაუწია, როგორც ნინუცასა და აპოლოს, ასევე სოფელსაც: ველარ ამოიცნო ნინუცამ როგორი ამინდი უნდა ყოფილიყო მომდევნო სამ დღეს, უმწეოდ შეხედა ქმარს დამფრთხალმა და ამჯერად ცვლავაც განმეორდა ის ძველი ამბავი. — ქალი ახაფრენად გამზადებულ ბებერ, გადაყრუებულ ყვავს დადარებოდა, მაგრამ აპოლოს ამისი შემჩნევის უნარი აღარ ჰქონდა, ისე გახლდათ მირწამხდარი — ხუმრობა ამბავი როდი იყო, სურვილი რუკის შედგენისა სწვეოდა უკვეზეშთაგონებას დაერია ხელი იმისთვის, მაგრამ საშველი არ არსებობდა, თუმც გონარეული კი იყო კაცი, მაინც სასოებით შესცქეროდა ნინუცას, ცხადი გახლდათ, სახსრებმა უღალატა ქალს, ველარ დამგვანებოდა გრძნეულს, უაზროდ ახამხამებდა წამწამებს, ღრმა მწუხარებას ამხელდა თვალებით, შესცქეროდა ქმარს დამნაშავესავით და მართლაც მიაჩნდა თავი დამნაშავედ, უფრო უარესი — ბოროტმოქმედადაც, გარეთ კი წვიმდა კოკისპირულად... არც ნინუცას გაჰკარებია ძილი იმ ღამით და არც აპოლოს, წრიალებდნენ ლოგინში, ვერ გამკლავებოდნენ კარს მომდგარ უბედურებას, მოულოდნელად რომ მიხდომოდათ საიდანღაც...

მეორე დილით კი სოფელი სახტად დარჩა, მოედანზე გასულთ მეტეოროლოგიური რუკა აღარ დახვედრიათ და დაიწყეს განსჯა მომხდარი ამბისა, ჯერ თავიდან აი, ამდაგვარი რამ ივარაუდეს და უთხრეს კიდეც ერთმანეთს, თომას ხსოვნის პატივსაცემად არ შეუდგენია აპოლოს რუკაო, მაგრამ ღრმად რომ ჩაფიქრდნენ და აწონ-დაწონეს, მიხვდნენ, ვერ იყო სწორი ვარაუდი, ახლა უფრო უნდა შეედგინა აპოლოს რუკა, ხომ უნდა სცოდნოდა სოფელს, როგორი ამინდი იქნებოდა მაზეგ, თომას დაკრძალვის დღეს და ამაოდ რომ დაშვრნენ მოედანზე შეკრებილნი, ხმა გავარდა, ამინდი ვერ ამოუცვნია ნინუცასო და განცვიფრდნენ, გაახსენდათ, სინოპტიკოსებს რომ აჯობა ერთხელ ქალმა... ათას ვარაუდს გამოთქვამდა ხალხი ერთმანეთის გამომრიცხავსა და საწინააღმდეგოს და ელოდა გაფაციცებით, რა მოხდებოდა... გათენდა მეორე დილაც და ისიც წინას მსგავსი იყო ყოველმხრივ, რუკა არც ამჯერად უხილავთ. ახლა კი ცხადი იყო, ნინუცას მიუძლოდა დანაშაული. დადარდიანდნენ, დაკარგეს მოსვენება, რაკი იმედი გადასწყდომოდათ მეტეოროლოგიური რუკის ხილვისა, თუმცა ერთდროულად გახარებულნიც იყვნენ, შეეძლოთ ახლა შური ეძიათ ნინუცაზე, გაეღვიძათ იმედი სამაგიეროს მიზღვისა. მაგრამ არ აჩქარებულან, ლოდინი არჩიეს მაინც, რა იცი, რა მოხდებაო... თან კი უამრავი საქმე გასჩენოდათ იმ დღეებში: თომას ეზოს უტრიალებდნენ წარამარა, სოფელს პატივით ხურდა დაეკრძალა ადამიანი, რომელსაც სიცოცხლეში ძალზე ხშირად გაემწარებია სიმართლის თქმით დიდიცა და პატარაც, დიდხულოვნებას ამჟღავნებდნენ, რა თქმა უნდა, ამითი და ერთიმეორესაც აწონებდნენ თავს, ხედავ, ნატამალიც არ გაგვაჩნია გულნამცეცობისაო, თორემ არცთუ იმდენად დასწყვეტიათ გული... თომას დოცენტი შვილი კი ჯერაც არ ჩამობრძანებულიყო ქალაქიდან, მიცვალებულს, რომელსაც კაციშვილი არ ჰყავდა დამტირებელი, სოფელი პატრონობდა... იმხანად, როცა ეს ამბავი ხდებოდა, ოთახში გამოკეტილიყო ნინუცა, ნათელს ემალებოდა დღისას, გაოგნებულიყო, მგლოვიარეს დამსგავსებოდა ქალი, ჩამომდნარ-ჩამომხმარიყო უარესად, არც საჭმელს ეკარებოდა და არც სასმელს, თავისი თავი ებრალებოდა დედაკაცს, იცოდა, მიწასთან გაასწორებდა სოფელი, არ დაინდობდა აწი, მაგრამ ფარ-ხმალს როდი ჰყრიდა, იმედოვნებდა, თუკი დაამცირებდნენ და შეურაცხყოფას მიაყენებდნენ, თავადაც გადაუხდიდა სამეზობლოს სამაგიეროს, ადვილი არ არის ადამიანის დაჩაგვრაო, იმეორებდა ფიქრში წარამარა...

აპოლოსაც როდი დასდგომოდა ნაკლები დღე, უქრებოდა იმედი რუკების შედგენისა და ხელახლა შეახსენოს ნეტავ ნინუცას თავი რევმატიზმმაო, აი, ამასღა ოცნებობდა, მაგრამ ტუ-

ილზე ტყუილი გარჯა იყო, სიმართლეს ვერ დაემალებოდა ვერსად, გაჰქრობოდა ტკივილი სახსრებისა ქალს და სამარადისოდაც...

ერთ საღამოსაც, მესამე დღე იყო მას შემდგომ, რაც სახსრების ტკივილი ჩამოხსნოდა, თომა დაუდგა დედაკაცს თვალწინ. მაგრამ იმგვარი კი არა, სიცოცხლეში რომ გახლდათ, აია, აი, სოფელმა რომ იხილა პირველად გარდაცვალების შემდგომ, ისეთი. ღიად დარჩენილი თვალებით რომ მისჩერებოდა მიმსვლელთ. თითქოს სიმართლეს ეუბნებოდა ისევ სოფელს. მწარე სინამდვილეს ახლიდა პირში... თომას გამქრალი მზერა ახსენდებოდა ნინუცას. თავბრუ ესხმოდა თანაც სამი დღის მშიერ-მწყურვალს და უკვირდა, რატომ უნდა გამხსენებოდა ახლა თომაო, ბოლოს კი მიხვდა უცებ. მაშინ განკურნებულიყო სწორედ, აი, იმ წუთას, მიცვალებულის ოთახში რომ შეუძლვა გონარეულ სოფელს...

იხსენებდა ახლა ყოველივეს იმდღევანდელს: ძოლდანზე შეკრებილ ხალხს, თავდაპირველ დუმილს მეზობლებისას, ახალი ამბის გაგების შემდგომ ხმა რომ ვერ დაეძრათ და მერე იმათ ღრიანცელსაც, უცაბედად რომ ატეხეს. შემდგომ კი კვლავ თომა ახსენდებოდა, თვალგახელილი და სკამზე გადათხლაშული, განსაკუთრებული სიცხადით ის ბოთლი, წითელი ღვინით შუამდე რომ იყო მოყრილი, ჭიქაც, რომელიც ხელში შერჩენოდა მიცვალებულს, ყველის ნაჭერიც, გამხმარ — გაყვითლებული, თომას კბილთა ნაკვალევი რომ შერჩენოდა ზედ და ხედავდა ახლა. ის ადგილი ყველზე, რომელსაც კბილები შეხებოდა თომასი, უფრო ყვითელი იყო, ხოლო მაჯებზე და ხელის მტევნებზე, ადრე, სიცოცხლეში, დაბერილი ძარღვები რომ აჩნდა, მაშინ ბალანი ილანდებოდა შავად, ძარღვების ნაცვლად კი ლურჯი, უსიცოცხლო წვრილი ზოლები და გაიხსენა ცხადად, სახსრების ტკივილი სწორედ მაშინ შეუჩერდა, კურცხალი როგორც კი მოადგა თვალზე, იქამდე, ხალხს რომ მიუძღოდა ოდაში, გაუყუჩდა ოდნავ, ჰო, ასე იყო და ნინუცას შესძაგდა საშინლად მიცვალებული. იწვა სიბნელეში, ღრმად სუნთქავდა, ისე ღრმად, ფილტვები ებერებოდა და სტკიოდა, ხოლო გულს იმისას, გასკდომამდე რომ ბევრი ალარაფერი დარჩენოდა, ბაგაბუგი გაუდიოდა, კვლავ თომა დასდგომოდა თვალწინ და ვერ მოსულიყო გონს, რაღა მაშინ შეუჩერდა სახსრების ტკივილი. როცა გული აუჩვილდა და თვალზე ცრემლი მოადგა უპატრონო მიცვალებულის საკუთარობით... ის განცდა კი, მიცვალებულისადმი ზიზღი, ვერ ჩამოსცილებოდა ვერაფრით, სიამოვნებდა კიდეც, მერე კი გონება გაუნათდა. მოულოდნელად, ერთი რამ ახალი აზრი აუ[illegible]ალდა ფიქრში და იმას ჩაეჭიდა: იმედი მიეცა, უცილებლად შეახსენებდა თავს სახსრების ტკივილი და ეს ამბავი თომას დასაფლავების დღეს უნდა მომხდარიყო, საიდან და როგორ გამოტყვრა ეს რწმენა, ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ სჯეროდა, გაუმართლებდა წინასწარმეტყველება... ნელინელ მშვიდდებოდა ნინუცა. ბოლოს გუნებაც გამოუკეთდა და, როგორც კი ხასიათზე მოდგა, დაღლა იგრძნო უმალ.

გახალისებული წამოდგა მეორე დილით ნინუცა და აპოლომ თვალი რომ შეავლო, ესიამოვნა. ქალი იმგვარივე იყო კვლავაც, ამინდის წინასწარმეტყველების დროს რომ ეხილა, თითქოს ჰა და ჰა. საცა იყო გრძნეულს დაედარებოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია კაცს. ფიქრით კი, სახსრების ტკივილმა შეახსენა თავიო, ფიქრობდა და მეტეოროლოგიური რუკები დასდგომოდა თვალწინ...

ხოლო თომას შვილი დასაფლავების წინა დღეს ჩამობრძანდა და ცოლ-შვილიც ჩამოიყოლა თან, შუადღეს გადაცილებული იყო კარგა ხნის, ეზოში რომ შეაბიჯეს: ქალი ძვლივს ეტეოდა კანში, სიმაღლე და სისქე ერთნაირი ჰქონდა, ტანთ კი მუყირალა ჭრელი კაბა ჩაეცვა და სოფელმა ავი თვალით შეხედა მაშინვე. ცოტა თალხ სამოსში ვერ გამოეწყოო, გაიფიქრეს გლეხებმა, თუმცა დაკვირვებული თვალი შენიშნავდა ადვილად, ესიამოვნათ კიდეც, მეტის ღირსი არ არისო, გაუელვათ მიცვალებულის მისამართით...

თომას შვილიშვილიც გამოცხადებული დედამისი იყო, გაჭირვებით დაგორავდა ათიოდე წლის ბიჭი, ლიპიც დამჩნეოდა და ღაბაბიც; მოვიდნენ თუ არა, ცალკე ოთახში გამოიკეტა დედა-შვილი, კარი მოაღეს მერე და ხედავდნენ გლეხები, ოფლი ერთსაც წურწურით ჩამოსდიოდა და მეორესაც, გალუმპულიყვნენ თხემით ტერფამდე, იფიქრებდი, კოკისპირულ წვიმაში მოხვედრილანო... კასრებივით დაგორავდნენ ოთახში. ბოლოს ჩემოდნები დახსნეს, ამოალაგეს ნაირნაირი საჭმელები და დაფეთებულნი ეცნენ, თვალები აწყლიანებოდათ იმ დროს დედასაც და შვილსაც, ზეთი ჩაღვროდათ გუგებში, ხოლო გლეხები მორცხვად შესცქეროდნენ, სუნი გამოდიოდა ნაირნაირი საჭმლისა ოთახიდან, ისინი კი ილუკმებოდნენ და ილუკმებოდნენ, სწრაფად ანადგურებდნენ მაგიდაზე დაყრილ ხორაგს და ოფლი უფრო და უფრო სდიოდათ ღვარად, ოთახიდან ეზოშიც ატანდა იმათი ხმამაღალი სუნთქვა. დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი და როგორც კი დანაყრდნენ, გაჭირვებითა და ქშენა-ქშენით გამოგორდნენ აივანზე, ოფლი კი ისევ სდიოდათ და სდიოდათ, რომ შეგეხედა, შეგეშინდებოდა, არ დადნენო; ეზოში სუნი დატრიალდა ოფლისა, ოთახში გამოიკეტნენ მერე და ძილს მინებდნენ უმალვე; ორიოდ წუთი არ იქნებოდა გასული, ამ ოთახიდან ხვრინვამ რომ გამოაღწია, მაგრამ ხვრინვა არ ეთქმოდა იმას, უფრო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტვენა-ქშენა-ხრიალ-ხროტინი იყო ერთმანეთში არეული, გლეხები კი ხმის ამოუღებლად იდგნენ გაოცებულნი, თითქმის დამფრთხალნიც, ხოლო ხვრინვა ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა და მერე ღამის მთევლებსაც ესმოდათ დილამდე შემზარავი ხრიალ-ხროტინი და ქშენა-სტვენა დედა-შვილისა...

თომას ვაჟმა კი როგორც ფეხი შემოდგა ეზოში, დინჯად დაუქნია თავი იქ მყოფებს მისალმების ნიშნად, კაციშვილისათვის არ გაუცია ხმა. შეათვალიერა მხოლოდ დამხვდურნი. ერთიდან მეორისაკენ გადაჰქონდა მზერა. თვალები ულიმოდა თანაც და გლეხებს მოერიდათ. კრძალვით დახარეს თავი... მოგვიანებით შევიდა ოთახში, დახედა მამამისს ჩაფიქრებულმა, უმზირა და როცა ეგონათ, ცრემლი მოადგება თვალზეო, გაიღიმა ბოროტად და დამცინავად თითქოსდა ნიშს უგებდა ვინმეს და იმ ბოროტმა ღიმილმა ისე დაამახინჯა, კანი აებურძგლა ხალხს. მერე კი იქ მყოფებს გადახედა, არ შეუცვლია იერი სახისა, თვალები უფრო ბოროტად აავსო შემდგომ და ხმამაღლა წარმოსთქვა, როხროხით: „მაშ ასე, მოკვდა არა?!..“ და ისეთი გამომეტყველება აღიბეჭდა სახეზე, თითქოს ვერ დაეჯერებია მომხდარი ამბავი და ისევ ერთხელ დახედა მიცვალებულს. ჩამოიცილა ის ორჭოფობა, წამის წინ რომ დამჩნეოდა სახეზე, კვლავაც დამცინავად და ბოროტად გაიღიმა, თვალს არ აცილებდა მამამისს. ბოლოს მზერა დაინაღვლიანა ფიქრი მიეძალა უეცრად და ოთახში მყოფებს მოავლო ჩასევდიანებული თვალები: ..არ მეგონა, თუ მოკვდებოდა. — და დაკვირვებით შეათვალიერა ოთახი. — თქვენც არ გეგონათ, არა? — ჯიქურ გადახედა იქ მყოფთ. — მართალი მითხარით... არა, არ გვეგონა. ამ ამბავს რავა მოვიფიქრებდით, ახლაც გვიჭირს დაჯერება, ვიღაცამ რომ უპასუხა. თომას შვილმა გადაიხარხარა. მოულოდნელი იყო იმისი ახარხარება. დაიძაბნენ იქ მყოფები. იქამდე, ვიდრე ახარხარდებოდა, მკაფიოდ ატანდა გვერდითა ოთახიდან მისი ცოლშვილის ხვრინვა: ახლა კი, ის რომ ხარხარებდა, იქიდან ჩქამი აღარ ისმოდა, ბოლოს შესწყვიტა, როგორც იქნა, ხარხარი, ძვლივსღა სუნთქავდა. ცრემლი მოსდგომოდა თვალზე და როცა ხვრინვა ჩაესმა, გაიხედა იქითკენ, საიდანაც ის ხმა ატანდა. ჩაფიქრდა და დინჯად განაგრძო. — ისე მოკვდა, — მიცვალებულს დასცქეროდა და ბოროტად ეღიმებოდა ისევ. — არ დაუჯერებია მაინც ჩემი მეცნიერმუშაკობა და, საერთოდ, არაფერი სჯეროდა ამქვეყნიური, მე კი, პროფესორი ვარ უკვე, ჰო, პროფესორი, აბა...“

ბოლოს ხარჯებზე ჩამოაგდო სიტყვა, მიცვალებულის გასაპატიოსნებლად რომ გახლდათ საჭირო. თომას რძლისა და შვილიშვილის ხმამაღალი ხრიალ-ხროტინი ისმოდა გვერდითა ოთახიდან, მათი მეუღლე და მამა კი თანასოფლელებს ესაუბრებოდა დინჯად და დარბაისლურად, ხან აუმაღლებდა ხმას, ხან დაუწევდა, ზოგჯერ ჩაისევდიანებდა თვალებს, ხანდახან კი გამხიარულდებოდა, როცა მიცვალებულს ახსენებდა, ჩაიცინებდა ჩუმი ხმით. ხანაც ხმამაღლა აროხროხდებოდა. ბოროტი ღიმილი აუგიზგიზდებოდა თვალებში და ყურადღებასაც არ აქცევდა ხვრინვას, სხვა იქ მყოფნი უხერხულობაში რომ ჩააგდო...

მეორე დილით კი უთენიაზევე წამოფრინდა ლოგინიდან დედა-შვილი, დაკრძალვის დღე იყო, თვალი გაახილეს თუ არა. საქმეს ეცნენ გლეხებს, მოლიავებულ კარში რომ ხედავდნენ დედა-შვილს, ეშმაკური ღიმილი აუთრთოლდათ სახეზე და თვალებში. მაგრამ როცა იმათი ჩაზეთიანებული გუგები შენიშნეს და ოფლი, ამჯერადაც წურწურით რომ სდიოდათ, ის ეშმაკური ღიმილი ზიზღმა შეუცვალათ და მზერა აარიდეს. იმათ კი კვლავ ჩაიძინეს საუზმის შემდგომ, ხოლო ორიოდ საათში ბიჭი კარში გამოგორდა და განცვიფრდა ხალხი. აშკარად შენიშნეს, ერთ ღამეში კიდევ უფრო გასუქებულიყო, ღიპიც გაზრდოდა და ღაბაბიც შემზარავად ჩამოზრდოდა. ეზოში სკამზე ჩამოჯდა თომას შვილიშვილი, უსიცოცხლო, არაფრისმთქმელი თვალებით გასცქეროდა სივრცეს და ხალხსაც შეავლებდა ხანდახან მზერას. საოცარი იყო, თომას ასეთი შვილიშვილი რომ გამოსვლოდა და უკვირდათ გლეხებსაც. სხვას რომ ეთქვა ამგვარი რამ და თავიანთი თვალით არ ენახათ, არ დაიჯერებდნენ. თომასი არაფერი ეცხო ბავშვს და ესეც უხაროდა გულში სოფელს. დიდხანს არ უფიხიზლია თომას შვილიშვილს, იქვე ჩაიძინა სკამზე და ხმამაღალ ხვრინვასაც არ დაუყოვნებია. დაზაფრულნი შესცქეროდნენ გლეხები, ეჩვენებოდათ, ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე იბერებოდა და იბერებოდა ბავშვი, ხოლო ოფლი მძინარესაც ღვარად სდიოდა... მზიანი დღე დადგა. ამინდმა გაუმართლა თომას. უყურებ შენო. გაიკვირვა ხალხმა, არადა, ღრმად ბრძანდებოდნენ დარწმუნებულნი, კოკისპირული და ქვეყნისქცევა დაემთხვეოდა დაკრძალვას. მაგრამ არ გაუმართლათ და ნანობდნენ, რადა ახლა ჩამოეხსნა მაინცდამაინც ნინუცას სახსრების ტკივილი თუ ის რაღაც ჯანდაბა რევმატიზმიო და დასცინოდნენ ქალს...

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა თომას კარ-მიდამოსაკენ, ჯერ თომას შვილიშვილს გადახედავდნენ. ეძინა მას ისევ, ხვრინავდა და ხვრინავდა. ჩამოსდიოდა ოფლი წურწურით, თვალ და ხელშუა ეზრდებოდა ღიპი ბავშვს და ღაბაბიც უფრო მაიწევდა ქვევით. ხოლო დედამისი აივანზე გადმომდგარიყო, ჭრელი კაბა ეცვა დღესაც, წურწურით სდიოდა ოფლი იმასაც და ვერ მიხვდებოდი, საით იყურებოდა უსიცოცხლო თვალებით. თომას სისხლი და ხორცი კი მიცვალებულის ოთახიდან არ გამოდიოდა. დანაღვლიანებული არის, ერთხელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაულიმიათ, ამბობდნენ და ბრაზი მისძალებოდათ, რაც მამამისის ხელში გამწარება უნახავს, რადა ანაღვლებსო...

ხოლო ეზოში შეკრებილი გლეხები დარბაისლურად ემასლაათებოდნენ ერთიმეორეს, მიცვალებულსაც ხშირად იხსენიებდნენ და ბუნებრივი იყო ესა, აგონდებოდათ, დროშით ხელში რომ მიუძღოდა ხოლმე სამგლოვიარო პროცესიებს და სხვა ამბებსაც იხსენიებდნენ, ისეთებს, არასდროს რომ არ მოაგონდებოდათ ალბათ, თომა რომ არ გარდაცვლილიყო. ერთს კი, თომას ხნისა იქნებოდა ის კაცი, ისიც მოაგონდა, არდანს რომ ატრიალებდა ხოლმე თომა, პირველად რომ შემოვიდა კინო სოფელში იმ ხანად და მოუყვა კიდეც იქ მყოფთ, თითქმის აღარავის ახსოვდა თურმე ეგ ძველისძველი ამბავი. ჲავიწყებოდათ და ახლა, ვინც კი მოსწრებოდა, ნათლად დაუდგა ის დღეები თვალწინ, გაიხსენეს ისიც, უარი რომ განაცხადა თომამ არდნის დაკვრაზე. მას შემდგომ კინოს ერთხელაც არ გაჰკარებიაო, თქვეს...

ყველა თომას კარ-მიდამოს შეჰფენოდა ნინუცასა და აპოლონს გარდა და, ხალხს არ გამოჰპარვია მათი არყოფნა... ბოლოს გამოჩნდნენ ისინიც, საგარეოდ შემოსილიყო ნინუცა, თალხი კაბა ეცვა და თავჩაქინდრული მოჰყვებოდა აპოლონს, ხალხი კი დაკვირვებით მისჩერებოდა, სურდათ ამოეცნოთ, როგორ გრძნობდა ქალი თავს, მაგრამ ჩვეულებრივად მოეჩვენათ, როგორიც იყო მას შემდგომ, რაც ამინდის ამოცნობა დაეწყო და იმედი მიეცა სოფელს, ეგებ კვლავაც ვიხილოთ მეტეოროლოგიური რუკებიო; შენიშნა ხალხმა, აპოლოც გამხიარებულიყო და არც შემცდარან, ცოლის გუნებაზე მოსვლამ შემატა იმედი კაცს და ახლა გაახალგაზრდავებულიყო, სიკეთეს აფრქვევდა ირგვლივ...

მერე კი კუბო ეზოში ესვენა და დუმილი ჩამოვარდნილიყო ირგვლივ, მომდგარიყო ჟამი მიცვალებულის გასვენებისა და უხერხულად იშმუშნებოდნენ გარშემო მყოფნი, არც ხმამაღლი მოთქმა ისმოდა და არც ცრემლი ჩამოსწყდომია ვინმეს, სამარისებური სიჩუმე დამკვიდრებულიყო მიცვალებულის კარ-მიდამოში...

ნინუცას კი თვალები უციმციმებდა ერთ ხანს, სახსრებს აყურადებდა გაფაციცებით, დარწმუნებული იყო, ჰა და ჰა, საცა არის, ისევ შემახსენებს თავს ჩემი დაავადებაო, შემდგომ კი კუბოს შეავლო მზერა და როგორც ცხედარს მოჰკრა თვალი, მიხვდა მაშინვე, ამაოდ ქონდა თურმე იმედი, სამარადისოდ შეშვებოდა დაავადება სახსრებისა, მწარე იყო სინამდვილე და ახლა, იმ ღამის მსგავსად, როცა გაახსენდა, რომ სწორედ მაშინ გაუქრა დაავადება, სკამზე გადათხლაშული თომა რომ შეებრალა, კვლავაც შეეზიზღა მიცვალებული...

ხალხი კი დუმდა ისევ, უხერხულობას გრძნობდა ყველა, მოთქმით ტირილი თუ არა, უბრალო ცრემლი მაინც იყო საჭირო და აუცილებელი, და, აი, უცებ გაახსენდა სოფელს, ნინუცამ რომ აალვარლვარა კურცხალი მაშინ, როცა პირველად იხილეს მიცვალებული, ოთახში რომ შეუძლვა ხალხს და ქალს შეავლო მზერა ყველამ, იმას კი მძულვარებით ანთებოდა თვალები — ისე ეზიზღებოდა ცხედარი, საშინელება კი ის გახლდათ რომ არა და აღარ მოდიოდა სახსრების ტკივილი და მეზობლებს არ გამოჰპარვიათ, ახლა კვლავაც ძველ ნინუცას რომ შესცქეროდნენ, იმგვარს, საერთოდ რომ იყო, ვიდრე ამინდის ამოცნობას შეძლებდა და მიხვდნენ, სამუდამოდ გაჰქრობოდა დაავადება, ეს რომ იგრძნეს, ბოროტი ღიმილი მოედოთ სახეზე, შესცქეროდნენ ქალს და მიწასთან ასწორებდნენ და აი უცებ მეზობლებას დაჟინებული მზერა რომ შენიშნა, იგრძნო, ყველაფერს მიხვედრილიყვნენ ისინი, დამცინავი მზერაც დაინახა მათი და ყველას სათითაოდ შეავლო თვალი, ვაი თქვენს დღეს უბედურსო... — ჩაილაპარაკა ხმადაბლა და უფრო მეტად შეზიზღდა მიცვალებული და ტირილი მოუნდა, სოფელი კი ისევ მას მისჩერებოდა, ბოროტად აგიზგიზებოდა თვალები და ნინუცამ კუბოსკენ გადადგა ნაბიჯი, გაირინდნენ და დაიძაბნენ უფრო მეტად ირგვლივ მყოფნი, ნინუცა კი მიიძუძგებოდა წელში წახრილი და გაუბედკრულებული, სიმახინჯის განსახიერება იყო მაშინ: ჩამოხმობოდა და დანაოჭებოდა პირისახე, ხოლო თვალებს გაბოროტებითა და ზიზღით აცეცებდა აქეთ-იქით, და ვისაც კი შეავლებდა მზერას, აფრთხობდა და აჯადოებდა, ახრევინებდა თავს, მერე კი შეძრწუნდა ხალხი, შიშმა აიტანა ყველა, მოეჩვენათ თითქოს რომელიღაც შემზარავი ფრინველივით მიხტოდა ნინუცა თომას კუბოსაკენ, ხოლო დრო ჭიანურდებოდა საშინლად, ნინუცას ნება-სურვილს დამორჩილებოდა თითქოს და, აი, მიაღწია, როგორც იქნა, ქალმა ცხედრამდე, ფეხთით დაუდგა ჯერ და ირგვლივ მიმოატარა მზერა, უფრო მეტად დაიძაბა ხალხი, მაგრამ მაინც არ აცილებდნენ ერთიმეორეს თვალს სოფელი და ქალი და ნინუცამ იგრძნო აშკარად, სოფელი დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა, უფრო მეტად დაამახინჯა ამის შეგრძნებამ, სოფელს კი თანდათან ებადრებოდა სახე, შეჰყურებდა დედაკაცს დამცინავად...

„აგანი დამინდობენ ახლა მე? დამცინიან ახლავე და მერე რაღას იზამენ, — ფიქრობდა ნინუცა და თვალს არ აცილებდა თანასოფლელთ, — მაცალეთ, გადაგიხდით სამაგიეროს, თუ ვყოფილვარ ქალი, ადვილი ნუ გეგონებათ ადამიანის დაჩაგვრა"...

აარიდა ბოლოს მზერა სოფელს და კუბოს თავთან გადაინაცვლა, უარესად წაიხარა წელში

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დახედა მიცვალებულს, დააცქერდა დაჟინებით და სახეზე ღიმილმა გადაურბინა წამით, მერე უცებვე ჩამოიცალა ღიმილი, ახლა მხოლოდ ბოროტი მძულვარება თუ ზიზღი ჩასდგომოდა თვალებში, სოფელი კი გატრუნულიყო, წართმეოდა ფერი, შეჰკვროდა სუნთქვა, თითქოს არც არსებობდა, ჩქამი არ ისმოდა მისი, დარწმუნებული გახლდათ ყველა, რაღაც უცნაურზე უცნაური და შემზარავი რამ უნდა მომხდარიყო, შემაძრწუნებელი, რასაც კაციშვილი არ მოსწრებოდა ჯერ დედამიწის ზურგზე და გმალებით უცემდათ გული ირგვლივ მყოფთ დაუჯერებელი ამბისა თუ სასწაულის მოლოდინში. ხოლო ნინუცას სწამდა უკვე, აწი ვეღარასოდეს იგრძნობდა ტკივილს სახსრებისას და რისიც სჯეროდა, გააპამპულებდა აუცილებლად სოფელი, აღარ დაინდობდა, დამცინავი ხარხარი გასჯდომოდა მეზობლებისა ახლაც სმენაში, როგორც იმ დღეს, პირველად რომ იწინასწარმეტყველა ამინდი, ანდა ყოველთვის რომ სჩვეოდათ ხოლმე, როცა კი უცოდინარობას წამოსძახებდნენ რუკებისას და მაცათ, გადაგიხდით სამაგიეროსო, იმუქრებოდა გულში, ის კი არ გაეგებოდა, როგორ ან რითი დაუპირისპირდებოდა კრიჭაში ჩამდგარ სოფელს, არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა და გაბოროტებულმა ერთხელ კიდევ მიაყურადა სახსრებს, მაგრამ არა, ტკივილი არ უგრძვნია და უფრო მეტად გაბითამხჯვალა სიძულვილით — სძაგდა და ჰზარავდა ცხედარიცა და ყველა, ვინც კი იქ იმყოფებოდა, ყველაზე მეტად აპოლო ეზიზღებოდა მაშინ და იმასაც ემუქრებოდა გუნებაში, გადაგიხდი სამაგიეროსო და ბოლოს ნერვებმა უმტყუნა: იქამდე თუ იცოდა რასაც სჩადიოდა და მარტოოდენ გონება განაგებდა მის საქციელს, ანგარიშმიუცემლად ამოქმედებულიყო ახლა და ვიდრე ხმას გაიგონებდნენ იმისას, დაინახეს, ცრემლი აუკიაფდა ჯერ თვალებში, მზეზე ბზინავდა ის კურცხალი, გუგებს რომ ჩაჰგუბებოდა, ჩამოწყდა მერე, წამოვიდა მიმქნარ ღაწვებზე, წვეთ-წვეთად თავდაპირველად, ბოლოს ღვარად იქცა, ხოლო სხვანი შესცქეროდნენ წელში წახრილ დედაკაცს, ჩაწომხმარსა და აცრემლებულს. სიხარულს ჰგვრიდათ იმისი უსუსურობა, თვალი ვერ მოეწყვიტათ დაბეჩავებული ქალისთვის, რომელსაც მხრები აცახცახებოდა ცრემლის წამოსვლისთანავე, ბოროტი სიხარული დაუფლებოდათ. რწყილა დაჩაჩანაკების დღეს მოსწრებოდნენ ქალისას და იმის გამოც გრძნობდნენ შვებას, უცრემლოდ რომ არ დაკრძალავდნენ მიცვალებულს — სოფელი ნინუცას წყალობით გადარჩენილიყო სირცხვილსა და თავის მოჭრას და ახლა სადარდოც არა ჰქონია რა. მაგრამ მთავარი შემდეგ უნდა მომხდარიყო და, აი, უცებ ხმა გაისმა ნინუცასი და ირგვლივ დასადგურებული შემზარავი დუმილი გაქრა უკვალოდ. ვაჰკიოდა ქალი წვრილი, ამაზრზენის ხმით. ძვალი და რბილი გაუყინა იქ მყოფთ დედაკაცის მოთქმა-წივილმა და ამიტომაც იყო, გვიან ჩააღწია მსმენელთა გონებამდე წივილ-კივილით წარმოთქმულმა სიტყვებმა: „თომა-თომა, უბედურ დღეზე გაჩენილო შენ, — წიოდა ნინუცა, ცრემლიცა სდიოდა უწინდებურად, თუმცა არა, ამჯერად გაცილებით უფრო მეტად. მიცვალებულის დარდი როდი ჰქონდა, ჩირადაც არ უღირდა, უბედურებას გლოვობდა და დასტიროდა თავისას, სახსრების ტკივილს მისტიროდა, სამარადისოდ რომ გაჰქრობოდა და იმასაც, სამუდამოდ რომ დაშორიშორებოდნენ ურთიერთს მისი და სოფლის გზები და კიდევ მომავალს, გამოუცნობსა და საშიშს: — არაფერი არ გჯეროდა სიცოცხლეში, საცოდავო, შენ — განაგრძობდა ნინუცა. — ახლა ეგება მაგი მაინც დეიჯერო, მკვდარი რომ ხარ, თომაია, თომაიაა"…

მხოლოდ ნინუცამ და იქ მყოფებმა კი არა, დარწმუნებული ვარ, კაციშვილმა არ იცის დედამიწის ზურგზე, ჩემს გარდა, რა თქმა უნდა, თომას მართლაც რომ არა სჯეროდა მიცვალებული რომ იყო: იწვა არხეინადა და ლაზათიანად კუბოში, ხელები დარდიმანდულად დაეკრიბა გულზე და რაც ყველაზე მთავარია, ხარხარებდა და ხარხარებდა გუნებაში, კვდებოდა სიცილით და იმუქრებოდა კიდეც: „მკვდარი გგონივართ, ხომ? თქვე მართლა მიცვალებულებო, წასულია თქვენი საქმე, მაცათ პაწა და კიდო გიჩვენებთ სეირას და მერე ვნახოთ, ვინაა მკვდარი, მე თუ თქვენ. თომა არ ვყოფილვარ, ამ სოფელში ათი კაცი მაინც თუ არ გადავრიე, აბა, უგიჟო სოფელი რაღა სოფელია, ამ, არ მწამს მე…"

არა და არ სჯეროდა თომას, მკვდარი რომ იყო და რას იზამდი, ძალით ხომ ვერ დაარწმუნებდი, ხოლო თანასოფლელებს, როცა ცოცხალი ბრძანდებოდა, მაშინ ვერა გაეგოთ რა ამ კაცისა, რომელიც ახლა თავის ეზოში ესვენა და აბა, მიცვალებულს ხომ ვერ გაუგებდნენ და ვერა…

ნინუცა კი ვეღარ დამცხრალიყო ვერასგზით, ჰკიოდა და წიოდა, მაგრამ არა, წივილ-კივილი აღარ ეთქმოდა, ხმა ჩახლეჩოდა უკვე და ჩხაოდა, ურწმუნობას ახსენებდა მიცვალებულისას იქ შეკრებილთ და მართლაც რომ დიდებულად გრძნობდა თავს მაშინ სოფელი: მოთქმითა და ტირილით ასაფლავებდნენ მიცვალებულს, მერე რა, სიცოცხლეში დიდი ურწმუნო და უკულმართი ვინმე თუ ბრძანდებოდა, მათი მკვდარი გახლდათ მაინც, იმათი სადავიდარაბო და თავში საცემი სიკვდილის შემდგომაც მთავარი კი, აი, რა იყო, ნინუცას გლოვა-მოთქმასა და ჩხავილზე სხვა დედაკაცებსაც ასჩვილებოდათ გული, უფრო კი, შური გაღვიძებოდათ, ეგ თუ ტირის, ჩვენ რა, ვითომ რითი ვართ მაგაზე ნაკლებიო და ვინ დაგიდევდათ, ჯიბრი იყო თუ სხვა რამ, ცრემლიცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სცვიოდათ იმათ და ქვითინებდნენ კიდეც; მწუხარება იყო აუცილებელი მსგავსი ვითარების ჟამს და მოსულიყო კიდეც და რაკი ცრემლი იღვრებოდა, ყოველივე რიგისა და წესის მიხედვით მიედინებოდა, მამა-პაპათ რომ დაედგინათ, იმდაგვარად...

მერე კი სხვა, გაუთვალისწინებელი შემთხვევის მოწმენიც გახდნენ — იმ ამბავს, რაც ნინუცამ ჩაიდინა, კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა: მოთქმით ტირილი როდი იკმარა ქალმა, იცოტავა და უცებ ლაწვები ჩამოიხოკა ფრჩხილებით, დაუჯერებელი რამ ხდებოდა, საცა იყო, ჭკუაზე შეირყეოდა სოფელი. უმალვე ჩამოჟონა სისხლმა ნინუცას ჩამომჭკნარ-ჩამონაოჭებულ პირისახეს. ამგვარმა საქციელმა დედაკაცისამ, მართლაც თავზარი დასცა ყველას, ისეთის ზარითა და გლოვით, ნინუცა რომ გამოხატავდა, იქაური დიაცები ქმრებსაც არ ასაფლავებდნენ, ხალხის უბაში რომ არ ჩავარდნილიყვნენ, მოეხსენებოდათ დიდებულად, ცოლის გლოვა თუ მოთქმა-ტირილი, ზომასა და ტაქტს თუ ვერ დაიცავდა, უწმაწური ქილიკ-მასხრობის გუნებაზე მოიყვანდა ხალხს...

ახლა კი სახტად დარჩენილიყო სოფელი, შესცქეროდა ქალს, რომელსაც დასისხლიანებოდა ჩამოკაწრული სახე და იშმუშნებოდა უხერხულად, რცხვენოდა თითქოს ნინუცას მაგივრად...

თომას ცოლი უნდა ყოფილიყო მართლაც აი დაწყევლილი და კუდიანი, აპოლოს რა ღირსიაო... — გაიფიქრეს იქ მყოფებმა, როგორც კი ოდნავ მოეგნენ გონს და უცებვე გადახედეს აპოლოს, რას მოიმოქმედებსო. კრძალვით შეავლეს ჯერ მზერა, პატივისცემა ჰქონდათ მისი, მაგრამ კრინტი რომ არ დაუძრავს აპოლოს, გამომწვევად გაუყარეს თვალი თვალში, დაურიდებლად, სთხოვდნენ და თან უბრძანებდნენ კიდეც რაღაცას, რისი შესრულებაც აუცილებელი იყო...

ნინუცა კი თავისას განაგრძობდა, იხოკავდა და იკაწრავდა ჩამომჭკნარ-ჩამოწითლებულ ლოყებსა და ლაწვებს, ნაოჭის ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა, სისხლს ამოევსო ყოველი ღარი თუ ნაოჭი სახისა და შუბლისა, კუბოს თავთან დამდგარიყო ისევ და ამჯერად ხმა უარესად ჩახლეჩოდა. თავს არ იზოგავდა კვლავაც, ჩხაოდა და ჩხაოდა გამწარებული და უცებ ფეხი დაუსხლტა დედაკაცს, ამოიგმინა ხალხმა და აპოლოს მიაპყრო კვლავაც მზერა, ნინუცამ, კი, დაინახა ყველამ, კუბოს ჩამოჰკრა კიდეზე შუბლი, მოწყვეტით დაენარცხა მერე მიწას და ვიდრე გონს მოეგებოდნენ ირგვლივ მყოფნი, წამოდგა მკვირცხლად და ჩხავილი განაგრძო, ხოლო სისხლი მერელა დაინახეს, შადრევანივით ასჩქეფდა შუბლიდან, იღვრებოდა აქეთ-იქით შხეფ-შხეფად და ბზინავდა მზეზე, ბოლოს კი მიცვალებულსაც დაეწვეთა სახეზე და ამოიოხრა სოფელმა ხმამაღლა, განცვიფრება ამოაყოლა ოხვრას, და წაერთვა რამდენიმე ხნით აზროვნების უნარი, შავად აკიაფდა თომას ფერმკრთალ სახესა და ჭაღარა წვერ-ულვაშზე ვეთები სისხლისა და თანდათან მოიკრიბა ხალხმა გონი, მიხვდნენ, როგორც იქნა, შავი სისხლი ჰქონოდა თურმე ნინუცას, კუპრისფერი და დამფრთხალიყო ირგვლივ ყველა, გამოელენჩიბა ახალ მოულოდნელობას, სასიკვდილოდ განწირულთ დამსგავსებოდნენ, ხოლო ნინუცა აღტკინებული განაგრძობდა თავისას, უჩვეულო ხალისითა და მონდომებით თანაც, მარტოდმარტო იყო თითქოს, აღარავის აქცევდა ყურადღებას, სხვათა არსებობას როგორღა გაიხსენებდა, როცა თავისი თავიც დავიწყებოდა.

აპოლო კი, ამ საერთო დაძაბულობაში, იქ რომ დასადგურებულიყო, ნელ-ნელა, გამოზომილი და ფრთხილი, უჩქამო ნაბიჯით ეპარებოდა ქალს. წელან, როცა მოთქმით ტირილი დაიწყო ნინუცამ, უცებვე შეკრთა კაცი, ზიზღის გრძნობაც დაეუფლა მაშინ ერთდროულად და სირცხვილისაც, ზიზღი მხოლოდ ნინუცას განეკუთვნებოდა, სხვას არავის ამქვეყნად, სძაგდა ქალი, ისე შეზიზღებოდა, უკვირდა თავადაც, ვერ წარმოიდგენდა ვერასდროს, ამგვარი სიძულვილი თუკი ძალუძდა და იცოდა, დროზე თუ არ შესწყვეტდა დედაკაცი მოთქმასა და სახის ხოკვას, ანგარიშს ველარ გაუწევდა თავის თავს, რაღაც საშინელს მოიმოქმედებდა, რას, ეგ თავადაც არ გაეგებოდა ჯერ, სირცხვილით კი ირგვლივ მყოფებისა რცხვენოდა...

თანასოფლელთა მზერა გვიან შეენიშნა აპოლოს, თავიდან, კუბოსთან რომ დადგა ქალი და ცრემლი აალვარლვარა, არაფერი განუცდია, ეგონა, ყოვლად ჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა, სირცხვილი მერე მიეძალა, მოთქმით ტირილი რომ წამოიწყო დედაკაცმა, ხოლო მერე და მერე, ესეც რომ აღარ იკმარა და სახე და ლაწვები ჩამოიხოკა, აპოლომ, ჭკუიდან გადასვლას რომ აღარაფერი დარჩენოდა, უმალვე შენიშნა თანასოფლელთა მზერა: მოკრძალებულ-გაუბედავი თავიდან, რომელიც მარტოოდენ თხოვნა-ვედრებას გამოხატავდა, ჯიქური და გამომწვევი მერე, ბრძანება რომ იყო უკვე, რომელიც მოქმედებისაკენ უბიძგებდა და მიხვდა აპოლო უცებ, რასაც მოითხოვდა სოფელი მისგან, შეურაცხყოფილ — ლაფშიამოსვრილი ქმრისაგან, რომელიც დაურიდებლად გამოეჭენებინა სააშკარაოზე ცოლს და აღარც დაფიქრებულა. ნაბიჯი გადადგა, ხალხი კი აპოლოს გადახედავდა ხან, ხანაც ნინუცას მიაპყრობდა მზერას; ნინუცას როცა შეხედავდნენ, ბოროტად უელავდათ თვალები, აპოლოს შეავლებდნენ თუ არა მზერას, უმალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაგრძნობა აღებეჭდებოდათ სახეზე და იცოდნენ, ცოტაც და, რაღაც მოხდებოდა იმგვარი, რომლის მსგავსს არ შესწრებოდნენ არასდროს... სხვის ბრძანებასა და ნება-სურვილს დაჰყოლოდა აპოლო, სოფელი იყო ის სხვა, უწყოდა დიდებულად და, ნინუცასი არ იყოს, იმასაც, ამღვრეოდა გონი. არც ის გაეგებოდა ხეირიანად, სად იყო და რას სჩადიოდა ამჟამად და არც ის, რას მოიმოქმედებდა ცოტა ხნის შემდგომ...

ხოლო გატრუნულსა და სულგანაბულ, დამფრთხალ, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობას დამორჩილებულ სოფელს სუნთქვა შეჰკვროდა, ცოტაც და, ჰკუას დაკარგავდა ალბათ მთლიანად, დასაბმელი გახდებოდა, ისე გახლდით ექსტაზს მიცემული და აღტკინებული. გაურკვეველი წინათგრძნობის ბურუსს დაძირული და წელანდელს განაგრძობდა ისევ — ნინუცას შეავლებდა ხან მზერას, რომელსაც ვერა და ვერ შეეწყვიტა ჩხავილი, რაღაც სიტყვებს კი აფრქვევდა, მაგრამ ვერ გაარკვევდი შინაარს ყრანტალით წამოსროლისას, მსმენელთ მხოლოდ ჩხავილი ჩაესმოდა დედაკაცისა. სახესაც ისევ გამწარებითა და გაბოროტებით იხოკავდა, არადა, ვერავინ წარმოიდგენდა ალბათ, იმდენი სისხლი თუ ექნებოდა ნინუცას — ყველაფერი გადაშავებულიყო იმის ირგვლივ და ახლომახლო, ბალახიც, კუბოცა და მიცვალებულიც, აღარავინ იდგა ახლოში, უკან დაეხია ხალხს, გაერიდნენ მაშინვე სახე ჩამოიკაწრა თუ არა. საოცრება და საშინელება კი ის გახლდათ, რომ სისხლის დაკარგვასთან ერთად პატარავდებოდა ნინუცა, ჩიავდებოდა და კნინდებოდა თვალ და ხელშუა. გაბერილი ბუშტი იჩუტებოდა თითქოს სოფლის თვალწინ, ისედაც ხომ ჩია ტანისა იყო. მაგრამ ახლა ნახევარიც აღარ დარჩენილიყო იმისა, უწინ რომ გახლდათ, ლოყების ჩამოხოკვამდე. სახეც დაპატარავებოდა, მუშტისხელაღა თუ იქნებოდა და მცირდებოდა უფრო და უფრო. დაწვრილდებოდა და დამრგვალებოდა თვალები. ცხვირი კი ნისკარტივით დამჩნეოდა საკუთარი სისხლით გაშავებულ პირისახეზე, წამახვილებოდა და წასწვეტებოდა. ხოლო მკლავებს. მკლავებიც რომ აღარ ეთქმოდა უკვე. გაჩხიკინებულ ძვლებსღა შემოჰხვეოდა ფრიალა სახელოები კაბისა. ფრთებივით აიქნევდა და დაიქნევდა დრო-დრო, ხანაც აპოლოს გადახედავდა სოფელი. ფეხაკრეფით და ბორძიკ-ბორძიკ რომ მიიპარებოდა ცოლისკენ. ფერმიხდილი და იმგვარად დაძაბული და ყურადღებადქცეული. ეშინოდა თითქოს, არ დაეფრთხო დედაკაცი... ფრთხილად მიიწევდა აპოლო წინ და გზა-გზა თუმცა თავი აღარა ჰქონდა ამისა, ფიქრობდა მაინც... „დანაშაულია ცოლქმრობა, — ამგვარი რამ გაიფიქრა წეღან, ნინუცას რომ დაუსხლტა ფეხი და კუბოს ჩამოჰკრა შუბლი, მერე კი იქ მყოფთ რომ დარია შიშმა ხელი კუპრისფერი სისხლის დანახვისას, ფიქრს გაჰყვა: — კი მარა, ხალხი რაფერ უნდა გამრავლდეს, — ნინუცას სისხლს კი ყველაფერი გადაეშავებია ირგვლივ, — მასეა, აბა, დანაშაულია ცოლობა და ქმრობა. მამა ქი შეიძლება იყო ადამიანი, დედაც, მარა ცოლქმრობა დანაშაულია, ბოროტმოქმედებაა...“ და იმის მერეც მისეოდა ფიქრი აპოლოს, უფრო სწორად კი. სურვილს იხსენებდა, ოდესღაც არსებულსა და მივიწყებულს, რომელიც მხოლოდ აი. ამ წუთას გამხდარიყო საჭირო, თორემ მოგვიანებით, ისევე როგორც ადრე, ერთ დროს, ზედმეტ ბარგად იქცეოდა, მაგრამ ისე გახლდათ გონდაბურუსებული და არეული, ვერ გახსენებოდა ის მივიწყებული სურვილი და დაჟინებითა და თვალმოუცილებლივ გასცქეროდა იმ ადგილს, სადაც ნინუცა დამდგარიყო. ქალს უწინდელზე მომეტებულად გადმოსჩქეფდა კუპრისფერი სისხლი პირისახიდან და შუბლიდან, უფრო ხმამაღლაცა ჩხაოდა და ილეოდა და ილეოდა, ისე სწრაფად პატარავდებოდა, შიში დაეუფლა უცებ აპოლოს, არ გაქრეს, ვიდრე იქამდე მივიდოდეო და აჩქარა ნაბიჯი, გაუტია და აჰა, ნინუცას წინ შედგა... გაირინდა წამით დედაკაცი. ხოლო სოფელმა ერთმანეთის წინ დამდგარ ცოლ-ქმარს რომ მოჰკრა თვალი. პირი დააბჩინა გაოგნებისაგან — წელამდე ძლივსღა სწვდებოდა აპოლოს ცოლი, არადა, რაღა გადარევა უნდოდა იმ სოფელს, ისედაც კარგა დიდი ხნის დასაბმელი იყო, პატრონი რომ ჰყოლოდა...

ჰო, გაიტრუნა წამით ნინუცა. ხოლო ირგვლივ შემზარავი სიჩუმე ჩამოწოლილიყო — დუმილმა მოიცვა არემარე უმალ, როგორც კი ჩხავილი შესწყვიტა ქალმა, დუმდა ახლაც, მაგრამ აპოლოსთვის არ მიუქცევია ყურადღება. იქნებ ვერცა ხედავდა. ხოლო აპოლო შეზარა ცოლის დანახვამ: წვრილი, შავად ჩასისხლიანებული თვალები მიცვალებულისთვის დაესო ნინუცას, ცხვირი კი ისე სწრაფად უმახვილდებოდა, ნისკარტი უფრო იყო უკვე ფრინველისა და. შეეშინდა კაცს. თვალები არ ამოჰკორტნოს მიცვალებულსო და სხვა ველარაფერი რომ ვერ მოახერხა, საშინლად იბღავლა ერთი. ბღავილზე ქმარს გახედა ნინუცამ და ხტუნვა-ხტუნვით წავიდა მისკენ, აპოლოს კი ღიმილი მოადგა უცებ სახეზე და გადაიხარხარა. ყველამ დაინახა ღიმილი კაცისა და იმისი ხარხარიც ჩაესმათ, რა აცინებს, ამ ვირიშვილსო... — გაიფიქრეს ხოლო აპოლო, ცოლი მისკენ რომ მიხტოდა, ილიმებოდა ისევ, ის მივიწყებული სურვილი გახსენებოდა თურმე და როდი დაუყოვნებია, უეცრად ხელი აუქნია ნინუცას, იქ მყოფებმა წამით დაინახეს, როგორ შეხტა პატარა ტანის შავი არსება, ამის მერე კი სინათლე წაერთვა და თვალთ დაუბნელდა სოფელს. აერია და მიეთქვიფა ერთმანეთს ფერები და ყოველივე რეალური, წამის წინ რომ არსებობდა და, გონს როცა მოეგნენ და უნარიც დაუბრუნდათ ფე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რების ერთმანეთისაგან გარჩევისა, დაინახეს, გაღიმებული იდგა აპოლო ისევ. უცნაური რამ მომხდარიყო — წლები ჩამოსცილებოდა კაცს. სოფლის წინ ჭაბუკი იდგა ახლა. უკაშკაშებდა სახეცა და თვალებიც, მარჯვენა ხელი კი წელან წამის წინ რომ აუქნია ნინუცას, ჰაერში გაშეშებოდა, სოფელი მონუსხულ-ექსტაზხმინებებული შესცქეროდა აპოლოს, ვეღარ აცილებდა თვალს, ის კი იდგა ძეგლივით, თავი ზევით აეღერა, მარჯვენა, ხელი წინ გაეშვირა, გზას უჩვენებდა თითქოს ხალხს...

აწრიალდნენ ბოლოს იქ მყოფნი, უაზრო, გამორეცხილ-გამოლენჩებული თვალები მიმოატარეს აქეთ-იქით, ნინუცას დანახვა ეწადათ, მაგრამ არა, აღარსად იყო დედაკაცი და როგორღა დალანდავდნენ. გამქრალიყო თითქოს უკვალოდ და უცებ ყრანტელმა დაარღვია ყვავისამ ირგვლივ ჩამოწოლილი ამაზრზენი სიჩუმე, ხოლო ხალხმა აპოლოს მზერას ააყოლა თვალი, აღერეს კისრები ზევით და მტრისას, რაც იმათ დაინახეს: ჰაერში უზარმაზარი შავი ყვავი დაფრინავდა, ფართოდ იქნევდა ფრთებს და ჩამოჰყრანტალებდა ჩამოჰყრანტალებდა გონარეულ სოფელს, იქაურობას კი ყვავის სახსენებელი არ სმენოდა იმ დღემდე და ხალხი კარგა დიდხანს იყურებოდა ზევით...

ხოლო ნინუცა აღარსად ჩანდა და დაკრძალვაზე მისულნი თანდათან მოდიოდნენ გონს, ტვინს უბურღავდა ადამიანებს შემზარავი სიმართლე, რომელსაც აგერ ახლახან ჩასწვდნენ: ნინუცა იყო ის ყვავი, ძალუმად რომ იქნევდა ფრთებს და სოფელს დასჩხაოდა ავისმომასწავლებლად, უფრო სწორად, ეგ ყვავი გახლდათ ოდესღაც ნინუცა... მერე კი. აბა, მკვდარს დაუმარხავად ხომ არ დატოვებდნენ, სასაფლაოსაკენ დაადგა გზას სამგლოვიარო პროცესია: სიჩუმე დასადგურებულიყო ირგვლივ დაძაბული. შემზარავზე შემზარავი და ასდევნებოდა სოფელი თომას კუბოს. ხმას ვერ ძრავდა კაციშვილი, ჰოი, რარიგ დაძაბულიყვნენ და დამუხტულიყვნენ. ჰა და ჰა. საცაა ყვავის ყრანტალს გავიგონებთო, თანაც ერთიმეორეს ათვალიერებდნენ დიდის ამბით, განსაკუთრებით მამაკაცებს ასტყდომოდათ თვალთაცეცება. დიაცთათვის ვერ ჩამოეცილებინათ მზერა, ერთიდან მეორეზე გადაჰქონდათ და ქალებიც უნდობლადა და ეჭვის თვალით შესცქეროდნენ ერთურთს — ნინუცას დაეძებდაყველა. მაგრამ ამაოდ, ქალი აღარსად ჩანდა და ცუდუბრალო ცეცება რომ გადაჰქანცავდათ თვალებისა. აპოლოს გადახედავდნენ შემდგომ, ის კი მიაბიჯებდა განმარტოებითა და თავდაჯერებულად, ხოლო ღიმილი, რომელიც წელან დასტყობოდა სახეზე, აი, მაშინ, ის მივიწყებული სურვილი რომ გაახსენდა, ჯერაც არ ჩამოსცილებოდა, მაშინდებურად უკაშკაშებდა თვალებიცა და სახეც, გაახალგაზრდავებული გამოიყურებოდა, გამოიყურებოდა კი არა, დასანიშნი ბიჭი იყო, ოციოდე წლისა და დასათხოვარ გოგოებს, თომას კუბოს რომ ახლევნებოდნენ, რომ არა სცოდნოდათ იმისი ვინაობა, ელეთმელეთი დაზაფრავდათ სიყვარულისა. მიაბიჯებდა მსუბუქად, მძლავრი, ლაღი ნაბიჯი მისცემოდა, გამარჯვებული ადამიანი ბრძანდებოდა ამჟამად. მტერი აღარა ჰყავდა, მოსწრებოდა იმის სიკვდილს და ცოლიც ხომ აღარ შეაწუხებდა აწი აღარასდროს...

არ ვიცი, გიგრძვნიათ თუ არა ოდესმე უტიფრობა და თავხედობა გამარჯვებული ადამიანისა. შესაძლოა, არც ჩაფიქრებულხართ ამაზე არასდროს. ნურც ჩაფიქრდებით, თუ გნებავთ, მე კი მიგვრძნია და ძალზე ხშირადაც...

ჰო, გაეუტიფრებია და გაეთავხედებია გამარჯვებას აპოლო, თუმცა კაციშვილი ვერ შეამჩნევდა ამას თანასოფლელთაგან; სად ჰქონდათ იმათ საამისო დაკვირვების უნარი, მოჯადოებულნი ბრძანდებოდნენ აპოლოთი... და, აი, ისევ ჩამოისმა ყვავის ყრანტალი. ის უზარმაზარი კუპრისფერი ყვავი, უხმოდ დაჰფრენდა თურმე ჰაერში იმ პირველი ჩამოყრანტალების შემდგომ, სასაფლაოს კარიბჭეს რომ მიატანეს, მაშინ ჩამოსჩხავლა ხალხს და ყურადღება რაღაი მიიქცია სოფლისა, როგორც თავები აღერეს ზევით, ხმა გაკმინდა, დაბლა დაეშვა, ორიოდ ირაო შემოხაზა და აჩხავლდა, თავზე დაჰფრენდა ადამიანებს და ყრანტალებდა შემზარავად, ხალხს კი ცივი ცახცახი უვლიდა ტანში, იმ ხმას რომ ისმენდა. მიხვდებით ალბათ, ფერიც რომ წართმეოდა სახისა სამგლოვიარო პროცესიას.

მხოლოდ აპოლო მიაბიჯებდა კვლავაც ძველებურად, ისე ირჯებოდა, თითქოს არც ესმოდა ყრანტალი უზარმაზარი ყვავისა, რომელიც ისე ახლოს დაფრინავდა ხალხის თავზე, ჰაერის რხევასაც გრძნობდნენ იმისი ფრთების ტყლაშუნ-ქნევისას და ბოლოს გაუჩინარდა ფრინველი...

შემდგომ კი უმალ ამოავსო თომას სამარე მიწამ, ჩქარობდნენ, ის კი არ იცოდნენ, რომ გათენდებოდა ერთი დღეც და მკვდრეთით აღსდგებოდა თომა, კვლავაც ჩვეულებრივ ჩამოუვლიდა სოფელს, დაიგიჟებდა ათიოდე ოჯახს და დაუჯერებელს დაადასტურებდა — ურწმუნობა რომ ყოფილა თურმე მძლეთამძლე... როგორც საფლავის ბორცვი ამოიზიდა, ღვინო შეასხურეს თუ არა სამარეს და წასვლას აპირებდნენ სასაფლაოდან, ჩხავილი გაიგონეს ყვავისა, ძალიან ახლოს ყრანტალებდა სადღაც და მიმოიხედეს ირგვლივ... ის კი ჩხაოდა განუწყვეტლივ, ავისმაუწყებლად, გაბოროტებითაც და, როგორც იქნა, შეამჩნიეს ბოლოს: მახლობელი ხის კენწეროს შემოჯდომოდა აყრანტალებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავი, ხოლო ტოტი, რომელზეც ჩამოსკუპებულიყო, იდრიკებოდა იმისი ტანის სიმძიმით, ირწეოდა და ფრინველიც ქანაობდა ხის კენწეროსთან ერთად, თან ყრანტალებდა და ყრანტალებდა შეუსვენებლივ, ჩამოსჩხაოდა სახტად დარჩენილ ადამიანებს, ერთდროულად რომ დაუფლებოდათ შიშიცა და გაოცებაც, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, გამოლენჩებულებს ედარებოდნენ-მეთქი, ისე უაზროდ და სულელურად გადმოეკარკლათ არაფრისმთქმელი თვალები და, რაც მთავარია, ერთმანეთს ჩამოჰგავდნენ მაშინ ყველანი, მზერას ვერ სწყვეტდნენ აჩხავლებულ ფრინველს, ნისკარტს იმისას თუ ბოროტად აკვესებულ თვალებს...

აპოლო იღიმებოდა მხოლოდ და ხალხმა ყვავიდან კაცისაკენ გადაიტანა მზერა, იგრძნო უმალ აპოლომ, მე მიყურებენო და იმ ხისაკენ გადადგა ნაბიჯი, რომლის კენწეროსაც შემოსკუპებოდა ვეება შავი ყვავი, მიდიოდა ლამაზი რხევა-რხევით, იკეკლუცებდა ყმაწვილურ ნაბიჯს და შესცქეროდნენ თანასოფლელნი, ისსხებოდნენ უფრო და უფრო, მოჯადოებულიყვნენ ისე აპოლოს გარეგნობით, აზროვნება აღარ ძალუძდათ და, აი, მივიდა იმ ხემდე, შეჩერდა და მერე უკან დაიხია, უკეთესად რომ შეეხედა ფრინველისათვის, ყვავმა კი, აპოლო რომ მიაჩერდა, უცებ შესწყვიტა ჩხავილი: სიჩუმე დასწოლოდა სასაფლაოს, შესაფერისზე უფრო უარესი და ერთიმეორეს შესცქეროდნენ ყვავი და კაცი, აპოლო იღიმებოდა ისევ და ისევ და ასცქეროდა აკაშკაშებული, კმაყოფილი და უბედნიერესი, ყვავი კი სისხლიანი თვალებით ჩამოსცქეროდა კაცს, ჩასწითლებოდა გუგები და ირგვლივ მყოფნი ფიქრობდნენ, ხედავ, სისხლი გასწითლებიაო.

გაბოროტებული რომ იყო ფრინველი, არ გახლდათ ძნელი შესამჩნევი და აი, აპოლომ მეტისმეტი მოინდომა, გამარჯვებული ადამიანის შესაფერისად, ქალის ყვავად გადაქცევა როდი იკმარა, გადაწყვიტა, დავაფრთხობ ფრინველსო და აღარც დაუყოვნებია, მარჯვენა ხელი აუქნია, ხოლო ყვავი შურდულივით ჩამოსწყდა უცებ ხის კენწეროს, ყრანტალ-ჩხავილითა და ფრთების ტყლაშუნით დაეშვა კაცისკენ. აპოლო, არაფრით რომ არ მოელოდა სოფელი, შეკრთა, უფრო მეტიც, დაფრთხა საშინლად და ლაჩრული საქციელი ჩაიდინა ხალხის თვალწინ, მიტრიალდა უეცრად ფერწასულ-აცახცახებული, უაზროდ გადმოეკარკლა თვალები, პირი დაეღო შიშისგან და ხალხისკენ გაიქცა... ყვავმა მისდია ერთხანობას, არა ჩქარობდა, ორიოდე მეტრის სიმაღლიდან დაჰფრენდა კაცს, ჩამოსცქეროდა ბოროტად აგიზგიზებული სისხლიანი თვალებით და დასჩხაოდა და დასჩხაოდა შემაძრწუნებლად. ხალხი მოჯადოებულიყო და დამფრთხალიყო კიდეც, შეხცქეროდნენ იქ მყოფნი ყვავსა და კაცს და ყველაფერს თვალნათლივ ხედავდნენ, რაც იქა ხდებოდა მაშინ: შეამჩნიეს, ბეჭებში წაიხარა აპოლო სირბილის დროს, ისიც დაინახეს, თმა და ულვაში რომ გაუთეთრდა ერთიანად უეცრად, ერთი ღერი შავიც აღარ ერია, მათ თვალწინ, სირბილშივე მოტყდა და ჩამოხმა, მობერდა, დაუნაოჭდა შემზარავად და ღარებით აევსო შუბლი და სახე... ხალხს შეერია მერე აპოლო, ყვავი კი იმ ხის კენწეროს დაუბრუნდა ისევ. აღარ ჩხაოდა ამჯერად, ჩამოსკუპებულიყო აქანავებულ ტოტზე და თვალს არ აცილებდა ადამიანებს, გამომწვევად შესცქეროდა, ისინი კი ხან აპოლოს გადახედავდნენ და ხანაც ყვავს ახედავდნენ. აპოლოს ნაცვლად სხვა ვიღაც დამდგარიყო მათ შორის, ერთთავად გაჭაღარავებული, სახედაღარული, წელში წაკუნტული, მიხრწნილ-გადაყრუებულ-გასავაკეთბულ-უსუსური ბერიკაცი; ყვავს კი ბოროტად აჰკვესებოდა თვალები, მერე მზერა აარიდა ხალხს, თომას სამარეს მიაჩერდა და ისევ მიცვალებულის საფლავთან გარინდულ, თავგზადაკარგულ სოფელს შეხედა, დაიყრანტალა ერთხელ კიდევ, უფრო საზარლად დაიჩხავლა ამჯერად და მაშინვე მოსწყდა ხის კენწეროს.

დაფრთხა ხალხი უარესად, გაქცევა სურდათ, მაგრამ ყვავი თომას საფლავის ბორცვზე დასკუპდა და ამიტომაც არ გაქცეულან. ხუთიოდე ნაბიჯი აშორებდა ფრინველს ადამიანებისაგან, დასკუპდა თუ არა, ხალხს გაუყარა თვალი თვალში ყვავმა, ჭკვიანური მზერა ჰქონდა იმ დროს, საოცრად ადამიანური, შურისძიების წყურვილით ანთებული და სოფელმა დამნაშავესავით დახარა თავი, ვერ გაუძლო მზერას ფრინველისას. სამჯერ თუ ოთხჯერ მიაჩხავლა იქ შეკრებილთ ყვავმა და დაინახეს, როგორ დაასკინტლა ჯერ კიდევ ცბილ სამარეს, ისევ რომ ასდიოდა ნედლი მიწის სუნი, ბოლოს კვლავ შეავლო სისხლიანი მზერა ადამიანებს და აფრინდა, ზედ თავზე გადაუფრინა. ჩამოსჩხავლა ერთი ზემოდან. ისინი კი ასცქეროდნენ ხმის ამოუღებლად, იქამდე, ვიდრე ყვავი არ გაუჩინარდა, მერეღა მოეგნენ გონს და ყველამ ერთდროულად გადადგა ნაბიჯი თომას სამარისაკენ: დაკვირვებითა და ყურადღებით დახედეს სკინტლს ყვავისას, აინტერესებდათ, ადამიანის ნამოქმედარი ხომ არ არისო, მაგრამ არა, ქათმისას ჩამოჰგავდა...

გული გაუწვრილა მერე იმ ვეებერთელა კუპრისფერმა ყვავმა სოფელს... გზას რომ დაადგნენ სასაფლაოდან უკან, სოფლისაკენ, სიტყვას ვერ სძრავდნენ, ერთმანეთის შეხედვისა ერიდებოდათ, მიდიოდნენ დამნაშავეებივით, ბოროტმოქმედებს დამსგავსებოდნენ და სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა ყოველი იმათგანი, დროდადრო აპოლოს თუ გადახედავდნენ, რომელიც ხმის ამოუღებლად მიფრატუნობდა, მისუსტებული და სულ რაღაც ათიოდ წამში, ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ხალხს შეერეოდა წელან. ყვავი რომ აედევნა, მიხრწნილ ბერიკაცად ქცეული...

ერთმანეთს არ დამშვიდობებიან, ისე დაიშალნენ და წავიდნენ თავიანთი სახლებისაკენ, საფიქრალს მინებებოდა თავისას ყველა იმ დროს, მხოლოდ აპოლო არ ფიქრობდა არაფერს, დაჰკარგოდა ეგ უნარი.

ადრე მიაკითხა ლოგინს დასაძინებლად იმ საღამოს აპოლომ და დარწმუნებული რომ იყო, თეთრად დამათენდება ამაღამდელი ღამეო. პირიქით მოხდა. როგორც კი თავი მიდო ბალიშზე, უცებვე მიულულა ძილმა თვალი: ღრმა ძილით ეძინა და, აი, უთენიაზე ჩხავილმა გამოაღვიძა ყვავისამ, უმალვე გამოახილა თვალი, მაგრამ გონს ვერ მოგებულიყო ვერაფრით, იწვა თვალგახელილი და განუწყვეტლივ ჩაესმოდა შემზარავი ხმა ჩხავილისა...

ნინუცას საწოლს გადახედა ჯერ, აზრი რომ მოიკრიბა და ცოლის ლოგინის დანახვამ გუშინდელი დღე გაახსენა უცებ. ამოიოხრა ღრმად, აუცახცახდა ტუჩები, ნერვულად აუთრთოლდა სხეული და საბანი გადაიფარა თავზე. როგორმე რომ გაჰქცეოდა სინამდვილეს, ეგება არ გავიგონო შემზარავი ჩხავილიო. მაგრამ არა, ჰეშმარიტებას როგორ დაემალებოდა — ყრანტალის ხმა ჩაესმოდა ისევ, ბოლოს კი იაზრა, ვიდრე არ წამოდგებოდა და ეზოში არ გავიდოდა არაფრის დიდებით არ შესწყვეტდა ფრინველი თავისას და ტანთ გადაიცვა. მუხლების ცახცახით გავიდა ოთახიდან, ბეჭებში წახრილი, მისავათებული, როგორც კი კიბე ჩაათავა. სიჩუმე ჩამოვარდა: ირგვლივ, ამაზრზენი: თითქოს ავისმაუწყებელი დუმილი და შიში იგრძნო აპოლომ. იმ სამარისებური სიჩუმისაც შეეშინდა და მარტოობისაც რომლისთვისაც გახლდათ განწირული სიბერის ჟამს, მაშინ, როცა მომვლელ-მიმხედვარი და მზრუნველი ესაჭიროებოდა ისე, როგორც არასდროს...

კიბის საფეხურზე ჩამოჯდა აპოლო. თავბრუ ეხვეოდა და თვალები ეხუჭებოდა სისუსტისაგან. მერე, როდის-როდის იყო, გაახილა თვალი მიმოატარა მზერა. აქეთ-იქით, ხეთა კენწეროებს შესცქეროდა, ყვავისთვის სურდა მოეკრა თვალი, თანაც შიში ჰზარავდა და აკნინებდა, მაგრამ სურვილი დიდი იყო მაინც, თუმცა ფრინველს ვერ ხედავდა და როდესაც ამოუვარდა ფიქრიდან ის, რაც სურდა, ჩხავილი ჩაესმა უცებ, მაგრამ წელანდელივით ამაზრზენი არა ყოფილა, თითქოს რაღაცას ევედრებოდა ფრინველი, უფრო კი ტირილს ჩამოჰგავდა ხმა ყრანტალისა და აპოლომ დაინახა ის უზარმაზარი შავი ყვავი, მახლობელი ხის კენწეროზე დასკუპებულიყო და კუპრისფრად ბზინავდა დილის მზეზე, ხოლო თვალები ჩასევდიანებოდა.

დიდხანს შესცქეროდნენ ისინი ერთიმეორეს, მერე და მერე კაცმა შეამჩნია, თავიდან ეგონა, მომეჩვენაო, მაგრამ დაკვირვებით რომ შეათვალიერა, მიხვდა, არ სტყუვდებოდა, თვალები ცრემლით ავსებოდა ყვავს და კაცსაც აუჩვილდა გული. იმასაც კურცხალი მოადგა, ძლივს და სუნთქავდა ახლა იგი. თავბრუც ხომ ეხვეოდა კვლავაც და სისუსტესაც გრძნობდა შესცქეროდა თვალმოუცილებლად ხის კენწეროზე შემოსკუპებულ უზარმაზარ დანაღვლიანებულ ფრინველს, რომელსაც ცრემლი მოსდგომოდა თვალზე და ველარაფერს ფიქრობდა, უნარი დაჰკარგვოდა აზროვნებისა, ოღონდაც ერთი კია, მზერას ვერ სწყვეტდა ხის კენწეროსა და ყვავს და ფრინველიც ჩამოსცქეროდა დასევდიანებული.

მობეზრდა ბოლოს კაცს ყვავის მზერა. წამოდგა გაჭირვებით. გაატკაცუნა გამხმარი, ბებრული ძვლები და მხრების ცახცახით აათავა კიბე, ოთახში შევიდა. სიჩუმე იდგა ერთხანობას კიდევ, ხოლო შემდგომ ჩხავილი გაისმა ისევ, შემზარავად ყრანტალებდა ყვავი, დილანდელსავით ამჯერადაც და კაცი ველარსად დამალვოდა იმ ხმას. ტანჯვა-წამებამ წაილო აპოლოს მარტოობის ის პირველი დღე, როცა კი გავიდოდა კარში, მაშინ თუ შესწყვეტდა ყვავი ყრანტალს და თვალებსაც მყის ჩაინაღვლიანებდა. მერე და მერე ყვავის ყრანტალ-ჩხავილმა აავსო აპოლოს დღეებიცა და ღამეებიც: დღისით მართლაც ჩხაოდა ფრინველი, ღამღამობით კი აპოლოს ყურებში რჩებოდა ის ხმა და ჩაესმოდა გათენებამდე...

მარტოოდენ აპოლოს ღამეები და დღეები კი არა, სოფლისაც ყვავის ყრანტალს დაესაკუთრებია: ხან ვის ეზოს ჩამოუსკუპდებოდა ხის კენწეროზე, ხან ვისას და ჩამოსცქეროდა იქ მყოფთ, ზოგჯერ გაბოროტებოდა და ჩასისხლიანებოდა თვალები, ხანაც ჩანაღვლიანებოდა და ყოველთვის საზიზღარი და ამაზრზენი იყო...

ხოლო აპოლო ხოფლის საპატრონო და თავშისაცემი გამხდარიყო, იმისი რუკები კი კვლავაც გასავალში იყო, სოფელი ნაბიჯს არ გადადგამდა ამჯერადაც ისე, რუკაზე რომ არ შეეთვალიერებია წინასწარ ის ადგილი, სადაც აპირებდა წასვლასა თუ საქმიანობას და სწორედ იმ რუკების მიზეზით პატრონობდა ხალხი აპოლოს — მორიგეობა დაეწესებიათ გლეხებს და ხან ერთ მეზობელს გადაჰქონდა საჭმელი ბერიკაცთან, ხანაც მეორეს. მადლიერი იყო აპოლო სოფლისა, გული აუჩვილდებოდა წამსვე, როცა ვინმე გადააკითხავდა, აჩიფჩიფდებოდა მადლობის ნიშნად ბებრულად და ცრემლიც წამოსცვივდებოდა... მთავარი კი ის გახლდათ, რომ მერეც, მარტოდმარტო დარჩენის შემდეგაც, წამოუვლიდა ხოლმე სურვილი თუ ჟინი რუკების ალერსისა, მაგრამ ძალზე ძნელი გამხდარიყო ამგვარი, ერთი შეხედვით თითქოსდა უბრალო რამ: რუკებს რომ მიუახლოვდებოდა, იგრძნობდა როგორღაც და იმწუთ

ჯუმბერ ტიკარაძე

სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავე გამყივანი ხმით აჩხავლდებოდა გაბოროტებული ყვავი. უნდოდა ყურადღება არ მიექცია, როგორმე შეძლებდა ამას ალბათ აპოლო, მაგრამ ყვავი უარესად ბოროტდებოდა იმ დროს, როცა არაფრად აგდებდა კაცი და გულმკერდით აწყდებოდა სარკმელს. განრისხებული ეტყლაშუნებოდა მინას და აპოლოსაც მეტი რაღა გზა ჰქონდა, უნდა შეშვებოდა რუკებს, მხოლოდ ღამღამობით თუ შეეძლო რუკებთან განმარტოება. ეტყობოდა, ღამით ვერაფერს ხედავდა ყვავი, მაგრამ კაცს სმენაში გასჯდომოდა იმისი ხმა...

ყვავის ხან გაბოროტებულ, ხანაც დანაღვლიანებულ, მაგრამ მაინც ნიადაგ შემზარავსა და ტანჯვისმომგვრელ მზერასა და გამუდმებულ ყრანტალ-ჩხავილს დაესაკუთრებია აპოლოს არსებობა მთლიანად, იმისი დღეებიცა და ღამეებიც და ისეთი პირი უჩანდა, საეჭვო აღარ გახლდათ უკვე, მის სიცოცხლესაც შეიწირავდა მსხვერპლად, თუმც ღამეს მაინც მოჰქონდა ხოლმე ხალისისმაგვარი რამ აპოლოსათვის, ოდნავი, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც შვება, უფრო კი იმ მცირე მონაკვეთს დროისას, რუკებთან როცა დაფუსფუსებდა ღამ-ღამ, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, წამება იყო ისიც, ალტაცებასა და წამიერ აღფრთოვანებას, რომელიც რუკებით გახლდათ გამოწვეული, კვლავ მარადიული ყრანტალი ანელებდა და აფერმკრთალებდა ყვავისა, სივრცეს რომ შერჩენოდა...

სოფელსაც როდი დასდგომოდა აპოლოზე ნაკლები დღე, რაც დრო გადიოდა, მით უფრო თავზედდებოდა და თამამდებოდა ყვავი: ყოველი მოსახლის ეზო-კარმიდამო გაიხადა სანავარდოდ თუ სასპარეზოდ, აღარც შიში ჰქონდა ვინმესი და არც რიდი, კაციშვილს არ ეპუებოდა, საცა მოისურვებდა, იქ ჩამოიჩხავლებდა და ჩამოასკინტლავდა, განსაკუთრებით კი ჩაფიქრებულ ადამიანს რომ დაინახავდა, აი, მაშინ იყო იმისი ზეიმი, უხმაუროდ მიფრინდებოდა, ჩქამიც არ ისმოდა ფრთების ტყლაშუნისა და დააჩხავლებდა თავზე...

ხოლო აპოლო ჩამოდნა და ჩამოხმა, მეზობლები ზრუნვას არ აკლებდნენ თუმც, მაგრამ მაინც აღარაფერი შველოდა, არც რუკებისა თუ გეოგრაფიის სიყვარული და არც პატივისცემა სოფლისა... ჩააფიქრა ღრმად და ჩაანაღვლიანა იმისმა მდგომარეობამ სამეზობლო და ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდგომ, საშველი რომ აღარ დაადგა თავჩაღმართუკუღმართ ბედს აპოლოსას და ის ყვავიც გათამამდა უფრო და უფრო, ამგვარი რამ გადაწყვიტა სოფელმა — მოდით და, რაც იქნება, იყოს, ამაზე უარესი დღე ხომ არ დაგვადგება, ყვავი მოვკლათ, ეგებ აპოლოსაც დაადგეს საშველი და ჩვენი საქმეც წაღმა წავიდესო, შურისძიება განიზრახეს. თუმც შიში კი ჰქონდათ ყვავისა თავიდან, მაგრამ შემდგომით შემდგომ, ზედმეტები რომ წამოიწყო ფრინველმა, ამას როგორღა აპატიებდნენ, როცა ყვავს კი არა, თომას არ დაუთმო არაფერი სოფელმა, რატომღაც თავიანთ დამსახურებად მიაჩნდათ იმ კაცის სიკვდილი გლეხებს...

იქამდე, ვიდრე ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, კაციშვილი არ სცემდა უბატონოდ ხმას ყვავს და, აი,, ერთი დილაც გათენდა და რომელ მოსახლესაც კი ჩამოაჩხავლა, ხელი აუქნიეს ყველგან და აბა, ფრინველს რას გამოაპარებდი, აშკარა იყო, დაფრთხობა მოეწადინებია მისი, ჰოდა, თავადაც ჩაუდგა სოფელს კრიჭაში, უარესი ჩხავილი ატეხა, ნინუცასავით ჭინიანი და თავისნათქვამა ყოფილაო, ერთმანეთს უთხრეს გლეხებმა, მაგრამ სოფელს გადაეწყვიტა უკვე რაღაც უნდა დასჯდომოდა, თავი დაეხსნა ფრინველისაგან და სიტყვას როგორ გადათქვამდნენ, როცა იმ უკუღმართ თომას არ შეპუებოდნენ, ეს კი, თუმცა უცნაური არსება გახლდათ — მნიშვნელობა არა ჰქონდა, ადრე ვინ ბრძანდებოდა — ერთი უბრალო ყვავი იყო მხოლოდ და ხელის აქნევაზე რომ არ დაფრთხა და მაინც განაგრძო ჩხავილი, ერთი კი ჩაფიქრდნენ ადამიანები, რა ვილონოთო, მაგრამ უმალვე მიადგნენ გამოსავალს, მოაზროვნე არსებანი იყვნენ რადგან, ადგნენ და ქვა ესროლეს უზარმაზარ, აჩხავლებულ კუპრისფერ ყვავს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, უარესი დღე დააწია იმან გლეხებს, ყრანტალ-ჩხავილიც აი იმას ერქვა, ყურთასმენა კინაღამ წაერთვა სოფელს...

მიაკითხავდა რომელიმე სამოსახლოს ყვავი და ჩამოიჩხავლებდა თუ არა, ესროდნენ უმალ ქვას, ის კი ისე მოხერხებულად აიცილებდა, გაოცებას იყვნენ ფრინველის ჭკუამახვილობით, მოკლედ, ვერა დააკლეს რა, ვერც ხელის აქნევით და ვერც ქვით: ხუთიოდე დღე გაგრძელდა ამგვარი ყოფა სოფლისა და ყვავისა, სადაც უფრო ემტერებოდნენ, სწორედ იმათ არ აძლევდა საშველს ფრინველი, ჩამოუსკუპდებოდა ეზოში ხის კენწეროზე და ჩხაოდა და ჩხაოდა შეუსვენებლივ და შემზარავად, თანაც ქვას როცა ესროდნენ, ყრანტალს როდი სწყვეტდა მსუბუქად გადასკუპდებოდა სხვა ადგილზე, სოფელს კი ნერვები დაეჭიმა, მკლავიც მოეღალა იმდენი ტყუილუბრალო ხელის აქნევითა და ქვის სროლით და გულიც ხომ გაუწვრილა და დაუმძიმა ყრანტალ-ჩხავილმა, დილიდან საღამომდე რომ გაისმოდა შეუსვენებლივ...

მარტოოდენ აპოლოს არ აკითხავდა იმ დღეებში ყვავი და არ არის ძნელი მისახვედრი რატომაც, არც ხელი აუქნევია იმას და არც ქვა უსვრია, ისე გახლდათ მისუსტებულ-მიკნავებული, აბა, ამისი თავი როგორღა ექნებოდა, ის არ ვიცი, რომ შესძლებოდა, როგორ მოიქცეოდა მაშინ და, ცოტა არ იყოს, მოისვენა იმ დღეებში აპოლომ, თუმცა ყრანტალი მის სახლამდეც აღწევდა გაბოროტებული ყვავისა, მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ ახლოში არ ისმოდა და ოდნავი შვება იყო მაინც...

ამათ ხელის აქნევამ და ქვის სროლამ რომ მოჭქანცა სოფელი, საგონებელს ჩავარდა, როგორმე უნდა ეხსნა თავი ყვავისაგან. და, აი, გაახსენდათ მამაკაცებს, სანადირო თოფები რომ ჰქონდათ და გახარებულებმა იტკაცეს ხელი შუბლზე, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეთ ესათ და ალაჭურვნენ ერთ დღესაც. აისხეს თოფ-იარაღი, ბავშვებმა კი შურდულები მოიმარჯვეს: იმ დილით აპოლონს ეზოს ეწვია პირველად ყვავი, ჩამოჯდა უთენიაზევე ხის კენწეროზე და დაუწყო ლოდინი, როდის გამოჩნდებოდა კაცი, ბოლოს საშველი რომ აღარ დაადგა აპოლონს გამოღვიძებას, დაიჩხავლა. ოღონდაც გაბოროტებულმა კი არა, სინაზე გაურია ხმაში, სევდა ჩაჭგუბებოდა თვალებს ფრინველისას...

ყვავის ხმა გაიგონა თუ არა, აღარ დაუყოვნებია, უმალვე კარში გამოვიდა აპოლო და როგორც სჩვეოდათ ხოლმე, თვალი თვალში გაუყარეს ერთიმეორეს, ორივ ერთმანეთზე უარესად დასევდიანებულიყო, ფრინველიცა და ადამიანიც, ბოლოს, ერთმანეთის მზერამ როცა მოჭქანცათ, იქამდე ორივეს აუცრემლდა თვალები, ერთი კიდევ ჩამოიჩხავლა ყვავმა, დაბალ ხმაზე, თითქმის სათუთადაც, სინაზე გამოხატა, რაღა თქმა უნდა, ამფთი, ხის კენწეროს მოსწყდა მერე უხმაუროდ და ვიდრე ეზოდან გაფრინდებოდა, სამჯერ შემოხაზა ირათ აპოლოს თავზე და მხოლოდ ამის მერე აიღო გეზი სამეზობლოსაკენ...

გამოეპარათ ყვავის გამოჩენა იმ ეზოში, სადაც პირველად მიფრინდა, ხის კენწეროდან რომ ჩამოიჩხავლა, აი, მაშინღა მოეგნენ გონს, გაუბრწყინდათ თვალები სიხარულისაგან და სავსე თოფი შეაყენა ფეხზე ოჯახის უფროსმა, ფრინველი კი ყრანტელებდა, თანაც ჩასისხლიანებულ თვალებს არ აცილებდა კაცს, რომელსაც თოფი მიეშვირა მისკენ და გატრუნულიყო: გამომწვევად შესცქეროდა ყვავი თოფმომარჯვებულ კაცს, თან ყრანტალს განაგრძობდა და ჩახმახს გამოჭკრა თუ არა თითი იმ კაცმა, ადგილი შეინაცვლა ყვავმა, თოფიც სწორედ წამსვე დაიცალა. სროლის ხმა რომ გაისმა, უფრო გაბოროტებითა და ზრაზით დაიყრანტალა ფრინველმა, თოფიანი კაცი და იქ მყოფნი გაოგნებულები შესცქეროდნენ, მერე ხელახლა დატენა თოფი კაცმა და კვლავაც იმგვარი რამ განმეორდა — ყვავმა ადგილი შეინაცვლა და ხმაც გაისმა თოფისა, ყრანტალსაც არ დაუყოვნებია, დაცინვით დაიჩხავლა თითქოს ყვავმა და ესეც არ იკმარა, ჩამოასკინტლა ხის კენწეროდან, მერე აღარც განძრეულა, ჩხაოდა და ჩხაოდა შემზარავად, თან თვალი თვალში გაეყარა თოფმომარჯვებული კაცისათვის, ადგილის შეცვლასაც აღარ კადრულობდა, გაჟარდებოდა თუ არა თოფი, სკინტლი სცვიოდა ხის კენწეროდან, აცილებდა დაშინებულებდა ის კაცი და ბავშვებიც ვერას გამხდარიყვნენ, ამაოდ ისროდნენ ქვას შურდულით, ვერც ტყვია აღწევდა მიზანს და ვერც ქვა...

სხვები კი, სამეზობლოზე ვამბობ, იმ დროს თოფის ბათქაბუთქი რომ ისმოდა და ჩხავილი ყვავისა, თავიანთ ეზოებში დამდგარიყვნენ იარაღასხმულნი და ვერა და ვერ მოსულიყვნენ გონს, რა ხდებოდა: დიდებულ მონადირედ ითვლებოდა ის კაცი, რომლის ეზოდანაც ატანდა სროლის ხმა, ბოლოს კი ის გლეხი არაქათგამოცლილი ჩამოჯდა მიწაზე და თოფი მოისროლა გაჯავრებულმა. ხოლო ყვავმა იგრძნო დამარცხება ადამიანისა, ჩამოაყრანტალ-ჩამოასკინტლა რამდენჯერმე ხის კენწეროდან, სხვა ეზოსაკენ გაფრინდა მერე და იქაც მსგავსი ამბავი განმეორდა: შესცქეროდა ყვავი თვალმოუშორებლად ხან კაცებს და ხანაც ბავშვებს და როცა მიზანს აცილდებოდა ტყვიაცა და ქვაც, დაიყრანტალ-დაიჩხავლებდა და სკინტლიც აღარ აყოვნებდა, სცვიოდა... გადაიქანცა იმ დღეს სოფელი და ნერვებიც ხომ დააწყდა, მაგრამ ყვავს ვერა დააკლეს რა. ყველა აცილებდა მიზანს, მზერა აჯადოებდათ ფრინველისა, იმისი სისხლიანი, ბოროტად აგიზგიზებული თვალები, ვერა და ვერ ისროდნენ ისე, როგორც სჩვეოდათ საერთოდ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ურიგო მონადირენი როდი ყოფილან იქაურები...

ხოლო საღამოს, როგორც კი შებინდდა, უხალისოდ და უნდილად გადაყლაპეს ლუკმა ისე გახლდნენ არაქათგამოცლილ-მისავათებულნი. ლოგინებამდე ძლივსღა მიაღწიეს და გაგორდნენ თუ არა, ხვრინვაც გაისმა უმალვე მათი...

ცუდად ეძინა იმღამ სოფელს, ბორგავდა და კვნესოდა ძილში გაბოროტებული, და ყვავის ყრანტალიც ისე ჩაესმოდათ მძინარეთ თითქოს მაშინაც დასჩხაოდათ თავზე..

ასლი და განმეორება იყო მეორე დილაც წინასი და მთელი დღეცა და ღამეც.. მას შემდგომ ნახევარ თვეს მაინც გაისმოდა სოფელში თოფის ბათქაბუთქი და ყრანტალ-ჩხავილი ყვავისა, იქაურობა კი თოფის სათანტისა და წამლის სუნს გაეჯერებინა, იფიქრებდი, მტერს ერკინება იარაღასხმული სოფელიო, მაგრამ ამაო და ფუჭი გამოდგა გლეხების მონდომება, ვერაფერი დააკლოთ გათამამებული ფრინველისათვის, თავად ისინი კი ადამიანებს აღარა ჰგავდნენ, გადაღლილით ხომ გადაღლილიყვნენ, ამას კიდევ მოევლებოდა როგორმე, მაგრამ ნერვები აღარ უვარგოდათ არაფრად და წარამარა იგინებოდნენ კაცები. ზოგჯერ მთლად უმიზეზოდა და უმისამართოდ, ქალებიც როდი აკლებდნენ ბელს წყევლა-კრულვას, მოკლედ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი სოფელს აღარ ჰგავდა იმ ხანებში, საგიჟეთიდან გამოქცეულებს დადარებოდნენ.

ხოლო ყვავი დიდებულად გრძნობდა თავს, დასცინოდა და ამასხარავებდა ადამიანებს, აღარ სწყდებოდა ბათქა-ბუთქ-ყრანტალ-ჩხავილ-წყევლა-გინება და გლეხებს, მეტი ძალა აღარ იყო, დამარცხებულად უნდა ეცნოთ თავი და ახლა ისღა უკვირდათ, სად ჰქონდა ყვავს იმდენი სკინტლიო. ყოველ ეზო-კარმიდამოში მხოლოდ და მხოლოდ ერთ აკვიატებულ ხეზე სკუპტებოდა ყვავი, პირველად რომ დამჯდარიყო აი, იმაზე და იგრიალებდა თუ არა თოფი, ისიც აღარ დააყოვნებდა, დაიჩხავლებდა დამცინავად და ჩამოასკინტლავდა, ხოლო ის ხეები, რომლის კენწეროზე სკუპდებოდა ხოლმე იგი, ჩამოსკინტლულ-ჩამოთეთრებული იყო ერთიანად...

ბოლოს კი იარაღი დაყარა სოფელმა, ეს უკვე დამარცხება იყო, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, სოფელს ტყვია-წამალიც გამოლეოდა და ღონეც წართმეოდა, არაქათი აღარ ჰქონდა ფრინველთან ბრძოლისა...

გათენდა ერთხელაც და ყვავმა ჩამოუფრინა ჩვეულებისამებრ სოფელს, ჩამოიჩხავლა ყველა ეზოში ხის კენწეროზე დასკუპებულმა, მაგრამ არც ერთგან არ გავარდნილა თოფი, იყრანტალა რამდენიმე ხანს და გაფრინდა, რაკი ტყვია არ ესროლეს, არც ჩამოუსკინტლავს... სამიოდე დღეს განმეორდა კიდევ ამგვარადვე — ჩამოუფრენდა ყვავი ყოველ სამოსახლოს, ტყვიას აღარ ესროდნენ და ბოლოს ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა ყოველივე: ბათქაბუთქი აღარ ისმოდა იმ არემარეში თოფისა, და, დამშვიდდა სოფელი, თუმცა ყვავის ყრანტალ-ჩხავილი კვლავაც არღვევდა ხოლმე მყუდროებას, მაგრამ რახან აღარ ერჩოდნენ, დიდსულოვნებით პასუხობდა ისიც. გამარჯვებულ ადამიანს როდი დამგვანებია ფრინველი, არც გათავხედებულა და არც გაუტიფრებულა, აბუჩად აღარ იგდებდა სოფელს, ჩამოაჩხავლებდა ხის კენწეროზე წამოსკუპებული ყოველ ეზო-კარმიდამოს, რამდენჯერაც კი მოეპრიანებოდა, იმდენჯერ, მაგრამ თავზე აღარ ასკინტლავდა ხალხს და იქაურობაც სოფელს დაემსგავსა, ოღონდაც ეგ კია, ჩამოთეთრებულ-ჩამოსკლინტული ხეები ახსენებდათ ხოლმე მწარე სინამდვილეს, თავიანთ უსუსურობასა და უძლურობას, მაგრამ ამასაც მისჩვეოდნენ, ისე შეგუებოდნენ. როგორც ყველაფერს, სხვა დანარჩენს. ამქვეყნიურს. და, ერთი რამ მომხდარიყო კიდევ, თუმც მოგვიანებით, მაგრამ მაინც ჩასწვდენოდნენ ჭეშმარიტებას იქაურები: არ შეიძლება. თურმე, ადამიანის დაცინვა და მიწასთან გასწორება... მას შემდგომ მიხვდნენ ამას, რაც ყვავმა გადაუხადათ სამაგიერო ნინუცას ნაცვლად, ჰო. ძალზე გვიან შეეცნო სოფელს ეს ჭეშმარიტება...

რუკებს სოფლისას კი ყავლი არ გასვლოდა ჯერ და არც გაუვიდოდა, და, ერთ დღესაც ჩამოუარა სამეზობლოს აპოლომ, კარგა ხანი გასულიყო მას შემდგომ, რაც თავის კარ-მიდამოს აღარ გამოსცილებოდა, მობერებულ-მიხრწნილიყო უარესად, ჩამოსჭკნობოდა და ჩამოღნობოდა სახე, წელშიაც უფრო მეტად წაკუზულიყო, ძლივსღა დალასლასებდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უკანკალებდა მუხლები, ხოლო ის უზარმაზარი კუპრისფერი ყვავი თავზე დაჰფრენდა და უჩვეულოდ ნაზი ხმით ჩამოჰყრანტალებდა. როგორც კი რომელიმე მეზობელთან შევიდოდა აპოლო, ფრინველი თავის ხის კენწეროს დაასკუპებოდა და ელოდა, თუ შეაგვიანებდა, დაიყრანტალებდა სევდიანად...

რუკები დამიბრუნეთ, ახალი უნდა შევადგინო, გაცილებით უკეთესი იქნებაო, განუცხადა აპოლომ სამეზობლოს, იმათ კი ეჭვით შეავლეს თავიდან მზერა, გაზომეს საგულდაგულოდ თხემით ტერფამდე, მაგრამ უარი ვერ ჰკადრეს, თუმცა აქვითინებას აღარაფერი უკლდათ...

ჰოდა, მიბრუნდა შინ აპოლო რუკებიანად. რაღა თქმა უნდა, ყვავმა მიაცილა სახლამდე. და ოთახში გამოიკეტა. სოფელს კი ავი წინათგრძნობა უღრნიდა ტვინსაც და სხეულსაც: იმ დღეს თავის ეზო-კარმიდამოს არ გასცილებია არც ერთი მოსახლე და მიხვდნენ. ურუკებოდ არსებობა რომ არ ძალუძდათ, ნანობდნენ, არ უნდა გაგვეტანებია რუკებიო. მუშაობის ხალისიც დაჰკარგვოდათ და ლაპარაკისაც, დაღვრემილებმა დაალამეს ის ავადსახსენებელი დღე, დამგლოვიარებულებმა, თითქოს მიცვალებული ესვენათ შინ, საოცარი ის იყო, რომ ყვავი, რაც აპოლო შინამდე მიაცილა, აღარ გამოჩენილა და ისე იყვნენ გუნებაწამხდარნი ავის მოლოდინით, ცუდად ენიშნათ — ფრინველის ყრანტალი რომ აღარ ურღვევდათ მყუდროებას... გათენდა მეორე დილა და არც მაშინ შეუწუხებია თავი ვინმეს ჩვეულებრივი საქმიანობით, დაგვიბრუნებს აპოლო რუკებს და მერე მივხედავთ საქმესო. გადაწყვიტეს და არც ამჯერად გამოჩენილა ყვავი, აღარ იცოდნენ, რა წყალს მისცემოდნენ. რუკებისა არ იყოს, ყვავის ყრანტალ-ჩხავილსაც მისჩვეოდნენ იქაურები... და ერთი უცნაური რამ ამბავი მოხდა იმ დღეს — ბავშვი გადასულა მეზობლისას ერთი ოჯახიდან და სახლის გზა არევია თურმე უკან დაბრუნებისას, თუმცა მეზობელი. რომლის ბავშვთანაც გადასულიყო სათამაშოდ იგი. ოთხასიოდე მეტრის იქით თუ ცხოვრობდა. გზა კი არეოდა მაინც; საღამოს კივილი მოესმათ იმ ბავშვისა მშობლებს. გზას ვეღარ ვაგნებო და ხან მამამისი ბღაოდა. ხანაც იმისი დედა და დები წიოდნენ და მივიდა. როგორც იქნა. შუაღამისას შინ. იმის მეორე დღესაც განმეორდა რამდენიმე მსგავსი შემთხვევა, გავიდნენ ბავშვები და დაღამებულში ძლივს მოაღწიეს უკან. იმათაც შინაურთა ბღავილ-წივილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აილეს ორიენტაცია და მაშინღა მიხვდა სოფელი, ურუკოდ ნაბიჯის გადადგმა არ ძალუძდა კაციშვილს: გამოიკეტნენ თავ-თავიანთ ეზო-კარმიდამოებში დანაღვლიანებულნი, აღარ იცოდნენ რა ეღონათ იქამდე, ვიდრე რუკებს მიაბრუნებდა აპოლო...

ჩადიოდნენ ჭიშკრამდე გლეხები, გავიდოდნენ შარაზე გაუბედავად, უკან-უკან იყურებოდნენ როგორც კი მათი კარ-მიდამო თვალს უნდა მიფარებოდა, მოტრიალდებოდნენ უმალ, იცოდნენ დიდებულად გზა-კვალი აერეოდათ. გზას ველარ აგნებდა ხალხი, მეზობელი მეზობელთან ვერ გადასულიყო იმ დღეებში და წარამარა წივილი ისმოდა ქალებისა, უუუო, გადასძახებდა ერთი მეორეს, როგორ ხართ მანდ, როგორ არის თქვენი ამბავიო, ეკითხებოდნენ ერთურთს, აპოლო ხომ არ გამოჩენილაო, არაო, მოატანდა პასუხი და ადამიანებს გადაძახილ-გადმოძახილითღა ჰქონდათ ურთიერთობა...

ნაღველი დასადგურებულიყო ირგვლივ ყველგან. შემზარავი კაეშანი, ის ყვავი სადღა გადაიკარგაო, დარდობდნენ, ყრანტალი მონატრებოდათ, დასევდიანებულნი შესცქეროდნენ ჩამოსწინტლულ-ჩამოთუთრებულ ხეებს, ის დღეები ახსენდებოდათ, შემზარავად რომ მოაჩნდათ ერთ დროს, იარაღასხმულნი როცა დასდევდნენ ყვავს და ის დრო მაინც მოგვიბრუნდებოდესო, ნატრობდნენ... და, აი, მერვე დღეს გაახილეს თუ არა თვალი, სიმყრალე ეცათ მძორისა, აქოთებულიყო ჰაერი და საგონებელს ჩავარდნენ, მიხვდნენ ბევრი ფიქრის მერე, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერ უმხელდნენ ოჯახის წევრები ერთმანეთს თავიანთ ეჭვს. თითქოს ამით ეშველებოდა თავსდამტყდარ უბედურებას. მერე და მერე, უთქმელობა რომ აღარ შეიძლებოდა, აპოლო მომკვდარაო, თქვეს და თავზარი დაეცათ და გადასძახა მეზობელმა მეზობელს: უუუ, გაისმოდა იმ დილით სოფელში, გადაძახილი, აპოლო მომკვდარაო, კი, მასეაო, გადმოძახილიც არ აყოვნებდა და შემდგომ ოთხ დღესაც ამ ყოფას იყვნენ, სოფელი კი აქოთებულიყო საშინლად, ჰყარდა ირგვლივ ყველაფერი, ამ უბედურებასაც გაუძლებდნენ როგორმე, მაგრამ ისა ზაფრავდათ, ვერაფრით რომ ვერ მოსულიყვნენ გონს, როგორ მოქცეულიყვნენ, მისვლით კი მიაღწევდნენ აპოლოს კარ-მიდამომდე, მაგრამ რუკები რომ არ დახვედროდათ იქ, უკან ველარ გამოიგნებდნენ გზას...

დიდი ტვინის ჰყლეტის შემდეგ ერთმა გლეხმა მიაგნო გამოსავალს და ჰკუაში დაუჯდა სოფელს იმისი რჩევა, ჰოდა, გადასძახეს ერთიმეორეს: სიმინდის მარცვალი გავიყოლოთ თან, გზა მოვინიშნოთ, ნაკვალევზე მივფანტ-მოვფანტოთ და რუკები თუ არ დაგვხვდა იქ, ღმერთმა ნუ ქნას, თავისუფლად გამოვიგნებთ გზას უკანო... ასეც მოიქცნენ. აზროვნებადაკარგული სოფელი ფრთხილად დაიძრა აპოლოს კარ-მიდამოსაკენ.

შემოდგომის ცხელი დღე იყო მაშინ, მიდიოდნენ დაზაფრულნი, სიმინდის მარცვალს მიიფანტავდნენ გზა-გზა, და, აი, აპოლოს ეზოსაც მიაღწიეს. მათ უკან კი თეთრად დარჩენილიყო კვალი... იქაურობა უფრო მეტად დახვდათ აქოთებული, ჰყარდა აპოლოს ეზოგარემო, და ყვავის ყრანტალი გაისმა უცებ, გაშეშდნენ, ერთ ადგილს მიეყინენ, დაინახეს მერე, ხის კენწეროზე ჩამოსკუპებულიყო ყვავი და ხალხს ჩამოსცქეროდა გაბოროტებული და თვალებჩასისხლიანებული. უყურეს ერთხანს ერთურთს ადამიანებმა და ფრინველმა, და მოსწყდა უცებ კენწეროს იგი, ფაწვრის მინას ეცა, მიეხალა რამდენჯერმე თავდაუზოგავად, ბოლოს კი გაფრინდა. დაიყრანტალა ჩახლეჩილი ხმით და როცა გაუჩინარდა, ხალხმა მერეღა გადადგა ნაბიჯი. ოთახი შიგნიდან ჩამოეკეტა თურმე აპოლოს და აღარ დაუყოვნებიათ, კარი შეანგრიეს, უფრო უარესად აქოთდა ჰაერი. შევიდნენ და ელდა ეცათ — რუკათა ნაფხრეწებით ავსებულიყო იქაურობა. მიცვალებული შემდგომღა დალანდეს — პირაღმა ეგდო იატაკზე, თვალები ღიად დარჩენოდა, პირი დაებჩინა, ამაზრზენი რამ იყო დასანახად, მაგრამ ვიდრე ცხედარს მიხედავდნენ, რუკებს ეცნენ, ეგების როგორმე მივაწებოთ ნაკუწები ერთმანეთსო, მაგრამ იმგვარად იყო დაფხრეწილი, მიხვდნენ, შეუძლებელი მოენდომებინათ და ამოიოხრეს, გადახედეს ერთმანეთს გაწბილებულებმა, მიხდოდათ სახო, მაგრამ უმოქმედობა არ შეეძლოთ, რაღაც უნდა ეღონათ აუცილებლად და ოთახებს ეცნენ მიცვალებულისას, იქნებ ერთი რუკა მაინც იყოს შემორჩენილი სადმეო. გადააქოთეს და გადაანგრიეს ყველაფერი, თუმცა ამაო გარჯა გამოდგა, ჩაიქნიეს ხელი ნირწამხდრებმა უნუგეშოდ, ბოლოს ისევ იქ შებრუნდნენ, სადაც აპოლო ეგდო, ეზიზღებოდათ ახლა მიცვალებული და როდი მალავდნენ, კაცები ხმამაღლა იგინებოდნენ, უწმაწურად უტრიალებდნენ აპოლოს მკვდარსა და ცოცხალს, ქალები კი იწყევლებოდნენ და იწყევლებოდნენ. სისინებდნენ შხამიანი გველებივით, საშინელება ის იყო, რომ შემზარავ სინამდვილეს ჩასწვდენოდნენ: ერთი კაცის ნააზრევით აზროვნებდნენ თურმე, ხოლო თავად ფიქრსაც გადასჩვეოდნენ და განსჯასაც, ის კი, ვინც აზროვნების უნარი დაუკარგათ და ყველანი ხეპრეებად აქცია, გვამი იყო ახლა, ეგდო მათ წინ, უაზროდ გადმოეკარკლა ღიად დარჩენილი თვალები, დაებჩინა პირი, ჩალურჯებოდა ჩამჭკნარ-დაღარული სახე, გულისამრევი და ზიზღისმომგვრელი იყო ყოველივე, განსაკუთრებით

კი ის, ცხედარი რომ ჰყარდა და, ირგვლივ ყველაფერი აქოთებინა...

მაგრამ დიდსულოვნებამ გაიმარჯვა მაინც. ხალხი წყევლა-გინებამ გადაჰქანცა და დადუმდნენ; დუმილიც მობეზრდათ მერე და ტახტზე დაასვენეს მიცვალებული, დაუხუჭეს თვალი; დაუკრიბეს ხელები გულზე და თეთრი ზეწარი გადააფარეს. ეზოში ჩავიდნენ ამის შემდგომ და მოლზე დასხდნენ, გატრუნულნი იყვნენ კარგა ხანს, გულში ერთი რამ წუხილი უვლიდათ ტკივილად, გონებასაც უწამლავდათ და სულიერადაც აკნინებდათ: აღარ იცოდნენ, რა ექნათ ურუკებოდ... მერე კი ალაპარაკდნენ, ის სიდინჯე არ ჰქონდათ, მსგავსი ვითარების ჟამს რომ მოდის ხოლმე, როცა მიცვალებული ასვენია სოფლად, იყაყანეს ბევრი, თანაც ერთმანეთს არ აცლიდნენ, აზრს კი ვერ გამოიტანდი და ერთიმეორისაც არ უსმენდნენ, ბოლოს ერთ-ერთმა თქვა: რა ვქნათ, როგორ დავასაფლავოთ, სასაფლაომდე კი მივალთ, მაგრამ უკან ვერ გამოვაგნებთ გზასო...

მართალი იყო ის კაცი და აიჩეჩა პასუხის ნაცვლად სოფელმა მხრები უნუგეშოდ, ჩაიქნია ხელი, საშველი არ არის და არაო... და ყვავის ყრანტალი მოესმათ ჰიშკარგადაღმიდან. უარეხად გაეყინათ სისხლი იქ მყოფთ, აერიათ გონება. ფრინველი კი ყრანტალებდა და ყრანტალებდა. იცოდა უკვე ყველამ დამცინავად რომ ჩხაოდა. მაშინ სჩვეოდა ხოლმე ყვავს ამგვარის ხმით ყრანტალი. ტყვიას რომ ააცილებდნენ ხოლმე და მიხვდნენ, დაგვცინის ახლაცო...

წამოდგნენ, ნერვებმა რომ უღალატათ და ჰიშკრისკენ გადადგეს ნაბიჯი: დაინახეს, სიმინდის მარცვალი, რითაც გზა მოინიშნეს, აღარსად იყო. ორი უკანასკნელი იმათ თვალწინ აკენკა ყვავმა და მიაჩხავლა სოფელს დამცინავად. ესეც არ იკმარა. თვალი თვალში გაუყარა ხალხს, აშკარა დაცინვა ჩაჰგუბებოდა თვალებში ფრინველს. ქვებს ეცნენ გამწარებული გლეხები, ყვავმა კი ერთხელ კიდევ მიაყრანტალა სოფელს და გაფრინდა: დიდხანს იდგნენ იქ ენაჩავარდნილნი და ერთმა დედაკაცმა თქვა, არ მეგონა, სიმინდს თუ ჭამდა ყვავიო... ამ სიტყვების გაგონებაზე, თითქოს ძველი აკლდაო, ახალი სადარდებელი გაუჩნდა სოფელს, ჩაუწყდა ხმა, ცხადი იყო, ფიქრს გამოხატავდა იმათი უაზროდ გადმოკარკლული თვალები, მერე და მერე ლაპარაკი დაიწყეს, გაუბედავად თავიდან, ხმას აუმაღლეს შემდგომ, იმსჯელეს და იკამათეს ბევრი და ბოლოს დაასკვნეს როგორც იქნა: ჩვენს ჯინაზე ჭამა, თორემ სად გაგონილა, ყვავი სიმინდით იკვებებოდესო... საერთო დასკვნას როგორც კი მიადგნენ, მიბრუნდნენ ისევ ეზოში და მიეყარნენ მოლზე, იცოდნენ, გზას ველარ გაიგნებდნენ ხახლებისაკენ და იყვნენ აძმარებულნი...

ხოლო შემდგომ შიმშილმა შეაწუხათ და წამოდგნენ, უმალ სამზადში შეცვივდნენ, ფქვილი დარჩენოდა აპოლოს, ყველსაც მიაგნეს დერგში და ქალებმა ცეცხლი ააგიზგიზეს, კაცებმა კი ჭურს მოჰხადეს თავი, დააჭაშნიკეს იქვე აპოლოსეული ღვინო და უცებ გადაივიწყა სადარდებელი სოფელმა, თანაც ის აქოთებული სუნიც აღარ აწუხებდათ ცხედრისა, გამქრალიყო უკვალოდ, შესაძლოა, ველარც ამჩნევდნენ, ისე მისჩვეოდნენ და, უნდა ითქვას, საერთოდ ყველაფერს ადვილადა და უმტკივნეულოდ ეგუებოდნენ იქაურები, წინაპართაგან მოსდგამდათ ჩვევა შეგუებისა, მემკვიდრეობით, ასეთები იყვნენ ის სულცხონებულნიც, იმათი პაპის პაპანი და აბა, ისინი როგორ ვერ შეეგუებოდნენ სიმყრალეს... აღარც ყრანტალი გაისმოდა ყვავისა, თუმცა იქვე იჯდა, ხის კენწეროზე, ხალხს დასცქეროდა, არც გაბოროტებული იყო მაშინ და არც დასევდიანებული, ხოლო ჩიჩახვი გასკდომაზე ჰქონდა, ისე გამოჰბერვოდა.

იმ საღამოს გვიანობამდე ისმოდა აპოლოსეულ კარ-მიდამოდან მთვრალი კაცების არეულ-დარეული ყაყან-საუბარი, დროდადრო დედაკაცთა ხმამაღალი კისკისიც ატანდა იქიდან და მერე შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა დასაძინებლად რომ დაწვნენ, დიაცები ოთახებში მოთავსდნენ, კაცები კი აივანზე მიეყარნენ; გრილი, უმთვარო ღამე იყო და საზრუნავი გადავიწყებოდა მიცვალებულის ღვინით შეზარხოშებულ სოფელს. მაგრამ გათენდა მეორე დილა და უმალ შეახსენათ თავი დარდ-ვარამმა, აქოთებული სუნი კი ამჯერადაც აღარ იგრძნობოდა, შეჰგუებოდნენ საბოლოოდ...

იმ დილასაც ყვავის ყრანტალ-ჩხავილმა გამოაღვიძათ უთენიაზე, კარგა ხანი იყო მამლის მაგივრობას უწევდა სოფელს ის უზარმაზარი ყვავი, იმისი დაყრანტალების მერე აუტყდებოდათ ხოლმე ყივილი მამლებს...

შუადღემდე დაბორიალებდნენ ეზოში კაცებიცა და ქალებიც: ვერა და ვერ ეპოვათ გამოსავალი, ბოლოს კი გადაწყვიტეს, რაკილა სასაფლაოზე ვერ დავკრძალავთ მიცვალებულს, მოდით ბარემ და აქვე გავთხაროთ სამარეო... გაითხარეს მართლაც. მობეზრებოდათ იმდენი უქმად ყოფნა და უმალ დაიწყეს მიწის გათხრა ჰიშკარგადაღმა, დედაკაცები კი მიცვალებულის სახლ-კარის დასუფთავებას შეუდგნენ და აი, სწორედ მაშინ მოხდა ის ამბავი, სოფელს კვლავაც ძველი ცხოვრება რომ მოუბრუნა: ერთმა დედაკაცმა სოფლის ორი რუკა იპოვა ზანდუკს უკან — პოლიტიკურიცა და ფიზიკურიც და მყისვე დაეუფლა სიხარული ხალხს, ხელიდან ხელში გადადიოდა რუკები, ცრემლი სცვიოდათ აღფრთოვანებისა ქალებსაც და მამაკაცებსაც, მერე კი, როცა დაწყნარდნენ და დანაყრდნენ კიდეც, კაცები, წუხანდელისა არ იყოს. შეზარხოშებულიყვნენ ამჯერადაც, რუკების გადამრავლებაზე დაიწყეს ფიქრი, იმსჯელეს აღელვებულებმა და თვალ-ზეცრემლმომდგრებმა კარგა დიდხანს და გადაწყვიტეს ბოლოს, იმ ოთახში გავიდეთ, აპოლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ადგენდა რუკებზე... აღარ ეზიზღებოდათ ამჯერად მიცვალებული, ზიზღი რა სათქმელია, პირიქით, როგორც კი ახსენებდნენ, ცრემლსა ღვრიდნენ მაშინვე და სულცხონებული და სულცხონებულიო, გაიძახოდნენ წამდაუწუმ... და, აი, იმ ოთახში როცა შევიდნენ, უამრავი სუფთა ქაღალდი ნახეს, კიდევ ფერადი ფანქრები თუ სალებავები, ერთ-ერთმა გლეხმა კი შავი, სიფრიფანა ქაღალდები გამოიტანა საიდანღაც და წამოიწყო ამაყად: „გადავრჩით ახლა ჩვენ და მაგია, — თვალები უბრწყინავდა თან და ხმაც ათრთოლებოდა, ისე იყო გახარებული — ხომ იცით რაია აგი, — ქაღალდებზე მიუთითა სოფელს და პასუხი რომ ვერ მიიღო, შეათვალიერა გულდასმით შეფიქრიანებული სამეზობლო, — ამ შავი ქაღალდით რუკებს გადავამრავლებთ ჩვენ ახლა, აბა?! საღამოს კი კვლავ ყოველ ოჯახს ჰქონდა რუკები — ფიზიკურიცა და პოლიტიკურიც... მართლაც დიდი ზარ-ზეიმი სწვეოდა იმ დღეს სოფელს, ოღონდაც მწუხარებანარევი ზარ-ზეიმ-სიხარული და სხვაგვარად არც შეიძლებოდა: მიცვალებული ესვენათ, უძვირფასესი ცხედარი, ადამიანი, რომლის მსგავსს ველარ შეხვდებოდნენ აწი და აწი ველარასოდეს, რამდენ ხანსაც უნდა ეცოცხლათ; სოფლის კეთილდღეობისათვის თავგანწირული კაცი, — ასე ამბობდნენ იქაურები იმ დღესაც და შემდგომაც, როცა კი აპოლო დაუდგებოდათ თვალწინ, გახსენებით კი, მიხვდებით ვგონებ, შემდგომით შემდგომ, დრო რომ გავა, უფრო ხშირად გაიხსენებენ... ხოლო მაშინ, ცოტა არ იყოს, ქენჯნას განიცდიდნენ სინდისისას მამაკაცებიცა და დედაკაცებიც, კაცები ლანძღვა — გინებისათვის, დაუნანებლად რომ მიახარჯეს მიცვალებულს, აი, იმ დილით, დანაკუწებული რომ დახვდათ რუკები, ქალები კი წყევლა-კრულვისათვის, სულმოკლეობა იყო, რაღა თქმა უნდა, იმათი მაშინდელი საქციელი...

ხოლო ამჟამად ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს, გადაამრავლეს და გადაამრავლეს რუკები, მერე თავიანთი ეზო-კარმიდამოები შეაფერადეს და ეს რუკები, ახლა რომ ეპყრათ ხელთ, არაფრით ჩამოუვარდებოდა უწინდელებს. ხოლო უმთავრესი ის გახლდათ, რომ სოფელს ხელახლა მობრუნებოდა ორიენტაციის უნარი და აწი აღარასოდეს აერეოდა გზა...

ბოლოს ის ჭიშკარგადაღმა სამარე ამოავსეს მიწით, თვალს ვერ უსწორებდნენ ერთიმეორეს იმ დროს მარტო სამარის გამთხრელნი კი არა, სხვა დანარჩენებიც... მეორე დღეს დაკრძალეს აპოლო: მოთქმაც იყო და წივილ-კივილიც, სახის ხოკვაცა და მკერდზე ტორების ბრაგაბრუგიც, დამწუხრებულ-აზლუქუნებულიყო სოფელი, მაგრამ საერთო მწუხარებასა და ვლოვას საზეიმო იერფერი დაჰკრავდა მაინც და სხვანაირი რამ არც უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებულ ადამიანს დასტიროდნენ და ხალხს სიამაყეც დაუფლებოდა...

ხოლო ყვავი აღარ ჩხაოდა, დაღვრემილი დაჰყურებდა ხალხს ხის კენწეროდან, მერე აყრანტალდა, სამგლოვიარო პროცესია სასაფლაოსაკენ რომ გაემართა — ფრთების ტყლაშუნითა და ყრანტალ-ჩხავილით მიჰყვებოდა მგლოვიარეთ, მზიანი დღე იყო მაშინ და რადგან მზე უკნიდან დასცქეროდა მიმავალთ, მათ წინ, მიწაზე, ვეება შავი ჩრდილი მიცურავდა ფრინველისა და დასევდიანებული, აცრემლებული ადამიანები ზემოთ აღარ იყურებოდნენ, ფრინველი რომ დაენახათ, მხოლოდ იმ ჩრდილს დასცქეროდნენ, რომელიც წინ მიუძღოდა სამგლოვიარო პროცესიას და ყრანტალი ყვავისა, თუმც მიჩვეულები კი იყვნენ და კარგა დიდი ხნისაც, ჰზარავდათ მაინც — ტირილსაც ჰგავდა ერთდროულად და დაცინვასაც; იცოდნენ, ასეც რომ იყო, ფრინველი ჩამოსტიროდა და დასცინოდა კიდეც ხალხს. ხალხსაც და მიცვალებულსაც, მაგრამ ზევით ახედვა ვერ გაებედათ, დანაშაულსაც გრძნობდნენ და შიშიც დაუფლებოდათ... შემდგომ კი, მიწისთვის რომ უნდა მიებარებიათ მიცვალებული, მეტისმეტი მოინდომა ყვავმა — ფრთების ტყლაშუნით და განწირული ყრანტალ-ჩხავილით წამოვიდა ზემოდან, კუბოს მიეხალა კინაღამ. მაგრამ ხალხმა იმარჯვა; გამბედაობა მოიკრიბეს და ყველამ ერთდროულად აუქნია ხელი. როდი დამცხრალა, მეორედაც დაეშვა მათკენ, თვალები საშინლად ჰქონდა ჩასისხლიანებული და გაბოროტებული ფრინველს, ყრანტალიც ისე ამაზრზენად და საზარლად გაისმოდა. მიხვდნენ, თუკი არ დააფრთხობდნენ, ყველაფერს მოიმოქმედებდა იგი, თვალებს ამოკორტნიდა მიცვალებულს და ქვა ესროლეს, მოიცილეს, როგორც იქნა. შემოჯდა ხის კენწეროზე მახლობლად და მერე იქიდან ჩხაოდა გაბოროტებული. ხოლო თვალები ყვავისა, შეამჩნიეს იქ მყოფებმა. საოცრად ჩამოჰგავდა თვალებს შეშლილი ადამიანისას, რომელსაც ყოველგვარი საშინელება შეუძლია ჩაიდინოს და ამიტომაც იყო, აჩქარდნენ, მიცვალებული მიწას მიაბარეს. თორემ გაბოროტებული ფრინველი არ დაინდობდა ცხედარს და მაშინაც შეუტია ადამიანებს მიწას რომ აყრიდნენ ღია სამარეს. და, აი, ამოივსო თანდათან საფლავი და მერეღა დაწყნარდა ყვავი, როცა იმ ადგილას ბორცვი ამოიზიდა, აღარც ჩხაოდა ამჯერად და აღარც ადამიანებისაკენ მიიწევდა, დამშვიდებოდა და ჩასევდიანებოდა თვალები და დაინახეს. ცრემლი ჩამოსწყდა ყვავს, სამიოდ კურცხალი, ადამიანებსაც აუჩვილდათ გული, აცრემლდნენ ისინიც, ბოლოს კი რამდენჯერმე წამოიყრანტალა ფრინველმა, მაგრამ არა, ყრანტალი არ ყოფილა,

ოხვრას ჰგავდა, კვნესას დიდიხნის დაგუბებულსა და უნებურად წამოცდენილს...

იმ დღის შემდგომ აღარ გამოჩენილა ყვავი სოფელში და ხალხმაც მოისვენა, ძველებურად მიედინებოდა ყოველივე, რიგისა და წესის თანახმად: ქეიფ-ლხინებიც იყო იმ ახლომახლოში და ლხინ-ქორწილებიც, მეზობლების ჩხუბიცა და ურთიერთპატივისცემაც, მთავარი კი ის გახლდათ, რომ სოფელს რუკები გააჩნდა, ფიზიკურიცა და პოლიტიკურიც და აწი აღარასოდეს აებნეოდათ გზა-კვალი და რახან ჰქონდათ მწარე გამოცდილება. გადაამრავლეს და გადაამრავლეს ის რუკები, ჰო, აღარა სურდათ, ოდესმე განმეორებულიყო იმისი მსგავსი რამ, გზის გაგნება რომ არ ძალუძდათ, ყოველ ოჯახს ათამდე რუკა მაინც ჰქონდა, პოლიტიკურიცა და ფიზიკურიც, თითო-თითო კედლებს ამშვენებდა ოთახისას, დანარჩენები კი ზანდუკებსა თუ სხვა სამალავებში გადაენახათ დიდის ამბით, როგორც უძვირფასესი რამ რელიქვია...

ყვავმა კი სასაფლაოზე დაიდო ბინა და დრო და დრო იქიდან თუ მიატანდა ადამიანთა ყურთასმენას ჩხავილ-ყრანტალი და თუკი შინ იყვნენ ხოლმე იმ დროს, ძალაუნებარად გადაჰხედავდნენ ჩამოსკინტლულსა და გადათეთრებულ ხეებს, სახსოვარს ავადმოსაგონარი ამბებისას და ცდილობდნენ, მოგონებები დაერთგუნათ როგორმე — არ გახსენებოდათ ის დღეები, როცა ჯერ ქვებითა და შემდგომ თოფ-იარაღასხმული დასდევდნენ ფრინველს, ჰო, ასეა, ადამიანებს მაინცდამაინც როდი გვიყვარს ჩვენი უსუსურობა-სისუსტის გახსენება, საგულდაგულოდ ვჩქმალავთ, ხხვას კი არა, ჩვენ თავსაც არ ვუმხელთ და ამიტომაც მოვისუსტებთ ალბათ, უსუსურნი იყვნენ ისინიც... და, როგორც კი ყრანტალს გაიგონებდნენ და ხეებს გადახედავდნენ, რომელთა კენწეროებზეც სკუპდებოდა ხოლმე ფრინველი, უმალ ახსენდებოდათ ყოველივე, რაც ოდესღაც მომხდარიყო და ვერა და ვერ მისცემოდა მივიწყებას, ხოლო ის ხეები კვლავაც გადათეთრებული იყო, წვიმა, ბოლო ხანებში რომ გახშირებულიყო, ფერს ვერ უცვლიდა, არადა, ვერც ერთ იმათგანს ვერ მოეფიქრებია, ხეები მოეჭრათ და ამით დაეხსნათ თავი უამური ფიქრებისაგან, დროდადრო რომ აეკვიატებოდათ ხოლმე...

მერე კი ბიჭბუჭებმა მოიტანეს ამბად, ისინიც ისეთივე ბავშვები იყვნენ, ყველგან რომ შეხვდებით, უყვარდათ ტყე-ტყე თუ მიუვალ ადგილებზე ხეტიალი, აპოლო ბაბუას საფლავი გადათეთრებულია მთლიანად, ყვავი კი იქვე ჩამომჯდარა ხის კენწეროზე დაღონებულიო... ეს ამბავი რომ გაიგეს უფროსებმა, ერთი კი წამოუარათ ხურვილმა. ავალთ სასაფლაოზე, აპოლოს საფლავსაც მივხედავთ, კარგა ხნის მიტოვებულია, არ ეკადრება ჩვენგან და ყვავსაც ვიხილავთო, მაგრამ გონს მოეგნენ მყისვე — ეშმაკის ამბავს რას გაიგებ, ისევ არ შემოგვეჩვიოს ის წყეულიო, თანაც კი იცოდნენ დიდებულად, მაინც მოუწევდათ სასაფლაოზე ასვლა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უფრო კი დღე-დღეზე გავიდოდნენ იქა...

გადაყრუებულ-დაძაბუნებული დედაბერი ჰყავდა ერთ სოფელს, ას წელს გადაცილებული, სიკვდილის პირად მიმდგარი ქალი, თვეზე მეტი იყო, რაც ლოგინად ჩავარდნილიყო და მოკვდებოდა ბოლოს და ბოლოს, აბა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა და ის დედაბერიც რომ არა, სასაფლაო აუცილებლად შეახსენებდა სოფელს თავს... დროულად ახდა წინასწარმეტყველება სოფლისა — ერთ დღესაც განუტევა სული იმ ქალმა, მიბარდა უფალს, აღესრულა და სოფელი კიდევ ერთხელ დაადგა სასაფლაოსაკენ...

მიცვალებული რომ მიაბარეს მიწას, აპოლოს საფლავისაკენ გაემართნენ მერე, დარბაისლურად მისაუბრობდნენ და ვიდრე იქამდე მიაღწევდნენ, თომას სამარეს ჩაუარეს ჯერ გვერდით, კრძალვითა და რიდით გადახედეს თავიდან იმ ადგილს, შიში დაეუფლათ უცებ, ისე, თითქოს თომა დამდგარიყო თავად თავის სამარეზე და კვლავაც დამცინავ-გამჭოლი მზერით შესცქეროდა ხალხს, სიცოცხლეში რომ ხჩვეოდა იმდაგვარად, მაშინ, როდესაც ჟინი წამოუვლიდა ხოლმე სიმართლის თქმისა...

იდგნენ ერთხანს გახევებულნი, ის ურწმუნო ახსენდებოდათ, მერე კი, შიშსაც ხძლიეს, რიდსაც და უხერხულობასაც, იმ კაცის გახსენებას რომ გამოეწვია, ახლოს მივიდნენ, მიზეზი კი, აი, რა გახლდათ: ყვავს წაებილწა და გადაეთეთრებინა თომას სამარე... იდგნენ იქა, არც გახარებულნი იყვნენ მაშინ და არც ნაწყენნი და ბოლოს აპოლოს სამარადისო სამყოფლისაკენ გაეშურნენ, დავხედოთ ძვირფას საფლავსო, და, მტრისას, რაც იქ დახვდათ, თომას სამარე ხომ იყო წაბილწულ-გადათეთრებული, აპოლოსი უარეს დღეში იხილეს, სხვა საფლავებს არ გაჰკარებოდა ყვავი... მივიდნენ აპოლოს სამარესთან და ხედავენ, წარმოუდგენელი რამ მომხდარა — მზედაკრულ, დამტვერილ თოვლის სქელ ფენასავით დევს ყვავის სკინტლი, ხოლო საფლავის შუაში შავად ბზინავს რაღაც, დააკვირდნენ და გაოცდნენ: ის ყვავი იყო, სიცოცხლე რომ გაუმწარა სოფელს, სიკვდილის წინ ნისკარტითა და კლანჭებით გაეთხარა. თურმე სკორე და მიწა, ჩაწოლილიყო მერე მის მიერვე გათხრილ სამარეში და ამოხდომოდა სული... ჰოდა, რაღას იზამდნენ, ადგნენ და მიწა მთაყარეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბოლოს და ბოლოს მოდგა ხაშველი, მიაღწია, როგორც იქნა, გედეონმა საწადელს, მიზანს, სხვათაგან გამორჩევის შემდგომ რომ დაესახა, დიდიხნის ნანატრ-ნასათუთარსა და ნაოცნებარს, თუმც, უნდა ითქვას, უძილოდ თავს დათენებულ, მომქანცველ ღამეებად და გაპიანურებულ, ერთფეროვან დღეებადა თუ გულის გამაწვრილებელ ნერვულობად დასჯდომოდა ყოველივე ესა, მაგრამ უმთავრესი მომხდარიყო, რისთვისაც ღირდა მსხვერპლის გაღება: სხვა ადამიანად ქცეულიყო იგი, პიროვნებად, რომლისთვისაც საერთოდ აღარ არსებობს განვლილი, უწარსულო კაცად...

გარდასული კი ლალიმ წაიყოლა, დაისაკუთრა თითქმის მთლიანად, გააფერმკრთალა ჯერ, მერე და მერე დაანაზმირ-დანაცრა, ხოლო თავად ლალი, ხანდახან თუ აუფართხალდებოდა ხსოვნაში, მოაგონდებოდა ხოლმე ის სიყვარული, მაგრამ ისე უმწეოდ, მხოლოდ დამცინავ ღიმილსა ჰგვრიდა... ეველინა რომ არ მისჭროდა გედეონის ცხოვრებას, ალბათ ვერ გაუმხელდა სიმართლეს ლალის, გზიდან ჩამოიცილებდა. როგორმე, მაგრამ სინამდვილეს ვერ ეტყოდა, არ ეყოფოდა საამისოდ შინაგანი ვაჟკაცობა, ხოლო იმ დღეს, გაბოროტებულმა რომ უთხრა მომწყდი თავიდან, აღარ მიყვარხარო, მერე კი ლალი რომ მიტრიალდა უხმაუროდ და ამაყი ნაბიჯით დაშორდა, აირია თავიდან გედეონი, აარიდა მზერა მზით განათებულ ქუჩაზე მიმავალ ლალის და როგორც კი გონს მოეგო აღელვების შემდგომ, უბედნიერეს ადამიანად იგრძნო თავი — ეველინას უნდა შეხვედროდა, მამაკაცთაგან თუ საერთოდ ცხოვრებისაგან განებივრებულ ულამაზეს დიაცს... მერე კი ძლივს გაუსწორა თვალი ქალს — ძნელზე ძნელი რამ იყო, ისე გეცქირა ეველინასათვის, როცა შემოგყურებდა, მზერა არ აგერიდებია... შესცქეროდა ქალი გედეონს, აბდღვრიალებული, მზე უაშკარავებდა და საჩინოს ხდიდა მკრთალ, ძნელად შესამჩნევ, მსუბუქ ნაოჭებს თვალთა უპეებთან, ნესტოები უთრთოდა ოდნავ, მაღალ კისერზე კი ლურჯად ათრთოლდებოდა და უცახცახებდა წვრილი, ძაფისებური ძარღვი, გაფართოებოდა მიბნედილ-ჩანისლული გუგები, მომნუსხველსა და თავგზისდამკარგავ ნათელს ასხივებდა ირგვლივ ეველინა... გედეონი კი მომავლის დღეებს ხედავდა მაშინ, წარმტაცსა და მომჯადოებელს და ეველინა იყო ყოველთვის მის გვერდით, გაღიმებული თუ აკისკისებული და მარტოოდენ მას ეკუთვნოდა ღიმილიცა და სიცილიც ქალისა, ხოლო სხვა მამაკაცები უნდა გამქრალიყვნენ უგზო-უკვლოდ, ასე ნებავდა, და ახლა იმ დღეებს იხსენებდა, როცა შემთხვევით შეხვედროდა ეველინას ქუჩაში, მამაკაცთან მიმავალს, მხიარულსა და აკისკისებულს, და ზაფრავდა წარსული ულამაზესი ქალისა, მაგრამ მთავარი მომხდარიყო უკვე — თავად მივიდა დიაცი მასთან, თავისი სურვილით და აი, ეხ ეალერსებოდა მამაკაცურ პატივმოყვარეობას გედეონისას და ქალის წარსულს, სატანჯველად რომ ჰქცეოდა, წარმოსახვაში ათრთოლებული მომავლის დღეები ამსუბუქებდა. მხოლოდ მის ნება-სურვილს დაემორჩილებოდა ეველინა, უწარსულოდ დარჩებოდა ისიც... მერე კი: „აი, ეს არის ჩემი ოთახი, — ეუბნებოდა ეველინა გედეონს, — პატარა კია, მაგრამ მე მყოფნის მაინც, მარტოხელა ქალისათვის საკმარისია, — და სარკმელს მიათითა ქალმა, — აი, მანდ მიყვარს ხოლმე დგომა, როცა დავიღლები, დავდგები მანდ და ქუჩას გადავცქერი და ვისვენებ ხუთიოდ წუთში, რაც არ უნდა დაღლილი ვიყო, განსაკუთრებით კი როცა წვიმს, — ჩაფიქრდა უცებ ეველინა. — წვიმაში უფრო მალე ვისვენებ ხოლმე, მიყვარს, გაწუწულები რომ მირბიან. ერთხელ დავინახე მხოლოდ, დინჯად მიდიოდნენ; ბავშვები იყვნენ სულ მთლად ის გოგო და ბიჭი, თექვსმეტ-თექვსმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ, მეტის არა, ისე ლამაზად მიდიოდნენ, შემშურდა მაშინვე იმათი. ხელი ხელში ჩაევლოთ ერთმანეთისთვის, წვიმა კი ასხამდა, ნიაღვარი მოედინებოდა ქუჩაში, მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ მაინც; მერე ბიჭს აეკრო გოგო მკლავზე, აეტმასნა და უფრო ნელა გააბიჯეს.

ლამაზი, რბილი ხმით ლაპარაკობდა ეველინა, ჩაფიქრებული, ხანდახან ვაჟს შეხედავდა ხოლმე და განაგრძობდა ისევ, ხმასაც იცახცახებდა და გედეონს, ცოტა არ იყოს, აკვირვებდა ქალის ამგვარი მღელვარება ლაპარაკისას, ვერ მიმხვდარიყო ვერაფრით, წვიმის გამო თუ შეიძლებოდა აღელვება, ქალი კი განაგრძობდა: — ვაიმე, რა ლამაზები იყვნენ, ეტყობოდათ, ერთმანეთის გარდა, ვერავის ამჩნევდნენ ამქვეყნად"... გედეონი კი ჩაფიქრებულიყო ღრმად, ნილაბი არ ყოფილა, ამჯერად ფიქრობდა მართლაც და ის მამაკაცები დასდგომოდა თვალწინ, რომელთაც ეველინა მიჰყვებოდა ხოლმე გვერდით, გაღიმებული ხან, ხანაც აკისკისებული და უბედნიერესი მუდამ... ჰო, ბედნიერი ეგონა ყველას ეველინა, ხოლო ის, სარკმელთან იდგა თითქმის ყოველთვის, როცა წვიმდა, ქუჩას გადასცქეროდა, ის გოგო და ის ბიჭი ახსენდებოდა, წვიმაში რომ ილუმპებოდნენ მაშინ და შურდა გოგოსი. კეთილი და ლამაზი შური იყო ესა, უბრალოდ, თვალწინ დაუდგებოდა და იხსენებდა — თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, გამხდრები იყვნენ, გაკნაჭულნი, გოგო ბიჭს აკვროდა მკლავზე, სევდიანად

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულიმოდნენ ერთიმეორეს და მიდიოდნენ ძალიან ნელა, გაწუწულ-გალუმპულნი და მერე ეველინაც უცებ გაიქრა ქუჩაში, გავიდა თუ არა, იქითკენ გაიხედა, საითაც გოგო-ბიჭი გაუჩინარებულიყვნენ წამის წინ, სურდა, ქურდულად ახდევნებოდა იმათ, ევლო ფეხაკრეფით კოკისპირულში და ემზირა და ემზირა, როგორ აჭყროლდა გოგო ბიჭს მკლავზე და სევდიანი ღიმილი დამახსოვრებოდა, მხოლოდ ერთმანეთისათვის რომ ემეტებოდათ იმ ბავშვებს, მაგრამ როგორც კი ქუჩაში გავიდა და იმათ ნაკვალევს გახედა, შეცბა, აღარსად სჩანდნენ ისინი და გული ჩასწყდა: „ეგებ შეეშინდათ წვიმისა და სადმე შეაფარეს თავი...“ სევდად შემოაწვა მაშინ ეს ფიქრი, მაგრამ მიხვდა, უფრო კი თავი დაირწმუნა და მერე დაიჯერა კიდეც — არა და არ შეეშინდებოდათ იმ გოგოს და ბიჭს წვიმისა, და თუმცა აღარ სჩანდნენ ისინი, ეველინა ხედავდა მაინც, ისევ იმგვარად მიდიოდნენ, გამარტოებულნი ყველასაგან და ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა, ვერც გოგო გრძნობდა მაშინ და ვერც ბიჭი, რამხელა ბედნიერება იყო, კოკისპირულში რომ მიაბიჯებდნენ და სხვებსავით არ ეშინოდათ წვიმისა... იცოდა იმ დღეს ეველინამ და მერეც სჯეროდა ყოველთვის, გათენდებოდა ერთი დილაც და გაიხსენებდნენ ისინი მაშინდელ წვიმას და მერელა მიხვდებოდნენ, ბედნიერნი რომ ყოფილან და აზრზე არ იყვნენ და იმასაც ჩასწვდებოდნენ, რომ ბედნიერება არ არსებობს საერთოდ, ვიგონებთ ხოლმე, ვიბრალებთ, ვთხზავთ და ამიტომაც არის, ხან წარსულის გახსენებისას გვიურუანტელებს ხსოვნას, ხანაც მომავლის დღეებს გვიქცევს ოცნებად... შებინდებამდე დადიოდა ეველინა ქუჩა-ქუჩა და შინ რომ მიბრუნდა, არ დასძინებია ღამით, გახარებულიც იყო და დანაშაულსაც გრძნობდა, თითქოს ვიღაცის წილხვედრ სიხარულსა თუ ნათელ დღეებს ისაკუთრებდა და მას შემდგომ, როგორც კი გაწვიმდებოდა, სარკმელთან დგებოდა, მაგრამ იმგვარი სურათი აღარ მეორდებოდა, გასცქეროდა ქუჩას და ნატრობდა, კიდევ გამოევლოთ იმ გოგოსა და ბიჭს, ან თუნდაც სხვებს, ხალხს კი ხედავდა — მირბოდნენ ხოლმე აბუზულნი, ანდა ხეებსა თუ აივნებს შეჰფარებოდნენ, დაშწუხრებულნი ელოდნენ წვიმის გადაღებას და ტირილი მოუნდებოდა ასეთ დროს: არც დაეკოვნებდა, მოედინებოდა და მოედინებოდა კურცხალი და სიამოვნებდა, ლაწვები რომ ემდუღრებოდა, ჯერ მხოლოდ ცრემლი სცვიოდა, მერე უხმო ქვითინს იწყებდა, შემდგომ კი ტიროდა გულამოსკვნილი და წვიმას შესცქეროდა, დღევანდელ დღესაც, მომავალსაც, არადა, ვინმეს რომ დაენახა იმ დროს, როცა უმიზეზოდ იცრემლებოდა, არ დაიჯერებდა... უბედნიერეს არსებათაგანი ეგონა ყველას ეველინა, ილიმებოდა ყოველთვის, როცა ხალხში იყო და წარამარა იცვლიდა მამაკაცებს, ძალზე ლამაზი ქალი იყო და ირგვლივ მყოფნი ადვილად აპატიებდნენ ხოლმე, მამაკაცთა უმრავლესაც თუ სხვა რამ ნაკლსაც, სწორედ სილამაზის გამო ეპატიებოდა ეველინას ყოველივე და ვერც ვერავინ ეტყოდა აუგს რაიმეზე, საკმარისი იყო, ერთი შეევლო თვალი იმისთვის, ვინც საყვედურის თქმას აპირებდა, უმალ დააკარგვინებდა თავგზას, გინდა ქალი ყოფილიყო და გინდაც კაცი, თანაც, ყოველი სურვილი ადვილად უსრულდებოდა, ოღონდაც კი მოეწადინებია, მაგრამ ადამიანიშვილმა არ უწყოდა, უბედური რომ გახლდათ, ულამაზეს არსებად რომ ითვლებოდა, ამიტომაც იყო უბედური, თუმც არც მამაკაცები ჰკლებია არასდროს და არც პატივისცემა თუ დაფასება...

მამაკაცები კი წამდაუწუმ სცვლიდნენ ერთმანეთს, ბევრნი იყვნენ ძალზე ისინი, ალბათ გულითაც რომ მოეწადინებია, ვერ გაიხსენებდა ყოველ მათგანს; დადიოდა ხოლმე ეველინა მამაკაცებთან ერთად და უბედნიერეს არსებად გამოიყურებოდა, მაგრამ სცდებოდნენ: ქალი იყო ეველინა, ულამაზესი დიაცი, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა მონობა და მორჩილება ვინმესი, თუმც ვერ გამოჩენილიყო იმგვარი კაცი, ვისაც დაემონებოდა. პირიქით, მამაკაცები იქცეოდნენ ხოლმე იმის მონა-მორჩილად, თითქოს დამფრთხალი ძაღლები იყვნენ, ისე შესცქეროდნენ თვალებში და ზოგჯერ ეჩვენებოდა, კუდიცა ჰქონდათ იმ კაცებს და უქიცინებდნენ. თავად კი ვიღაცის მორჩილება სჭირდებოდა, უფრო მეტიც, უნდოდა, ვინმეს ფეხის მტვრად ეგრძნო თავი, ეცხოვრა სადმე უდაბურ, მიუსაფარ ადგილას და შრომისგან ქანცმილეულს ეცადა ხოლმე იმ სანუკვარი მამაკაცისათვის გვიანობამდე, ბოლოს კი როცა მობრუნდებოდა შინ, ფეხები დაებანა იმისთვის, ტურტლიანი საცვლები ერეცხა და როცა ყოველ სურვილს შეუსრულებდა, ეცემა თუნდაც ქმარს, ოღონდაც ხიძლიერე ეგრძნო იმისი, აი, ამგვარი რამ ესაჭიროებოდა ეველინას ბედნიერებას, ქალი იყო იგი, წვიმის გამო ძალუძდა აქვითინება და მუდმივ ნატვრადა და მიუწვდომელ ოცნებად ქცეოდა, მბრძანებლადა და ბატონპატრონად დასდგომოდა რომელიმე მამაკაცთაგანი, მგრამ არა, ვერ მიეღწია საწადელისთვის..

მამაკაცები კი მამაკაცებსა სცვლიდნენ, ერთის მაგიერ მეორე მოდიოდა, მეორის სანაცვლოდ მესამე და ასე ენაცვლებოდნენ ისინი ერთიმეორეს, ის კი არა ხდებოდა, რაც საოცნებოდ ქცეოდა ქალს, ვერც ერთ მამაკაცს ვერ დაემორჩილებია იგი, იზიარებდნენ იმის სარეცელს, მერე კი ქრებოდნენ, იკარგებოდნენ სამუდამოდ, აღარ უბრუნდებოდნენ და ასეც უნდა ყოფილიყო, ზედმეტნი იყვნენ ისინი სარეცელშიაც და იმის შემდგომ მით უმეტეს...

გედეონსაც მხოლოდ ერთხელ გაუზიარა სარეცელი ეველინამ და ამჯერადაც იმედი გაუცრუვდა ქალს: კუდი ჰქონოდა სხვა მამაკაცთამსგავსად იმასაც, ხოლო გედეონმა დამცირებულად იგრძნო თავი ეველინას სარეცლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდგომ, გაუპატიურებულად... მერე დიდხანს აღარ უბოგინია ევლინას, ხუთიოდე მამაკაცის გამოცვლაღა მოასწრო და ფსიქიატრიულ საავადმყოფს აწვიეს, იყო იქ გამოკეტილი, რიკულებიან ფანჯარაში გაეყო თავი დილიდან შებინებამდე და ლექსად ამბობდა იმ მამაკაცთა სახელებს, ბატონ-პატრონად რომ ვერ დასდგომოდნენ, გედეონსაც ახსენებდა, რაღა თქმა უნდა... ბოლოს კი გარდაიცვალა ევლინა, კუბოშიაც ისეთივე ლამაზი იყო, როგორც სიცოცხლეში, უბედნიერეს არსებათაგანი გახლდათ იგი მაშინ: სიკვდილი აღმოჩნდა ის მამრი, რომელსაც დაემორჩილა, ხოლო იმ მამაკაცებმა, მას რომ გაეუპატიურებინა, შვებით ამოისუნთქეს და გედეონსაც განცხრომა დაეუფლა...

აღმართ-აღმართ და ბედნიერად წარიმართა გედეონის ცხოვრება ამ ამბების შემდეგ. მაგრამ ერთი რამ უწვრილებდა გულს და გუნებასაც უშხამავდა: უსიზმრო ძილისთვის ვერ მიეღწია ვერაფრით, თომა ვერ ჩამოხსნოდა და ვერა იმის ძილს, ეს უღრღნიდა ფიქრსაც და ნერვებსაც, ნიუტონი ჩამოიშორა, როგორც იქნა, თომა კი იმ დიდ მეცნიერებაზე უფრო ჯიუტი და თავნება კაცი გამოდგა — ტრაქტორისტობა ისწავლეო, მისძახოდა სიზმრებს გედეონისას და ხარხარებდა და ხარხარებდა...

ამის მერე გათენდა ერთი დღე და კინაღამ სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გმირად იქცა გედეონი, სტუდენტი იყო მაშინ ჯერ კიდევ, მაგრამ გადაღებაზე როცა მიდგა საქმე, იგრძნო, სამარადისოდ ჩამოსცილდებოდა ის ნიჭი თუ უნარი, მაგრამ განიცადა გგონიათ? ნებისყოფა მომძლავრებოდა და სამარცხვინო იყო ეგ უნარიო, დაიმშვიდა თავი, მას შემდგომ თომასაც აღარ შეუწუხებია, დაეხსნა იმის სიზმრებს.

ხალხი კი ხელისგულზე ატარებდა კვლავაც — გამორჩეულიყო ერთხელ და კაციშვილი აღარ კითხულობდა, რისი მაქნისი ბრძანდებოდა, იცოცხლე, იცვალა და იცვალა ნაირნაირი თანამდებობები — რიგითობა ყოფილა თურმე ძნელი... ოჯახიც დიდებული შექმნა... მთლად ბოლოს კი ქალაქი ხედავდა ოთხმოც წელს მიტანებულ ულამაზეს მამაკაცს — ბატონ გედეონს და ამაყობდა... ორმოცდაათ წელიწადს გაერბინა უსიზმროდ და ერთ ღამესაც თომა იხილა გედეონმა სიზმრად და ნერვებდაჭიმული იყო მერე მთელ დღეს, ცუდის წინათგრძნობა აჰკვიატებოდა... ხოლო გედეონის მშობლიურ სოფელში, თვალდასანახად რომ შეჰზარებოდა, დიდი ამბები ხდებოდა იმ დროს: კლუბი აიშენა სოფელმა გაუქმებულ სასაფლაოზე და როგორც არაერთხელ მომხდარა, რომელიღაც სათავსოს მიშენება დავიწყებოდათ, ჰოდა, მიადგა ბულდოზერი ერთ-ერთ ნასაფლავარს — კუბო როგორც კი გამოჩნდა, ნირი ეცვალა მებულდოზერეს, ვიღაცის საფლავი ყოფილა და უცებ, თომა აღსდგა მკვდრეთით, კუბოს თავსახური წამოსწია, ამოისროლა სამარიდან, მოიფშვნიტა თვალები, გაიზმორა, მომნუსხველი მზერა მიანათა მებულდოზერეს და ის ეპიზოდი გაახსენდა, შეუჭმელი რომ დარჩა სიკვდილის წინ. ბოთლიც დაუდგა თვალწინ, ნახევრამდე რომ იყო მოყრილი ღვინო და, ყველი, მჭადი და ერთი ჰიჭა ღვინო მინდაო, ამგვარი რამ ინატრა გაცოცხლების შემდგომ... მებულდოზერე კი ჩვეულებრივი კაცი იყო ყოველმხრივ, და რაღაი ნორმალური ბრძანდებოდა, უნდა გაგიჟებულიყო — ახეც მოხდა: ძუნძულით ჩაუარა სოფელს, მკვდარი გაცოცხლდა და ჰყინჩი ყველი, მჭადი და ღვინო მომთხოვაო... არ დაუჯერეს, ხოლო ამან, საცაა მოვა ის გაცოცხლებული კაციო და მართლაც ჩამოუარა სოფელს თომამ: მაინძელოო, ათიოდე ოჯახს მიაძახა და საჭმელი მოსთხოვა, მათ კი იცნეს, ვინც უნდა ყოფილიყო, მსგავსი ადამიანები ლეგენდებად იქცევიან ხოლმე და გაგიჟდა ათივე. მოსახლე... თომა მშიერ-მწყურვალი დასცილდა სოფელს... ხალხმა კი გადაწყვიტა, რაღაი სიგიჟე შემოგვეჩვია, აწ ველარ ჩამოვიცილებთო და კლუბის ნაცვლად საგიჟე გახსნეს, ჩვენვე მივხედავთ ჩვენს გიჟებსო... ხოლო გედეონს ცუდის წინათგრძნობა ღრღნიდა სიზმრის შემდგომ, ჰოდა აუცხადდა კიდეც, თომა გამოეცხადა საღამოხანს: გამარჯობა შენი, გედეონ, ბაბაო, — ოციოდე წლით უმცროსი იყო თომა გედეონზე. — მესამედ გავცოცხლდი ახლა მე, არც ერთხელ არ მჯეროდა მკვდარი რომ ვიყავი, ამჯერად კი მინდა ადამიანურად ვიცოცხლო და მერე მართლაც მოვკვდეო... სტუდენტობა განეზრახა, თურმე თომას: რომელიმე მეცნიერებას ჩავჭიდებ ხელს, ჩემისთანა კაცმა რამე თუ იჭამა, იმას წყალი არ გაუვაო და თომა ჩვიდმეტიოდე წლის ბიჭად იქცა უცებ... მერე ველარ გაიხსენა გედეონმა, როდის გასულიყო თომა და მიხვდა, რისთვისაც ყოფილა საჭირო ნებისყოფა, წარამარა რომ იწრთობდა: სიგიჟეს თავის მოკვლა არჩია, ფანჯარა გამოაღო და გადახტა, ჰაერშივე გარდაიცვალა იგი, დაშორდა სული სხეულს, მეორე დილით კი ქვაფენილზე დაგდებული იპოვეს...

ეს ამბავი ჯერ არ მომხდარა, გედეონი ამჟამად რომელიღაც სამმართველოს განაგებს, თომა კი მხოლოდ ხუთი წლის მკვდარია... 2032 წელს იპოვნიან გედეონის გვამს, განთიადისას, თებერვლის უკანასკნელ დღეს, ოცდაცხრა რიცხვი იქნება ის თებერვალი, ეგ კი აღარ ვიცი, კვირის რომელი დღე უნდა იყოს მაშინ, თუმცა, ამას არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემო კარგო ტარია!

„უხასიათობა“ ერქვა ერთ ჩემს ლექსს და დღეს მინდა გავიხსენო, დღეს, როცა ზეიმის ხასიათზე ვარ.

სუყველანი შინ არიან,
სუფრაა და გრიალია...
გაზის ქურაც ჩართულია,
ტელეფონიც ჩართულია,
მაგრამ მაინც ამ დუნიას
ყველაფერი მკვდარია.
აბა, ჩემო ჭანტურია,
ჩემო კარგო ტარია;

ეს მაშინ, ახლა, „შენ ველური ეგე ზეთისხილი“.

შენი სარწმუნოების პოეზიას, მის გვირგვინოსნობას ბევრი შენატრის. მათ შორის მეც, რა თქმა უნდა, განმტკიცებული ჩვენივე საერთო ნახევარი საუკუნით, ბევრია? აბა რა გეგონა, ცოტა ისაა, შენი შვილიშვილი როა.

შემოქმედი, რომელიც უზენაესი მისიის შესასრულებლად ემზადება, ჩრდილში დგას და ისე ლოცულობს, სამაგიეროდ, ჩრდილში გამოეცხადება უზენაესი წინასწარმეტყველს, ალმოდებულ ბუჩქებთან და ერის წინამძღვრობას უბრძანებს.

ახლა მიწაზე დავეშვათ, არა ვართ ჩვენ წინასწარმეტყველნი, არც ვინმეს ერის წინამძღვრობა უბრძანებია ჩვენთვის, მაგრამ ბოროტებისაგან განთავისუფლებული ერის გასანათლად ანტისქიიდან არ დაგვჭირვებია კაცის ჩამოყვანა.

ძმაო ტარიელ, პოეტი მოციქულთა სწორია, ბნელის გამნათებელია, ბნელის გამნათებელს მახვილიც უხდება.

თუ გინდა რომ მამულს ემსახურო, შენი დღედამოსწრება თეთრ ცხენზე უნდა იყო ამხედრებული, შენ ასე ცხოვრობ, სხვანაირად არც შეგიძლია. იმიტომ მიყვარხარ, იმიტომ გიწევ ავთანდილობას (ბევრი ავიღე ჩემს თავზე).

მე ვამთავრებ სადღეგრძელოს, რომელიც საიუბილეოდ მოგიძღვენი.

შენ ძვირფასად გესმის, რომ პოეტის გზის უპირატესობა მისსავე ეროვნულობაში უნდა ვეძიოთ.

ტარიელ ჭანტურია, შენ ნამდვილი პოეტი ხარ, წმინდა წყლის პოეტი, ამიტომ, გაგიმარჯოს, ერი გიცოცხლოს, ოჯახი და მისი მომავალი, გკოცნი და გეხვევი, იყავ მეოხი მხურვალე და მცველი დაუძინებელი.

შენი ჯანსუღ ჩარკვიანი

# სამშობლოს ერთი მეციხოვნე

ჩემს თვალებს ვხედავ მეგობრის თვალში!
გამითბა ხელი მეგობრის ხელში!
მეგობრის მხარი ვიგრძენი მხარში!

ამბობს ტარიელ ჭანტურია ერთ ლექსში. ამ მეგობარში უთუოდ მეც უნდა ვიგულისხმებოდე.

ერთი თაობის ხალხმა არავისი შემოქმედება ისე ზედმიწევნით არ ვიცით, როგორც ერთმანეთისა. როგორც ტაძრის კედელზე მზის საათით ხვდებოდნენ რა დრო იყო, ჩვენ ისე შეგვიძლია მეგობრის წიგნით გავიხსენოთ, რა ასაკისანი ვიყავით, როცა იგი ამა თუ იმ ლექსს წერდა.

მართალია, ჩვენს შემოქმედებაში სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით აისახა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ერთნაირი ცხოვრების გზა გავიარეთ. ორივენი ერთნაირად თითქოს ჩრდილში დგომას ვამჯობინებდით, იაფფასიან პოპულარობას ვერიდებოდით და ჩვენი სტრიქონი პოეზიის ჭეშმარიტ მკითხველზე გვინდოდა გაგვეანგარიშებინა.

ხალხში ერთ მეტად პოპულარულ კაცს ტარიელმა ერთხელ ასეთი შეკითხვა დაუსვა:

„რომელი გირჩევნია — ერთი ტკიცინა ასმანეთიანი გედოს გულის ჯიბეში თუ შარვლის ჯიბე ამდენივე მანეთის ხურდა ფულით გქონდეს გამძღვილიო?“

ე. ი. ფეხის ხმას აყოლილი ათასი კაცი გირჩევნია თუ საქმეში ჩახედული ერთი ჭეშმარიტი თაყვანისმცემელიო?

ჩრდილში დგომა პოზა არ არის, ვისაც გააზრებული აქვს თანამედროვე პოეზიის მდგომარეობა და ის სირთულე, რომელიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის წინაშე დგას საერთოდ, ვისაც ზემოდან ამ ქვეყნისათვის ერთხელ მაინც დაუხედავს, არ შეიძლება საკუთარ თავზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა ჰქონდეს და რასაც აკეთებს, იმაში ოდნავ დაეჭვებული არ იყოს.

ტარიელი ხშირად იმეორებს ხოლმე ცნობილი ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის სიტყვებს, რომელიც მან მეორე ამერიკელ მწერალს უოლდო ფრენკს მისწერა:

„ჩემთვის გაუგებარია სული მეტოქეობისა მწერლებს შორის, იმდენად არასრულქმნილები ვართ იმის წინაშე, რაც ჩვენი გასაკეთებელიაო...“

ცხოვრება ჩემი
აფთიაქის სასწორზე ავწონე
და ისეთი კნინი გამოვიდა, —
მუშტარი შემეცოდა.

აი, ასეთი შეხედულებისაა საკუთარ ნამოღვაწარზე ტარიელ ჭანტურია. დღეს ფაქტიურად პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანები, ტარიელის მახლობელი ადამიანები, საჯაროდ ვლაპარაკობთ მის პიროვნებაზე და შემოქმედებაზე.

ახლახან მე და ჩემი მეგობრები, მათ შორის ტარიელ ჭანტურიაც, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების კართან ვიდექით, სადაც ჩვენი ახლობელი ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ტარიელმა განყოფილების კედელზე გაკრულ ერთ გულუბრყვილო ნახატზე მიმაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცევინა ყურადღება: ორი ხელი ორივე მხრიდან მოციმციმე სანთელს ეფარებოდა, რომ მბჟუტავი სინათლის ალი ჩაქრობას გადაერჩინა, რაც რეანიმაციის კართან მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ამ კარს იქით ადამიანები მბჟუტავი სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ამ ნახატის შინაარსი არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც ექიმების მსგავსად ადამიანისათვის, ადამიანის სულის ვანწმენდისათვისა და გადარჩენისთვის იბრძვიან.

ეკოლოგებო და პოეტებო!
ვებრძოლოთ უნდა ზღვების,
ტბების,
მდინარეების,
ოკეანეთა
და სულების გაბინძურებას!

ამბობს ტარიელ ჭანტურია.

მე სიჭაბუკიდანვე მხიბლავდა მისი ფხიზელი გონება და მკაცრი ლოგიკა,

ტარიელ ჭანტურიას ლექსი მუდამ თანამედროვე, მუდამ აქტუალური და პოლემიკურია.

ჩვენ გვესაუბრება თავისი ხალხის ბედ-იღბალზე დაფიქრებული კაცი, მისი ერთი მეციხოვნე, რომლის სულიც იდუმალი ძაფით არის გადაბმული იდუმალ ქართულს და რომელიც ამაყად დგას დიდი წარსულის, დიდი რუსთაველის ოცნების ჩრდილში. მის ლექსებში ფეთქავს უზარმაზარი გული პოეტისა, რომელიც გადახსნილია ჩვენი სიყვარულისათვის.

სიყვარულისთვის! კარგო, ჩვენ მხოლოდ
სიყვარულისთვის გავჩნდით და ვცხოვრობთ!

ამ დიდ სიყვარულს მხოლოდ სიყვარულივე ეპასუხება. ჩვენ კი რაც არ უნდა ვთქვათ მასზე, ტარიელს ალბათ მაინც ვერ დავარწმუნებთ, რომ ისე გვიყვარს ტარიელი, როგორც მას ვუყვარვართ. ერთ ლექსში აკი ამბობს:

ვერ ვიტყვი თითქოს არ ვუყვარდე ძმაკაცებს ჩემსას,
მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს ბიჭები ჩემი!..

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

# ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ...

ჩემზე ცოტათი უფროსია და გაცნობის დღიდან ვგრძნობდი მის მზრუნველობას და ქომაგობას. ბევრგან დამხვედრია ტარიელ ჭანტურიას გულით ნათქვამი სიტყვა, რასაც ყოველთვის კეთილი სამსახური გაუწევია. მუდამ დაუვიწყარი და საამო მოსაგონარი იქნება ტარიელისა და რამდენიმე სხვა მეგობრის გვერდით „ცისკარში“ გატარებული წლები, მაგრამ ამაზე ამჯერად არაფერს ვამბობ.

ჩემმა ბავშვობამ დაახლოებით იმ მიდამოებში ჩაიარა, სადაც ტარიელი იზრდებოდა და ამიტომაც ზოგი რამ მის ლექსებში ჩემთვის უფრო მახლობელი და საცნაურია. მე უფრო იოლად წარმოვიდგენ პატარა, უსაშველოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყენილ ბიჭს, კუშტულიანი, ცალგვერდგარღვეული ტომარა თავზე საწვიმარივით რომ წამოუცვამს და მოცომებულ ტალახზე შიშველი ფეხისგულების ანაბეჭდებს ტოვებს. გაჭვარტლული სამზადიდან, შემოდგომის პირზე მეც მასავით მიმზერია; როგორ დგრიალებს დატკეპნილ ბილიკზე გრძელი, გადაუღებელი წვიმები. ამ დროს მოვისმენდით ჩვენ-ჩვენი ნაჯაფარი, ხელებდაკოჟრებული ბებიებისაგან ბუზღუნით ნათქვამს: „ცაი ფეხად ჩამოდის“. მათგანვე გავიგებდით, რომ ადრე გურიის მთებს ზღვა ფარავდა და სამების წვერზე ახლაცაა დარჩენილი დიდი რკინის პალო, სადაც ძველად გემებს აბამდნენო. მაშინ არ გვყავდა ერთმანეთი ნანახი...

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჩვენი მშობლიური რაიონის (ლანჩხუთის) თავკაცებმა და მშრომელებმა ერთი ძალზე კარგი ღონისძიება განახორციელეს — მოიწვიეს და მეტად გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თბილისში მცხოვრებ „სახელოვან თანამემამულეებს“. შვიდას კაცში ტარიელი და მეც მოვხვდით და თუმცა ასეთი ტიტულის მფლობელებად არ მიგვაჩნდა თავი, უფროსებს მაინც წავყევით. ულამაზესი აპრილი იდგა. დილა-ბნელში კელაპტრებივით ენთო აყვავებული ბლის, ვაშლისა თუ მსხლის ხეები. ჰაერი უნაზეს და თავბრუდამხვევ სურნელებას დაებანგა. მაშინ ვინანეთ, რომ ათასნაირ უაზრო წვრილმანებში გახლართულებს რამდენი ხანია არ მოგვინახულებია ჩვენი კუთხე.

ცნობილია, ტარიელს მწარე ენა აქვს. შეიძლება უნებურად გატკინოს გული და მერე შენზე მეტად თვითონ ნანობს, რომ გული გატკინა, ყოველნაირად ცდილობს უსიამოვნო გრძნობა დაგავიწყოს. გაბრაზება მართლაც უეცარი იცის, მაგრამ დიდად აფასებს ამა თუ იმ ოჯახთან მეგობრულ დამოკიდებულებას. როცა რომელიმე ახლობელზე გულმოსული ყოფილა (ტარიელის განაწყენებას კი ყველა ახლობელი ერიდება), უთქვამს, კი ვიცი რისი ღირსიცაა, მაგრამ რანაირად გავიმეტო, მაგის დედის გამომცხვარი ჭადი მიჭამიაო.

რომელიმე საქმოსანი, პირად კეთილდღეობას და გამორჩენაზე გადაყოლილი ვითომ მწერლის გაბურთავება როცა უნდა, ტარიელი ძალზე მოხდენილად აკეთებს ამას: რომ მჯობია ვიცი, არ ვდავობ, მაგრამ როგორ დავიჯერო, ამდენად მჯობია, ხუთჯერ მეტი აქვს პატივი და დაფასება. შეარგოს ღმერთმა, ალბათ ასეა საჭირო... — დაამატებს ბოლოს.

თუ რა დაუნდობელი მოპაექრეა ტარიელი, ეს კარგად გამოჩნდა მისი წერილების დიდად საინტერესო წიგნში — „ყულაბა სავსე ოცნებით“, რომლის ტირაჟიც — შეძენისა და წაკითხვის მსურველთათვის მეტად მცირე აღმოჩნდა. მე მას არაერთხელ შევკამათებივარ ლექსში სიახლის თაობაზე. კამათის შემდგომ ჩვენ-ჩვენს აზრზე დავრჩენილვართ, მაგრამ ამას არასოდეს შეუშლია ხელი, ძველებურად გვყვარებოდა ერთმანეთი.

ერთხელ რაღაცის გამო მითხრა, შენ გეტყობა ჯერ კიდევ ვერ შეგუებიხარ იმ აზრს, რომ როცა იქნება, ეს ქვეყანა უნდა დავტოვოთ. როცა კი ამას შეურიგდები, ყველაფერი უფრო გაიოლდება და თავის ადგილზე დადგება.

ეტყობა ხილული სამყაროს შელევა არც ისე იოლი საქმეა, რადგან სხვა დროს თავად ჩანდა შეძრული და აფორიაქებული — ლექსების დასაწერად განუწყვეტელი სიცოცხლე მჭირდებაო, თქვა და ხარბად გახედა ცად გადახსნილ უსასრულო სივრცეს. არაფერი არ იყო ამაში გასაკვირი, ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი ასე უნდა ფიქრობდეს.

ტარიელ ჭანტურიას სიმღერის ლარი უკიდურესობამდეა ხოლმე დაჭიმული და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს შეიძლება ხელიც შეაჭრა მისი სიტყვის სიბასრეს.

ეროვნული

მე ხშირად მაგონდება მისი სტრიქონები, საკუთარი ბუნების გარდა, მშობელი ერის უტეხ ნებას, სიკვდილის ზღვარამდე მისულ თავგანწირვას რომ გამოხატავს:

ჩემს დროშასავით ამაყ ხერხემალს
მონური მოხრა არ ეხერხება.

ტარიელ ჭანტურია მარად მოძრავ სამყაროზე, სიცოცხლეზე თავდავიწყებამდე შეყვარებული კაცია და დაურღვეველი ჰარმონიის, ოჯახური იდილიის მოთაყვანეა, როცა აგუზგუზებულ მამაპაპეულ კერას არავინ აკლია, სრული მყუდროება სუფევს, „როცა ყველა შინ არის“.

ერთ თავის საუკეთესო ლექსში („ახლა ყველანი სახლში არიან“) იგი არაჩვეულებრივი სიცხადითა და სითბოთი აცოცხლებს იმ ნეტარ წუთებს, ოჯახის თვითეული წევრი თავისთვის რომ ფუსფუსებს, დედა დიასახლისობს, მამა ალბათ სამსახურის ქაღალდებშია თავჩარგული, პატარა დაიკოს მუხლებზე რუხი ტილო გადაუფენია და ფერადი ძაფებით ცხენისფერდებიან მითიურ არსებას ბლანდავს. ფანჯარასთან მიმდგარ მეოცნებე ბიჭს, მოახლოებული მატარებლის გუგუნში, ესმის როგორ რეკავს ავის მაუწყებელი „მუნჯი ზარი“ და გუმანით გრძნობს ეს სიხარული ხანმოკლეა.

და ყველაფერი, რაც გიხარია,
რად გიხარია — არ იცი თავად.
მე წავალ სადმე... ყველანი წავალთ...
ჯერ კი ყველანი სახლში არიან.

ამ ბიჭს უკვე შეცნობილი აქვს ადამის დროიდან გაცხადებული უმკაცრესი და შეუვალი ჭეშმარიტება, ერთმა ძველმა ქართველმა პოეტმა უბრალოდ, თავშეკავებული სინანულით რომ გადმოსცა: „ყოველნი განვვლით სოფელსა, არვინ დავრჩებით შინაო...“

ადრე დაკეცა სიხარულმა ფრთები და ყმაწვილი კაცი სუფსის განაპირას, ქვალორღიან შემაღლებაზე მშობელი მამის საფლავს დასჩერებია. შემაღონებელია გვიანი შემოდგომის წვიმა გურიაში. შინ არ გიჩერდება გული და ნელი ნაბიჯით მიმავალი გაყურებ ნისლით აბოლებულ მთებს. ხეებზე შეზვინულ ჩალის ღერებს კამკამა წვეთები დაკიდებია. სევდამოწოლილი ჭაბუკი ვერც გრძნობს, როგორ მიდგომია ვერცხლისფრად შეღებილ რკინის მესერს და ფეხით აზელილი „სიკვდილის ლანდი“ თითქოს გარდასულთა ქვეყანასთან აკავშირებს. მისი სიცოცხლის დასაბამი, ოდესღაც მისი სისხლი და ხორცი ავდარში ამოსულ მემკვიდრესა და ჭირისუფალს უკან გაბრუნებას ურჩევს:

სველდება გვიმრა, სველდება ბარდი,
სველდება ბზის და ნეკერჩხლის ტოტი,
და მესმის: „შვილო, ჰო, ახლა წადი,
და მერე... ერთხელ... ოდესმე.:: მოდი.

აქ ყველაფერი ისეთი ნამდვილი, ტკივილით სავსე და ბუნებრივია, გადახსნილი მიწიდან ლამის ჩვენც ვისმენთ სვენებ-სვენებით, ჩურჩულითა თუ ხვნეშით ამოთქმულ, ტყვიასავით დამძიმებულ სიტყვებს.

ტარიელ ჭანტურია ხშირად პირდაპირ არ ამბობს სათქმელს, მინიშნებას ჯერდება, მაგრამ მინიშნებით თქმული გაცილებით ღრმად აღიბეჭდება ჩვენს ცნობიერებაში და მოვლენის არსს უფრო ცხადად ვწვდებით და ვხედავთ. ცხოვრების წარმავლობაზე ნაღვლიანმა დაფიქრებამ დაბადა ეს თოვლის სუდარასავით გარინდებული სტრიქონები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგება ზამთრის ვეება ღამე
და ყველას, ყველას გვეყოფა ძილი...

„სტუმრისა“ და „გაღმა ნაპირის“ ავტორი ერთ ან რამდენიმე სტრიქონში გაცხადებული ლაიტმოტივის საუცხოო ოსტატია, მაგრამ ამაზე ალბათ საგანგებოდ შეჩერდებიან ჩვენი ლექსმცოდნეები და საგულდაგულო ანალიზსაც ისინი გააკეთებენ.

სიკვდილის მეტაფორა ტარიელ ჭანტურიას ლექსებში მუდამ ნაირსახოვანია და განცდაც სხვადასხვანაირი გვეუფლება. ზოგჯერ იგი შავსათვალიანი შპიონთა შეფია; უსირცხვილო შუბლზე ლურჯი კეპი ჩამოუფხატავს და „ბრმა გასაღებით აწვალებს კარებს“.

მეტაფორის უფრო თავისუფალი გამოყენებით ძალზე საინტერესოა პატარა ურითმო ლექსი, გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას რომ ეძღვნება. აქ, ხელშესახებად სახიერ სტრიქონებზე ქარონის პირქუში, მოუსვენარი ლანდია გადაფოფრილი:

. . .

სიცოცხლე მერგო ისე მცირე,
თითქოს ბოთლებში გადავცვალე.
დრო გადაულებლად ცრის... ცრის...
მენიჩბე მონებს დაუგმანეს ყურები ცვილით..
გასათხოვარმა გოგოებმა
თეთრი დოქები შეუდგეს ცრემლებს
და ავსებას ელოდებიან.

. . .

საღამოვდება.

ტარიელ ჭანტურია თითქმის ყველაფერში დიდ ვნებას და აზარტს დებს. მახსენდება ერთი უცნაურად დამუხტული ლექსი, სადაც სიკვდილის სიმბოლო არენაზე გამოვარდნილი, რქებმოღერებული შავი ხარია, წითლად აფრიალებული ნაჭრისკენ რომ მიექანება:

— ოლეე!
— ოლეე!
რეკავს სეგიდილია!
ზემოთ, ქვემოთ —
ყველგან სიკვდილია.

დგება ჟამი და პოეტს ბავშვობაში ნანახი სეზონურად მომუშავე რაჭველი კაცი მოენატრება. ხელებდაკაპიწებული, ფეშტემალაკრული აგურს აგურზე რომ აწყობდა და ხელმოკლე ოჯახებს ნახევარ ფასად უშენებდა საკვამურს. უკვალოდ გამქრალის დასახატავად აქაც მოხმობილია გარდაცვალების მიმანიშნებელი მეტაფორა, იმ ტიპისა, ჩვენი ხალხის ხატოვან გამოთქმებში რომ უდგას ფესვი:

ამაოდ ეძებთ, ამაოდ ელით
ოსტატს ხუმარას და მოიეფეს:
მაღალი ბუხრის ლამაზი ყელით
ცას შეუერთდა მებუხრე სეფე.

ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ სიკვდილთა შორის მაინც თამამად იკვალავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას მეორე, მომხიბლავი და მარადიული სასწაული, რომელიც ხან მთვარის დაჭორფლილ კვერცხშია მოქცეული, ხან თეთრ-ყვითლად მოქათქათე აბრეშუმის პარკში ჩაბუდებული პეპლას სახეს იღებს, ხანაც, ეს ყველაზე მთავარია, ამ სასწაულს მუცელდატყობილი, ნათელგადაფენილი ახალგაზრდა ქალის სიფრიფანა სამოსელი იფარავს.

ერთმანეთს ებრძვის ჭმუნვა და სიხარული; ხან ერთი იძალებს, ხან — მეორე. აშკარად ჩანს, პოეტი რომლის მხარეზეა. იგი მუდამ ნატრობს — დაბადება სჭარბობდეს სიკვდილს. პოეტი იმასაც ფიქრობს — უცნობი ადამიანები, მოფუსფუსე ჭიანჭველების მსგავსად, შეხვედრის დროს შუბლით ეხებოდნენ ერთმანეთს.

კაცის თვალსაწიერში დღეს ღამე ენაცვლება, ბნელს ნათელი, გარდაცვალებას — დაბადება და კონტრასტების ეს დაუსრულებელი მონაცვლეობა ქმნის სამყაროს დიად ერთიანობას. ქვეყნის გზაშარაზე თავდავიწყებით მსრბოლი ეტლიც ამ უცნაურ ნაირსახეობას ემორჩილება:

ეტლი და ეტლი ჩემი ცხოვრების:
ხან — ბალდახინი...
ხან — ბალაგანი...

ყველაფერს ბოლო აქვს და აუხსნელი იგავი ისევ შეგვახსენებს თავს. ბუნებრივია, რომ რუსთაველის შთამომავალი მიწაზე ჩავლილ ცხოვრებას „ღამის სიზმრად“, წამიერ ზღაპრად წარმოიდგენს. აქ ცოცხლდება და სულ სხვა, სიღრმისეულ იერს იძენს დიდებული მეტაფორა, ჩვენს ბავშვობისდროინდელ თამაშობას რომ ეხმიანება:

მოვა და თვალზე ხელს აგვაფარებს.
ჩვენ კი არ ვიცით, ვინ არის იგი...
ასე მთავრდება ყველა ზღაპარი
და იხურება ცისფერი წიგნი.

ჩვენ კი გვინდა, რაც შეიძლება დიდხანს ჩაგვესმოდეს ამ ცისფერი წიგნის იდუმალი შრიალი, დიდხანს გაგრძელდეს პოეტის მოწიფულობისა და უხვი სთველის ხანა. ამით მხოლოდ მოიგებს ჩვენი ხალხი, ქართული მწერლობა.

**ემზარ კვიტაიშვილი**

# პოეტი – დუელიანტი

ტარიელ ჭანტურიას 25 წელზე მეტია რაც ვიცნობ. ამ ხნის მანძილზე თვალყურს ვადევნებ მის შემოქმედებას. და დღეს ვერ ვიხსენებ ისეთ პერიოდს, რომ მისდამი ლიტერატურული აუდიტორიის ინტერესი ყოფილიყო გულგრილი და ინერტული.

მაშინაც, როდესაც მის შემოქმედებას ჰყავდა და ჰყავს გულწრფელი ქომაგები და გულშემატკივრები, თანამოაზრენი და ეპიგონები და მაშინაც, როდესაც მოწინააღმდეგეები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ მის შემოქმედებას, ტარიელ ჭანტურია მაინც ერთხმადაა აღიარებული საინტერესო და დამაფიქრებელ პოეტად, პროფესიონალ ლიტერატორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თვისების ან თვისებების ერთობლიობაა საჭირო, რომ პოეტმა ასეთ ლიტერატურულ მდგომარეობას მიაღწიოს?

აქედან, გარდა ნიჭიერების თავისთავადი აღიარებისა, მე მინდა ყურადღება გავამახვილო მისი პოეზიისა და პიროვნების არტისტულ ბუნებაზე.

ტარიელ ჭანტურია არტისტული პიროვნებაა სიტყვისადმი გამახვილებული გრძნობით და გონებრივი გამჭრიახობით.

გონებამახვილობა, რომელიც ბევრს ესმის როგორც მხოლოდ ენამოსწრებულობის ფორმა, ტარიელ ჭანტურიასათვის, უპირველეს ყოვლისა, არის თვით პოეტური აზროვნების განუყოფელი ნაწილი. გონებამახვილობა მისთვის არის სიტყვით აღნიშნული მნიშვნელობის სხვა მნიშვნელობათა სისტემასთან რთულ მიმართებებში გარკვევის გზა.

რაკი სიტყვა ტრიელ ჭანტურიას შემოქმედების თავისებურებას შეეხო, ბარემ აქვე ვიტყვი მისი პოეზიის ერთი უმთავრესი თავისებურების გამოც.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ლიტერატურაში ტარიელ ჭანტურია ერთი პირველთაგანია, რომელმაც იგრძნო თანამედროვე ცივილიზაციის ფონზე მიმდინარე ე. წ. „ენობრივი ცნობიერების დეცენტრალიზაციის“ პროცესი.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ე. წ. საკვანძო, განმაზოგადებელი, სუგესტიური, შთამაგონებელი მნიშვნელობებით აღბეჭდილი ცნებების გაუფასურების პროცესი. როდესაც ამ ცნებათა აქტიური ცხოვრების ჟამია ხოლმე, მათი თავისებურება ისაა, რომ მსმენელისგან თუ მკითხველისაგან ისინი მოითხოვენ უყოყმანო მორჩილებას, უკრიტიკოდ მიღებას, აღიარებას.

მაგრამ თანამედროვე აზროვნების სტილის ერთი თავისებურება ისაა, რომ ახლა დგას ასეთ ცნებათა მნიშვნელობებში დაეჭვებისა და მათი პრინციპული შემოწმების ჟამი. ეპოქის სააზროვნო სიტუაცია დგას ცნებათა პრინციპული ანალიზისა და კრიტიკის გზაზე. უყოყმანო მორჩილებისა და აღიარების ნაცვლად დღეს ბატონობს ამ ცნებათა განსჯის და მათში ჩადებულ მნიშვნელობათა შეპირისპირების პრინციპი სხვა მნიშვნელობებთან.

ტარიელ ჭანტურიამ სხვებზე ადრე იგრძნო ეს ტენდენცია... მან სხვებზე ადრე გაიცნობიერა ეს პროცესი და ამ პრინციპს დაუქვემდებარა მთელი თავისი შემოქმედება.

სრულიად აშკარაა, რომ ეს არ არის იოლი და მარტივი საქმე. ამგვარი შემოქმედებითი პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს ბევრ ტრადიციულ ხერხებთან და საშუალებებთან კატეგორიული დაპირისპირების აუცილებლობას. ასეთი შემოქმედებითი გზა ითვალისწინებს სრულიად განსხვავებული კუთხიდან იმ საგნის დანახვის შესაძლებლობას, რომლის შესახებაც მკითხველს ჰქონდა მტკიცედ განსაზღვრული წარმოდგენა. აქედან — მისი პოეზიის ირონიულ-პაროდიული ნაკადი.

ამ თვისებით ტარიელ ჭანტურია ზოგჯერ უპირისპირდება მკითხველსაც, აღიზიანებს მას, იწვევს მისი წარმოდგენების პროვოცირებას. ამ თვისებით ტარიელ ჭანტურია ზოგჯერ წინაც უსწრებს ხოლმე ლიტერატურულ პროცესში მიმდინარე მოვლენებს და გვევლინება ახალი ტენდენციების გზის გამკაფავად.

ასეთი ლიტერატურული პოზიცია, ცხადია, გონებამახვილობის ამარა ვერ გავა ფონს. ასეთ ტენდენციას სჭირდება ერუდიცია, განათლება და კულტუროლოგიური ორიენტაციის უნარი. ტარიელ ჭანტურია ამ თვისებებითაც დაჯილ-

ეროვნული

დოებული კაცია. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ესეებისა და შთაბეჭდილე-ბების ახალი წიგნი — „ყულაბა სავსე ოცნებით“.

ერთ ჩემს ადრინდელ წერილში გამომდინარე — მკითხველთან და სიტყვასთან ტარიელ ჭანტურიას დამოკიდებულების პრინციპიდან, მას პოეტი-დუელიანტი ვუწოდე. ასეთად რჩება იგი დღესაც.

ტარიელ ჭანტურიას ლიტერატურული პოზიცია მე მაგონებს კორიდაზე მდგარი მატადორის პოზიციას, რომლის წითელი მულეტიც შემართულია ლიტერატურული შტამპების პროვოცირება-გალიზიანებისათვის. ხოლო დაშნა — სასიკვდილო დარტყმისათვის...

გიორგი ვაჩეჩილაძე

# ფრთხილად—ტარიელ ჭანტურიაა!

უფროსი თაობის მწერალთაგან ყველაზე ნაკლებ ალბათ ბატონ ტარიელთან სჭირდება ახალგაზრდა კაცს შუამავალი, ის მესამე კაცი, რომელიც როგორც წესი, გაცნობს ხოლმე შენთვის საყვარელ პოეტს და პიროვნებას. ამგვარადაც ვიტყვი — ტარიელ ჭანტურიას გაცნობა არ გჭირდება (ვფიქრობ, დამეთანხმება ის, ვინც ამ ათი წლის მანძილზე ერთხელ მაინც შემოსულა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში). იგი თვითონ მოდის შენთან, მოდის ჩვეულებრივ და უბრალოდ, აინტერესებს, ხარ თუ არა „ლექსისა და წიგნის“ კაცი, „ცისა და მიწის შუამავალი“; ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, გაგიფრთხილდება, გვერდით დაგიდგება.

ტარიელ ჭანტურიამ ყველაფერი იცის, ანუ იცის, ვინ რას აკეთებს, ვინ — მოჩვენებით აჭერს ცას საქოჩრეს ან რამდენად ღრმად უდგას მიწაში ფესვი... იცის, რამოდენა გული სჭირდება ლექსს, სიყვარულს, გამძლეობას; ლალატს — რამდენი ვერცხლი; ისიც კი — რამდენი წლისაა ეშმაკი... და მაინც უკვირს, შენი დამოკიდებულების, აზრის გაგება უნდა... თუმცა, აქ სიფრთხილეა საჭირო, ბეწვის ხიდზე ხარ. ეს „სპექტაკლი“ ხომ ისევ შენთვის; შენი გადარჩენისთვის არის დადგმული. და თუ რაიმე ისეთი შენიშნა, მზადაა თვალი აგიხილოს, გულისცემა ფრთხილად და უმტკივნეულოდ შეგიცვალოს. სხვათა შორის, არც გულისტკენას დაერიდება.

ტარიელ ჭანტურია არ არის ზეიმის კაცი. იშვიათად ვხვდებით მას სადღესასწაულო სუფრასთან; უფრო მეტიც: იგი დაგვიანებულ ან შემთხვევით სტუმარს გვაგონებს მაშინ. მისი „სკამიც“ სამზარეულოს სკამივით უბრალოა (სადმე შეუმჩნეველ კუთხეში უხერხულად ჩაკოსებული), მაგრამ თუ დავაკვირდებით, ვიგრძნობთ, სხვებზე გამძლეა და მკვრივი. მერე თანდათან ხვდები, „სერობის“ დასასრულს მაინც, ბატონ ტარიელის სკამი რა ახლობელია და გამორჩეული (და არა საიუბილეო სავარძელი!), ამიტომ აქეთ გინდა გამოაჩოჩო შენი სკამიც (ეს ხომ არც ისე იოლია — მას ტარიელ ჭანტურიას ნიჭი, ზნეობა და გამძლეობა სჭირდება) ან, ყოველ შემთხვევაში, აქვე ახლოს გინდა ტრიალი, გამოსაუბრება, თითქოს მისი ერთი ირონიანარევი, მართალი სიტყვისთვის მოსულხარ დღეს აქ, ჩუმად შემოპარულხარ, როგორც ბავშვობისას მთვარიან ღამით საყდარში... არადა, თუ არ მოგხედა, არ მიგიხვდა, მაშინ...

მაგრამ, ადრეც ვთქვი, მან ყველაფერი იცის. ის შეიძლება შენსკენ ზურგით იჯდეს და გხედავდეს, ბეჭებზე გადაგდიოდეს, გსუსხავდეს მისი მზერის

ნამცეცები და, უიმედოდ შეყვარებული ბიჭივით, მის აბლაბუდაში იყო ერთთავად გახვეული.

ტარიელ ჭანტურიასთან საუბრისას ორი რამ უნდა გახსოვდეს. პირველი: მტკიცედ სდექ!.. და, ფრთხილად — ტარიელ ჭანტურიაა!

დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო ტარიელ! ორმოცდაათი წელი რაა თქვენისთანა კაცისთვის. თქვენი ცხოვრების წესით, ზნეობით, ლექსით, ცინცხალი გონებით შორსმჭვრეტელი და უბერებელი ბრძანდებით: ისე, კაცმა რომ თქვას, ოცი წლის „მოხუცებიც" ვიცით ჩვენ, უფრო სწორად, თქვენ იცით და, პირიქითაც — დაბრძენებული ყმაწვილებიც.

სანამ ვართ, არ მოგვშლოდეს ჩვენ „თქვენებური" უტყუარი ლექსი, თქვენ — ახალგაზრდა „მართალი ბიჭების" შემჩნევის ნიჭი და მადლი, ბატონო ტარიელ!

ზაურ კალანდია

---

## ტარიელ ჭანტურია

### კიდევ ერთი ქება ქართლს

ბორჯომო და
სურამო და
ზინდისო და
კეჩხობო,
მინდა, როგორც ბავშვობაში,
ისევ ისე გეჩხუბო!
მინდა, ყირას გადავიდე, წელზე ლახტი გიცხუნო
ან ზურაბის დედის ცრემლი პეშვით შუბლზე ვისხურო!
სურამისა ციხე ვნახო და სურამის ბაზრობა,
ჩითის ბლუზით გახარება და ამის უაზრობა!
სურამო და
ზინდისო და
კეჩხობო და
ხაშურო!
თუ რამ ქვეყნად ტკივილია, მინდა, ყველა გაშორო!
იქნებ ეუცხოვოს ვინმეს, რატომ გიწერ ამ ქებას!
მეც — სურამის ციხის მცველი — მტერმა ბევრჯერ ამკეპა!
შენს ისაკას — შენი ცის ქვეშ დაბადებულ ურიას —
ხაიფაში ცრემლი ახრჩობს — შენი ნახვა წყურია!
ხაშურო და
კეჩხობო და
ზინდისო და
სურამო,
დაგიფაროს შენს კედლებში მოქცეულმა ზურამო!

## ეთნოგრაფიული კუთხე ჟანსუღ ჩარკვიანის ბინაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანური ქუდით,
თუშური გუდით,
ხევსურის ლუდით
შენ ხარ მდიდარი!
ეს ყველაფერი —
სულ ამ ცით არი!
ეს ყოველივე —
სულ ამ მთით არი!

მეგრელის გულით,
გურულის გოლით,
მესხის საყოლით
შენ ხარ მდიდარი!
აჭარით შორით,
რაჭული ლორით,
ლეჩხუმელების
მწველი გიტარით!

ალაზნით, ივრით,
სოკოთი, ნივრით,
ტუჩთეთრა ვირით
შენ ხარ მდიდარი!
პარიზს გააძღობს,
რაც რო ყურძენი
გადაზიდულა
ამ საზიდარით.

გიყვარს ამ ორის —
ამ ნიამორის —
ჩამოტარება
და ჩატარება,
და, სტუდენტურად,
ჩვენც დაუსწრებლად
მოგვწონს მამულში
დროის ტარება!

ჩოხით ბერულით,
დავითფერულით,
სევდით ფარულით
შენ ხარ მდიდარი!
სისხლი იწვეთებს
ამ ხანჯლებიდან,
კვლავ არ გამოვა
სანამდე დარი!

სვანური ქუდით,
თუშური გუდით,
ოსური ლუდით —
დგახარ ამაყად!
მონატრებული —
შენს „ლექსპონატებს"
მე კიდევ ერთხელ
ვნახავ ამაღამ! —

მაინც და მაინც
ახლა! ამაღამ!

●

უნდა ტკეპნო ურმის კოფო.
უნდა თესო. უნდა კაფო.
ამოგალბოს უნდა წვიმამ,
ამოგეწვას მზისგან კეფა.
დოქით წყალი — შენი სმაა,
მუხის ჩრდილი — შენი კაფე!
ბარაქალა, ნოე ჩემო,
რაც შენ თესე, რაც შენ კაფე!
განა შენაც, ზოგ-ზოგივით,
სხვისი სვი და სხვისი ქაფე! —
სულ სიკეთის თესლი თესე,
სულ ბოროტის ფესვი კაფე!
ვენაცვალე მე შენს სამზადს,
ნაცად ცულს და ურმის კოფოს,
შენს იარაღს — შეუცთომელს,
შენს „ვალინკებს" — გლეხის კომფორტს.
მე თბილისში თუმცა ვთვრები
და შენ ტაბანათში თვრები,
უფალი ხომ მაინც ხედავს —
მენატრები, გენატრები!

## ᲐᲦᲐᲛᲘ

პატარა ნეკნი დამეკარგა,
უპერანგო, შავთვალა!
მთელი ღამე ქსოვა, კერა,
მთელი ღამე კერა, ქარგა,
მერე უეცრად დამეკარგა
პატარა ნეკნი, შავთვალა!

ვინ იცის, ჩემი სიახლოვე
საჭიროდ არ ჩათვალა!
მთელი ღამე ქსოვა, ქარგა,
მერე უეცრად დამეკარგა,
პატარა ნეკნი დამეკარგა —
უპერანგო, შავთვალა!

მე მეტი აღარ შემიძლია
ტკივილების ატანა!
ჩემი ნეკნების მოქნილ კარკასს
ერთი აკლია: დამეკარგა!
პატარა ნეკნი დამეკარგა! —
უპერანგო,
შავთვალა!

## ᲚᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ ᲚᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ

სიამაყე მაგრძნობინა მეც ამ
მშვენიერმა მიწამ! უფრო — ზეცამ!

სიამაყე მაგრძნობინა მეც ამ
სნომ, ხახაბომ, ფარსმამ, დიკლომ, მუცომ!

სიამაყე მაგრძნობინა მეც ამ
პურმა ჩვენმა, პურმა შენმა — მაცამ!

თუ გულით ვერ ვემსახურე მეც ამ
ცას და მიწას — გულო, მაშ, რად მიცემ!

სიხარული მომიტანა მეც ამ
ხმამ — სოპრანომ (თუ არ ვცდები — მეცომ).

სიამაყე მაგრძნობინა მეც ამ
ხალხის შრომამ — საქმემ სამამაცომ!

და ღმერთს ვვედრი: დამიფაროს მეც ამ
ზეცამ: ფარსმამ, სნომ, შენაქომ, მუცომ...

## ᲚᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲡ

დღეის ამას იქით მეც ვიცხოვრებ „შიკით":
გავანელებ შხამებს შხამ-პანურის ჭიქით!
ვივლი ცხრაათასით, როგორც ცხრა კაპიკით!
აღარ ვიჩხარუნებ ხურდაგამძვრალ სიქით!
დღეის ამას იქით მეც ვიცხოვრებ „შიკით":
ხან არშიყით, ხან სმით! ხან სმით, ხან არშიყით!
დავივიწყებ ბორცვებს, გადაგლესილს თიხით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამრთელდება მკერდი, ჩანგრეული მჯიღით.
დღეის ამას იქით მეც ვიცხოვრებ „შიკით“:
წამოზრდილი ღიპით და პოკერის ჩიპით.
პურით! — არა დიკით! ყავით — არაბიკით!
დამით! — რა თქმა უნდა, უსათუოდ პიკით!
ჩემს მაღაროს — მიწურს — გავამაგრებ ბიგით!
დაინახავთ ჩემს ქვებს ავლილები რიყით!

. . .

დღეის ამას იქით! მაგრამ — იმის იქით? —
სასაფლაოებთან
საათია პიკის...

## ნაწყვეტი საუბრიდან, რომელიც შეეხებოდა ლექსებსა და გოგოებს

(თითქმის იუმორესკა)

— რა ხანია, ვეღარ წერენ ლექსს პოეტები!
— პოეტები?
— მაპატიეთ! — ექს-პოეტები!
ლამის ჩაქრნენ სექს-ბომბებიც, სექს-გოგოებიც!
— გოგოები?
— მაპატიეთ! — ექს-გოგოები!
თუ დაღუპავს, ლექსს დაღუპავს ეგ სილამაზე!
— სილამაზე?
— მაპატიეთ! — ექს-სილამაზე!
და იცით რა? — ეს ბავშვური ექს-ექსპერიმენტი
და რითმების ექსორია! ვერაფერი მეტი!

## მთვარიანი ღამე იყო...

მთვარეს? — შეყვარებული
ლიმონივით გამოწურავს!
რიონს? — შეყვარებული
გაცურავს და გამოცურავს!
მაჯებს? — შეყვარებული
სულ იოლად გადაიჭრის!
მიჯნურს ცრემლი უნახოს —
თავს მაშინვე გადაირჩენს!
წალკოტს? — შეყვარებული
უდაბნოშიც გააშენებს!
ის თუ უმზერს? — არიფიც —
უხედნელ კვიცს გააჭენებს!
მაგრამ შეყვარებულს —
გინდაც იყოს მუხანათი —
ვერა! შეყვარებული
ვერასოდეს უღალატებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარეს? — შეყვარებული
ლიმონივით გამოწურავს!
ბიჭო! შეყვარებულო! —
მთვარე უკვე ამოსულა!

●

მწიფს ალუბალი. შვენის ყაბახი.
ბაღს იზეპირებს წყარო რაკრაკით,
და იფურცლება გაღმით სხვა ბაღი —
ძვირფასი წიგნის სხვა პარაგრაფი.

სარეცხს ვარდების წყალში ავლებენ —
აჩახჩახებენ კალთებს ქვიშნები,
და დგანან მწყობრად მწვანე ალვები:
ქართლის მშვენებით გაოცებულმა —
ღმერთმა ძახილის დასვა ნიშნები!!!!!!

●

როცა ღამე პოეტების
ცემით მოითენთება
და საბძელში მიეგდება —
სწორედ მაშინ თენდება!

როცა პოეტს, ცემით დაღლილს,
წყლული დაუამდება
და სიმღერას წამოიწყებს —
სწორედ მაშინ ღამდება!

პოეტებო! დებო! ძმებო!
დღის და ღამის გამყოფო!
დღის და ღამის გასარჩევად —
ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ!

# გამოსათხოვარი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართველმა ხალხმა. წავიდნენ ჩვენგან ნამდვილი ლიტერატორები და მამულიშვილები, „ცისკრის“ რედკოლეგიის ყოფილი წევრები გურამ ასათიანი და ლაშა ჯანაშია. ადამიანები რომლებმაც მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება, ნიჭი და ენერგია ქართულ მწერლობას, ქართული კულტურის, ჩვენი ისტორიის წინსვლის საქმეს შეალიეს.

უსაზღვროდ მწუხარეა ასეთი შვილების დამკარგავი ერი. ჟურნალი „ცისკარი“ და მისი სარედაქციო კოლეგია თავის მკითხველებთან ერთად უერთდება ამ დიდ მწუხარებას...

## ღირსეულად განვლილი სიცოცხლე

ქართველ კრიტიკოსთა შორის თუკი ვინმეს პოეტი ეთქმის, პირველ რიგში ეს გურამ ასათიანზე ითქმოდა. პოეტური ხიბლით და მადლითაა გაჟღენთილი მისი ესსეები და კრიტიკული წერილები, იგი არასოდეს ივიწყებდა რომ კრიტიკოსი, პირველ რიგში მწერალია და რაც არ უნდა ლოგიკური იყოს მის მიერ მოწოდებული აზრი, აუცილებელია ამ აზრის მხატვრულად გადმოცემა, აუცილებელია მშრალი, სამეცნიერო ტერმინოლოგიის ზომიერი ხმარება, ლაღი, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი ქართულით წერა. სწორედ ამიტომაა, რომ გურამ ასათიანის კრიტიკულ წერილებს ყოველთვის სულმოუთქმელად ვკითხულობთ. მის მემკვიდრეობას უპირველესად სწორედ ეს ნიშანთვისებები აძლევს მომავალი სიცოცხლის უცილობელ გარანტიას.

რა ფართო იყო მისი ინტერესების სფერო, მისი კვლევის საგანი! უმთავრესად კი ქართულ პოეზიას დასტრიალებდა თავს და ამ სფეროში მჟღავნდებოდა და იხსნებოდა თვითონაც როგორც ავტორი, როგორც მწერალი. აინტერესებდა ყველაფერი, რაც მისი ქვეყნის კულტურასთან იყო დაკავშირებული. ამ ინტერესმა, ამ საქვეყნო ფიქრმა შეაქმნევინა გამორჩეული, უნიკალური წიგნი „სათავეებთან“. დიდი ერუდიციისა და გემოვნების პატრონს შეუმჩნეველი არ დარჩენია უახლეს ქართულ მწერლობაში, კერძოდ კი პოეზიაში მიმდინარე პროცესები, სანიმუშო იყო მისი გულისხმიერება მწერალთა ახალგაზრდა თაობის მიმართ. მისი დიდი გულის სითბო მეც არაერთხელ მიგრძვნია. არაერთხელ მქონია სურვილი გულითადი მადლობა მეთქვა ყველაფრისათვის, მაგრამ ვერ შევბედე, ვერ მოვახერხე. იგი არ ეკუთვნოდა მწერალთა იმ კატეგორიას, საკუთარი პერსონისადმი გუნდრუკის კმევა რომ კმაყოფილებას ჰგვრით, ეტყობა, მტკიცედ ჰქონდა შესისხლხორცებული, რომ თვითკმაყოფილება მწერლობის უპირველესი მტერი და რომ თვითკმაყოფილი მწერალი უკვე მწერალი აღარაა. იუმორით, ღიმილით ებრძოდა ამქვეყნიურ უთვალავ ამაოებას, და მოახლოებულ ულმობელ და უდროო სიკვდილის აჩრდილსაც თავის მომხიბვლელ ღიმილს ახვედრებდა ფარად. ეს არ ყოფილა უმწეობის ღიმილი. ეს იყო ღიმილი იმ კაცისა, ვინც მრავალი რამ შეი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნო ამქვეყნიურ საიდუმლოებათაგან და შეიცნო ისიც, რომ ადრე თუ გვიან კაცი სიკვდილის პირისპირ რჩება და ამ წუთისათვის მზადებაა მთელი მისი ცხოვრება!.. და რომ სიკვდილის ძლევა მხოლოდ ღირსეულად განვლილი ცხოვრებით შეიძლება...

მას უფლება ჰქონდა სიკვდილს ღიმილით შეხვედროდა!

თედო ბექიშვილი

# მწერლის სიცოცხლეს და სიკვდილს მისგან დაწერილი სიტყვა განსაზღვრავს

ნამდვილი მწერლის გამოჩენა ეროვნული ლიტერატურის ასპარეზზე ყოველთვის კანონზომიერად ხდება. იმდენად კანონზომიერად, რომ გაიფიქრებ — მათ მოსვლას ზებუნებრივი ძალები განსაზღვრავენო. ისინი სწორედ მაშინ მოდიან ხოლმე, როცა ყველაზე უფრო საჭირონი არიან. ისინი მოდიან, რომ რაღაცას სულზე მიუსწრონ, რაღაც გადაარჩინონ, რაღაცას გეზი მისცენ.

...და როცა ისინი კვდებიან, შთამომავალი ფიქრობს: როგორი იქნებოდა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრება, ის რომ არ მოსულიყო, არ მოეტანა სიტყვა, როგორც ღრუბლებს წვიმა დაგვალული ჯეჯილებისათვის, რომ არ მოეტანა სიტყვა, როგორც ტყვია-წამალი დაუნებებლად განწირული მეციხოვნისათვის.

გურამ ასათიანიც ასე მოვიდა. მას თითქოს უფრთხილდებოდნენ, უფრო დიდი საქმეების გასაკეთებლად ამზადებდნენ... მაგრამ როცა გაჭირდა, როცა ლიტერატურის მდინარე ისე აიმღვრა, რომ მებადურის პროფესია საჭირო აღარ იყო, იგი კრიტიკოსის მაღალი მოვალეობის შესასრულებლად გამოგზავნეს.

იგი იმ დროს მოვიდა, როცა კრიტიკამ თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი მთავარი დანიშნულება. — დაიბნა, აერია კრიტერიუმები, წარმმართველი ძალიდან სათამაშო ძალად იქცა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ციხეს კარი შეეხსნა, ნამდვილ მეციხოვნეთა ადგილზე ხის შუბიანი და ხის ხმლიანი რაინდები გადმოდგნენ, შუბლები ბრძნულად შეიჭმუხნეს და დაეჭვებით გამოაცხადეს: საერთოდ საჭიროა კრიტიკა?! მთავარი მომავალი საუკუნეებია. არავინ იცის, მომავალი ვის ალვის ხეზე შემოსვამს და ვის მიწის პირს არ აცილებს. ასე — პროფესიული კრიტიკის აუცილებლობა ბუხრისპირული ფილოსოფიით შეიცვალა. კრიტიკის დანიშნულება პატარძლის გამომწყობი ქალის დანიშნულებად იქცა.

მგზავრს მხარი შეეცვალა, მაგრამ ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იქით მიდიოდა, საითაც უნდა წასულიყო... მითუმეტეს, რომ ეს გზა ფართო იყო და გზის გასწვრივ მარადიული გაზაფხულის მირაჟი სუფევდა. — განუწყვეტლივ ყვაოდნენ ყვავილები, განუწყვეტლივ უსტვენდნენ ჩიტები. არსად სერიოზული დაფიქრება, არსად სერიოზული ტკივილი. არც კლდე და არც შეწყერი... ეს ყველაფერი სხვა გზაზე დარჩა.

როგორ უნდა დაგერწმუნებინათ მგზავრი, რომ მისი ყვავილოვანი გზა ჭაობისკენ მიდიოდა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ უნდა დაგერწმუნებინათ მგზავრი, რომ ის გზა ასცდა, რომ მისი ბილიკი მყინვარებზე და კლდეებზე გადიოდა?!

როგორ უნდა დაგერწმუნებინათ მგზავრი, რომ მისი ბედნიერება გზასაცდენილი მგზავრის განუსჯელი ბედნიერება იყო?!

ამის გაკეთება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც უმაღლესი დანიშნულებით იყო გამოგზავნილი და ვის სულსაც უმაღლესი კატეგორიის გრძნობები წარმართავდნენ, რომლებიც წარსულის სიბრძნის ღრმა ფენებიდან ამოიზარდნენ და ახალი დროის რიტმში გაშალეს ტოტები. ეს გრძნობები თავისი საოცარი ბრძოლისუნარიანობით, სიკაშკაშითა და სილამაზით ანათებდნენ და მთავარ გზას უჩვენებდნენ გზადაკარგულთ, სადინარს უკაფავენ დასაჭაობებლად შესვენებულ მდინარეს. ეს გრძნობები უძლეველია, როცა ძალად იქცევიან, როცა კაი ყმის მაჯებში აჩქეფდებიან სისხლად.

ეს ძალა ჰქონდა გურამ ასათიანს.

ის ვერ დაიკვეხნიდა — ბევრს ვუყვარვარო. „სიყვარული“ არაა ის სიტყვა, რომელიც გურამ ასათიანის სიცოცხლეს დასტრიალებდა ჭრელ პეპლასავით. მას პატივს სცემდნენ, ენდობოდნენ, ეიმედებოდათ, სჯეროდათ; სძულდათ, ვერ ურიგდებოდნენ, ეშინოდათ...

ასე რომ ჩვენგან „კაი ბიჭი“ კი არა, მებრძოლი კაცი, შორსმჭვრეტელი მოაზროვნე, ეროვნული ისტორიის ღრმა ფენებში მომზირალი თანამედროვე, დღევანდელი ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი უნიჭიერესი წინამძღოლი წავიდა.

„კაი ბიჭსა“ და „საყვარელ ბიჭს“ ახლობლები იგლოვებენ. ქართული ლიტერატურა კი თავის კაი ყმას, თავის მედროშეს ტირის.

ის წავიდა და გაღმიდან გამოგვხედა თავის ღრმა თვალებით, თავისი მრავალმნიშვნელოვნად გაღიმებული სახით — ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! იბრძოლეთ, ვიდრე ცოცხლები ხართ! ლიტერატურა უძლეველი ძალაა და ეს ძალა სასწაულებს ახდენს ერის ცხოვრებაში!

ძველ ხევსურებს ჰქონდათ სჯა-ბაასისათვის განკუთვნილი ადგილი, რომელსაც საფეხვნოს ეძახდნენ. აქ ირჩეოდა თემის ყველა უმთავრესი პრობლემა.

ერთი საოცარი ჩვეულება იყო აქ: საფეხვნოზე რომ თუნდაც შვიდი-რვა წლის ბიჭი მისულიყო დაგვიანებით, ყველანი — ახალგაზრდებიც, შუათანებიც, მოხუცებიც ფეხზე წამოდგებოდნენ — მოხვე მშვიდობითო! — ეტყოდნენ. დასაჯდომ ადგილს შესთავაზებდნენ. ბავშვიც დიდივით უპასუხებდა — დამხვდით მშვიდობითო. მერე ისიც ჩამოჯდებოდა და ყურს მიუგდებდა უფროსების სჯა-ბაასს. მას ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ. ბავშვისთვის საფეხვნო დიდი სკოლა იყო. პატივისცემა მას ზრდიდა, აფრთიანებდა, მოვალეობის დიდი გრძნობით ავსებდა.

გურამ ასათიანი არა ერთ ახალგაზრდა მწერალს წამოუდგა ფეხზე, თავისებური მრავალმნიშვნელოვანი კეთილი ღიმილით — მოხვე მშვიდობითო...

ამისათვისაც გმადლობთ, გურამ!

მწერლის სიცოცხლე და სიკვდილი უპირველეს ყოვლისა მისგან ნათქვამ სიტყვასთანაა დაკავშირებული. მწერალი ცოცხლობს, ვიდრე მისგან ნათქვამი სიტყვა ცოცხალია და კვდება, როცა სიტყვა კვდება.

ამ აზრით გურამ ასათიანი კვლავ ცოცხალია და ისევ თავის უმძიმეს ტვირთს ეწევა.

**მამუკა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აუნაზღაურებელი დანაკლისი

ლიტერატურულ დისკუსიებსა თუ რომელიმე ნაწარმოების საჯარო განხილვაზე, გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ფიგურა გურამ ასათიანი იყო. იმის მომსწრეებიც ვყოფილვართ, დარბაზი მხოლოდ მისი გამოსვლის მოსასმენად და საცქერლად შევსებულა. დიახ, საცქერლად. რადგან ამ სიმპატიურ კაცს უაღრესად დახვეწილი მანერები ჰქონდა და ეს ლიტერატურის, კულტურის მოყვარულებს ერთგვარად ნოსტალგიას უამებდა, ნოსტალგიას სწორედ წიგნებიდან შეთვისებული, წარმოსახვაში არსებული ქართული არისტოკრატიზმისადმი. რაც მთავარია, თვით ბატონი გურამის სათქმელი ყოველთვის ზუსტი, მოხდენილი და აუცილებლად ახალი გახლდათ.

ამ ათიოდე წლის წინ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ შეხვედრა მოუწყო გურამ ასათიანს. როგორც ველოდით, ისე ჩაიარა საღამომ. სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა სტუმარს და ისიც ნელ-ნელა გვიპყრობდა. ვუსმენდით და ბევრ რამეს ახლებურად ვხედავდით, ბევრს საინტერესოს ვითვისებდით. და ისევ ის, რომ ბატონ გურამის ყოველი ჟესტი იმდენად მშვენიერი და მეტყველი იყო, ხშირად მსმენელები მოწონების ღიმილით გადავხედავდით ერთმანეთს.

შეხვედრის შემდეგ რამდენიმე სტუდენტმა პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის მეთაურობით სტუმართან ერთად საღამოს გასაგრძელებლად სხვაგან გადავინაცვლეთ. სუფრაზეც მხოლოდ ლიტერატურაზე იყო საუბარი. აქაც სულის მოთქმას არ ვაცლიდით ბატონ გურამს. ისიც სიამოვნებით გვპასუხობდა, გვიხსნიდა...

გვიან დავიშალეთ. ბატონი გურამი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი და მე შევრჩით. ბევრი ვისეირნეთ ღამის თბილისში. ძალიან ნასიამოვნები იყო. დამშვიდობებისას ბატონმა გურამმა შემოგვთავაზა, ხვალ ჩემი სტუმრები იქნებით. დროსა და ადგილზე შევთანხმდით. მეორე დღეს ავთანდილი და მე ცოტა ადრე მივედით დათქმულ სკვერთან. სულ ხუთიოდე წუთი დააგვიანა ბატონმა გურამმა და უნდა გენახათ, როგორ მოგვიბოდიშა.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მასთან ერთად გავატარე ორი საღამო.

ახლა, რომ მახსენდება ყველაფერი ეს, დარწმუნებული ვარ, სადაც კი აუცილებელი იქნებოდა არისტოკრატული (არტისტიზმთან ნაზიარები) სულის გამომჟღავნება, ბატონი გურამი ყველგან და ყველაფერში შეუდარებელი იქნებოდა.

ჩვენ, ბატონ გურამზე უმცროსებმა, მისი ახლობელ-მეგობრებისაგან გავიგეთ, თუ როგორ ეჭირა თავი უკვე განწირულს. რა ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს. ალბათ ეს ყოველივე დაიწერება. აუცილებელი კია, აუცილებელი ჩვენთვის, შვილებისა და შვილიშვილებისთვის.

წარმომიდგენია, როგორ იწვა, როგორ ხუმრობდა. რა შესანიშნავი წერილები დაწერა სწორედ იმ დღეებში.

რა დიდი უბედურებაა, რომ აღარ არის ეს კაცი.

და რამოდენა ბედნიერებაა, რომ ჩვენს სინამდვილეში არსებობდა დიდებული ლიტერატორი გურამ ასათიანი. კაცი, რომელმაც სიკვდილიც კი დაიმშვენა. და საერთოდ, ვისაც ყველაფერი უხდებოდა.

**ბადრი ჭოხონელიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უნიჭიერესი მეცნიერი

ძალიან, ძალიან მიჭირს რისამე თქმა ლაშა ჯანაშიაზე ამ მწუხარების დღეებში.

...ეს წუთია ჩემი სამუშაო ოთახიდან გავიდა სურენ ერემიანი, სომეხი ისტორიკოსი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ვისხედით ორივენი და ულრმეს წუხილს გამოვთქვამდით ლაშა ჯანაშიას უდროოდ დაკარგვის გამო. ვიხსენებდით უდიდესი გულისტკივილით რა შესანიშნავი სწავლული და სპეციალისტი იყო, რა შესანიშნავი მოქალაქე, რამდენს გვპირდებოდა!..

ლაშა ჯანაშიას ისევე კარგად იცნობდნენ სომეხი მეცნიერები, როგორც ქართველები. მისი კვლევა-ძიების უმთავრესი მიმართულება ხომ სომეხ-ქართველთა ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა, ეს მეტად საჭირო, მეტად ეროვნული და, ამავე დროს, გინდაც ინტერნაციონალური შინაარსის მქონე საქმე იყო. მას შეალია ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი შემოქმედებითი ენერგია და სიცოცხლის ის ხანმოკლე დრო, რომელიც ბუნებამ მისთვის გაიმეტა.

ლაშა ჯანაშია უნიჭიერეს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის. ბევრის გაკეთება მოასწრო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრიც განუხორციელებელი ოცნება წაჰყვა თან დიდებული მამის ღირსეულ მემკვიდრეს.

მე კარგად ვიცნობდი ჯანაშიების მთელ ოჯახს. უსაზღვროდ მიყვარდა ლაშას სახელოვანი მამა, დიდი ქართველი მეცნიერი სიმონ ჯანაშია, ულრმესი პატივისცემით ვარ განმსჭვალული ქალბატონ მართას მიმართ რომელმაც ასე დიდი ამაგი დასდო და ხელი შეუწყო მეუღლესა და შვილს — სიმონს და ლაშას მათს მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

სამაგალითო ოჯახი, სამაგალითო ადამიანი!

რამდენი ილვაწა ლაშა ჯანაშიამ ჩვენი აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უძვირფასესი ფონდის გასამდიდრებლად; რა ცოდნა და ენერგია, რა გარჯა და მეცადინეობა მოახმარა მან უცხოეთში გაბნეული, ქართული კულტურისათვის უაღრესად საჭირო, ფასდაუდებელი დოკუმენტების მოპოვებას და სამშობლოში დაბრუნებას...

ქართულმა მეცნიერებამ ნამდვილად დიდად ნიჭიერი კაცი დაჰკარგა, ნამდვილად მძიმე დანაკლისი განიცადა.

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები

თეიმურაზ დოიაშვილი

# ნუგზარ შატაიძის მოთხრობები

ნუგზარ შატაიძის დებიუტი თავისებურად პარადოქსული იყო — ყურადღება მიიპყრო მწერალმა, რომლის შემოქმედება სავსებით თავსდება ტრადიციის ჩარჩოში. ასეთ ყურადღებას, როგორც წესი, ისინი იმსახურებენ, ვინც ლიტერატურაში ახალი მასალა, სინამდვილის განსხვავებული ხედვა, სტილური სიახლეები მოაქვთ. ნუგზარ შატაიძემ კი, ფაქტიურად, თემატურ-მხატვრულ ნოვაციათა გარეშე შექმნა ისეთი მოთხრობები, რომლებმაც მიიზიდა, გულგრილი არ დატოვა მკითხველი. ქართული პროზის ცნობილ სტილურ ნაკადთან სიახლოვის მიუხედავად, ეტყობა, ამ მოთხრობებში იყო რაღაც ორიგინალური, თვითმყოფი საწყისი, ოღონდ არა ზედაპირზე მდებარე და თვალში საცემი, არამედ შეფარული, ძნელად მოსახელთებელი.

ნუგზარ შატაიძე მოკლე მოთხრობების ავტორია. მათგან უვრცესი იშვიათად თუ გადააჭარბებს ხუთ-ექვს გვერდს. აქ არ შეხვდებით თემის ფართო, ეპიკურ დამუშავებას. არც ამბავს აქვს მწერლისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. თვით ისეთი ფაბულაც კი, რომელიც შინაგანად შეიცავს სიუჟეტის გაშლისა თუ გართულების შესაძლებლობას, შეკუმშულად, კონცენტრირებულად არის მოწოდებული. ავტორი ერთი-ორი სცენისა თუ სურათის დახატვით, დეტალთა ზუსტი ორგანიზაციით კმაყოფილდება.

პროზაული სტრუქტურა, როგორც ცნობილია, ორი ძირითადი კომპონენტისაგან იქმნება: აღწერა და თხრობა. ტექსტში, ჩვეულებრივ, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან. მხოლოდ დიდოსტატები ახერხებენ მათს შერწყმას, ურთიერთგამსჭვალვას, როდესაც აღწერა მოიცავს თხრობის ელემენტებს მისთვის დამახასიათებელი დინამიზმით, ხოლო თხრობა ითავსებს სტატიკურობით აღბეჭდილ აღწერა-გამომსახველობას.

ნუგზარ შატაიძის პროზაში, პირობითად, მასალის კომპოზიციური ორგანიზაციის ხამი ტიპი გამოიკვეთება: პეიზაჟი, სურათი ანუ სცენა და პეიზაჟისა და სურათის (სცენის) კომბინაცია. აქედან გამომდინარე, შეუმცდარად შეიძლება ვთქვათ, რომ მწერლისთვის შინაგანად ახლობელია აღწერითი მანერა, თხრობითი საწყისი კი დაქვემდებარებულია. მაგრამ უფრო არსებითი სხვა რამაა. ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში ერთმანეთს ენაცვლებიან არა ეპიზოდები, სადაც მოქმედება დროში ვითარდება, არამედ სახელდობრ, **სცენა და სურათი**, რომლებშიც მოქმედება სივრცობრივად არის ლოკალიზებული. დრო უცვლელია — თხრობა წარმოებს აწმყოში, რომელსაც არა აქვს წარსული და მომავალი. შემოსაზღვრულია სივრცეც, მოქმედების ადგილიც — ესაა ჩვენს წინ გათამაშებული სცენა, ცოცხალი სურათი.

ჩემი აზრით, მასალის კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპით ნ. შატაიძის პროზა უფრო მხატვრობასთან ავლენს სიახლოვეს, ვიდრე საკუთრივ პროზასთან. იგი მოქმედებას, გამოსახულებას უფრო სივრცეში აგებს, პროზა კი განუყოფლადაა დაკავშირებული დროის წარმოდგენასთან.

მხატვრობის კონსტრუქციული პრინციპი პროზისათვის, ცხადია, არაორგანული და უცხოც კია, მაგრამ ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში არ იგრძნობა ხელოვნურობა, მასალაზე ძალდატანება. ამის მიზეზი ისაა, რომ მწერალი, ინტუიციურად თუ გაცნობიერებულად, თითქმის შეუმცდარად არჩევს ისეთ თემებს, რომლის დამუშავებისას პროზა ბუნებრივად იღებს ორიენტაციას მხატვრობაზე. ეს არის, როგორც ვთქვით, პეიზაჟი და სივრცით შემოსაზღვრული ჟანრული სურათი პრეზენსული თხრობით. ეს ორი ძირითადი ელემენტი კომპოზიციას ან დამოუკიდებლად ქმნის, ან ურთიერთკომბინაციით. ამ თვალსაზრისით ტიპიურია, ერთი მხრივ, „ადგილის დედა“, „ზამთრის პირი“, როგორც პეიზაჟური პროზის ნიმუშები, ხოლო, მეორე მხრივ, „სურათი“, „სათონეში“, როგორც შემოსაზღვრულ სივრცეში განხორციელებული კომპოზიციები. პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზაჟისა და სურათის გაერთიანების ნიმუშია მოთხრობა „შემოდგომა".

ნუგზარ შატაიძე როგორც პეიზაჟებს, ისე ჟანრულ სურათებს ოსტატის ხელით ხატავს. მისი პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია გამოსახულების მკაფიობა, დეტალების სიზუსტე, სურათის ფიზიკურ პარამეტრთა სიტყვიერი რეპროდუცირებისაკენ ლტოლვა. აღწერის მოჩვენებითი ობიექტურობის მიღმა იგრძნობა მწერლის განწყობილება. ბუნება შემოქმედის სულიერ მდგომარეობას აირეკლავს. აი, ერთი ნიმუში ნ. შატაიძის პეიზაჟური ხელოვნებისა:

„სექტემბერში სიცხეები ასატანი ხდება. ცას სიღრმე და სილაჟვარდე ემატება. მდინარე იწმინდება და მდოგვისფერ, რბილ ტალღებს დუნედ მოალივლივებს. გამჭვირვალე წყალში კარგად მოჩანს ლოპრმოდებული, ბრტყელი ქვები. ჰაერში სველი ფოთლებისა და თევზის სუნი ტრიალებს. მდინარისპირა ჭალაში გრილა. ხეების ძირში მაღალი, ყავისფერი ხავსი ბიბინებს. გადატრუსულ ბალახში დიდრონი კალიები დახტიან. ჩხიკვები და კუდიანი კაჭკაჭები იქაურობას იკლებენ. ზემოთ ფლატეზე, იმის იქითაც — ოქროსფერ ნაწვერალში, დასუქებული მწყერები ქვითქვითებენ, სოფელსაც უცვლია იერი — ბაღებსა და ვენახებს ჟანგისფერი დასდებია. ორღობეში შემოდგომის სურნელი ტრიალებს. კაკლები დაუბერტყიათ და გზაზე ყვითელი ფოთოლი და ჩაშავებული წენგო გაფენილა. ეზოებში, ხმელ ლასტებზე ვაშლისა და ატმის ჩირია გაშლილი. აივნის ბოძებზე კი ძაფზე ასხმული საჩურჩხელე ნიგოზი ჰკიდია. შორს, სამხრეთით ტყის ვიწრო ზოლს ჟანგისფერი წაჰკიდებია".

ამ სურათში იგრძნობა ავტორის დაკვირვებული თვალი, მისი ყურადღება საგანთა ფორმისადმი, განსაკუთრებით, შეფერილობისადმი და, რაც მთავარია, უნარი ბუნების სურათის ძირითადი ტონის, განწყობილების მიგნებისა და გადმოცემისა. ზოგჯერ დეტალები და თვით ცალკეული ნიუანსებიც კი იმდენად ტევადია, რომ ისინი მთელს აღწერას ცვლიან. ამის ნიმუშია თუნდაც მშვენიერი სახე ზამთრისპირის პეიზაჟისა — „გამობრუჭებული ფერდობები", ანდა გაზაფხულის ასეთი მეტყველი შტრიხი: „ჩაშავებული ტყის პირებიდან ყვითლად იცქირება შინდი"...

ნუგზარ შატაიძის პეიზაჟები ძალიან კონკრეტულია, თითქმის ფიზიკურად შესაგრძნობი. მაგრამ ბუნების სურათების ხატვისას მწერალი ზოგჯერ ისეთ განზოგადებას აღწევს, რომ მის მიერ შექმნილი გამოსახულება სიმბოლურ ღირებულებას იძენს.

მთის სოფლების ბედზე თანამედროვე ქართულ პროზაში ბევრიც დაიწერა და კარგადაც. ქართული მწერლობის დამსახურებაცაა, რომ მთელმა საქართველომ გაუკაცურებული მთისკენ მიიხედა. ასეთ ვითარებაში ამ თემაზე წერა, თუ სათქმელს რაღაც თავისებური ფორმა არ მოუძებნე, ერთნაირად სახიფათოა თემისთვისაც და ავტორისთვისაც. მოთხრობაში „ადგილის დედა" ნ. შატაიძე უშუალოდ პრობლემაზე არსად გვესაუბრება. ყოველგვარი რიტორიკისა და ზეაწეულობის გარეშე ის მხოლოდ პეიზაჟს ხატავს, მაგრამ აზრობრივ-ემოციური კონცენტრაციის, მხატვრული განზოგადების იმ ხარისხს აღწევს, რომ შთამბეჭდავად გვაგრძნობინებს თავის ტკივილსა და სათქმელს.

ქართული სოფლის პრობლემა უფრო მწვავედ და მტკივნეულად არის დასმული მოთხრობაში „ჭინჭარი ნასახლარზე იზრდება". ეს არის ელეგია მიტოვებულ სოფელზე და უნათესავო, უპატრონო დედაბერზე, სოფლის მოშლაზე, „დანგრეულ ბუდეებზე", რომელთაც ჭინჭარი მოსდებია. ნაწარმოებში დახატული სიტუაციის დასახასიათებლად მოვიტან მხოლოდ ორ მხატვრულ სახეს: „სოფელი უპატრონო მიცვალებულივით თოვლში დაიმარხა"; „აქაურობა დაშლილ, გამოუსადეგარ კასრს დამსგავსებოდა და იმ ძველ კასრში დედაბერი ისე ცხოვრობდა, როგორც ლამურა ამოჩემებულ ბნელ ფუღუროში". პირველი შედარება ობიექტურ ვითარებას ასახავს, მეორე კი სოფლისა და მისი ერთადერთი მკვიდრის ურთიერთობას ახასიათებს. დედაბერი ებრძვის ჭინჭარს, გასაოცარი სისწრაფით რომ ფარავს არემარეს, მაგრამ ეს უიმედო ბრძოლაა, უიმედო, ჯერ ერთი, იმიტომ რომ დედაბერი მარტოა და სუსტია, და მეორეც, — მისი კავშირი სოფელთან სიყვარული აღარაა. ეს უფრო ლამურას ინსტინქტური ერთგულებაა ამოჩემებული ადგილისადმი.

უცნაური და მოულოდნელია ამ ტრადიციული მოთხრობის ფინალი. სოფელში ამოსულ კაცებს ძალით მიჰყავთ დედაბერი ქალაქში. ურემზე დაბმულ, შემზარავად აკივლებულ მოხუც ქალს „უეცრად თეთრ ცხენზე გადამჯდარი მხედარი" იხსნის და გაიტაცებს. ეს არაორაზროვანი მინიშნება თეთრცხენიან მხედარზე და დედაბრის სასწაულებრივი გადარჩენა რაღაც აბსტრაქტულ იმედს ბადებს — გაცოცხლება ჭინჭარმოდებული სოფლისა, რომელიც თავის დროზე მოთხრობის „უცნობის" ! მსგავსმა უგულო მოხელეებმა დააქციეს, მხოლოდ სასწაულს ძალუძს.

რა სტკივა ქართულ სოფელს, რა მოხდა გამოუსწორებელი, რა დაიკარგა ასე უკანმოუბრუნებლად? ამ კითხვაზე სოციოლოგებს მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი აქვთ. მაგრამ, არა მგონია, უფრო ზუსტად იყოს მიგნებული ტკივილის თავი მიზეზი, ვიდრე ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ნ. შატაიძის მოთხრობაში „მოლოდინი“. ამ ნაწარმოებში მწერალი პირობითობას მიმართავს, მაგრამ ეს პირობითობა, უფრო ზუსტად, პირობით-სიმბოლური სახე, თხრობისას ისე კონკრეტდება, რომ ჭირს გარკვევა, ნამდვილად პირობით-სიმბოლური სახე გვაქვს, თუ მოთხრობის რეალური პერსონაჟი მოქმედებს.

სოფელს სტოვებს სიყვარული, ღამით ჩუმად მიიპარება ორღობეში. „სიყვარული“ თხრობისას პერსონიფიცირდება მსახურის, მოჯამაგირის სახედ, რაც გარკვეული ხერხია მხატვრული სიმართლის მისაღწევად. სოფელს სტოვებს სიყვარული! — სათქმელი უკვე ამ ერთ ფრაზაშია მოქცეული. ზის საბრალო, მოკუნტული სიყვარული სოფლის ბოლოში და ღვთისნიერ კაცს ელოდება. სოფელს სტოვებს სიყვარული! — აი, სათავე ამ ნეგატიური ცვლილებისა, რომლის შედეგიცაა მიგრაცია. გაქრა სიყვარული მიწისადმი, შრომისადმი, საერთოდ, ყოფნის სიხარულის განცდა — ამის გარეშე სოფელი ვერ იარსებებს. დაუბრუნეთ სოფელს სიყვარული! — ხსნა მხოლოდ აქ არის.

ნუგზარ შატაიძის პეიზაჟზე საუბარმა მისი პროზის ერთი თემატური რკალის განხილვისაკენ გაგვიტყუა. დავუბრუნდეთ სათქმელს და მივმართოთ კომპოზიციის მეორე ძირითად სახეს — ჟანრულ სურათს.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში სოფლის ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე ფრაგმენტია აღებული და მხატვრულად დამუშავებული. მწერლისეული ყოფითი სცენები იმდენად ბუნებრივია და ნაღდი, რომ უკვე ნატურის ასეთი სიმართლით გადმოღება, სინამდვილის განპოეტურების მაღალი ხარისხი უბრალო ფრაგმენტებს თავისთავადი არსებობის უფლებას ანიჭებს. რეალურობის ილუზიის შექმნის უნარიც შესწევს ნ. შატაიძეს, მწერლობაში ადვილი არ არის, იგი ამ უნარს უმეტესწილად მიზანშეწონილად იყენებს, ე. ი. შემოქმედებითი ამოცანის გადასაწყვეტად წარმართავს, თუმცა ზოგი მოთხრობის კითხვისას („ჩიტი“, „სეტყვა“, „სოფელი“...) ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მწერალი ცოტა გადამეტებით ენდობა თავის თავს, ტექნიკის ერთგვარ დემონსტრირებას ახდენს.

საბედნიეროდ, ნ. შატაიძე არ კმაყოფილდება სინამდვილის პოეტური დუბლიკატების შექმნით. მის პატარა მოთხრობებში, სადაც მხოლოდ გეოგრაფიული გარემო კი არ არის დასაზღვრული, არამედ თხრობის დროითი და სივრცობრივი საზღვრებიც, ბუნებრივად და უშუალოდ შემოდის დიდი თემები, თანაც ისე, რომ მოვლენები თუ სიტუაციები ზოგადი იდეების კონკრეტიზაციის საშუალება კი არაა, არამედ თავად იდეა ამოიზრდება ცხოვრებიდან და გაგრძნობინებს შიშის, სიკვდილის, სიყვარულის, სიკეთის, იმედის ჭეშმარიტულ შინაარსს.

მოთხრობაში „შეხვედრა“ სოფლის ცხოვრებისთვის არაფრით გამორჩეული სიტუაციაა დახატული: ჭრიან ბებერ კაკლის ხეს. ეზოში კაცები საქმიანობენ. სახლში ქალები სუფრას შლიან. ეს უბრალო ფრაგმენტი ნაწარმოებში აზრობრივად იტვირთება, ღრმავდება, რის შედეგადაც ხდება არა სინამდვილის რეპროდუქცირება, არამედ მასალის კონცეპტუალური დამუშავება.

მოთხრობაში ორი სიკვდილია აღწერილი — ხის სიკვდილი და დედაბრის სიკვდილი. (ასეთი პარალელი ლიტერატურისათვის უცხო არაა. საამისოდ ლ. ტოლსტოის „სამი სიკვდილის“ გახსენებაც კმარა.) ნ. შატაიძის ნაწარმოებში ეს ორი მოვლენა გარეგნულად ერთმანეთთან არაფრით არაა დაკავშირებული. აქ მხოლოდ დამთხვევაა — ბებერი კაკლის მოჭრის დროს დედაბერი გარდაიცვალა. მაგრამ ფაქტების გარეგნული განცალკევებულობის მიუხედავად, არსებობს შინაგანი კავშირი, რაც ნაწარმოებში პარალელიზმის ხერხითაა გამოხატული და შედარება-შეპირისპირების საფუძველს იძლევა.

არის ამ ორ სიკვდილში რაღაც მსგავსი, იგივეობრივიც კი — ორივე, ხეც და ადამიანიც, კვდება მშვიდად, უდრტვინველად, ლამაზად. მაგრამ მსგავსებაში გამოსჭვივის ღრმა განსხვავებაც. ხე კვდება მშვიდად და უდრტვინველად იმიტომ, რომ სიკვდილი მისთვის გაუცნობიერებელია („მართლა ხომ არ ეცოდინებოდა, რომ უნდა მოეჭრათ“). დედაბრის სიკვდილიც ძალზე წააგავს კეთილშობილი ხის სიკვდილს — აქაც არის რაღაც სტიქიური, ბუნებრივი გადასვლა ყოფნიდან არყოფნაში. გამრჯე დედაბერი სულით ხორცამდე ბუნების შვილია, შეგუებული ბუნების გარდაუვალ კანონს, ის უბრალოდ, ჩუმად უყურებს სიკვდილს თვალებში. მისი ცნობიერება თავისებურად ალამაზებს კიდეც სიკვდილს წასულებთან შეხვედრის ილუზიით. დედაბერი მიდის შიშის, ტანჯვის გარეშე. ეს არის ადამიანის მიერ სიკვდილის დაძლევა, მასზე ამაღლება. ასე ძალდაუტანებლად, ამბის შინაგანი ლოგიკიდან იკვეთება ავტორის პოზიცია.

მოხმობილი პარალელი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ავტორი რაღაც საერთო საწყისს ხედავს უსულოთა და სულიერთა შორის, რაღაც დიდი მთლიანობის ნაწილებად მოიაზრებს მათ. მწერლის ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „მელა“, „მგელი“, „თხუნელა“, ცხადყოფს, რომ ნ. შატაიძე წუხს ადამიანის და ბუნების

გათიშვის გამო, ბუნების გაუცხოვების გამო, რაც ადამიანთა უაზრო სიმკაცრეს და დაუნდობლობას განაპირობებს გარემოსა და გარემომცველთა მიმართ. ბუნება ერთიანია, მთლიანი, ჰარმონიული და დამშეულ მელას თუ მზის გულზე გამოსულ თხუნელას ისევე აქვთ არსებობის უფლება სამყაროში, როგორც ადამიანს.

ნუგზარ შატაიძის უნარი იდეისმიერი, აზრობრივი სიღრმე მისცეს მარტივ ცხოვრებისეულ ამბებს, ხელშესახებად მჟღავნდება აგრეთვე მოთხრობაში „შაქრია და შალა".

გვიანი შემოდგომის პირზე, გაძალლებულ ამინდში შაქრიას ტყიდან შეშა მოაქვს. როცა შალას სახლს გაუსწორდება, შეამჩნევს, რომ იმის ნათელ-მირონს ეშა გასთავებია. უცებ რაღაც გაუცნობიერებელი აზრი ეღდასავით დაუვლის და შეშას ნათლიის ეზოში გადმოტვირთავს. ესაა და ეს მთელი ამბავი. ცხადია, მკითხველი ადვილად სწვდება ავტორის ჩანაფიქრს — ეს არის კიდევ ერთი მოთხრობა სიკეთეზე, სიკეთით მოგვრილ სიხარულზე. მაგრამ როგორ არის მიტანილი ჩანაფიქრი მკითხველამდე?

მიდის წვიმისაგან გაჟიებულ გზაზე შაქრია და ფიქრობს: „მაინც რა იყო, რანაირად იყო მოწყობილი ეს დალოცვილი წუთისოფელი — რაღაცა კარგის მოლოდინში ილეოდა კაცის სიცოცხლე... მიდიოდა ეხლა სახლში, არა, ჯერ შალას გაუვლიდა, მივიდოდნენ ერთად; კარგი ღვინო, კარგი წნილი, ლობიო, ყველი, პური და კეთილი გული. ვითომ ეს იყო ყველაფერი?!"

ასე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შემოდის მოთხრობაში მარადიული, ზოგადი პრობლემა: რა არის ჩვენი ცხოვრება, წუთისოფელი. ამავე დროს ეს არის მხოლოდ ზოგადი პრობლემა, რადგან იგი დანახულია კონკრეტული პიროვნების, გლეხკაცის თვალთახედვით. „ვითომ ეს იყო ყველაფერი?!" — დაისმის კითხვა და ამ კითხვაში იხატება პერსონაჟი, ცხოვრების უტილიტარულ გაგებაზე ამაღლებული კაცი, რომელიც მარტო ფიზიკურად კი არ არსებობს, არამედ სიცოცხლის აზრზე ფიქრობს.

დასმულ კითხვაზე ნ. შატაიძეს, ცხადია, ორიგინალური პასუხი არა აქვს. მწერალს სჯერა, რომ ადამიანის არსებობის გამართლება სიკეთის ქმნაა. სიკეთე ადამიანის შინაგანი თვისებაა და შაქრიას მოქმედებაც სიკეთის ინსტინქტური გამოვლენაა. პერსონაჟის გრძნობა და განცდა ისეთი კონკრეტულობით აქვს გადმოცემული ავტორს, რომ ცნობილი პასუხი თავისებურ, ახლებურ სიცოცხლეს იძენს.

ნ. შატაიძის მწერლური ალღო ამ მოთხრობის ერთ დეტალშიც ჩანს. ავტორს, ცხადია, შეეძლო ნაწარმოები შაქრიასა და შალას პურობით დაემთავრებინა. მაგრამ ის გრძნობს, რომ, როგორ ბუნებრივადაც არ უნდა დაამუშავო ნაცნობი პრობლემა, თუ მასში რაღაც აზრისმიერი თუ განცდისმიერი ნიუანსი მაინც არ შეიტანე, ამაოდ დაშვრები. ნ. შატაიძე საინტერესო ფინალს გვთავაზობს: შალას ეზოში დიდი სატვირთო მანქანით შეშას მოიტანენ. ლუმლის ზომაზე დაჭრილ შეშის ნაჭრებში შაქრიას იმდღევანდელი ნამუშაკევი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ავტორი ძალიან ზუსტად გადმოგვცემს შაქრიას სულიერ განწყობილებას. სიკეთე თითქოს გაფერმკრთალდა. შაქრია „იდგა და გარინდებული შესცქეროდა კაცების საქმიანობას, რაღაც გაურკვეველი ნაღველი ეუფლებოდა ნელნელა. მერე ჩუმად გაბარგანავდა ჰიშკარში და უკან არც კი მოუხედავს, მოლინჭულ გზას ისე დაადგა". გუნება-განწყობილების ცვლილების ასეთი ჩვენება ზოგად იდეას აზრობრივი ობერტონებით ამდიდრებს და მას სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს.

მხატვრობის კონსტრუქციული პრინციპის ცნობიერი თუ არაცნობიერი გამოყენება, როგორც ვთქვით, ნ. შატაიძის პროზაში პეიზაჟებისა და ჟანრული სურათების სიუხვეს განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი მწერლის ნიჭის თავისებურებას ავლენს, შეუძლებელია არ ვიგრძნოთ პროზისათვის უჩვეულო შებოჭილობა მასალის შერჩევაში. დავიწროებულია ასახვის ობიექტი, რაც გზას უკეტავს მწერალს სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენების მხატვრული ათვისებისაკენ. ქვემოთ მე შევეცდები ერთ თემატურ რკალში მოქცეული სამი მოთხრობის ანალიზით ვაჩვენო, თუ რა შედეგს იძლევა, ერთი მხრივ, კონსტრუქციული პრინციპისა და მასალის შესაბამისობა, მეორე მხრივ — მათ შორის დისჰარმონია, დაბოლოს, ვაჩვენო ისიც, თუ როგორ ხდება არცთუ ხელსაყრელი მასალის დამორჩილება, გარდაქმნა კონსტრუქციული პრინციპის შესაბამისად, მისი შესაძლებლობების გაფართოება.

ნუგზარ შატაიძის ნაწარმოებთა პერსონაჟები ხშირად არიან მოხუცები. მოთხრობაში „ხიზამბარელი" სწორედ სიბერისაგან დაუძლურებული გლეხკაცის სახეა დახატული. სურვილისა და შესაძლებლობის გათიშვა აქ ტრაგიკომიკურ სიტუაციებს ქმნის. მწერალს მარჯვედ აქვს მიგნებული ნაჯაფი, შრომაში გაჰალარავებული გლეხკაცის ფსიქიკის საინტერესო შტრიხი — ის ვერ ურიგდება უმოქმედობას, უსარგებლოდ ყოფნას. უსაქმურობა მისთვის სხვის ბარგად გახდომას ნიშნავს, ზედმეტობის კომპლექსს უჩენს. ამიტომ ერევა ის, ერთი შეხედვით, ასე უადგილოდ სხვის საქმეში, გარშემო მყოფთ კი ვერ გაუგიათ, რომ ეს ბებრული ფუსფუსი მისი არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობის ერთადერთი ფორმაა. მოთხრობაში აქცენტირებულია სიბერის ყველაზე ტიპიური თვისება — უძლურება და ამ ფონზე მოხუცის დაუძლეველი სწრაფვა მოქმედებისაკენ. აღნიშნული თვისების მხატვრული რეალიზაცია ყველაზე უფრო ხელსაყრელია სინონიმური სიტუაციების დახატვითა და აღწერით. ეს კი ის სფეროა, სადაც ნ. შატაიძე თავს ლაღად გრძნობს. სათქმელი და გამოსახვის პრინციპი მოყვანილია შესაბამისობაში. კომპოზიციურად მოთხრობა ფორმდება, როგორც სინონიმური სცენების თანმიმდევრობა.

სხვა ვითარება გვაქვს მეორე მოთხრობაში „ბებრები“, რომელშიც დამუშავებულია ლიტერატურისათვის ტრადიციული თემა — მოხუცი და სიკვდილი. თემის ტრადიციულობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ასპექტს გამოყოფს მწერალი მასში. იმ კლასიკური ვარიაციებიდან, რომელიც ჩემთვის ცნობილია, ნ. შატაიძე იღებს ყველაზე გავრცელებულს — შიშის მოვლენას, ე. ი. ტრადიციულ თემაში ტრადიციული მიმართებაა აქცენტირებული. აღარ მოველით რა სიახლეს თემისა თუ მოტივის შერჩევაში, ჩნდება ინტერესი, როგორ იქნება გახსნილი შიშის კონკრეტული შინაარსი. შიში ფსიქიკის განსაკუთრებული მდგომარეობაა, ამიტომაც იგი თემის ფსიქოლოგიურ პლანში დამუშავებას მოითხოვს. სწორედ აქ იჩენს თავს ნ. შატაიძის ამ მოთხრობის, ზოგადად კი მისი სტილური პრინციპის, ძირითადი ნაკლი. მწერლის ნიჭი, რაც აშკარაა აღწერებში (სხვათა შორის, ამ მოთხრობაშიც არის კარგი აღწერები), ფერმკრთალდება ფსიქოლოგიური პასაჟების დამუშავებისას, ფსიქოლოგიურ ანალიზს კვლავაც აღწერა ენაცვლება. მწერალი მოგვითხრობს:

„გულში ორივეს შეპპარვია შიში, გრძნობენ შვილიშვილების ლობეზე შემომჯდარი სიკვდილის სუსხიან სუნთქვას, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ და ნაძალადევი სიმშვიდით გასცქერიან შეგროვილ ხალხსა და დერეფნის ბოძზე მიყუდებულ კუბოს სახურავს. ორივე ცდილობს საუბრის გაბმას, რაიმე ისეთის თქმას, რასაც არავითარი კავშირი არ ექნება სიკვდილთან, მაგრამ ვერ ახერხებენ. შიშს კრიჭა შეუკრავს მათთვის“.

რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ რასაც ავტორი აღგვიწერს, ნაჩვენები იყოს მოხუცების ცნობიერების ანალიზით, მოქმედებაში, დიალოგში. თუმცა აქ საქმე უკეთესობა-უარესობაში არაა. ეს აღებული თემის დამუშავების ერთადერთი გზაა. მწერლისეული სტილური ინერციის გავრცელება ამ სტილისათვის შეუფერებელ მასალაზე მხატვრულად არასასურველ შედეგს იძლევა.

საერთოდ, ნ. შატაიძემ, ჩემი აზრით, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ფსიქოლოგიურ პასაჟებს. ამავე მოთხრობაში გაკვრით არის ნათქვამი, რომ ყოფილი მტრები მწუხარებამ დაამეგობრა. ეს იმდენად საინტერესო ფაქტია ფსიქოლოგიური ანალიზისათვის, რომ მწერალმა ერთი ფრაზით არ უნდა აუაროს გვერდი. ბუნებრივი თხრობა და აღწერა ნ. შატაიძის მწერლური ტექნიკის ძლიერი მხარეებია, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს ცალმხრივობის ხასიათი, რათა ერთფეროვნება არ გაბატონდეს.

სიკვდილისა და მოხუცის ნაცნობი თემაა დამუშავებული აგრეთვე მოთხრობაში „ბერიკაცი და ძაღლი“. აქაც, ისე როგორც „ბებრებში“, სიკვდილის შიშია აქცენტირებული, ოღონდ იგი განსხვავებული გზით არის დამუშავებული: მწერალი კი არ აგვიწერს, ზოგადად კი არ გადმოგვცემს, რასაც განიცდის მოხუცი, არამედ ფსიქიკურ მდგომარეობას მოქმედებად გარდაქმნის და ამის მეშვეობით გვაზიარებს პერსონაჟის სულიერ განცდებს.

დილაბნელზე ბერიკაცს ძაღლის ყმუილი შემოესმა და უეცარი შეშფოთება იგრძნო. შეშფოთების მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა. ძაღლის ყმუილი მისთვის კარგა ხანია უბედურების მაცნედ იქცა. პირველად მაშინ აუყმუვლდა ასე ტორტლია, როცა დათვისგან დაგლეჯილი ერთადერთი ვაჟის ცხედარი მოუტანეს. მერე დედაბერმაც მის ყმუილში დალია სული. ხალხური რწმენა, ძაღლის ყმუილი ავის მომასწავებელიაო, ბერიკაცისთვის კონკრეტული ჭეშმარიტებაა. ამიტომაც უგრძნო გულმა ავი, მოხუცმა გაიფიქრა: „ვიღა დარჩა მაგის მოუნელებელი?“ უცებ გაკრთა ფიქრმა: „იქნებ...“ ცხადად იგრძნო სიკვდილის სუნთქვა. სიკვდილს ბერიკაცისთვის კონკრეტული სახე აქვს — ეს არის ძაღლი. მოკლავს ძაღლს ბერიკაცი, მაშასადამე, გადარჩება. აი აქ გვთავაზობს ნ. შატაიძე თუმცაღა საშინელ, მაგრამ მხატვრულად ძლიერ სურათს. როგორი რელიეფურობით იკვეთება ჩვენს წინ სიკვდილის შიშით გონებადაბინდული ბერიკაცისა და ერთგული ძაღლის სახეები. არცერთი წმინდა ფსიქოლოგიური შტრიხი. აქცენტი გადატანილია მთლიან სურათზე, რომლის მიხედვით ჩვენი ფსიქოლოგიური შინაარსის რეკონსტრუირებას ვახდენთ.

„ბერიკაცი და ძაღლი“ ნ. შატაიძის საუკეთესო მოთხრობაა, სადაც არამარტო ჩანს ავტორის მხატვრული შესაძლებლობანი, არამედ მოძებნილია ერთგვარი გზა მისი სტილისათვის არცთუ შესაფერისი თემის დასამორჩილებლად. როგორც „ბებრებში“, ისე „ბე-

რიყეცხა და ძაღლში“ მწერალი შიშის თემას ამუშავებს. მაგრამ თუ პირველ მოთხრობაში თემას თავს მოხვეული აქვს მწერლისეული სტილი, ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზოგადი აღწერა-თხრობა, მეორე მოთხრობაში მასალის გარდაქმნა-ტრანსფორმაცია ხდება. თავს არიდებს რა ფსიქოლოგიურ ანალიზს, ავტორის მოთხრობა, ფაქტიურად, ერთ სცენა-სურათზე დაჰყავს, შემდეგ კი ამ სურათს მისთვის ჩვეული მანერით ამუშავებს. მასალის ასეთი გარდაქმნა საკუთარი სტილის შესაბამისად, ვფიქრობ, ოსტატობის ახალი ეტაპის დაწყების ნიშანია.

ნუგზარ შატაიძე, ავტორი ისეთი კარგი ქართულით დაწერილი მოთხრობებისა, როგორიცაა „სისუა“, „თედო“, „თუთქის მიმყრელი“, „მამალი ტყუილი“, „მგლები“ და სხვა, უდავოდ ნიჭიერი შემოქმედია. მაგრამ ეს ნიჭი დახვეწას და სრულყოფას მოითხოვს. ჩემი აზრით, უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს სტილური დიაპაზონის გაფართოება, რაც საშუალებას მისცემს მწერალს გაამრავალფეროვნოს დასამუშავებელი თემებისა და პრობლემების წრე.

აღწერითი პროზა, რომლისადმი სიმპატია აშკარაა ნ. შატაიძის შემოქმედებაში, გამომხატველობას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და თავის უპირველეს მოკავშირეს ენაში ხედავს. ამიტომაა, რომ ამ ტიპის პროზის მხატვრული ეფექტი, უპირატესად, ენობრივი ქსოვილის ღირსებით არის განსაზღვრული. ამ მხრივ ის პოეზიას უახლოვდება. ვფიქრობ, ამ კონტექსტში უადგილო არ იქნება ცნობილი აზრის გახსენება, რომ პოეზია ისაა, რაც თარგმანის შემდეგ რჩება. ეს მით უფრო ითქმის პროზაზე. გადაჭარბებული ნდობა ენის ფენომენისადმი პროზაში გამართლებული არ არის. მინდა კიდევ ერთი ცნობილი აზრი მოვიგონო: „პროზა მოითხოვს აზრებს, აზრებს და კიდევ აზრებს“. ცოცხალი, განვითარებადი აზრი დროშია გაფენილი. ჭეშმარიტი პროზაც დროში გაფენილი ხელოვნებაა.

---

## თამაზ ვასაძე

# „საგნები თოვლში“

რაღაცნაირი სულიერი წონასწორობა, შინაგანი ჰარმონიაა გაფენილი ლექსებში, რომელთა ავტორია ახალგაზრდა პოეტი გიგი სულაკაური.

„საგნები თოვლში“ მისი პირველი წიგნია, — აშკარა ნიჭიერებით, გემოვნებითა და პოეტური კულტურით აღბეჭდილი. თამამად შეიძლება ითქვას, არაორდინარული წიგნი.

წონასწორობისა და ჰარმონიისაკენ სწრაფვა, თანხმიერებისა და თანაზომიერების ძიება, დისონანსთა ლირიკულ სინთეზში შერიგებისა და გამთლიანებისაკენ ლტოლვა გიგი სულაკაურის პოეტური ხასიათის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო, შესამჩნევი თვისებაა.

ეს თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება ვერლიბრული ფორმის ფონზე, რომელსაც გიგი სულაკაური მიმართავს.

ვერლიბრი, ისეთი სახით, როგორსაც ჩვენი აღქმა შეეჩვია — დატეხილი, უსწორმასწორო, წყობილ სიტყვასთან პრინციპულად დაპირისპირებული სალექსო კონსტრუქცია, ჩანს, ნაკლებ ესადაგება გიგი სულაკაურის პოეტურ აზროვნებას. მის ლექსს უფრო გამოკვეთილი, მდგრადი, იოლადშესაგრძნობი რიტმი წარმართავს, რიტმულ ბიძგთა მიმოქცევა შედარებით დამყოლია გარკვეული კანონზომიერებისადმი, მეტყველების პულსი — შედარებით თანაბარი. ლირიკული ხმაც არ არის ისე ბასრი და მჭახე, მასში მეტია ხავერდი და სალბუნი. ხმოვანებას ერთგვარი მელოდიური სინარნარე ახლავს.

რაც მთავარია, თვით პოეტური თემის განვითარებაში ნაკლებია კონფლიქტურობა, წინააღმდეგობრიობა, დაპირისპირებულ მოტივთა შეხლა და ჭიდილი. სათქმელი როგორღაც დაუბრკოლებლად, იოლად, მსუბუქად იკვლევს გზას, იშვიათად აწყდება დაუძლეველ ანდა ძნელადგადასალახ ზღუდეებს, მუდამ ინარჩუნებს სიმწყობრეს, თავის თავთან თანხმობას. მას შინაგანი, თანდაყოლილი მუსიკალობა მთლიანობას ანიჭებს და მოძრაობას უადვილებს. სულაკაურის ლექსი დაუმძიმებელია, „უწონადო“, ის თითქოს ნაძერწია სიფრიფანა, გამჭვირვალე ნივთიერებისაგან, რომელსაც პოეტი ფრთხილი, ფაქიზი ხელით მოხდენილ, ნატიფ მოყვანილობას აძლევს.

გიგი სულაკაური მაინცდამაინც არ ენდობა ვნებათაღელვის სიმხურვალეს და განცდას განელებას აცდის, მერეღა მოაქცევს პოეტურ სი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყვაში, მერე, როცა შთაბეჭდილება, გრძნობა, აზრი დაიწმინდება, გამოიკვეთება, დაკრისტალდება, თავის ალნაგობას სრულად გამოაჩენს და მკვრიტელს შესაძლებლობა მიეცემა მისი მთლიანობა მშვიდად, უშფოთველად მიმოიხილოს. მშვიდი, უფრო სწორად და ზუსტად კი, დამშვიდებული ჭვრეტა გიგი სულაკაურის ლირიკული გმირისათვის სინამდვილესთან და საკუთარ არსებასთან მიმართების დამახასიათებელი ფორმაა.

„სიმთვრალის შემდეგ, ნაბახუსევზე თითქოს ვიღაც მიყურებს გამადიდებელი შუშით და არა მარტო მე, არამედ ოთხჯერ გადიდებულ ჩემს ფიქრებსაც უდიდესი გულისყურით ათვალიერებს. ალბათ უკვირს; ახლა რომ სხვა ვარ. ჩვენ ხომ დავიშალეთ და სათითაოდ სიმარტოვეს ჩავუყარეთ საფუძველი. მე კი ამასაც არ დავჯერდი და ბნელ ხახაში ჩავცქერი სინდისს, რომელიც წესით, უკვე აღარ უნდა მაწუხებდეს“ („სხვა“). — როგორც ვხედავთ, ეს მეშმარიტად ანალიტიური აზროვნებით აღბეჭდილი ლექსია, პოეტის მზერა ფსიქიკური ცხოვრების სიღრმეებს ჩხრეკს, ჩანაფიქრი უაღრესად დრამატულია და მაინც, ნაწარმოების თვით ტონალობაში სიმძაფრეს სიმცხრალე სჯაბნობს.

ანდა დავაკვირდეთ, როგორი ნატიფი, ელეგანტური ფსიქოლოგიური ჟესტით სრულდება ასევე დრამატულ სიტუაციაზე აგებული ლექსი „უძღები შვილი“, რა კეთილშობილ, ღირსეულ, მომხიბლავ სულიერ ქმედებაში მჟღავნდება და გარკვეულწილად დაიძლევა კიდეც ტკივილი: „...უძღებო შვილო! თუ გადაწყვიტე შინიდან წასვლა, გზაზე დამდგარმა მამისეულ სახლს არ მოხედო. სჯობს შენი კეფა დაამახსოვრდეს უმცროს დაიკოს, ვიდრე თვალები“.

საიდან იღებს სათავეს ეს შინაგანი აუმღვრევლობა, ზომიერების გრძნობა, გაწონასწორებული, ჰარმონიული ალქმა, რითაა გამოწვეული დისონანსთა დაცხრომა? იქნებ ყველაფერი იმით აიხსნას, რომ, როგორც ერთი მოაზროვნე ამბობს, პოეტი საერთოდ ტრაგიკული არსებაა, ვინაიდან ის სიმწრისგან კივის, მაგრამ ირგვლივმყოფ ადამიანებს ეს კივილი მშვენიერ სიმღერად ეჩვენებათ? ან იქნებ გონების პრიმატი, ინტელექტის უპირატესი როლი განსაზღვრავს ამ თვისებებს? ვფიქრობ, ასეთი განმარტება მეტისმეტად ზოგადი და თანაც ზერელე იქნება.

გიგი სულაკაურს აქვს ერთი ლექსი, „უძილობა“, რომელიც, ჩემი აზრით, გაგვიადვილებს პასუხის მონახვას: „ხანდახან ალბათ სიკვდილიც საჭიროა, მაგრამ ჯერ ყური დაუგდე ფიქრებს, რომლებიც ისე ხმაურობენ თავის ქალაში, როგორც ზღვა სადღაც, მეუდრო ყურეში. ხედავ ფანჯრიდან — ღრუბლები გვანან ჩამქრალ კოცონებს და აწყვეტილი ქანაობს წვიმა. ვუზივარ ჩემს თავს, როგორც დედა შვილს, — ვუმღერი ნანას“.

მღელვარების დამაოკებელი და სულის დამაშოშმინებელი სამყაროს გამოულევველი, უცნაური მშვენიერების შეგრძნებაა, იმის მიხვედრაა, რომ თვით ფიქრიც შესაძლებელია ესთეტიკური ფასეულობის მქონე, ესთეტიკური ცნობისწადილის აღმძვრელი, ტკბობის მომგვრელი იყოს, ვინაიდან ის ბუნების მარადიულ ხმებს რაღაცით ჰგავს და იმეორებს; იმის გაცნობიერებაა, რომ სამყარო აურაცხელ საგანძურს ინახავს თავის წიაღში, რომლის აღმოჩენა და ხილვა შეიძლება, თუ თვალს ყოველდღიურობის ლიბრს ჩამოაცლი და ხედვას განიაბლებ. მაშინ შენიშნავ, რომ, ვთქვათ, ღრუბლები ჩამქრალი კოცონებია.

ბუნებასთან თანაზიარობა, სიახლოვე, ბუნების სიდიადისა და მშვენიერების ცხოველი, ინტიმური განცდა შველის ადამიანს გაარღვიოს თავისი მტანჯველი და მუდმივი მარტოობა, შეიმსუბუქოს განცალკევებული, ინდივიდუალური არსებობის ტვირთი. ბუნება არიდებს მას სულის საშიშ უფსკრულებს და სიმშვიდეს, უშფოთველობას დაუსადგურებს შინასამყაროში, რადგან ჩააგონებს, რომ იგი დაუსაბამო და უსასრულო მთლიანობის განუყოფელი ნაწილია.

გიგი სულაკაურს არ გასწყვეტია სულის გამამრთელებელი, მფარველი კავშირი „ბუნების კეთილ გენიასთან“ და ეს ვლინდება არა ენაწყლიან რიტორიკასა და აღწერებში, არა ბუნებისადმი აღვლენილ ხოტბებში, რაც დღეს, ბუნებრივ გარემოსთან კონტაქტის საყოველთაო შესუსტების ვითარებაში, ცოტა არ იყოს, სასაცილოდაც ჟღერს, არამედ მისი გრძნეული ხიბლის შემჩნევისა და მოხელთების ნიჭში. „თუმცა მთაში ვარ, ჯერ ვერ ავედი ჩემი გონების ბორბალოზე, და მერწმუნე, არც კი ვიცი, იქ რა მინდა, რა დამრჩენია, — ფერადები, სიტყვა, სიმშვიდე? ან იქნებ ვფიქრობ (ქვეცნობიერად), რომ სიმაღლიდან უკეთესი მოჩანს სოფელი, არ ვიცი, ძმაო... ერთს გეტყვი მხოლოდ: — მთაში საოცრად მაღლე ღამდება და ვარსკვლავების გაყინულ შუქზე გაფითრებული მთვარე ფეხით გაისეირნებს“.

უნდა დავძინოთ: ქალაქის მკვიდრის მსოფლშეგრძნებით არის გაჟღენთილი ეს ლექსი, ლირიკული გმირისათვის ბუნების სილამაზე ყოფითი გამოცდილებისაგან განუშორებელი რამ კი არაა, — მუდამ ხელახლა აღმოსაჩენი ფენომენია, რომელსაც იგი მინავლული და კვლავ აღორძინებული სიყვარულით შეჰყურებს, და მის ზემოქმედებას განუსჯელად ნებდება. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ამიტომ ეს სილამაზე მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

ბუნების ყოვლისგამომხატველ და უბრალო, გასაგებ და მისაწვდომ ენაზეა ნათქვამი: „დღეს ისე კარგი დილა გათენდა, ზღვა გამახსენდა“, თითქოს აღდგენილია კლასიკური პოეტური პრინციპი — „ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე...“

და არამარტო საკუთრივ ბუნება, საერთოდ, გარესინამდვილე, გარესამყარო თავისი ნაირგვარი ფორმებითა და ფერებით განუწყვეტლივ იზიდავს გიგი სულაკაურის მზერას, იპყრობს მის გულისყურს, ეუფლება მის ცნობიერებას, ეს კი რამდენადმე აყუჩებს სულიერ ტკივილს, აქრობს „კრიზისის კერებს“, აწონასწორებს შინაგან რყევას.

სინამდვილის ვიზუალური აღქმა უხვად ასაზრდოებს გიგი სულაკაურის სახოვან აზროვნებას. მას უაღრესად პლასტიკური ფანტაზია აქვს და, როგორც ნამდვილ მხატვარს შეშვენის, გატაცებით და ამავე დროს ოსტატურად ქმნის სურათებს, რომლებიც პერსპექტივასაც არ არიან მოკლებულნი და კომპოზიციურადაც ისე არიან აგებულნი, რომ საგნები ნათდებიან, თვალხილულად, ვრცეულად წარმოდგებიან. „მე ის „ბავშვთა სამყარო“ ვარ, სადაც გამუდმებით უფროსები ირევიან და ყაყანებენ. გვიან ღამით კი მოხეტიალე, ან დაღლილ გამვლელებს ვიტრინებიდან გამომკრთალი ნარინჯისფერი, მხიარული შუქით ვუმასპინძლდები. ხოლო შიგნით, მარმარილოს გრილ იატაკზე დამხრჩვალი კნუტებივით გამორიყულან მძინარე დარაჯის წინდები და ფეხსაცმელები“.

ხომ დასრულებული, მკაფიოდ დეტალიზებული და სახიერია ეს ნახატი, მაგრამ მასში მთავარი მაინც ადამიანური შინაარსის სიმდიდრეა, ანუ ის, რაზეც საგნები თავიანთი იერით მიგვანიშნებენ, რაზეც ისინი უხმოდ გვესაუბრებიან — პატარა კაცის უჩინარ ცხოვრებაზე, მის უსიხარულო სვეზე... მათ, ვან გოგისეული ფეხსაცმელების მსგავსად, ენა აქვთ ამოდგმული. შედარებაც — „დამხრჩვალი კნუტებივით“ — არამხოლოდ ვიზუალური სიზუსტით არის შთამბეჭდავი, არამედ ემოციურ სისავსესა და ექსპრესიულობასაც ჰმატებს ფერწერულ სახეს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ასეთ შედარებაზე: „თეატრალური ბინოკლის მსგავსი პატარა რუხი ღამურები ნარინჯისფერი აბრეშუმის ფონზე“ („საღამო ზღვაზე“). მართალია; ეს ხატი საკმაოდ მოულოდნელი და ეფექტურია ღამურაც ჩვეულებრივზე უფრო სიმპათიურად გამოიყურება თეატრალური რეალიების გვერდით, მაგრამ ვიზუალური ანალოგია აქ აღარ გვევლინება აზრობრივ-ემოციური, არსებითი და შინაგანი ანალოგიის საყრდენად, იგი მხოლოდ თავისთავად არაესთეტიკური მოვლენის ესთეტიზირებას ემსახურება. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ სხვაგანაც იჩენს თავს ეს მიდრეკილება „სილამაზის ქმნადობისაკენ“, სინამდვილის ჭარბად გაფერადებისა და შემკობისაკენ (მაგალითად: „მარადისობის ულტრამარინზე ალმოცენდა ცეცხლის ზაფრანა. განათდა მიწა — უცნობი ქალი, — დასცქეროდა ჩამქრალ ფირუზებს“), რის გამოც პოეტის ზოგიერთ ტროპსა თუ ხილვას ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. რაც შეეხება მთლიანად ლექსს „საღამო ზღვაზე“, მასში თუმცა გამოსახულება კვლავ მეტად მკაფიოა, და რელიეფის გარდა თითქოს სიცხისაგან გაბლანტებულ ქარვისფერ ჰაერსაც ვხედავთ და შევიგრძნობთ, მაგრამ ის ძალზე ცოტა რამეს გვეუბნება სურათის მჭვრეტელზე, ლირიკულ გმირზე, ლექსს აკლია „ადამიანური განზომილება“, „ბავშვთა სამყარო“ რომ ითავსებს.

სწორედ სუბიექტური შინაარსი გამოსჭვივის აი, ამ ფერწერული სახიდან: „დაყანგულ მთვარეს, ღრუბლის ტუჩებით უკანასკნელად შეეხო ღამე“. გაპიროვნება აქ შინაგანად გამართლებული, აუცილებელი და პოეტურად მეტყველია იმით, რომ ეს არის ლირიკული გმირის შეგნებაში გარკვეული სულიერი განწყობისას აღმოცენებული ასოციაცია, რომელიც მომდევნო ასოციაციით არის მოტივირებული და შემაგრებული: „სადღაც ჯურღმულში მღერის კატა სიყვარულის ნათელ სიმღერას...“ ბოლოს კი ამგვარ ასოციაციათა წარმომავლობა უფრო ცხადადაა მინიშნებული: „ბრუნდება დილა მთვრალი შვილივით, გალაქტიკების გულის საპობად ყველა ვარსკვლავი მან მოიპარა“, — ლაღი, თამამი, „კადნიერი“ გულისთქმაა შეჭრილი გარესამყაროში და თავისებურად, ოდნავ გროტესკულად, გარდასახავს კიდეც მას.

კვლავ დავაკვირდეთ სახეს — „ბრუნდება დილა მთვრალი შვილივით, გალაქტიკების გულის საპობად ყველა ვარსკვლავი მან მოიპარა“. ეს აღარ არის ვიზუალური ხილვა, უფრო ზუსტად, მასში ვიზუალობა მეორე პლანისეული და მკრთალია, ეს წმინდა პოეტური აზრია, თითქოსდა მითოსური ცნობიერების რელიქტია, შეკუმშული, დაწურული მითოლოგიური სიუჟეტია: იგი თითქოს გამცდარია მხატვრული პირობითობის ზღვარს და ჭეშმარიტების „უშუალო“ გაცხადებას ცდილობს, მასში კოსმოსის დაფარული, თვალით უხილავი სიცოცხლის რიტმთა გამოძახილი გაისმის.

ასე რომ, გიგი სულაკაური შემოქმედებით იმპულსებს არ პოვებს მხოლოდ მხედველობით შთაბეჭდილებებში, მისი ინტენსიური ფანტაზია იმასაც განჭვრეტს და ცხოვლად წარმოგვიდგენს, რაც ქვეცნობიერების ღრმა შრეებშია ჩაბუდებული: „ეს მე ვარ ქუდი და შენი ტვინი ჩემში ცხოვრობს ობობასავით და როს ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაში გამოხუული თვალებით ულამაზ ფეხშიშველ ხახლებს, მე მესიზმრება გადამხმარი მდელო პლანეტა მარსის, სადაც დაქრიან სიკვდილის შემდეგ თქვენი სულები, გარდაცვლილო უკვდავებო. იქვეა წყალი და ჩათვლემილი ხომალდები მღერიან მარსის სისხლიან მზეზე. მღერიან ისე, თითქოს სულად ქცეულებს სურდეთ შეესხათ ხორცი, აევსოთ ხალხით და სურსათით შავი ფერდები, დაბეროს ქარმა, ააქაფოს მათი მლაშე გზა და მძიმე ტვირთით გადალილები, დააბრუნოს დედამიწაზე. ო, გარდაცვლილო უკვდავებო! აწ ვერასოდეს, ვერასოდეს დაბრუნდებით დედამიწაზე! ეს მე ვარ, ქუდი! დაე, ფიქრობდე, რომ ქუდი ვარ, უბრალო ქუდი". გამორიცხული არ არის, რომ პოეტის წარმოსახვის ერთგვარი სტიმულატორი ლიტერატურული მეხსიერებაც იყოს, მაგრამ მთლიანად ხილვას შინაგანობიდან ამოზიდულის, სულიერი სამყაროს ფსკერზე ინტუიციით აღმოჩენილის იერი აქვს, ინტუიციისმიერი უტყუარობა დარღვეული არ არის რეფლექსის შეხებით. ეს „სიურრეალისტური" ლექსი ავტორის ტემპერამენტისათვის ნიშნეული შეკავებული, შენელებული დრამატიზმით გვიმხელს ადამიანის ამქვეყნად ყოფნის განუმეორებლობას.

გიგი სულაკაურის წარმოსახვას ზოგჯერ სიზმარეულ მერყევ გარემოში შევყავართ, სადაც ყველაფერი თითქოს მახლობელი და შეჩვეულია, მაგრამ იმავე დროს შორეულიც, ყოველივე ყოფაცხოვრებისეული, მოთავსებული ქვეცნობიერების სივრცეში, ორაზროვანი, იდუმალი, ქარაგმულია. ის თითქოს რაღაცას გვეუბნება, ჩვენ კი მისი არ გვესმის, რადგან გამოცანის გასაღები დავკარგეთ. „შევხსენი კარი სიმარტოვის ვიწრო ოთახებს, გავიარე დერეფნის ხვრელი, წითელი ნოხი, სადღაც კუთხეში მიდგმული სურა, ანთებული თვალები ქალის... და ვერაფერი დავინახე" („ქაღალდის თვითმფრინავი").

თუმცა, გიგი სულაკაურის ლექსებში ადამიანის ჩვეულებრივი არსებობის სფერო, ყოფითობა, ყოველდღიურობა, მისი შემადგენელი საგნები თუ ქმედებანი თავიანთი „არასიზმარეული" სახითაც საკმაოდ ხშირად გვევლინებიან. ხორციელდება პროზაული, რეალისტური, საგნობრივი დეტალების „სიმბოლიზაცია", ეს დეტალები სულიერობის ნიშნებად, სულიერობის ტევად, ექსპრესიულ გამოხატულებებად იქცევიან. ასე უკავშირდებიან ერთმანეთს საფერფლეში ჩასრესილი სიგარეტი და ფიქრი, ოთახის გაბზარული კედელი და შინაგანი მშფოთვარება, ქაღალდის ფერმკრთალი ყვავილები ან ჭიქებში ჩარჩენილი ღვინო და გარკვეული კატეგორიის ქალები. ხოლო თვითმკვლელისათვის გამოღებული ფანჯარა მარტო გასაქცევი კი არ არის, არამედ გადასახედიც, საიდანაც ყველაფერი შეულამაზებლად, სასტიკი სიცხადით მოჩანს, „...ისე ჩავდივარ მიწისქვეშა გადასასვლელში, როგორც სხვის საფლავში..." — უბრალო, შეჩვეული და ყოველდღიური ქმედება მკაფიოდ გვანიშნებს ქალაქელი ადამიანის გაუცხოებას საკუთარი თავისაგან.

საჭიროა ითქვას, რომ ამგვარი ხედვა როგორღაც ზეაწევს „პროზას", ნაწილობრივ ათავისუფლებს სიმძიმისაგან, იდეალურის თანაზიარს ხდის მას. გიგი სულაკაური, საერთოდაც, მტრულად არ არის განწყობილი „პროზაული" მიწიერებისადმი და მასში თავისებურ, რამდენადმე უხეშ, მაგრამ მძაფრ სილამაზეს გვაგრძნობინებს: „...ეს ქალაქი ერთადერთია მთელს მსოფლიოში — გაუთხოვარი და სევდიანი ქალებით სავსე. მართალი გითხრა, მათ კდემაში ეჭვი არავის ეპარება, და შეიძლება ამიტომაც საკუთარ თეძოებზე ამხედრებულნი, ასაფეთქებელ ნაღმებივით გატენილ მკერდებს დაატარებენ და ზოგიერთი მათგანი დილიდან შუაღამემდე მთელი საუკუნით იკარგება".

და მაინც, გიგი სულაკაურის, როგორც პოეტის, ბუნებისათვის ყველაზე მეტად ნიშანდობლივი, ალბათ, ის სახეებია, რომლებშიც თითქმის უნივთო, მატერიის სიტლანქისაგან თავდაღწეული, ჰაეროვანი მშვენიერებაა აღბეჭდილი. „როგორ გავკრთით მზის სხივებად ჭადრის ფოთლებში მე და ჩემი ძმა, დამსხვრეული ვერცხლის წყალივით სხვადასხვა მხარეს მიმოვიფანტეთ"; „...და მე — ქაღალდის თვითმფრინავი გავცურდი ნისლზე..."; „...და ყვავილები (ისევე, როგორც საბავშვო გადასაყვანი სურათები) შიშველ სხეულზე სურნელოვან და ფერად კვალს მიტოვებდნენ"; „...ცეცხლთან დავრჩები და სიბნელეში თოვლწაფარებულ საგნებს გავხედავ, რომლებიც სანთლის ნაღვენთებს გვანან". ასეთ სახეთა გამონაშუქი, თითქოს, ყველა ლექსს წვდება და გიგი სულაკაურის პოეტურ სიტყვას, როგორც დასაწყისშიც ითქვა, ეთერული სიმსუბუქე და გამჭვირვალება ენიჭება.

ბოლოს, მინდა გავიმეორო და მკითხველმაც ირწმუნოს წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამი ემზარ კვიტაიშვილის სიტყვები: „...ყველა პირობა არის იმისა, რომ გიგი სულაკაური ამჟამინდელი ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო წარმომადგენლად მივიჩნიოთ... ვფიქრობთ, ეს პატარა წიგნი ჭეშმარიტ სიამოვნებას მოგვრის ყველას, ვისაც ნამდვილი პოეზია უყვარს".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შტეფი ხოტივარი-იუნგერი

# „დიონისოს ღიმილის“ სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები

თავისი რომანის „დიონისოს ღიმილის“ პირველი ვარიანტი კ. გამსახურდიამ 1915-1917 წლებში შექმნა მიუნხენსა და ბერლინში, ახალი შთაბეჭდილებებით, წინააღმდეგობებითა და იმედგაცრუებებით აღსავსე პერიოდში. როგორც თვით ავტორი გვაუწყებს 1925 წლის გამოცემის ბოლოსიტყვაობაში, რომანის პირველი ვარიანტი დაიკარგა; 1916 წლის შემოდგომაზე ჟენევიდან პარიზის გავლით საქართველოსაკენ მგზავრობისას მწერალს არ დართეს საფრანგეთის საზღვარზე ხელნაწერების გადატანის ნება. მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო მან კვლავ ჩასულიყო ჟენევაში. მაგრამ თავისი რომანის კვალს უკვე ვეღარ მიაგნო. მეორე ვარიანტიც, რომელიც კ. გამსახურდიამ ბერლინში დაწერა 1919 წელს, 1922 წელს დაიკარგა თბილისში.

რომანის დღეისათვის არსებული ვარიანტი 1924 წელს, უკვე საქართველოში შეიქმნა.

„დიონისოს ღიმილის“ შექმნის ისტორია ცხრა წელს მოიცავს და შესაძლოა მუშაობის პროცესში ზოგიერთი ავტორისეული მოსაზრება შეიცვალა კიდეც. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა პირველი ორი ვარიანტის მიკვლევა. მათი შემწეობით მწერლის მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ შეხედულებათა ევოლუციის უფრო ღრმა ანალიზი.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ (1921) კ. გამსახურდიასათვის ძიებათა და შეხედულებათა გადაფასების პერიოდი დაიწყო. ადვილი როდი იყო საკუთარი ადგილის პოვნა ახალ საზოგადოებაში. იგი გრძნობდა, რომ კიდევ იყო საჭირო გარკვეული დრო, სანამ ახალი კულტურის უსიტყვო აღიარებამდე მივიდოდა.

1923 წელს კ. გამსახურდია კვლავ გაემგზავრა უცხოეთს. პარიზში იგი დიდი ინტერესით ისმენდა ლექციებს უახლეს იდეალისტურ ფილოსოფიაში, რომლისადმი აშკარა სიმპათიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ სწრაფვა „დიონისოს ღიმილში“ საკუთარი ფიქრებისა და განცდების სუბიექტივისტური ასახვისაკენ. ახალ საზოგადოებაში ადგილის აქტიური ძიება მოგვიანო დროისათვის გადაიდო, თუმც აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი სრულიადაც არ განდგომია თავის თანამედროვეობას, მან ხომ იგი მხატვრული ასახვის ობიექტადაც აირჩია („ზარები გრიგალში“).

„დიონისოს ღიმილი“ ქართული თავადაზნაურობის ერთ-ერთი წარმომადგენლის ცხოვრების ექვსი წლის ამბავს მოგვითხრობს, განმარტოებული ადამიანისა, რომელიც სრულიად უმიზნოდ დაეხეტება დასავლეთის ქვეყნებში და რომელსაც ვერ უპოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში. ამ ადამიანის პიროვნებაში ურთიერთს შერწყმია რაღაც ობლომოვისებურიცა და აშენბახისეული შეგრძნებაც მშვენიერებისა, მისით თრობა... და მაინც, იგი არაა სინთეზი ყველა ჩამოთვლილი გმირისა; ესაა ახალი, უაღრესად ცხოვრებისეული, მიმზიდველი და ამავე დროს ანტიპათიური პერსონაჟი, განადგურებული პიროვნება.

რომანის დასაწყისში სავარსამიძის ზედმიწევნით სრული ავტოპორტრეტია დახატული, რომელიც უმთავრესად მისი ცხოვრების ადრეულ ხანაზე გვიქმნის წარმოდგენას. აქ წინაა წამოწეული ის მომენტები, რომელნიც განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავდნენ ჭაბუკს. ბავშვობის აღწერის ლირიული ტონი ა. ტოლსტოის ნოველა „ნიკიტას ბავშვობის“ (1920) ასოციაციას იწვევს. აქაც იმგვარსავე სიწყნარეს შევიგრძნობთ, გვესმის ჩიტების ჟღურტული, ვაკვირდებით ჭაბუკს ნადირობისას. ორივეგან მკაფიოდ იგრძნობა ავტორთა დიდი სიყვარული სამშობლოსადმი. ბავშვობის ასახვის კონცეფციათა ამგვარი მსგავსება ანდა იდენტურობა შემთხვევითი როდია, აქ გარკვეულ როლს თამაშობენ მსგავსი დეტალები ორივე მწერლის ცხოვრებისეულ გზასა და შემოქმედებით ევოლუციაში. 1920 წელს, მაშინ, როდესაც ა. ტოლსტოიმ თავისი ნოველა შექმნა, იგი ემიგრაციაში იყო. სევდითაა აღსავსე მის მიერ დახატული რუსული ლანდშაფტი. ამასთან ყოველივე ჭაბუკ ნიკიტას თვალითაა დახატული, ჩვეულებრივი საგნები და წვრილმანები წარმოსახულია, როგორც იდუმალებით აღსავსე უჩვეულო რამ. ამაოდ როდი ჰქონდა პირველ ორ გამოცემას სათაურად „მოთხრობა მრავალი მშვენიერი ამბის შესახებ“. პიროვნებანი, ცხოველები თუ საგნები სრულქმნილია, არაჩვეულებრივი და საინტერესო. ასევე აგვიწერს კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის" გმირი სავარსამიძე თავის ბავშვობას, ყოველივე განსაკუთრებულია და იდუმალებით აღსავსე, „რა ტკბილად მეძინა იმ ისლის სახლში ზამთრეულ ქარების ზუზუნის, წვიმების ტლაშუნის გამგონეს, ისლის შრიალი — სულზე უტკბესი ნანინა იყო.

...ნალიის ქვეშ უბორბლო ურემზე ნაციები ქათმები სთვლემენ, ლობის სარებზე გამხმარი ცხენის თავი ჰკიდია. ჭიშკარზე და კარების ზღურბლზე დაყანგული ნალი". „მიწა და წყალი, ღამეული ჰაერი, ჩრდილმრავალი ხეების ფუღუროები, ფრინველები, ცხოველები, მთები და ღრუბლები, ყველაფერი გრძნეული, მისტიური ძალებით აღჭურვილი მეჩვენებოდა".

არაერთმა ემიგრანტმა მწერალმა აირჩია თავის ნაწარმოებთა თემად საკუთარი ბავშვობა. ი. ბუნინმა, მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ავტობიოგრაფიულ რომანში „არსენიევის ცხოვრება" (1927-1929) თავისი ბავშვობისდროინდელი განცდები აღწერა, მაგრამ ასახვის მისეული მანერა არსებითად განსხვავდება კ. გამსახურდიასა და ა. ტოლსტოის მანერათაგან. ი. ბუნინის ნაწარმოებში ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი ემიგრანტის წუხილისა და სიმარტოვის გამომხატველი ეპიზოდებითაა დანაწევრებული. განსაკუთრებულ ყურადღებას მწერალი უბედურების, სიკვდილის, ავადმყოფობათა, ტანჯვისა და განშორების წარმოსახვას უთმობს. მართალია აღნიშნულ თემებს კ. გამსახურდიაც ამუშავებს, მაგრამ ამ მსგავს არჩევანს განსხვავებული მიზეზები გააჩნია. თუ ი. ბუნინს მათი შემწეობით ბედის დაუნდობლობისა და ცხოვრებისეული მწუხარების უფრო ძლიერად გამოხატვა ეწადა, ქართველმა მწერალმა ეს თემები იმისათვის აირჩია, რათა შთამბეჭდავად და ცოცხლად წარმოესახა თავისი ქვეყნის ეროვნული და რელიგიური თავისებურებანი. ამდენად კ. გამსახურდიას კონცეფცია უფრო ბავშობისდროინდელ განცდათა ა. ტოლსტოისეულ ასახვას შეესაბამება.

რა მხატვრული საშუალებებით ექმნება მკითხველს ილუზია იმისა, თითქოს ამ ეპიზოდებს თვით ბავშვი, კონსტანტინე აღწერდეს და ყვებოდეს? თავდაპირველად, „*Ich-Erzählung*"-ის ფორმის გამოყენების გამო, თხრობა მკითხველში უშუალო, ცხოველმყოფელ განცდას იწვევს. ჭაბუკი ყვება ყოველივე მომხდარის, განცდილისა და ნანახის შესახებ და ხშირად თვით სავსებით ჩვეულებრივი ვითარებანი საოცარ, გაუგონარ ამბებად იქცევა. ზემოთმოყვანილ ფრაგმენტში ჩანს, თუ როგორ ახვევენ უმაწვილისათვის სიმშვიდესა და რაღაც არაჩვეულებრივს ჭვარტლისაგან გაშავებული, ნესტიანი კედლები გლეხ ტაია შელიას ქოხისა, სადაც ძველი წესისამებრ ბავშვობა გაატარა კოსტანტინემ. ბავშვის სიზმრებიც იმის ილუზიას აღუძრავენ მკითხველს, თითქოს იგი თვითონ განიცდიდეს და აღწერდეს ყოველივეს: „იმ ღამეს მესიზმრა: დიდი ვიყავი, თეთრ ღრუბლებზე ფეხი მედგა, ბრწყინვალე ტილონი მეცვა, ხელში ოქროს საცეცხლური მეჭირა და მთელ ქვეყანას სურნელოვან ალოეს ვაკმევდი..."

ბავშვურ ფანტაზიას კიდევ უფრო ამძაფრებს მორდუს ფანატიკური რწმენა ბუნების ჯადოსნური ძალებისადმი. კონსტანტინეზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ სააღდგომო ხალხოსნური ცერემონიები, ვენახის გამოლოცვა და სხვ. ამიტომაც ეჩვენება მას ბუნება ცოცხალ არსებად. განსაკუთრებით კი მის ფანტაზიას ღრუბლები აფორიაქებენ. „ზოგი მთას ჰგავს შეუყუდებულს და ზოგიც რაინდს თეთრ ტაიჭიანს, ზოგი თეთრ ბატკნებს ჩვენს ეზოში გამოდენილებს... ზოგიც ოჩოკოჩს, ფაფუკ ნაბადს, ღამე ეზოში რომ აფრიალებს, მაგრამ ვეშაპებს ყველანი მგვანდნენ, როცა საწვიმრად ცა პირს შეჰკრავდა.

და შემიყვარდა ზეცის ღრუბლები, სმარაგდის ცაზე მოხეტიალე".

კონსტანტინე ადამიანებსაც თავისებურად ხედავს. ბაბუა მის შეგნებაში „მხიარული ბაბუაა", დედა და ძიძა კი „მთელ ქვეყანაზე ულამაზესი არსებები". ასევე ბავშვის დაკვირვებებსა და კითხვებშიც ჩნდება სწრაფვა უბრალო და კონკრეტული აღქმისაკენ. „რატომ არ შეიძლება, ყოველი დღე დღესასწაული იყოს?" ანდა „კი მაგრამ, ძიძა, თუ ადამიანს გულს ამოართმევენ, მან რა უნდა ქნას?" სავარსამიძის ბავშვობა განივთებულია, მაგრამ იგი სულაც არ იწვევს „კაცობრიობის ბავშვობის" ასოციაციას.

თუ ი. ბუნინთან აზრები და გრძნობები რელიგიურ მოტივებს ენასკვება კ. გამსახურდიას კონსტანტინესა და ა. ტოლსტოის ნიკიტას ბავშვობა პირიქით მშვენიერია, განცდებით, საოცრებებითა და აღმოჩენებით სავსე. იგი დემოკრატიულიცაა (გმირს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს სოფლელ ბავშვებთან), თუმცა არაა გაიდეალებული სოფლის პატრიარქალური ყოფა, როგორც ამას ი. ბუნინთან ვხვდებით.

კონსტანტინეს ბავშვობისდროინდელ განცდათა აღწერა რომანში უცებ წყდება, ხოლო სკოლისა და სიჭაბუკის წლები არავითარ როლს არ თამაშობენ. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „დიონისოს ღიმილი" აღმზრდელობით რომანად არაა გამიზნული და რომ ავტორი არ ცდილობს კონსტანტინეს პიროვნების ჩამოყალიბების მთელი სისრულით ასახვას. მოქმედების უეცარმა შეწყვეტამ უნდა გაამძაფროს კონტრასტი იდეალურ წარსულსა და უაზრო აწმყოს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანის შემდგომ თავებში კონსტანტინე სავარსამიძე უკვე ოცდათორმეტი წლის, სავსებით ჩამოყალიბებული ადამიანია. მას შვიდი პროფესია გამოუცვლია, მაგრამ მაინც ვერ მოუნახავს თავისი ადგილი ადამიანთა შორის. იგი გზას ეძებს. პესიმისტურია მისი განწყობა, რომლის გამოკეთებაც მხოლოდ კაფეში დალეულ ხუთ ჭიქა „შერი ბრენდის" ძალუძს.

უცებ ავტორი კონსტანტინეს მამის მიერ სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქმულ წყევლას იხსენებს, რაც მკითხველს რაღაც წინათგრძნობას აღუძრავს. „თუ ოჯახის ფუძე და სამირკველი დაანგრიო, ამბობდა მომაკვდავი, ისე ადუღდეს ჩემგან ნასესხები სისხლი მაგ შენს ძარღვებში, რომ შენვე სძიძგნიდე იმ ჩემ ხორცს მაგ შენს მკლავებზე, როგორც დამშეული ფოცხვერი — ირმის ჩონჩხს......

ამგვარად სავარსამიძე ქართული აზნაურული ოჯახის უკანასკნელი ნაშიერია, სასიკვდილოდ განწირული საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელი. იგი ვერსად ვერ გრძნობს თავს კარგად, დაცლილია სულიერად, დეკადენტური კულტურის შხამითაა მოწამლული. „ჩემი ჩვეულებრივი სტუმარი — მელანქოლია — მესტუმრა" ამბობს კონსტანტინე ერთგან და მთელი წიგნიც ამგვარი პესიმისტური გამონათქვამებითა და აზრებითაა აღსავსე. რომანის გმირს არ აინტერესებს სხვათა თავგადასავალი. მათი გრძნობები, შეხედულებანი და თვალსაზრისი. მას მხოლოდ თავისი სამშობლოთი. საქართველოთი აღტაცება შეუძლია. მაგრამ თვით ესეც საკუთარი თავის მოტყუებაა. რადგანაც სოციალური ურთიერთობანი. ადამიანი. ინტერესს მიღმა რჩება. ამდენად შესაძლოა არც კი იყოს მართებული გმირის ჭეშმარიტად პატრიოტულ გრძნობებსა და სამშობლოსადმი. თავისი ხალხისადმი სიყვარულზე ლაპარაკი. როგორც ეს არცთუ იშვიათად გვხვდება ლიტერატურულ კრიტიკაში (ა. ბაქრაძე. მითოლოგიური ენგადი.) სავარსამიძე სხვა კატეგორიებით საზრდოობს. იგი აღტაცებულია ძველი დროის გმირებით, ბუნების მშვენიერებითა და კავკასიელთა სამოსით. გაბრუებულია ღვინით. რელიგიური მოტივებითა და კავკასიური სისხლით, მხოლოდ ამგვარ მოგონებებს ძალუძს მისი სისხლის აფორიაქება ცალკეულ მომენტებში.

თუ რომანის პირველ თავებში სავარსამიძე თავისი წარსულით, იდეებითა და ფიქრებითაა ნაჩვენები, შემდგომ. როდესაც იგი უკვე დეკადენტურ წრეში ტრიალებს. ავტორი მისი პიროვნების გამოცდას აგვიწერს. „კ. გამსახურდიას უსაფუძვლოდ სდებენ ბრალს შიშში ყოველგვარი ცვლილების. ყოველგვარი პროგრესის წინაშე" (ა. ბაქრაძეს), რამდენადაც იგი ჯერ ერთი, სავსებით როდი მიჯნავს თავის გმირს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან და გარდა ამისა, რომანის პირველ ნაწილში სავარსამიძის პიროვნების გამოცდა განგებ არაა დაკავშირებული სოციალურ პროცესებთან, რამდენადაც ადრე ფაქტიურად მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა რეალურ ცხოვრებასთან და ხალხთან.

მსგავსი ვითარებაა აგრეთვე ა. ტოლსტოის რომანში „დები" (1919-1921), რომელშიც ასევე მხატვრულადაა ასახული 1914-1917 წლების პერიოდი. განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ სალონებისა და მათ მკვიდრთა აღწერანი. თავის ტრილოგიაში „გზანი წამებისანი" ტოლსტოი მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენტური ფენის ჩვენებით როდი იფარგლება; მისი მიზანი გაცილებით უფრო ფართოა, რამდენადაც იგი რევოლუციისწინა წლებში საზოგადოების ყველა ფენის როლის განსაზღვრას ითვალისწინებს. თუ ტრილოგიის პირველ ნაწილში ჯერ კიდევ მთელი სისრულით არაა წამოწეული წინ რუსი მშრომელი, ბოლო ორ რომანში „1918 წელი" და „პირქუში დილა" ავტორი გაცილებით უფრო საინტერესოდ და შთამბეჭდავად ხატავს მუშათა კლასს.

თავისი ტრილოგიითა და მის პერსონაჟთა მეშვეობით ა. ტოლსტოი ლიტერატურის და ფილოსოფიის უმთავრეს მიმართულებებზეც ლაპარაკობს, გვიჩვენებს სიმბოლისტებსა და ფუტურისტებს, ლიბერალებსა და ანარქისტებს, რაც შეეხება „დიონისოს ღიმილს". იგი არ იძლევა ასეთ ფართო, ყოვლისმომცველ სურათს.

ამგვარად, ორივე ნაწარმოებში მთავარი ყურადღება შემოქმედებით ინტელიგენციაზეა გადატანილი. ა. ტოლსტოი დაწვრილებით მოგვითხრობს სალონის ძირითად მკვიდრთა, მწერლების, მხატვრების, პოეტებისა და მათი თაყვანისმცემლების შესახებ. იგი ამხელს სიმბოლისტებსონოვსა და ფუტურისტებს თავიანთი ეგრეთწოდებული „ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლის მთავარი სადგურით". რადგან ადამიანებს არ სჭირდებათ მათი მისტიური ფილოსოფია. მათი ჟურნალები და ნაწარმოებები.

კ. გამსახურდიას რომანის შესაბამის ფრაგმენტებში სრულიად სხვაგვარადაა ნაჩვენები შემოქმედებითი ინტელიგენცია. აქაურ სალონთა მკვიდრნი არ გამოდგებიან კონკრეტული ეპოქის ხელოვნებისა და ფილოსოფიის უმთავრეს მიმართულებათა დასახასიათებლად; ეს სალონები ყველა იმ ევროპელის თავშეყრის ადგილია მხოლოდ, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს აღმოსავლეთთან; ერთ-ერთი ასეთი აღმოსავლური. ალი მირზახანის სალონის მკვიდრნი სპეციფიური პრობლემებით საზრდოობენ: ავტორი უპირატესად იქ გამეფებულ ატმოსფეროს გადმოგვცემს, იქ მყოფთა ზნედაცემულობასა და უძლურებას. გარემო ერთობ ოსტატურადაა წარმოსახული დიალოგებში. სალონის მკვიდრთა სრულყოფილი დახასიათებაა მოცემული მათ საუბრებში პოლიტიკასა და ხელოვნებაზე. ქალებსა და ამერიკაზე. ცხენებსა და დუელებზე, სასიყვარულო ინტრიგებსა და ბანქოს თამაშზე, მუსიკასა და ლიტერატურაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. გამსახურდია აღმოსავლურ სალონს ირჩევს, მაგრამ იგი არ უპირისპირებს დეკადენტური ინტელიგენციის წარმომადგენლებს გულწრფელ, პატიოსან ადამიანებს, როგორც ამას ა. ტოლსტოი აკეთებს თავის ნაწარმოებში (დაშა, კატია, ტელეგინი). თავიდან მკითხველს ეჩვენება, რომ თვითონ სავარსამიძეც გულწრფელი ადამიანია, რადგან იგი აკვირდება და მართლად გადმოგვცემს ყოველ, თვით უსიამოვნო დეტალს, ყოველ საუბარსა თუ მოძრაობას, მაგრამ სინამდვილეში იგი მხოლოდ დამკვირვებელია და არაა შემფასებელი.

სავარსამიძე მხოლოდ შემდგომ, თავის შეყვარებულ ჯენეტთან ურთიერთობაშია სრულად დახასიათებული. ეს ქართველი მანდილოსანიც იმგვარივე გრძნობებითა და იდეებით საზრდოობს, როგორითაც თვით იგი. ჯენეტის გვერდით სავარსამიძე თავს კარგად გრძნობს, მას ჰგონია, რომ გაერკვა თავისი სასოწარკვეთილების მიზეზებში; თავდაპირველად ეს მრავალმხრივი ინტერესების მქონე, გულწრფელი ადამიანი დიდ სიმპათიასა და ყურადღებას ამჟღავნებს თავისი შეყვარებულისადმი, პატივისცემით ეპყრობა უბედურ ქალს, მაგრამ გმირის ცხოვრების ყაიდის მიხედვით მკითხველი იმთავითვე გრძნობს მოვლენათა მოსალოდნელ განვითარებას: „ძლიერ გამოვიცვალე. ვლოთობ. ვსეირნობ. ვოცნებობ...“

სხვა ეპიზოდებში კი, პირიქით, ემჳქვეშაა დაყენებული სავარსამიძის დამოკიდებულება ქალებისადმი: „უზომოდ მიყვარს ქალი და უზომოდ მძულს...“ „მუდამ ორ ქალზე ვარ შეყვარებული.“ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ჯენეტთან დაახლოებამდეა ნათქვამი, მაგრამ მკითხველი მაშინაც გრძნობს ინსტინქტურად, რომ სავარსამიძეს არ ძალუძს ჭეშმარიტი, ღრმა სიყვარული.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სავარსამიძის ინტიმურ ურთიერთობას რომანის მთავარ სიუჟეტურ ხაზად მიიჩნევენ, მაგრამ ნაწარმოების მხოლოდ პირველ ნაწილშია ნაჩვენები სავარსამიძისა და ჯენეტის ურთიერთდამოკიდებულება; შემდეგ კი ავტორი სხვა პიროვნებებსა და ისტორიულ ვითარებებს ირჩევს თავისი გმირის დასახასიათებლად. ასე მაგალითად, იგი სავარსამიძეს გერმანიის ნოემბრის რევოლუციის მოვლენებს უპირისპირებს. აღნიშნული ფაქტი გასაღებია მთელი რომანისა და იგი გმირის არსებით ნიშნებს ნათელყოფს. ეს უკანასკნელი გერმანიაში ახალ პოლიტიკურ სიტუაციას აწყდება: იგი მოწმეა დიდი დემონსტრაციისა, რომლის დროსაც კ. ლიბკნეხტი წარმოთქვამს სიტყვას. აქვე იგი სრულიად შემთხვევით შეტაკებაში ებმება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სავარსამიძე არაა მოვლენათა უბრალო მოწმე; იგი სპარტაკელთა მხარეზე აღმოჩნდება, მუშების მხარეზე იბრძვის. მისი მოქმედების მიზეზებს მისივე სიტყვები განმარტავენ: „ეჰ, ამხანაგო ნოიმაიერ, ჩემი რევოლუციონერობა ვინ გაიგონა. დიდი ხანია, ტირში არ ვყოფილვარ, სროლა მომენატრა, მიტომაც მოგეხმარეთ“. აშკარაა, რომ ნოემბრის რევოლუცია სავარსამიძისათვის მხოლოდ საშუალებაა გულის გადასაყოლებლად.

თუმც სპარტაკელები ის ადამიანებია, რომლებიც მისთვის საძულველ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ იბრძვიან, რომელთაც ლუქსემბურგის პარკის ინვალიდისათვის, დოქტორ ვიტენზონის ტრაგიკული სიკვდილისათვის, შურისძიება სწყურიათ, მაგრამ სავარსამიძის აზრით ამ „მწვანე ხალათიან, გაფითრებულ ადამიანებს“ არაფერის შეცვლა არ ძალუძთ: „მეც მგონია, ამბობს იგი, ცხოვრების ფორმები იცვლებიან, სხვა არაფერი“.

სავარსამიძის ყველაზე დიდი ოცნება არ ითვალისწინებს არსებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან მას აეჭვებს ამ ბრძოლის არსი. დიდი იდეა, მისი აზრით, უნდა გაემიჯნოს საზოგადოებრივ მანკიერებათ, მან წარსულში უნდა გადაგვიყვანოს. ამგვარად სავარსამიძე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ იდეებთან და კონცეპციებთან, რომლებიც გერმანულმა დეკადანსმა წარმოშვა. „ცივილიზაციასა“ და ძველ „კულტურას“ შორის ბრძოლაში მან ძველი ტრადიციის დამცველის როლი იკისრა.

მთელ რომანში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ისტორიულ ფონსა და სოციალურ ცხოვრებას.

თვით კ. გამსახურდია ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. 1938 წლით დათარიღებულ ბოლოსიტყვაობაში თავისი რომანის მეორედ გამოცემის გამო იგი აღნიშნავს „დიონისოს ღიმილში“ მოცემულია 1914-1918 წლების სოციალური ვითარებანი, მართებული იყო ამ მომენტისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია კრიტიკას“-ო.

აქტუალური საზოგადოებრივი თემატიკისაკენ მწერლის შემობრუნება ახალი ისტორიული ვითარების შედეგია. კ. გამსახურდია თავის თხრობას აშკარად უცხოეთში ყოფნის ჟამს მიღებულ საკუთარ დაკვირვებებსაც უდებს საფუძვლად. მაგრამ ამის მიუხედავად, მას არ დაუსახავს მიზნად მოვლენებისა ან მასების მოძრაობის უშუალოდ ჩართვა თხრობაში. ერთის მხრივ მწერალი ალბათ ჯერ კიდევ ვერ მივიდა ამგვარი წარმოსახვის შესაძლებლობის შეგნებამდე. მეორეს მხრივ კი, მას მხოლოდ და მხოლოდ დასავლური ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი თავისი გმირის უარყოფითი პოზიციის ჩვენება სურდა. ეს ნათლად იგრძნობა სავარსამიძის მრავალფეროვან ურთიერთობაში მუშაობის მიმართ, უარესად შთამბეჭდავ დაკვირვებასა და მოსაზრებაში. ამის ნიმუშია წინამდებარე ფრაგმენტი, რომელშიც რომანის გმირი ერთ ფრანგს ესაუბრება. სავარსამიძე შეძრწუნებულია, როცა ამ

---

შტეფი ხოტივარი-იუნგერი

„დიონისოს ღიმილის“ სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა, მაგრამ სრულიად უკბილო კაცის თავგადასავალს შეიტყობს: „ჩემი კბილები სათითაოდ გავყიდე... დიახ, დიახ... ეს თქვენც შეგიძლიათ. თუ ძლიერ გიჭირთ, პარიზულ გაზეთებში ყოველ დღე ნახავთ ჯანსაღი კბილების მუშტრების განცხადებებს. მე ისეთი კბილები მქონდა...“ და მოჰყვა ეს კაცი თავისი გაყიდული კბილების ქებას“.

გარდა ამისა, სავარსამიძის მიერ ბურჟუაზიული საზოგადოების უგულებელყოფა თვით მისსავე აზრებში ჩნდება.

მოტანილ ფრაგმენტში ბურჟუაზიული ცივილიზაციის ჭეშმარიტი სახეა ნაჩვენები; ხალხი მოვლენათა და გარემოებათა მსხვერპლადაა წარმოდგენილი; მისი ძირითადი მოწინააღმდეგე კი ბურჟუაზიული ურთიერთობაა.

მოქმედების ადგილი ნიადაგ იცვლება: პარიზი, მილანი, ვენეცია, რომი, ალბანო, ასიზი, პერუჯა, ფლორენცია, ბერლინი და ბოლოს აბასთუმანი. ეს მოგზაურობანი სულაც არ იძლევიან სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიურ სურათს; მართალია მწერალი არსებულ უსამართლობაზეც ლაპარაკობს, მაგრამ უფრო მეტად თავისი გმირის მოწყენილობასა და უმიზნო ცხოვრებაზე ამახვილებს ყურადღებას.

შემდგომში მ. გორკის რომან-ეპოპეა „კლიმ სამგინშიც“ (1925-1936) ჰპოვეს თავიანთი ასახვა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ დასმულმა პრობლემებმა: ფილოსოფიისა და მორალის, ინტელიგენციისა და ექსპლუატატორულ საზოგადოებაში მისი ადგილის საკითხებმა. ეს ნაწარმოებები ახლოს დგანან ურთიერთთან, მაგრამ მსგავსი პრობლემები მათში სხვადასხვაგვარადაა რეალიზებული. ორივე შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მთავარ გმირთა მიმართება სხვა პერსონაჟებისადმი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს მ. გორკის რომანშიც. ისინი ურთიერთობას ამყარებენ კლიმ სამგინთან და გარკვეულ მომენტებში სხვადასხვა კუთხით გვიშუქებენ მისი ინდივიდუალობის ცალკეულ შტრიხებს. ამასთანავე მ. გორკიმ ისეთი კონტრასტული სახეებიც დახატა, როგორიცაა პროფესიული რევოლუციონერი კუტუზოვი ანდა ლიუბაშა სომოვა, რომლის მეშვეობითაც აფასებს მკითხველი კლიმ სამგინის აზრებსა და მოქმედებას. მ. გორკის კარგად აქვს გააზრებული ხალხის როლიც, რასაც იგი მასობრივ სცენებში, სიმღერებსა და თავის გმირის რეფლექსიებში გამოხატავს.

„დიონისოს ღიმილში“ კ. გამსახურდია ჯერ კიდევ არ მიმართავს სოციალისტური რეალიზმის ზემოაღნიშნულ პრინციპებს. იგი სხვაგვარად ხატავს ხალხსაც, ცალმხრივად ახასიათებს მას. წარმოდგენილი ფრაგმენტები ნიშანდობლივია იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უმზერს იგი ხალხს თავისი გმირის თვალით: „მართლაც უამრავი ხალხი მოდიოდა ვილჰელმის სასახლიდან. მწვანე ხალათიანი, უქუდო, საკინძეგახსნილი, გაფითრებული მუშები წითელი დროშებით მიეშურებოდნენ ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ.

ალაგალაგ მაძახურები ყიჟინებდნენ: „გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ლიბკნეხტს“..... ასე ჩაცმული, ამგვარი გამომეტყველების ხალხი მე ჯერ არ მენახა შუა ბერლინის ქუჩებში... რაიხსტაგის წინ, ბისმარკის უშველებელ ძეგლის პიედესტალზე იდგა ლიბკნეხტი და სალოკი თითით ემუქრებოდა მარჯვენა ხელით ხმალზე დაყრდნობილ რკინის კანცლერს. გაქვავებული ბისმარკი აღუშფოთებლად უსმენდა, თითქოს მასზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ამ საუკუნის უდიდესი კატილინას მდუღარე სიტყვები.

მაშინ პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში: აღტყინებული ცოცხალი კაცი, გაქვავებულ მკვდარს რომ ეკამათებოდა“.

არც თვით ავტორი და არც რომანის პერსონაჟები არაფერს ცვლიან ნანახი დემონსტრაციის ამ გაურკვეველ შთაბეჭდილებაში. საერთო კონცეფციით ხალხს არ გააჩნია თავისი საკუთარი ფუნქცია. ავტორს პირველ რიგში თავისი გმირის სავარსამიძის, მისი შეხედულებებისა და მოსაზრებების ჩვენება სწადია.

თვით არჩევა ამგვარი მთავარი გმირისა, მისი სულიერი ნათესაობა კლიმ სამგინთან აშკარად მოწმობს, რომ კ. გამსახურდია მ. გორკის მსგავსად საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უკვე ადრეულ პერიოდში ჩასწვდა ეპოქის ძირეულ პრობლემას, ამასთან ქართველმა მწერალმა თავისი გმირის იმ იდეურ იმპულსთა ჩვენებისას, რომელნიც დასავლეთ ევროპის გვიანბურჟუაზიული სინამდვილიდან იღებენ სათავეს, საკუთარი ცოდნაცა და დაკვირვებაც გამოიყენა.

კ. გამსახურდიას რომანის მთავარი გმირის რელიგიურ ფილოსოფიურ შეხედულებათა გასაშიფრავად აუცილებელი წინაპირობაა მისი სულიერი და მორალური სახის გარკვევა. სწორედ ამის შედეგად შეძლებს მკითხველი რომანის ზოგად პრობლემატიკაში ღრმად წვდომას, ავტორისეული პოზიციის განსაზღვრას.

სავარსამიძე დიონისეს თაყვანისმცემელია. რომანის თვით სათაურიც ამ, მისთვის საყვარელ ღმერთზე მიგვანიშნებს. დიონისე ნაწარმოებში პირველად ალი მირზახანის კაბინეტში გამოფენილ სურათზე ჩნდება. ამ ნახატს, რომელსაც „დიონისოს მეორედმოსვლა“ ჰქვია, სავარსამიძე შემდეგნაირად აღწერს: „სუბტროპიკული ზღვის ნაპირი ბანანებით, მაღალი პალმებით, ხშირი ღელით შემოსილი... ღელში და ისლში სულგანაბული ყელთვალებიანი ვეფხვები, ველური ვაზების ბარდებში თხისჩლიქებიანი სატირები.

დელფინებს, ცხენთევზებს და ნიანგებს თავი ამოუყვიათ ლილისფერ ტალღებიდან; გარინდებულნი შესცქერიან უცხო სასწაულს... სმარაგდის ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკი, მისი ფეხები — ორი სვეტი სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი, მისი მუცელი — მარმარილოს დაფაა, შვენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი, მისი ყურები — ორი თეთრი სადაფი...,

იგი ამოდის ნაპირზე ელემენტებისაგან ახლად შვებული, თითქოს ეს არის ახლა დაბრუნებულაო ოკეანის ნოყიერ საშოდან, სადაც ფერიები ურწევდნენ ოქროს აკვანს". ამ სცენის დანიშნულებაა გააცნოს მკითხველს ბერძენთა სათაყვანებელი დიონისე — მცენარეულობის მფარველი, შემდგომ კი ვენახისა და თრობის ღვთაება, მცენარეულობა სურათზე ბანანების, მაღალი პალმების, ხშირი ლელის სახითაა წარმოდგენილი, სატირები კი ღმერთის ამალის სიმბოლოა.

რომანში სემელეც ჩნდება, დიონისეს დედა, რომელიც მისმა სატრფომ ზევსმა ჰერას წყალობით ფერფლად აქცია. ალბანოში, ერთ-ერთ კედლის რელიეფზე სავარსამიძე თავის ღმერთს წააწყდება, ეს უკანასკნელი ველურ ცხენებს ხედნის, სემელე კი სჰიქიოდან უცქერს მას.

„დიონისოს მეორედმოსვლაზე" სავარსამიძის საყვარელი ღმერთი ქანდაკებას ჰგავს. იგი ძველ ბერძენ ოსტატთა ქმნილებებს გვაგონებს და ამ შთაბეჭდილებას უთუოდ აძლიერებს სპილოს ძვლის, მარმარილოსა და სადაფის ხსენებაც.

რომანის სხვა ეპიზოდებში, სადაც ღმერთი დიონისე იხსენიება, იგი სავარსამიძესთან მჭიდრო კავშირშია ნაჩვენები. ამას გარდა კ. გამსახურდია შიგადაშიგ კიდევ ურთავს მოკლე, დამახასიათებელ სცენებს დიონისეს პორტრეტის შესავსებად. მაგალითად ამ ნაწყვეტში იგი ტრაგიკულ ღვთაებადაა წარმოსახული: „ვატიკანში, კაპიტოლში, ვილლა ბორგეზეში, ვილლა ალბანოში, ყოველ პოზაში, ყოველ მდგომარეობაში ვნახე ჩემი საყვარელი ღმერთი, მოწყენილი, აღტაცებული, შეზარხოშებული, ტრიუმფით მიმავალი, მეომარი და მდუმარე.

მთელი კვირა მხოლოდ დიონისოს კოლლექციებს ვათვალიერებდი, მაგრამ არსად მომღიმარე დიონისო მე არ შემხვედრია".

ზოგჯერ დიონისე სხვათაშორისაა ნახსენები, რათა მკითხველმა არ დაივიწყოს იგი. ასეა მაგალითად რომის ერთ ლუდხანაში: „... და კედლებზე ჰკიდია ღმერთ დიონისესათვის ესოდენ საყვარელი ვერძის რქები". დიონისე მათ თავზე ატარებს ვითარცა სიმბოლოს, ნადირებისა, და ურჩხულებისთვის დამახასიათებელს. ხშირად იგი ხარის ტყავსაც ატარებს. ალბანოს მუზეუმში დიონისე ვერძისრქებიანია, ლომის სახისა, მრისხანე და შეუბრალებელი.

რომანის პირველ სცენებში, სადაც ღმერთი დიონისე ჩნდება, იგი თითქოს შეესაბამება ძველ ბერძენთა თავდაპირველ წარმოდგენას ნაყოფიერების, ღვინისა და თრობის ღვთაების შესახებ. ხოლო შემდეგ, როგორც კი ავტორი სავარსამიძის ბედს უკავშირებს, ვაწყდებით მსოფლმხედველობას, რომელსაც ფ. ნიცშეს ფილოსოფიურ შეხედულებებამდე მივყავართ. საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ადამიანთა შორის არსებულ ყველა ურთიერთობათა ბურჟუაზიულ „დემითოლოგიზებას" მორალური და ესთეტიკური შეგნების გარდაქმნა მოჰყვა. წარმოიქმნა ქაოსი ღირებულებათა გადაფასების გარეშე. ნათელია, თუ რა აუცილებელი შეიქმნა სხვა რაიმეს გამონახვა ტრადიციული რელიგიურ — მითოლოგიური შეგნების სანაცვლოდ. საჭირო იყო მიმოფანტულის კვლავ თავმოყრა, რათა კვლავ აღმდგარიყო დაშლილი მორალური სამყარო, ხოლო თუ ეს უკვე შეუძლებელი იყო, რაიმე მსგავსის შექმნა მაინც. ფ. ნიცშე ღრმად გრძნობდა მსოფლიოს გაუღმერთოებას და „ყველა ღირებულებათა გადაფასებას" აღნიშნავდა. მან ახალი ფილოსოფიურ-მითოლოგიური პერსპექტივები, ახალი მითოსი შექმნა. ეს ფილოსოფიურ-მითოლოგიური ორიენტაცია შემდგომი გაგრძელება იყო ძველბერძნული, ძველგერმანული, ან როგორც ამას ფ. შოპენჰაუერთან ვხვდებით, ძველინდური მითების აღდგენის მრავალრიცხოვანი ცდებისა.

თავისი ახალი მითოსი, დიონისური იდეა ფ. ნიცშემ პირველად ახალგაზრდობისდროინდელ ქმნილებაში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან" ჩამოაყალიბა, ტრაქტატში, რომელმაც ამ მოაზროვნის „სხვა ქმნილებებთან შედარებით ყველაზე ძლიერი ზეგავლენა იქონია ხელოვნების მოღვაწეებზე, პოეტებსა და ლიტერატორებზე..." კ. გამსახურდიაც ამ ნაწარმოებს ემყარება. დიონისესა და დიონისურის ნიცშეანური დახასიათება, რომელიც მოცემულია „ტრაგედიის დაბადებაში მუსიკის სულიდან" ზუსტად ეთანხმება ამ ღმერთის, მისი ფილოსოფიის კ. გამსახურდიასეულ ინტერპრეტაციას და პირიქით, ქართველი ავტორის რომანი ნაკლებ საბაბს იძლევა ფ. ნიცშეს მეორე ნაწარმოებთან „ასე ამბობდა ზარატუსტრა", მის დასაკავშირებლად, ანდა საიმისოდ, რომ სავარსამიძეში ნიცშეანური „ზეკაცის" განსახიერება" (ს. სიგუა) დავინახოთ.

ნიცშეანური ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშნები სრულიად უცხოა სავარსამიძისთვის.

ფ. ნიცშე ხომ ლაპარაკობს განდევნილი ზეკაცის. მასში „არწივისებური სიმამაცისა და ბოროტების" შესახებ? და თუმც სავარსამიძე განმარტოებულია, მაგრამ იგი არასდროს არაა „უფსკრულისაკენ ამაყად მზირალი", ანდა „პიროვნება, რომელიც შეგნებულად ესწრაფვის ბოროტებას", „რაღაც იშვიათის, ხანგრძლივისა და შორეულის" შექმნის მიზნით, რამდენადაც მას არ გააჩნია მომავლის განჭვრეტის უნა-

რი. სავარსამიძე არაა „საკუთარი ფეხით მოსიარული“ „ზეკაცი“, განა იგი მუდამ სხვებს არ სთხოვს გზის ჩვენებას?

ფ. ნიცშე „ზეკაცს“ მეცნიერთა მიმართაც აფრთხილებს, რადგან ისინი მისი აზრით უნაყოფონი არიან; მაგრამ თვით სავარსამიძეც ხომ როგორც პიროვნება, როგორც ბიოლოგიური ქმნილება უნაყოფოა.

კ. გამსახურდიას გმირს ბევრი რამ არ გამოუდის ცხოვრებაში (ფ. ნიცშეს მიხედვით ეს სავსებით ტიპიურია „ზეკაცისათვის“), მაგრამ ამის გამო იგი იტანჯება. მას არ ძალუძს დასცინოს საკუთარ თავს, იგი არაა „მღიმარე ქარიშხალი“. პირიქით, ის უფრო „ბრბოს“ ჰგავს, რომელსაც მწუხარება ახასიათებს და რომელიც ფ. ნიცშეს აზრით „ჯამბაზების“, „პირქუშების“, „წუწუნიანებისა“ და „ქეცქიანი ძაღლებისაგან“ შედგება. კ. გამსახურდიას გმირი არც „გრიგალია“, „კეთილი თავისუფალი ქარიშხლის სული“ და არც „სული ყოველი თავისუფალი სულისა“.

სავარსამიძეს უთუოდ გააჩნია „ზეკაცის“ არაერთი თვისება, მაგრამ ისინი სულაც არ არიან არსებითნი. „დიონისოს ღიმილის“ გმირი ერთობ ანგარებიანი პიროვნებაა, იგი არაფერს აკეთებს სხვისთვის, სწორედ ისე, როგორც ამას ფ. ნიცშე მოითხოვს. ამასთან იგი თითქოს ადასტურებს გერმანელი მოაზროვნის გაფრთხილებას: როგორ გინდათ ზეასვლა, თუ თქვენ თან არ გახლავთ მამათა თქვენთა ნებისყოფა?“ როგორც კი იგი ზურგს აქცევს მამას, ნაცვლად ზეასვლისა ძირს ენარცხება, „ხოლო ის, ვისაც პირველობა სწადია, ყურადღებით იყოს, რათა ნაბოლარა არ აღმოჩნდეს“. ეს მხოლოდ ცალკეული მსგავსი ნიშნებია და უმართებულო იქნება სავარსამიძის მარტოოდენ მათ საფუძველზე გამოცხადება ნიცშეანურ „ზეკაცად“, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე სალიტერატურო კრიტიკაში. პირიქით, „დიონისოს ღიმილის“ გმირის ფილოსოფიურ პოზიციაში ნაცილებით მეტი შეხების წერტილი ჩნდება ფ. ნიცშეს ადრეულ ნაწარმოებთან „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. აქ ავტორი ოლიმპოს ღმერთთა მთელ სამყაროს აპოლონური სულის შეგრძნებად მიიჩნევს. რისი მიზანიც ისაა, რომ ასატანი გახადოს ცხოვრება. აპოლონურის (ლოგიკოსი, ფხიზელი რაციონალისტი, ოპტიმისტი, განათლებული, თეორეტიკოსი) მტერი დიონისურია (ტრაგიკულობა, თვითგანდიდება, სიუხვე, თრობა). ფ. ნიცშე შემდეგნაირად აღწერს ამ ანტაგონიზმს თავის „ტრაგედიის დაბადებაში მუსიკის სულიდან“: „ხელოვნების განმასახიერებელ ორსავე ღვთაებას აპოლონსა და დიონისეს უკავშირდება ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, რომ ბერძნულ სამყაროში მეტად დიდი დაპირისპირებულობა არსებობს წარმოშობასა და მიზნებზე, პლასტიკურ, აპოლონის ხელოვნებასა და დიონისეს არაპლასტიკურ ხელოვნებას, მუსიკას შორის; ორივე ესოდენ განსხვავებული იმპულსი ურთიერთის გვერდით ვითარდება, ამასთან სხვადასხვა მიზნებს ესწრაფვის. მათ შორის უმეტესწილად სრული უთანხმოებაა, ისინი აღაგზნებენ ურთიერთს ახალი, უფრო ძლიერი ნაყოფის შესაქმნელად, რათა მასში უკვდავყონ ბრძოლა არსებულ დაპირისპირებულობათა შორის, რომელთაც თითქოს ხიდივით აერთებს სიტყვა „ხელოვნება“...

დიონისე აღიარებს ცხოვრების ტრაგიკულ ფონს, მაგრამ ტკივილებს იგი საკუთარ თავზე იღებს. ფ. ნიცშეს მიხედვით ცხოვრებაში ადამიანებმა უნდა ირწმუნონ დიონისესი და „არსებობის მარადიული სიხარული“ „უნდა ეძიონ არა მოვლენებში, არამედ მოვლენებს მიღმა“.

კ. გამსახურდიას რომანის გმირი დიონისეს მსგავსად აღიარებს მოვლენათა ტრაგიკულობას, მაგრამ იგი, ისევე, როგორც ეს ტანჯული ღვთაება, პასიურია და ტრაგედიის ხელმეორედ დაბადებას ელის. სავარსამიძე ისე იქცევა, როგორც ფ. ნიცშეს მიერ დახასიათებული გუნდი ბერძნული ტრაგედიისა. „იგი ხედავს, თუ როგორ მაღლდება იგი, ღმერთი და ამიტომ თვითონ არ მონაწილეობს მოქმედებაში. ამ, ღმერთის აბსოლუტური მსახურის მდგომარეობაშიც კი იგი მაინც რჩება ბუნების უმაღლეს, სახელდობრ დიონისურ გამოხატულებად და ამიტომ ისევე, როგორც ბუნება, იგი აღტაცებით წარმოთქვამს წინასწარმეტყველურ და ბრძნულ სიტყვებს: ვითარაცა თანამგრძნობი იგი ამავ დროს ბრძენიცაა, მსოფლიო სულის წიაღიდან ჭეშმარიტების მქადაგებელი“.

„დიონისოს ღიმილის“ გმირი ამ გუნდის მსგავსად აღტაცებულია ღმერთი დიონისეთი, ყველგან ეძებს მას. შეიძლება ითქვას, რომ მის სულში არ შეიმჩნევა ბრძოლა აპოლონურსა და დიონისურს შორის, როგორც ეს კრიტიკოს კ. იმედაშვილს მიაჩნია. განა როდის ეშურება სავარსამიძე ლოგიკას, თეორიას, შემეცნებას, მისტიკის დაძლევას? განა იგი ერთხელ მაინც არის ოპტიმისტი? მისთვის მხოლოდ და მხოლოდ დიონისური სულია ნიშანდობლივი. მისი მსოფლხედველობა პესიმისტურ-ტრაგიკულია: იგი მისტიკითა და საკუთარი თავის ქებითაა გაბრუებული.

რომანში თავიდანვე იბადება ოდნავი ეჭვი დიონისურის მიმართ და ეს მუდამ მაშინ ხდება, როცა სავარსამიძე ყველაზე უფრო უახლოვდება ღმერთ დიონისეს, სავსებით ეძლევა სიყვარულით ან ღვინით თრობას, რამდენადაც დიონისური ბნელ ვნებათა აღგზნებას, გამრავლებისა და ნაყოფიერების მარადიულ სურვილს ნიშნავს, რის ყველაზე სრულყოფილ სიმბოლოსაც ღვინო წარმოადგენს. ამგვარ სიტუაციებში სავარსამიძე სასოწარკვეთილია და წყევლის თავის საყვარელ ღვთაებას, თუმც ეს შედარებით იშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სავარსამიძე მაინც ვერ აკეთებს ვერავითარ დასკვნას; იგი დიონისური მოძღვრების ერთგულია. ეს ნათლად იგრძნობა საკვანძო სცენებში, სადაც რომანის გმირი თავისი დიონისური მსოფლშეგრძნების კვალად განსაკუთრებული გაafთრებით იბრძვის ცოდნისა და ოპტიმიზმის წინააღმდეგ. ამგვარი ბრძოლის აუცილებლობის დამტკიცებას ფ. ნიცშე შემდეგნაირად ცდილობდა: „თუ ცოდნისა და მეცნიერების ოპტიმიზმისაკენ დიალექტიკური სწრაფვით უძველესი ტრაგედია კალაპოტიდან ამოვარდა, ამ ფაქტის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა თეორიულ და ტრაგიკულ მსოფლგაგებათა შორის საუკუნო ბრძოლის შესახებ; და მხოლოდ მაშინ, როცა მეცნიერების სული თავის ზღვარს მიაღწევს და მისი პრეტენზია უნივერსალურ მნიშვნელობაზე ამ ზღვარის არსებობის აღნიშვნით იქნება უარყოფილი, შეიძლება ვიქონიოთ ტრაგედიის ხელმეორედ დაბადების იმედი...“

სავარსამიძისათვის, მისი დიონისურ — ტრაგიკული მსოფლმხედველობის შესაბამისად დაცინვის საგანი უნდა გამხდარიყო მუშათა ოპტიმიზმი ნოემბრის რევოლუციის ჟამს. ისევე როგორც ფ. ნიცშეს, მასაც არ სწამდა ღარიბ — ღატაკთა თვითგანთავისუფლებისა. ამ სიტუაციაში გმირის ქცევის ახსნა ღმერთ დიონისეში უნდა ვეძიოთ. დიონისურის შესახებ მოძღვრების ცოდნის გარეშე მკითხველი ვერ გაიგებს, ვერ ჩასწვდება სავარსამიძის მოქმედებას. იგი სროლაში ადამიანებზე ვარჯიშობს, მაშინ, როდესაც დიდი, მსოფლიო ისტორიული მოვლენები ხდება. მხოლოდ „დიონისურს“ ძალუძს გმირის გამსჯა, რადგან მხოლოდ იგია მოსამართლე, რომელსაც შეუძლია ყოველი მოვლენის, თვით ყველაზე ბარბაროსულისა და ადამიანისათვის შეუფერებლის ახსნა და გამართლება.

სავარსამიძის ირონიამ, მოგვიანებით ეჭვმა, დაბოლოს სიძულვილმა ქრისტიანობისადმი შეიძლება მიგვიყვანოს ფ. ნიცშემდე, რომელიც აქტიურად ებრძოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა „კაცობრიობის ამ უკვდავ ბინძურ ლაქას“ (თ. მანი).

რომანის დასაწყისში სავარსამიძე ჯერ მხოლოდ ქრისტეს დასცინის, რომელიც ადამიანებს ყანების მევლედ დაუყენებიათ. „...გზაჯვარედინებზე, გაშლილ ველებზე და ნახნავებზე უშველებელი ძელის ჯვრები: ხელებგაშლილი შავ ძელზე მილურსმული ქრისტე“. ხოლო როცა მას ერთი ბერი პატარა იტალიური ეკლესიის სარდაფში სამოცი ათასი ადამიანის ჩონჩხს უჩვენებს, ეს ფაქტი შესძრავს მის არსებას. „ამ დღიდან, — ამბობს იგი, — ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ჩემ გულთან წარმართული რომი გაცილებით უფრო ახლოა“. სავარსამიძისათვის, ისე, როგორც ეს ფ. ნიცშეს ნაწარმოებებშია, ქრისტიანობის იდეური ანტიპოდი არაა სამყაროს ღმერთის გარეშე, არამედ წარმართული სამყარო ღმერთ დიონისეთი. „დიონისე ჯვარცმულთა წინააღმდეგ“ — ამ სიტყვებით მთავრდება ფ. ნიცშეს გვიანდელი ნაწარმოები «Ecce home».

ლიტერატურათმცოდნენი არცთუ იშვიათად რელიგიურ გაორებას მიაწერენ სავარსამიძეს. მიაჩნიათ, თითქოს იგი ერთის მხრივ დიონისეს თაყვანისმცემელია, ხოლო მეორეს მხრივ ქრისტესაკენ მიილტვის და ხანდახან თვითონ, ვითარცა ღმერთი ეწამება. ლიტერატურათმცოდნე ს. სიგუა მართებულად შენიშნავს, რომ სავარსამიძე ხალხის ცნობიერებაში ღრმად აღბეჭდილ ფორმას იყენებს ქრისტესას და მას დიონისური შინაარსით ავსებს.

აშკარაა, რომ კ. გამსახურდია თავისი გმირის ფიქრებითა და მოქმედებით იმ დიონისურ-ტრაგიკულ მსოფლმხედველობას ახასიათებს, რომელმაც ფ. ნიცშესთან ჰპოვა თავისი გამოხატულება. რომანის დასასრულს განაჩენია გამოტანილი ამ ფილოსოფიისათვის.

ნაწარმოების ბოლოს სავარსამიძეს ძლიერ აეჭვებს თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიცია, მაგრამ იგი ვერ პოულობს საკუთარ თავში ძალას მისგან თავის დასაღწევად, იგი მთლიანად დიონისეს სულს ეძლევა, თრობას, აღტაცებას ჭაბუკ ფარვიზით, რომელიც მისთვის ღმერთ დიონისეს განსახიერებაა. ამასთანავე იგი თავისი ეგოიზმით უგულებელყოფს ადამიანური ქცევის ნორმებს, კარგავს ღირსებას, მისი იდეალი სავსებით კანონზომიერად უნდა დაიმსხვრეს. რომანის სათაურში „დიონისოს ღიმილი“ ოლიმპოს ღმერთებია ნაგულისხმევი, რომლებიც სავარსამიძის დიონისურ-ტრაგიკულ მსოფლმხედველობას დასცინიან.

„დიონისოს ღიმილის“ ავტორი არ მონაწილეობს დიონისეს გაღმერთებაში, ვითარცა ჰუმანისტი ხელოვანი. იგი თავისი ნაწარმოებით დიონისურ-ტრაგიკული მსოფლგაგების საშიშროებაზე მიუთითებს. მწერალი აფრთხილებს ადამიანებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თრობაში თავდავიწყებას და ცხოვრების გონივრულად მოწყობას მოითხოვს. კ. გამსახურდიას არ სჯერა დიონისურად ცხოვრების, ტრაგედიის ხელმეორედ დაბადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

**თემურ ჩხეტიანი** დაიბადა 1955 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ შრომაში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო ეკონომიური ფაკულტეტი.

ქვეყნდება პირველად.

●

**რენე კალანდია** დაიბადა 1944 წელს ქ. ზუგდიდში. დაამთავრა მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პირველი წიგნი გამოვიდა 1972 წ. „ხსოვნის ყვავილი“, 1975 წ. „კონცერტი“, 1978 წ. „გამოფენა“, 1981 წ. „სეზონის დახურვა“. ცხოვრობს ქ. სოხუმში.

●

**ნაირა გელაშვილი** დაიბადა 1947 წელს სიღნაღის რ-ნის სოფ. ნუკრიანში.

1970 წელს დაამთავრა სახ. უნივერსიტეტის დას. ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1978 წ. — ასპირანტურა სპეციალობით დას. ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა.

1975 წლიდან კითხულობდა ლექციებს სახ. უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიაში.

გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები „მნათობში“, „განთიადში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, თარგმნილი აქვს ფ. ჰოლდერინის, გ. თრაქლის, რ. მ. რილკეს, გ. ჰაიმის და სხვ. ლექსები, მ. ჰაიდეგერის „ჰოლდერლინი და პოეზიის არსი“.

●

**რევაზ დანელია** დაიბადა 1950 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნაჯახაოში. დაამთავრა ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლექსების პირველი წიგნი „ფიცი“ გამოვიდა 1981 წ. მუშაობს საქ. მწერალთა კავშირში.

●

**დოიაშვილი თ. ი.** დაიბადა 1948 წელს თბილისში. ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი. 1970 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (1974). შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ავტორი წიგნისა „ლექსის ევფონია“ (1981) აგრეთვე სტატიებისა ლიტერატურის თეორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის და კრიტიკის სფეროში.

●

**თამაზ ვასაძე** დაიბადა 1957 წელს თბილისში.

1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

არის უნივერსიტეტის ასპირანტი.

მუშაობს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ლიტერატურული წერილი.

●

**შტეფი ხოტივარი-იუნგერი** დაიბადა 1952 წელს ლაიფციგში. დაამთავრა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი.

1979 წ. დაიცვა დისერტაცია. მუშაობს ბერლინის უნივერსიტეტში მეცნიერ-ასისტენტად. შეარჩია და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსაცემად მოამზადა „მეოცე საუკუნის ქართული მოთხრობების ანთოლოგია“.

იგი ავტორია მრავალი საინტერესო სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოში. შტეფი-ხოტივარმა-იუნგერმა კარგად იცის ქართული ენა. ბერლინში კითხულობს ლექციებს ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე.

---

გარეკანის მე-2 გვერდზე ნიკო ლორთქიფანიძე.

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 2. 08. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 10. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1889. უე 08768. ტირაჟი 52.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76236

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ